ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტი

სახელმწიფო საწარმოები, PPP პროექტები, პანდემია, კლიმატური ცვლილებები/სტიქიური მოვლენები

2021 წელი, ნოემბერი

სიახლეები სახელმწიფო საწარმოებზე 5

სახელმწიფო საწარმოთა სექტორის მიმოხილვა (რეესტრი) 7

ძირითადი საწარმოების პროფილები 10

სახელმწიფო საწარმოების მიერ მიღებული დაფინანსება 18

სახელმწიფო საწარმოების მიერ გადახდილი დივიდენდები 20

სესხები სახელმწიფო საწარმოებს შორის 21

არაფინანსური ტრანსფერები 21

მეთოდოლოგია კვაზი-ფისკალური აქტივობების იდენტიფიცირების, მათი ანალიზისა და დაფინანსების მექანიზმების საუკეთესო პრაქტიკების დანერგვის შესახებ 21

კვაზი-ფისკალური აქტივობების ფორმები: 22

არაკომერციული მომსახურებები (NCSO) 23

არსებული პრაქტიკები 24

კვაზი-ფისკალური აქტივობების გავლენა სახელმწიფო საწარმოთა ფინანსურ შედეგებზე 24

სახელმწიფო საწარმოთა ფინანსური შედეგების მიმოხილვა 26

კოვიდ 19-ის გავლენა საწარმოებზე 37

სახელმწიფო საწარმოთა ფინანსური შედეგები 40

სს საპარტნიორო ფონდი 40

1.2. სს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია 44

სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა 47

სს ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი 49

შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია 51

სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა საქრუსენერგო 54

შპს საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია 55

სს საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი 58

შპს ენგურჰესი 60

შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანია 62

შპს საქართველოს ფოსტა 64

შპს საქართველოს მელიორაცია 66

შპს სახელმწიფო სამშენებლო კომპანია 68

შპს სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანია 70

შპს მარაბდა-კარწახის რკინიგზა 72

სახელმწიფო საწარმოთა სენსიტიურობის ანალიზი 74

სახელმწიფო საწარმოთა რეფორმის სტრატეგია 86

პილარი #1. კომერციული მიზნები 88

პილარი #2. კორპორაციული მართვა 89

პილარი #3. ფლობის პოლიტიკა 93

პილარი #4. საქმიანობის ჩარჩო - კორპორაციული განზრახვის განაცხადი 95

პილარი #5. კონკურენტული ნეიტრალურობა 97

ე. ურთიერთდამოკიდებულებები რეფორმის ფარგლებში 99

ვ. მფლობელი ერთეული 99

ზ. რეფორმის არეალი 101
თ. კვაზი-ფისკალური აქტივობები 103
ი. აუდიტი, ანგარიშგება და გამჭვირვალობა 105
თ. საპილოტე პროექტი/პილოტი საწარმოები 106
კ. სახელმწიფო კორპორაციების შესახებ ჩარჩო კანონი 108
სახელმწიფო საწარმოთა კორპორაციული მართვის პრაქტიკების შესახებ ანგარიში 110
შეჯამება 110
ზოგადი მიმოხილვა 111
სამართლებრივი ჩარჩო, ფლობის მოდელი 111
სახელმწიფო საწარმოთა რეფორმის სტრატეგია 116
სახელმწიფო საწარმოთა კორპორაციული მართვის კოდექსი 117
კორპორაციული მართვის პრაქტიკების შესახებ კვლევა 118
სექტორიზაციის გავლენა 149
საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტებიდან მომდინარე ფისკალური რისკების შეფასება 150
ელექტროენერგიის გარანტირებული შესყიდვის (PPA) ხელშეკრულებები 150
PPP ვალდებულებების შეფასება 154
პანდემიით გამოწვეული ფისკალური რისკები 157
შესავალი 157
ბუნებრივი კატასტროფებისა და კლიმატური ცვლილებების ფისკალური რისკები 160
დანართები 172

შეჯამება

2020 წელს საქართველო, როგორც დანარჩენი მსოფლიო, სრულიად მოწყვლადი აღმოჩნდა პანდემიის წინაშე. აღნიშნულმა კიდევ ერთხელ ცხადყო ფისკალური რისკების დროული იდენტიფიცირების, რისკების რეალიზების შედეგად დამდგარი ნეგატიური ეფექტის მინიმიზაციის ან/და თავიდან აცილების მექანიზმების არსებობის საჭიროება.

ფისკალური რისკების ანალიზმა ცხადყო, რომ მაკროეკონომიკური რისკების შემდეგ სახელმწიფო საწარმოები და საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტები კვლავაც რჩებიან ფისკალური რისკების ერთ-ერთ უმთავრეს წყაროდ ქვეყნისთვის.

სახელმწიფო საწარმოებში 2019 წელს ფინანსური მაჩვენებლების ერთჯერადი გაუმჯობესების შემდეგ 2020 წელს სექტორმა კვლავ დიდი ოდენობით ზარალი განიცადა. მხოლოდ **პანდემიის გამო სექტორმა დაკარგა 300 მილიონი ლარის ოდენობით შემოსავალი.**

სახელმწიფო საწარმოების ზარალმა 2020 წელს შეადგინა 660 მილიონი ლარი მარაბდა-კარწახის რკინიგზის გარეშე, ხოლო ჩათვლით - 1 მილიარდ ლარზე მეტი.

გაცვლითი კურსის რისკი სახელმწიფო საწარმოებისთვის რჩება უმთავრეს გამოწვევად. **კურსთაშორისი სხვაობიდან წარმოქმნილმა ზარალმა 2020 წელს შეადგინა 615 მილიონი ლარი**, იგივე მაჩვენებელმა მარაბდა-კარწახის რკინიგზის ჩათვლით - 1.1 მილიარდი ლარი. უკანასკნელ წლებში კურსის გაუფასურების მიზეზით ასეთი ოდენობის ზარალი რეკორდულია. ფისკალური რისკის შესამცირებლად, აუცილებელია, სახელმწიფო საწარმოების ვალის პორტფელში მნიშვნელოვნად გაიზარდოს ეროვნული ვალუტის წილი. თუმცა, აღნიშნული წარმოადგენს საწარმოების გაჯანსაღების მხოლოდ ერთ-ერთ კომპონენტს.

კრიტიკულად მნიშვნელოვანია ეს პერიოდი გამოყენებულ იქნას სახელმწიფო საწარმოთა რეფორმის განსახორციელებლად.

რაც შეეხება საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტებს, 2020 წელს სრულად შეიზღუდა ელექტროენერგიის გარანტირებული შესყიდვის (PPA) ხელშეკრულებების გაფორმება. ჩვენს მიერ მოდელირებული სცენარით, სამომავლოდ, ეკონომიკური შოკის დადგომის და წინასწარი ზომების მიუღებლობის შემთხვევაში ბიუჯეტს PPA პროექტებიდან დამატებით დააწვება 1 მილიარდი ლარი პირობითი ვალდებულებების რეალიზების სახით. 2021 წელს 2 მსხვილი PPA პროექტის გაუქმებით ფისკალური წნეხი არსებითად შემცირდა, თუმცა, პანდემიური რეალობის გათვალისწინებით, შემცირდა ჩვენი რისკის მადაც, ამიტომ, მიზანშეუწონლად მიგვაჩნია გაგრძელდეს პირობითი ვალდებულებების აკუმულირება გამოთავისუფლებული სივრცის ხარჯზე თუნდაც არაუამტეს ძველ ნიშნულამდე.

სიახლეები სახელმწიფო საწარმოებზე

- საქართველოს მთავრობის 2019 წლის 29 ნოემბრის N584 დადგენილებით განსაზღვრული საზოგადოებრივი დაინტერესების პირად (სდპ) იდენტიფიკაციის კრიტერიუმების საფუძველზე, არსებული მდგომარეობით 48 სახელმწიფო საწარმოს აქვს მინიჭებული საზოგადოებრივი დაინტერესების პირის სტატუსი.

- საერთაშორისო ვალდებულების შესრულებისა და სახელმწიფო საწარმოთა ფინანსური შედეგების შესახებ ინფორმაციის ადრეული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 11 თებერვლის N217 განკარგულებით განსაზღვრულია საზოგადოებრივი დაინტერესების პირად იდენტიფიცირებული სახელმწიფო საწარმოების მიერ აუდიტირებული ფინანსური და სხვა სახის ანგარიშგებების ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისთვის საანგარიშგებო პერიოდის მომდევნო წლის 1 ივლისამდე წარდგენის, ხოლო არააუდიტირებული ფინანსური და სხვა სახის ანგარიშგებების საანგარიშგებო პერიოდის მომდევნო წლის 1 აპრილამდე წარდგენის ვალდებულება. ამასთან, ,,ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, სდპ-ები ვალდებულები არიან ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება აწარმოონ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად.

- 2020 წლის აპრილის თვეში დასრულდა სახელმწიფო საწარმოთა სექტორიზაციის პროცესი - მათი მიკუთვნება სახელმწიფო კორპორაციებისა და სამთავრობო სექტორებზე. საქართველო პირველია ცენტრალური აზიის და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის, რომელმაც სრულყოფილად განახორციელა სექტორიზაცია. აღნიშნულმა გამჭვირვალედ გამოაჩინა ყველა ის საწარმო, რომელიც არაკომერციულია და მუდმივად დამოკიდებულია სუბსიდიებსა და სხვა სახის შენატანებზე, ასევე გამოიყო საწარმოები, რომლებიც სრულად კომერციულები არიან ან გააჩნიათ პოტენციალი იქცნენ კომერციულ საწარმოებად. სულ 52 საწარმო მიეკუთვნა სახელმწიფო კორპორაციების სექტორს, ხოლო სამთავრობო სექტორს - 183 საწარმო;

- საქართველოს ფინანსთა სამინისტროში 2020 წლის მეორე კვარტლიდან დაიწყო და გრძელდება მუშაობა სახელმწიფო საწარმოთა რეფორმაზე. რეფორმა ძირითადად მოიაზრებს სახელმწიფო საწაროებში კორპორაციული მართვის სტანდარტების დანერგვას OECD-ს მიერ განსაზღვრულ პრინციპებზე და სხვა საუკეთესო პრაქტიკებზე დაყრდნობით. ამ პროცესში ფინანსთა სამინისტროს მხარს უჭერენ პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციები. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ საერთაშორისო პარტნიორ ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობით შეიმუშავა სახელმწიფო საწარმოთა რეფორმის სტრატეგიის პროექტი და აგრძელებს მუშაობას მის დახვეწაზე. სტრატეგიის პროექტი ეფუძნება OECD-ის, IMF-ის, WB-ს და ADB-ს საუკეთესო გამოცდილებებს. ამასთან, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 7 აპრილის N156 დადგენილებით შეიქმნა სახელმწიფო საწარმოთა რეფორმის საბჭო, რომელიც დაკომპლექტებულია საქართველოს მთავრობის და საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლებით. საბჭო საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად წარუდგენს სახელმწიფო საწარმოთა რეფორმის სტრატეგიას და განსაზღვრავს რეფორმის პილოტ საწარმოებს..

- საქართველოს მთავრობის 2021 წლის 8 სექტემბრის N1618 განკარგულებით დამტკიცდა სახელმწიფო საწარმოთა კორპორაციული მართვის კოდექსი. კოდექსი საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშავა საერთაშორისო პარტნიორი ორგანიზაციების მხარდაჭერით და მათი უშუალო ჩართულობით. კოდექსი უზრუნველყოფს კორპორაციული მართვის სტანდარტების მიღებას და დანერგვას ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად, რაც ასევე წარმოადგენს 2021-2024 წლების ,,ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის" საქართველოს სამთავრობო პროგრამით განსაზღვრულ ერთ-ერთ პრიორიტეტს. ამასთან, აღნიშნული განკარგულების თანახმად, საწარმოები უზრუნველყოფენ კოდექსით განსაზღვრულ პრინციპებთან ეტაპობრივ შესაბამისობას დადგენილ ვადებში.

- კორპორაციული მართვის საუკეთესო პრაქტიკების დანერგვის მიზნით, სს ,,საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაში" მიმდინარეობს რეფორმების და ცვლილებების განხორციელების პროცესი. კომპანიამ 2021 წლის მაისში მიიღო ახალი წესდება და შეირჩნენ კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრები ღია კონკურსის წესით და გამჭვირვალე პროცედურებით საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, რაც რეფორმის წარმატებულ დასაწყისად შეგვიძლია მივიჩნიოთ. აღსანიშნავია, რომ სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის სამეთვალყურეო საბჭოს ფორმირების მიზნით მიმდინარე წლის 29 იანვარს დამტკიცდა საქართველოს მთავრობის N130 განკარგულება „სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის კანდიდატების შესარჩევი საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ", რომელმაც განსაზღვრა საბჭოს წევრობის კრიტერიუმები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები და წევრების ღია კონკურსით შერჩევის წესი.

- შეზღუდულია სს „საპარტნიორო ფონდის" მიერ ფინანსური და არაფინანსური აქტივების შესყიდვა, გარდა თანხის დეპოზიტებზე განთავსებისა. აღნიშნული გულისხმობს იმას, რომ საპარტნიორო ფონდი აღარ ახორციელებს ახალ პროექტებს და არ ზრდის თავის სასესხო ვალდებულებებს. აღნიშნული შეზღუდვა ვრცელდება საპარტნიორო ფონდის რეფორმირებამდე.

- ,,საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის" 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით განხორციელებული ინვესტიციით ქ.გარდაბანში აშენებულმა ,,გარდაბნის თბოსადგური 2"-მა ოპერირება დაიწყო 2020 წლის მარტში. თბოსადგური მაღალი ეფექტიანობითა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიით გამორჩეული ობიექტია, რომელიც 180 მილიონამდე აშშ დოლარის ინვესტიციით აშენდა. განხორციელებულ პროექტს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა გააჩნია ქართული ენერგეტიკული სისტემისა და მთლიანად სექტორის მდგრადობისა და მისი წარმატებული განვითარებისთვის. თბოსადგურმა ელექტროენერგიის აქტიურად გენერაცია დაიწყო 2020 წლის ივლისიდან და მისმა წილმა კორპორაციის მიერ 2020 წლის განმავლობაში ელექტროენერგიის წარმოებისა და რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავლებში 100 მლნ ლარზე მეტი შეადგინა. 2021 წელს კორპორაციის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაარსდა შპს გარდაბნის თბოსადგური 3 და შპს საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის ოპერატორი. შპს გარდაბნის თბოსადგური 3 განახორციელებს გარდაბანში მესამე თბოელექტროსადგურის მშენებლობას და შემდგომ ოპერირებას, ხოლო შპს საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის ოპერატორი განახორციელებს ბუნებრივი გაზის მილსადენების სისტემის ოპერირებას.

სახელმწიფო საწარმოთა სექტორის მიმოხილვა (რეესტრი)

ფისკალური რისკების დოკუმენტი ფარავს სახელმწიფო საწარმოთა 87%-ს (სახელმწიფოს, მუნიციპალიტეტის წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოები) ბრუნვის მიხედვით, მათ შორის სახელმწიფო კორპორაციების[1] 100%-ს.

სახელმწიფო საწარმოების ერთიანი რეესტრი მოიცავს სახელმწიფო სტრუქტურების, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის და სხვა ადმინისტრაციული წყაროების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, ცენტრალური მთავრობისა და ადგილობრივი მთავრობების წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებს, რომლებიც კლასიფიცირდებიან, როგორც ფისკალური რისკების ანალიზისთვის მნიშვნელოვანი საწარმოები. ასეთ საწარმოებად განხილულია:

- ა) ცენტრალური მთავრობის ყველა საწარმო;
- ბ) მუნიციპალური საწარმოები, რომელშიც სახელმწიფოს წილი 25%-ზე მეტია და რომელთა წლიური ბრუნვა აღემატება 200 ათას ლარს, ან გაცემული წლიური ხელფასი აღემატება 15 ათას ლარს.

საწარმოების აღნიშნულ მაჩვენებლებთან მიმართებით შეფასებისათვის გამოყენებულ იქნა სხვადასხვა ადმინისტრაციული წყაროებიდან მიღებული ფინანსური მონაცემები. აღნიშნული მონაცემების საფუძველზე ამ საწარმოთათვის შეიქმნა 2020 წლის ფინანსური მონაცემების ბაზა.

ზემოთ მითითებული კრიტერიუმებიდან გამომდინარე, ფისკალური რისკების ანალიზისთვის წარმოდგენილია 346 სახელმწიფო საწარმო, 178 ცენტრალური ხელისუფლების, ხოლო 168 ადგილობრივი ხელისუფლების საკუთრებაშია, ასევე, ჩამოთვლილ საწარმოებს ჯამურად გააჩნიათ 83 შვილობილი საწარმო.

ფინანსურ მონაცემების კონსოლიდების შედეგად ანალიზი ეყრდნობა 346 სახელმწიფო საწარმოს მონაცემებს, ხოლო 83 შვილობილი კომპანიის მონაცემები დამატებითი ინფორმაციის სახით არის წარმოდგენილი.

ცხრილი 1. ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მართვაში არსებულ სახელმწიფო საწარმოთა რაოდენობა

დასახელება	**რაოდენობა**
სახელმწიფოს საწარმოთა ჯამური რიცხვი	**346**
მათ შორის:	
ადგილობრივი ხელისუფლების საკუთრებაშია	**168**
ცენტრალური ხელისუფლების საკუთრებაშია **მათ შორის:**	**178**
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მართვაში	130
შექმნილი საპარტნიორო ფონდის წილობრივი მონაწილეობით	25
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მართვაში	6
იურიდიული პირების მართვაში	5

[1] სახელმწიფო კორპორაცია არის საწარმო, რომელიც საქონლისა და მომსახურების რეალიზაციას ახდენს ეკონომიკურად მნიშვნელოვანი ფასით, აქვს უნარი მესაკუთრისთვის მოიტანოს მოგება ან სხვა ფინანსური სარგებელი და ამასთან გადაწყვეტილებების მიღებაში არის დამოუკიდებელი.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 24 აპრილის N96 ბრძანებით ,,სახელმწიფო საწარმოთა სექტორიზაციის სიის დამტკიცების შესახებ'' 52 საწარმო მიჩნეულ იქნა სახელმწიფო კორპორაციად,

დასახელება	**რაოდენობა**
საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მართვაში	6
საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მართვაში	2
საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მართვაში	2
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მართვაში	1
სახელმწიფოს მიერ შექმნილი საინვესტიციო ფონდი	1

მუნიციპალიტეტების მფლობელობაში არსებულ სახელმწიფო საწარმოებიდან 62 კომპანია არის თბილისისა და ბათუმის მუნიციპალიტეტების საკუთრებაში და მათი წილი მუნიციპალიტეტების საკუთრებაში არსებული საწარმოების მთლიანი ბრუნვის 95 პროცენტს შეადგენს.

ცხრილი 2
სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მუნიციპალური საწარმოების მონაცემები მუნიციპალიტეტების მიხედვით

	საწარმოთა რაოდენობა	წილი მუნიციპალური ხელისუფლების საწარმოების ჯამურ რაოდენობაში	წილი მუნიციპალური ხელისუფლების საწარმოების მუნიციპალურ საწარმოთა ჯამურ რაოდენობაში	2020 ერთობლივი შემოსავალი (ათასი ლარი)	ერთობლივი შემოსავლის წილი მუნიციპალური ხელისუფლების საწარმოების ჯამურ რაოდენობაში	ერთობლივი შემოსავლის წილი მუნიციპალური ხელისუფლების საწარმოების მუნიციპალურ საწარმოთა ჯამურ რაოდენობაში
სულ	**346**			**3,253,367**		
მათ შორის:						
მუნიციპალიტეტები	**168**	**49%**		**399,006**		**12.3%**
თბილისის მუნიციპალიტეტი	26	8%	15%	192,153	5.91%	48.16%
ბათუმის მუნიციპალიტეტი	36	10%	21%	185,625	5.71%	46.52%
ქუთაისის მუნიციპალიტეტი	11	3%	7%	825	0.03%	0.21%
თელავის მუნიციპალიტეტი	4	1%	2%	1,760	0.05%	0.44%
გორის მუნიციპალიტეტი	3	1%	2%	33	0.00%	0.01%
ფოთის მუნიციპალიტეტი	9	3%	5%	3	0.00%	0.00%
რუსთავის მუნიციპალიტეტი	8	2%	5%	268	0.01%	0.07%
საჩხერის მუნიციპალიტეტი	6	2%	4%	6,688	0.21%	1.68%
ხობის მუნიციპალიტეტი	3	1%	2%	40	0.00%	0.01%
ახალქალაქის მუნიციპალიტეტი	2	1%	1%	35	0.00%	0.01%
ახალციხის მუნიციპალიტეტი	3	1%	2%	1,802	0.06%	0.45%
ახმეტის მუნიციპალიტეტი	2	1%	1%	387	0.01%	0.10%
სენაკის მუნიციპალიტეტი	6	2%	4%	111	0.00%	0.03%
ბოლნისის მუნიციპალიტეტი	10	3%	6%	635	0.02%	0.16%
მცხეთის მუნიციპალიტეტი	9	3%	5%	0.8	0.00%	0.00%
სხვა დანარჩენი	30	9%	18%	8,641	0.27%	2.17%

ცხრილი 3

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების ანალიზი სექტორების მიხედვით

დარგი	სულ საწარმოს რაოდენობა	მათ შორის:		სულ საწარმოთა ერთობლივი შემოსავალი 2020 (ათასი ლარი)	მათ შორის:		დარგობრივ საწარმოთა წილი მთლიან ერთობლივ შემოსავალში	
		ცენტრალური	ადგილობრივი		ცენტრალური	ადგილობრივი	ცენტრალური	ადგილობრივი
სოფლის მეურნეობა. ნადირობა და სატყეო მეურნეობა	8	8	0	24,871	24,871	0	1%	0%
სამთომოპოვებითი მრეწველობა	2	2	0	516	516	0	0%	0%
დამამუშავებელი მრეწველობა	29	19	10	146,164	130,797	15,367	5%	4%
ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	14	9	5	1,626,123	1,619,435	6,688	57%	2%
მშენებლობა	24	16	8	209,841	61,485	148,356	2%	37%
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	18	14	4	136,218	136,009	209	5%	0%
სასტუმროები და რესტორნები	11	9	2	50,621	50,594	27	2%	0%
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	22	7	15	844,215	753,236	90,979	26%	23%
საფინანსო საქმიანობა	9	9	0	742	742	0	0%	0%
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	54	31	23	40,934	27,509	13,425	1%	3%
განათლება	1	1	0	0	0	0	0%	0%
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	84	41	43	20,747	15,871	4,876	1%	1%
კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	70	12	58	152,374	33,295	119,080	1%	30%
სულ	**346**	**178**	**168**	**3,253,367**	**2,854,361**	**399,006**		

სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების რეესტრის მონაცემებზე დაყრდნობით, ლიდერობს ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების დარგში მოქმედი საწარმოთა რაოდენობა (346 საწარმოთა რეესტრიდან - 84 საწარმო, აქედან 43 ადგილობრივი). ჯანდაცვის და სოციალური დახმარების დარგში მოქმედი საწარმოები ლიდერობენ რაოდენობრივად, თუმცა მათი ჯამური ერთობლივი შემოსავლის წილი საწარმოთა მთლიან ერთობლივ შემოსავალში 1%-ს არ აღემატება.

ძირითადი საწარმოების პროფილები[2]

სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“

სახელმწიფოს წილი: 100% (100%-იანი წილის მფლობელია სს „საპარტნიორო ფონდი“, რომელიც თავის მხრივ სრულად სახელმწიფო საკუთრებაშია).

ეკონომიკური საქმიანობის დასახელება: საბითუმო ვაჭრობა ბუნებრივი აირით

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე: ვაჟა ხიდაშელი

გენერალური დირექტორი: გიორგი ბახტაძე

6 შვილობილი კომპანია:

- შპს „გარდაბნის თბოსადგური“;
- შპს „გარდაბნის თბოსადგური 2“;
- შპს „გარდაბნის თბოსადგური 3“;
- შპს „საქართველოს გაზსაცავის კომპანია“;
- GOGC Trading S.A;
- შპს საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის ოპერატორი;

ძირითადი საქმიანობა: ბუნებრივი გაზი (ბუნებრივი გაზის იმპორტი და შემდგომი საბითუმო რეალიზაცია ელექტროგენერაციის ობიექტებისა და მოსახლეობის უზრუნველყოფის მიზნით, ასევე, შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიაზე“ გაცემული მილსადენების იჯარა); ელექტროენერგია (შედარებით ახალი მიმართულება - ელექტროენერგიის წარმოება ხორციელდება ქ. გარდაბანში მდებარე თბოელექტროსადგურის მეშვეობით. წარმოებული ელექტროენერგია უწყვეტ რეჟიმში მიეწოდება გამანაწილებელ კომპანიებს, რომლებიც თავის მხრივ გამომუშავებულ ელექტროენერგიას აწვდიან საცალო მომხმარებელს); ნავთობი (საქართველოს ტერიტორიაზე ნავთობმომპოვებელი კომპანიების მიერ მოპოვებული ნავთობის სახელმწიფოს კუთვნილი წილის რეალიზაცია, ასევე, bp-ზე ფინანსური ლიზინგით გაცემული ნავთობსადენის იჯარა).

სს „საქართველოს რკინიგზა“

სახელმწიფოს წილი: 100% (100%-იანი წილის მფლობელია სს „საპარტნიორო ფონდი“, რომელიც თავის მხრივ სრულად სახელმწიფო საკუთრებაშია).

ეკონომიკური საქმიანობის დასახელება: რკინიგზის სატვირთო ტრანსპორტი

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე: კონსტანტინე გუნცაძე

გენერალური დირექტორი: დავით ფერაძე

7 შვილობილი კომპანია:

- შპს „ჯიარ ქონების მართვა“;
- შპს „ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალები“;
- სს „საქართველოს რკინიგზის მშენებლობა“;

[2] *07.07.2021 წ მდგომარეობით*

- შპს „Georgia Transit“;
- შპს „ჯიარ სატრანზიტო ხაზი“;
- შპს „GR Trans Shipment“;
- შპს „ჯიარ ტრანზიტი“.

ძირითადი საქმიანობა: სატვირთო გადაზიდვა (მათ შორის, სატვირთო ვაგონების გაქირავება); მგზავრთა გადაყვანა; ინფრასტრუქტურა (ლიანდაგების, ჯებირების, სარკინიგზო სიგნალიზაციის, ელექტროხაზების და სხვა აღჭურვილობის შენარჩუნება და მართვა, ასევე, სარკინიგზო ხაზების მშენებლობა).

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“

სახელმწიფოს წილი: 100%

ეკონომიკური საქმიანობის დასახელება: ელექტროენერგიის გადაცემა

რეაბილიტაციის მმართველი/მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე: უჩა უჩანეიშვილი

2 შვილობილი კომპანია:

- სს „ქარჩალ ენერჯი“;
- სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა“ (50%).

ძირითადი საქმიანობა: ელექტროენერგიის გადაცემა და დისპეტჩერიზაცია (ერთადერთი ლიცენზიანტი); სსე ახორციელებს სისტემის ტექნიკურ მართვას ელექტროენერგიის მიწოდება-მოხმარების სტაბილური რეჟიმის უზრუნველსაყოფად და ელექტროენერგიის ყიდვა-გაყიდვის უფლების გარეშე, გადასცემს საქართველოში წარმოებულ ან იმპორტირებულ ელექტროენერგიას სადისტრიბუციო ენერგოკომპანიებს, პირდაპირ მომხმარებლებს ან მეზობელი ქვეყნების ელექტროსისტემებს. ასევე, უზრუნველყოფს საერთაშორისო და შიდა ელექტროგადამცემი ხაზებისა და ქვესადგურების მშენებლობას.

შპს „ენერგოტრანსი“

სახელმწიფოს წილი: 100% (100%-იანი წილის მფლობელია სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“).

ეკონომიკური საქმიანობის დასახელება: ელექტროენერგიის გადაცემა

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი: ჯემალ ახალაია

ძირითადი საქმიანობა: ელექტროენერგიის გადაცემა, მათ შორის ელექტროენერგიის ექსპორტი და ტრანზიტი. შპს „ენერგოტრანსი“ ფლობს: 500 კვ-იან ელექტროგადამცემ ხაზებს „ვარძია-ზეკარი“, 400 კვ-იან ელექტროგადამცემ ხაზს „მესხეთი“ და 500/400/220 კვ ქვესადგურ ახალციხეს.

შპს „ენერგოტრანსის“ მფლობელობაში არსებული ელექტროგადამცემი ხაზების საერთო სიგრძე საქართველოს ტერიტორიაზე დაახლოებით 290 კმ-ია, რაც მოიცავს საქართველოს 10 მუნიციპალიტეტის ტერიტორიასა და სამხრეთის მხრიდან ერთმანეთთან აკავშირებს „გარდაბანი 500-ის“ და „დიდი ზესტაფონის“ ქვესადგურებს ახალციხის 500/400/220 კვ ქვესადგურის (აღნიშნული სადგური არის შპს „ენერგოტრანსის“ საკუთრებაში) გავლით. გარდა ზემოთ ხსენებულისა, ახალციხის ქვესადგური, 400 კვ ელექტროგადამცემი ხაზის „მესხეთი“ მეშვეობით უკავშირდება თურქეთის ქვესადგურ „ბორჩხას“. ახალციხის 500/400/220 კონვერტორული სადგური თავისი

მნიშვნელობით უნიკალურია კავკასიის რეგიონში, რადგან პირველად აქ იქნა დამონტაჟებული მუდმივი დენის ჩანართი (HVDC).

სს „გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა საქრუსნერგო“

სახელმწიფოს წილი: 50% (დარჩენილი 50%-იანი წილის მფლობელია რუსეთის ფედერაცია, რომელიც წარმოდგენილია სს „ერთიანი ენერგო სისტემის ფედერალური ქსელური კომპანიის“ მიერ).

ეკონომიკური საქმიანობის დასახელება: ელექტროენერგიის გადაცემა

გენერალური დირექტორი: ბაჩანა სულაძე

ძირითადი საქმიანობა: ელექტროენერგიის გადაცემა საკუთარი მაღალძაბვიანი ელექტროგადამცემი ხაზების გამოყენებით საქართველოს ტერიტორიასა და მეზობელ ქვეყნებში, როგორებიცაა: რუსეთი, თურქეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი. კომპანიის ელექტროენერგიის გადამცემი ხაზების ნაწილი მდებარეობს რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე. კომპანიის ელექტროენერგიის გადამცემი ხაზები წარმოადგენს საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის სინქრონიზებული ელექტროენერგიის მიწოდების ქსელებს.

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“

სახელმწიფოს წილი: 100%

ეკონომიკური საქმიანობის დასახელება: წყლის დაგროვება, დამუშავება და განაწილება

დირექტორი: გრიგოლ მანდარია

ძირითადი საქმიანობა: წყლის მოპოვება, დამუშავება და საქართველოს სხვადასხვა ქალაქებსა და სოფლებში აბონენტებისათვის სასმელი და ტექნიკური წყლის მიწოდება; წყალმომარაგების და წყალარინების სისტემების პროექტირება, მშენებლობა, ექსპლუატაცია და ოპერირება.

კომპანია წყალმომარაგებისა და წყალარინების ქსელით მომსახურებას ახორციელებს მთელი საქართველოს მასშტაბით, ურბანული ტიპის დასახლებებისთვის, ქ. თბილისის, ქ. მცხეთის, ქ. რუსთავის, გარდაბნის მუნიციპალიტეტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარდა.

შპს „ენგურჰესი“

სახელმწიფოს წილი: 100%

ეკონომიკური საქმიანობის დასახელება: ელექტროენერგიის წარმოება ჰიდროელექტროსადგურების მიერ

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე: კობა ჭუმბურიძე

დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე: ლევან მებონია

2 შვილობილი კომპანია:

- შპს „ვარდნილჰესების კასკადი“;
- შპს „ენგურის ჰიდრომააკუმულირებელი ელექტროსადგური“.

ძირითადი საქმიანობა: ელექტროენერგიის წარმოება და რეალიზაცია. მისი წილი ქვეყნის საერთო ელექტრომომარაგების 35%-ზე მეტს შეადგენს. კომპანია პასუხისმგებელია ენგურის ჰიდროელექტროსადგურის, ვარდნილჰესების კასკადისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, კოდორის ხეობაში, მდებარე რამდენიმე მცირე ჰესის ფუნქციონირებაზე.

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ (ესკო)

სახელმწიფოს წილი: 100%

ეკონომიკური საქმიანობის დასახელება: ელექტროენერგიის განაწილება

გენერალური დირექტორი: ზაზა დვალიშვილი

შვილობილი კომპანია:

- **სს საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა (50%)**

ძირითადი საქმიანობა: საბალანსო ელექტროენერგიისა და გარანტირებული სიმძლავრის ყიდვა-გაყიდვა (ახორციელებს თბოელექტროსადგურებიდან გარანტირებული სიმძლავრის შესყიდვას, რეალიზაციას და შესაბამის გადახდებს) და ელექტროენერგიის იმპორტი/ექსპორტი. ძირითადი საქმიანობები განსაზღვრულია „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2006 წლის 30 აგვისტოს №77 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესებით“.

კომპანია საბალანსო ელექტროენერგიისა და გარანტირებული სიმძლავრის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებში მოქმედებს როგორც პირდაპირი მყიდველი (არა როგორც აგენტი) და ვალდებულია საბალანსო ელექტროენერგიის გამყიდველებისა და გარანტირებული სიმძლავრის წყაროების სასარგებლოდ განახორციელოს გადახდები, იმის მიუხედავად, მომხმარებლებისგან მიიღო თუ არა გაყიდული საბალანსო ელექტროენერგიისა და გარანტირებული სიმძლავრის საფასური.

შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია“

სახელმწიფოს წილი: 100%

ეკონომიკური საქმიანობის დასახელება: ტრანსპორტირება მილსადენებით

გენერალური დირექტორი: მიხეილ შალამბერიძე

შვილობილი კომპანია:

- **შპს ინტერ გლასს-საქართველო (40%)**

ძირითადი საქმიანობა: ერთადერთი ლიცენზირებული კომპანია, ლიცენზიის მუდმივი ვადით (ლიცენზია გაიცა 2009 წელს), რაც ითვალისწინებს ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების განხორციელების უფლებას. კომპანია მართავს საქართველოს ტერიტორიაზე მთავარ მაგისტრალურ გაზსადენ სისტემას და მასთან დაკავშირებულ ინფრასტრუქტურას, რომელიც სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ მფლობელობაშია და კომპანიას იჯარით აქვს აღებული (ოპერირებისა და შენახვის ვალდებულებით).

კომპანიის ძირითადი შემოსავალი, რომელსაც ის იღებს სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ კუთვნილი მაგისტრალური გაზსადენის სისტემის გამოყენებისაგან, შედგება შემდეგი საქმიანობისაგან: ბუნებრივი აირის ტრანზიტი (რუსეთის ფედერაციიდან სომხეთის რესპუბლიკაში); ბუნებრივი აირის ტრანსპორტირება (საქართველოს მასშტაბით, ძირითადად დისტრიბუციის კომპანიებისათვის, სამრეწველო საწარმოებსა და თბოელექტროსადგურებისათვის); გაზის რეალიზაცია (სხვა მომხმარებლებზე საქართველოში ეფუძნება ინდივიდუალურ მოლაპარაკებებს მხარეებს შორის).

შპს „მარაბდა-კარწახის რკინიგზა“

სახელმწიფოს წილი: 100%

ეკონომიკური საქმიანობის დასახელება: მიწისზედა და მიწისქვეშა რკინიგზის მშენებლობა

დირექტორი: ლევან კანკავა

ძირითადი საქმიანობა: საქართველოს ტერიტორიაზე, ბაქო-თბილისი-ყარსის შემაერთებელი ახალი სარკინიგზო ხაზის მარაბდა - თურქეთის რესპუბლიკის საზღვრამდე (კარწახი) პროექტის რეალიზაცია, რომელიც ერთმანეთთან დააკავშირებს აზერბაიჯანის რესპუბლიკისა და თურქეთის რესპუბლიკის სარკინიგზო ქსელებს.

პროექტი ხორციელდება აზერბაიჯანის რესპუბლიკისა და საქართველოს მთავრობებს შორის გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე. გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულების საფუძველზე, აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და მაღალი ტექნოლოგიების სამინისტროსგან შპს „მარაბდა-კარწახის რკინიგზას" გამოყოფილი აქვს საკრედიტო ხაზი 775 მლნ. აშშ დოლარის ოდენობით, რომლის დანიშნულებაა პროექტის კაპიტალური და ადმინისტრაციული ხარჯების დაფინანსება.

საკრედიტო ხელშეკრულების თანახმად, მარაბდა-კარწახის სარკინიგზო მონაკვეთის მშენებლობის დასრულებამდე საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის რკინიგზების მიერ შეიქმნება „ერთობლივი საწარმო“, რომელზეც მოხდება სარკინიგზო ინფრასტრუქტურის მართვაში გადაცემა (შპს „მარაბდა-კარწახი“ დარჩება ქონების მესაკუთრედ), სარკინიგზო მონაკვეთის ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ შემოსავლების მიღება და სესხის დაფარვის ვალდებულება გადავა „ერთობლივ საწარმოზე“.

შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“

სახელმწიფოს წილი: 100%

ეკონომიკური საქმიანობის დასახელება: გზების და ავტობანების მშენებლობა

დირექტორი: შალვა შავიშვილი

ძირითადი საქმიანობა: სხვადასხვა ტიპის სამშენებლო პროექტების განხორციელება, მათ შორის, საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების, ხიდების, გვირაბების რეაბილიტაცია, მოდერნიზაცია, რეკონსტრუქცია და სხვა საგზაო-სამშენებლო სამუშოების შესრულება; სამშენებლო და სარემონტო მასალების წარმოება, მათი იმპორტირება-ექპორტირება და რეალიზაცია; კომპანიის ბალანსზე რიცხული სპეც-ტექნიკის გამოყენება და მისი დროებით სარგებლობაში გადაცემა.

შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანია“

სახელმწიფოს წილი: 100% (100%-იანი წილის მფლობელია ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“

ეკონომიკური საქმიანობის დასახელება: სასოფლო-სამეურნეო ტრაქტორების რემონტი, დამხმარე საქმიანობის სახეები სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანის დარგში

გენერალური დირექტორი: შოთა ჯოგლიძე

1 შვილობილი კომპანია: შპს აგროსერვის ცენტრი

ძირითადი საქმიანობა: სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მომსახურება; სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელთა და ფერმერთა ინფორმაციით უზრუნველყოფა, კონსულტაციების გაწევა; თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაში; ნიადაგის თესვისწინა და შემდგომი სამუშაოების ჩატარება.

შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანია“ საქართველოს რეგიონებში მცხოვრებ მიწათმოსარგებლეებს სთავაზობს მომსახურებას სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის საქმეში: პესტიციდების, ჯიშიანი და მაღალხარისხოვანი თესლეულის, ახალი ტექნოლოგიების და ახალი კულტურების დანერგვის შესახებ. კომპანიას აქვს შესაძლებლობა აგროვადებში, საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში მოემსახუროს მიწათმოსარგებლეებს, დროულად და ხარისხიანად ჩაატაროს საგაზაფხულო, საშემოდგომო და მზრალად ხვნების სამუშაოები, ასევე თესვის, ჰერბიციდებით ნათესების დამუშავების, კულტივაციის, ფარცხვის, მინერალური სასუქების შეტანის და რაც მთავარია მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღების სამუშაოები.

სსს „საპარტნიორო ფონდი“

სახელმწიფოს წილი: 100%

ეკონომიკური საქმიანობის დასახელება: საფინანსო მომსახურების სხვა საქმიანობები, სადაზღვევო და საპენსიო ფონდების გარდა, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე: საქართველოს პრემიერ-მინისტრი

აღმასრულებელი დირექტორი: დავით საგანელიძე

29 შვილობილი კომპანია:

- სსს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ და მისი შვილობილი კომპანიები;

- სს „საქართველოს რკინიგზა“ და მისი შვილობილი კომპანიები;
- სს „ნენსკრა“;
- შპს „პროექტი“;
- შპს „თბილისის ლოჯისტიკის ცენტრი“და მისი შვილობილი კომპანიები;
- შპს „შავი ზღვის პორტი“;
- შპს „ლაგოდეხის სავაჭრო კომპანია“;
- სს „Panex“;
- შპს „კლინიკების განვითარების კომპანია“ და მისი შვილობილი კომპანიები;
- სს „Aerostructure Technologies Cyclone“;
- სს „Vanric Agro“;
- შპს „რუხის სავაჭრო ცენტრი“;
- შპს „სტარტაპ საქართველო“;
- შპს „იმერეთი გრინერი“;
- შეზღუდული პასუხისმგებლობის პარტნიორობა „Caucasus Clean Energy I“;
- შპს „საქართველოს ინდუსტრიული და რეგიონალური განვითარების კომპანია“;
- შპს „ლიკანი რეზიდენსი“;
- შპს „Global Brand“;
- შპს „ინფრასტრუქტურული განვითარების პარტნიორობის კომპანია“;
- შპს „წინანდალი ისთეითსი“;
- Gazelle Fund LP;
- შპს „იტონგ კავკასუს“;
- საპარტნიორო ფონდი - შპს „გრინ დეველოფმენთი“ და მისი შვილობილი კომპანიები;
- შპს „East West Bridge“;
- სს „ნენსკრა ჰიდრო“;
- შპს „Caucasian SUS Heritage“;
- შპს „KMG Service Georgia“ და მისი შვილობილი კომპანია;
- შპს „ქართული ბუნებრივი პროდუქტები“;
- Peace Fund for Better Future NCLE.

ძირითადი საქმიანობა: სახელმწიფო საინვესტიციო ფონდი, რომელიც შეიქმნა სატრანსპორტო, ენერგეტიკისა და ინფრასტრუქტურის სფეროში არსებული მსხვილი სახელმწიფო საწარმოების კონსოლიდაციის ბაზაზე. ფონდის მთავარი დანიშნულებაა საქართველოში ინვესტიციების წახალისება საინვესტიციო პროექტების განვითარების საწყის ეტაპზე თანამონაწილეობის გზით (კაპიტალში თანაინვესტირება, სუბორდინირებული სესხი და ა.შ.).

საქმიანობა ხორციელდება ორი მიმართულებით: <u>აქტივების მართვა</u> (აქტივების პორტფელი შედგება სტრატეგიული მნიშვნელობის კომპანიებისგან: სს „საქართველოს რკინიგზა“; სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“) და <u>საინვესტიციო საქმიანობა</u> (ფონდი უფლებამოსილია განახორციელოს ინვესტიცია მხოლოდ საქართველოში, მისი სტრატეგიაა კერძო ინვესტორების მოზიდვა და კომერციულად მომგებიანი პროექტების მხარდაჭერა საქართველოს ეკონომიკის პრიორიტეტულ სექტორებში, რომლებიც გამოირჩევა განვითარების დიდი პოტენციალით (მაგ., ენერგეტიკა, სოფლის მეურნეობა , წარმოება, უძრავი ქონება და ტურიზმი, ინფრასტრუქტურა და ლოგისტიკა).

შპს „საქართველოს ფოსტა“

სახელმწიფოს წილი: 100%

ეკონომიკური საქმიანობის დასახელება: საფოსტო საქმიანობები საყოველთაო მომსახურების ვალდებულებით

გენერალური დირექტორი: ლევან ჩიკვაიძე

2 შვილობილი კომპანია:

- Georgian post (Greece) I.K.E.;
- Georgian post (ჩეხეთი).

ძირითადი საქმიანობა: შპს „საქართველოს ფოსტა“ მსოფლიოს 190-ზე მეტ ქვეყანასთან წარმატებით თანამშრომლობს და მთელი ქვეყნის მასშტაბით ფუნქციონირებს 80-ზე მეტი სერვის ცენტრი.

შპს „საქართველოს ფოსტა“ მომხმარებლებს უზრუნველყოფს უნივერსალური საფოსტო და გადაზიდვის მომსახურების სფეროში შემავალი სერვისებით, კერძოდ, ახორციელებს: საფოსტო გზავნილთა (წერილობითი კორესპონდენცია, ამანათი, EMS გზავნილი, ავია გზავნილი) მიღებას, დამუშავებას, გაგზავნას, გადაზიდვასა და ჩაბარებას, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ; კომუნალური მომსახურების გადასახადების მიღებას; ფულადი გზავნილების მომსახურებას.

შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“

სახელმწიფოს წილი: 100% (100%-იანი წილის მფლობელია თბილისის მერია)

ეკონომიკური საქმიანობის დასახელება: საქალაქო და საგარეუბნო სამგზავრო სახმელეთო ტრანსპორტი

გენერალური დირექტორი: გიორგი შარკოვი

2 შვილობილი კომპანია:

- სს „ელექტრომოძრავი შემადგენლობის სარემონტო ქარხნის თბილისის ფილიალი“;
- სს „რემონტაჟსერვისი“

ძირითადი საქმიანობა: ქ. თბილისში ავტობუსით, მეტრო და საბაგირო ტრანსპორტით მომსახურება, თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში პარკირების ადგილების მოწყობა.

რეგულირებული ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში მომსახურების ფასები დადგენილია თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებით. მოქალაქეთა განსაზღვრული ჯგუფისთვის განსაზღვრულია უფასო მგზავრობა მიწისქვეშა მეტროსა და ავტობუსის რეგულარულ რეისებზე თბილისის ადმინისტრაციული საზღვრების ფარგლებში, ან ფასდაკლებული გადასახადი პლასტიკური ბარათით ერთხელ გადახდის შემთხვევაში.

კომპანიის შემოსავალი ძირითადად გენერირებულია მგზავრთა მიერ გადახდილი მგზავრობის საფასურიდან.

კომპანია მართავს, ორგანიზებასა და ზედამხედველობას უწევს მუნიციპალიტეტის პარკინგის სივრცეებს უზრუნველყოფს საგზაო ნიშნების განთავსებას/დახატვას, თბილისის მიერ დადგენილი პარკინგის ადგილების მონიშვნას, უზრუნველყოფს პარკირების წესების დარღვევის გამოვლენას, პარკინგის ნებართვებისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ოქმების შედგენას, კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში ახდენს სატრანსპორტო საშუალების გადატანას გამოყოფილ დაცულ ტერიტორიაზე.

სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“

სახელმწიფოს წილი: 100%

ეკონომიკური საქმიანობის დასახელება: საკონსულტაციო საქმიანობები ბიზნესის და მართვის სხვა საკითხებში

დირექტორი: გიორგი ჩიქოვანი

13 შვილობილი კომპანია:[3]

- სს „ნამახვანი“;
- სს „გეოჰიდრო“;
- შპს „ართანა ლოპოტა“;
- შპს „ყვირილა ჰესი“;
- შპს „ახალსოფელი ჰესი“;
- სს „ჩალიკ ჯორჯია ვინდ“;
- შპს „ენგურის ტურისტული ცენტრი“;
- შპს „ენგურის ჰიდრომააკუმულირებელი ელექტროსადგური“;
- შპს „საქართველოს მზის კომპანია“;
- შპს „ბორჯომჰესი“;
- შპს „ზესტაფონის ქარის ელექტროსადგური“;
- შპს „ჩორდულა ჰესი“;
- შპს „რუისის ქარის ელექტროსადგური“.

ძირითადი საქმიანობა: ენერგეტიკის სფეროში წინასწარი კვლევითი სამუშაოების ჩატარება, ენერგეტიკული პროექტების ტექნიკურ-ეკონომიკური შეფასება და ანგარიშის მომზადება, პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასება. ჩატარებული კვლევების შედეგად იწერება ელექტროსადგურის მშენებლობის პროექტი, რომელსაც ფონდი ახორციელებს შემდეგნაირად: მოიზიდავს ინვესტორს, რომელთან ერთადაც დააფუძნებს საწარმოს (ან 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დააფუძნებს თვითონ) და აღნიშნული საწარმო ახორციელებს ელექტროსადგურის პროექტს.

სახელმწიფო საწარმოების მიერ მიღებული დაფინანსება

ცხრილი 4 სახელმწიფო ბიუჯეტიდან სახელმწიფო საწარმოებზე მიმართული სახსრები და მიღებული დივიდენდები (მლნ ლარი)

დასახელება	**2019 წელი**	**2020 წელი**	**2021 წელი, 8 თვე**
კაპიტალური ტრანსფერი			
სესხი			
სუბსიდია	-82.87	-88.50	-110.16
დივიდენდი		68.70	
წმინდა ფულადი ნაკადი	**-82.87**	**-19.8**	**-110.16**

ცხრილი 5 2019-2021 წწ სუბსიდია სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ათასი ლარი)

საწარმოს დასახელება	**2019**	**2020**	**2021, 8 თვე**
შპს საქართველოს ფოსტა		2,188	1,000
შპს საქართველოს მელიორაცია	17,659	18,500	13,675
შპს აკად ნ.ყიფშიძის სახ. ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა		786	
სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაცია		200	
სს აკურა		16,000	28,000

[3] 2020 წლის მდგომარეობით

შპს ადამ ბერიძის სახ. ნიად. და სურს. დიაგნ ცენტრი ანასეული		12	134
შპს საქართველოს აეროპორტების გაერთიანება	5,864	1,350	1,727
შპს საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია	12,000	13,800	10,500
სს უნივერსალური სამედიცინო ცენტრი		2,150	
შპს ბლექ სი არენა ჯორჯია	9,500	3,518	3,268
შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია	27,550	30,000	15,000
შპს ვ. სანიკიძის სახ ომის ვეტერანთა კლინიკური ჰოსპიტალი	558		516
შპს საქართველოს ტელერადიოცენტრი			973
შპს მთის კურორტების განვითარების კომპანია	300		6,800
შპს თოლია 2020			28
შპს პერსპექტივა			40
შპს მოსავლის მართვის კომპანია			28,500
შპს სახელმწიფო სამშენებლო კომპანია	9,200		
შპს რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი	230		
სულ	**82,868**	**88,504**	**110,160**

კომპანიები შპს საქართველოს მელიორაცია, სს აკურა, შპს საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია, საქართველოს აეროპორტების გაერთიანება, შპს ბლექ სი არენა ჯორჯია, შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია დამოკიდებული არიან სახელმწიფო ბიუჯეტიდან რეგულარულ ფინანსურ დახმარებაზე. ბიუჯეტიდან სუბსიდიის სახით მიღებული თანხები მიიმართება როგორც ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაზე ასევე საოპერაციო ხარჯების დასაფარად.

ადგილობრივი მთავრობების წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოები, რომლებიც საქმიანობას ახორციელებენ ჯანმრთელობის დაცვის კომუნალური სერვისების, მშენებლობის და სხვა სექტორებში თავისი საქმიანობის განხორციელების მიზნით მუდმივად საჭიროებენ ადგილობრივი ბიუჯეტიდან მხარდაჭერას. 2020-2021 წელს მუნიციპალიტეტების მიერ გამოყოფილ იქნა 109 და 165 მლნ ლარი, შესაბამისად. მათ შორის თბილისის მუნიციპალიტეტის საწარმოებზე მოდის მთლიანი მოცულობის 73-76%.

ცხრილი 6. 2019-2021 წწ სუბსიდია თბილისის ბიუჯეტიდან (ათასი ლარი)

საწარმოს დასახელება	**2019**	**2020**	**2021, 8 თვე**
შპს ქ.თბილისის კარდიოლოგიური საავადმყოფო			5
შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანია	5,605	40,106	64,283
შპს წყალთა სახეობის ცენტრი-ტონუსი		94	164
შპს თბილსერვის ჯგუფი	53,771	32,480	49,860
შპს ეკოსერვის ჯგუფი	694	6,500	11,500
სულ	**60,070**	**79,179**	**125,813**

ცხრილი 7 სახელმწიფო საწარმოებზე გადასესხებული თანხები (მლნ) (2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით)

კომპანია	ვალუტა	შეთანხმებული თანხა	ათვისებული თანხა	ძირითადი ვალის გადახდილი ნაწილი	დარიცხული პროცენტის გადახდილი ნაწილი	ვალის ნაშთი	ვალის ნაშთი ლარში
სს სახელმწიფო ელექტროსისტემა	EUR	387.5	103.0	44.7	14.5	49.4	198.6
	SDR	31.0	31.0	0.0	1.5	31.0	146.2
	USD	95.2	86.0	31.6	25.0	49.9	163.3
შპს ენგურჰესი	EUR	79.0	58.1	1.3	1.8	56.8	228.6
	GEL	37.0	37.0	1.9	4.4	35.1	35.1
შპს ენერგოტრანსი	EUR	218.5	218.5	51.9	23.0	166.6	670.3
შპს საქაერონავიგაცია	EUR	4.7	4.7	2.1	0.5	2.6	10.3
შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია	EUR	186.6	78.2	14.6	4.9	63.6	255.8
	SDR	161.8	136.1	22.3	0.0	113.8	536.9
	USD	245.0	133.1	0.0	0.0	133.1	436.0
შპს საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია	EUR	55.4	4.6	3.5	1.2	1.1	4.6
სულ							**2,685.8**

სახელმწიფო საწარმოების მიერ გადახდილი დივიდენდები

სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების წმინდა მოგების განაწილებისა და გამოყენების შესახებ წინადადებების განხილვისა და გადაწყვეტილების მიმღები კომისიის შემადგენლობისა და საქმიანობის წესის განსაზღვრის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2011 წლის 12 აპრილის №174 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შექმნილი სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების წმინდა მოგების განაწილებისა და გამოყენების შესახებ წინადადებების განხილვისა და გადაწყვეტილების მიმღები კომისია განიხილავს სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების წმინდა მოგების განაწილების საკითხს. აღნიშნულის თაობაზე წინადადებებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წინასწარ უგზავნის შესაბამისი უწყება, მის მართვაში მოქმედ საწარმოსთან შეთანხმებით. ხოლო წარმოდგენილი წინადადებების განხილვა ხდება ზემოთ აღნიშნული კომისიის სხდომაზე. კომისია წარმოდგენილი, დასაბუთებული წინადადების შესაბამისად იღებს გადაწყვეტილებას დივიდენდი მთლიანად/ნაწილობრივ მიმართოს ბიუჯეტში, თუ დაუტოვოს კომპანიას განვითარებისათვის.

ამასთან, სახელმწიფო საწარმოების ნაწილს საპარტნიორო ფონდი განკარგავს და მათგან მიღებულ დივიდენდებს ინვესტირებისთვის და სესხის მომსახურებისთვის დამოუკიდებლად იყენებს.

2020-21 წწ ჩატარდა სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედ საწარმოთა წმინდა მოგების განაწილებისა და გამოყენების შესახებ წინადადებების განხილვისა და გადაწყვეტილების მიმღები კომისიის 3 სხდომა, კერძოდ:

2020 წლის 21 აგვისტოს ჩატარებულ სხდომაზე განხილულ იქნა სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ წარმოდგენილი წინადადება სს „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის“ 2017-2018 წლების მოგების (1 307,8 ათასი ლარი) საწარმოს განკარგულებაში რეინვესტირებისთვის დატოვების თაობაზე. კომისიის მიერ მხედველობაში მიღებულ იქნა რომ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 ივლისის №1341 განკარგულება სს „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული

ცენტრს“ სამედიცინო საქმიანობის შეუზღუდავად და უსაფრთხოდ განხორციელებისთვის პროფილური უძრავი ქონების შეძენის ან აშენების უზრუნველყოფის მიზნით, კაპიტალური ტრანსფერის სახით ფინანსური რესურსის გამოყოფის თაობაზე და მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, კომპანიის 2017-2018 წლების წმინდა მოგებიდან 300 ათასი ლარის საწარმოს განკარგულებაში დატოვება, რეინვესტირებისთვის, მიმდინარე ეტაპზე აუცილებელი სამკურნალო ტექნიკური შესაძლებლობების განვითარებისთვის. ხოლო საწარმოს 2017-2018 წლების წმინდა მოგების დარჩენილ ნაწილზე კომისია იმსჯელებს დამატებით.

2020 წლის 29 ოქტომბერს ჩატარებულ სხდომაზე განიხილა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ წარმოდგენილი წინადადება სს სახელმწიფო ელექტროსისტემის 2018-2019 წწ მოგების განაწილების თაობაზე (2018-2019 წწ კომპანიის მოგებამ შეადგინა 77 175 ათას ლარი, აქედან 2018 წელს წმინდა მოგებამ შეადგინა 30 432 ათასი ლარი, ხოლო 2019 წელს - 46 743 ათასი ლარი). კომისიის გადაწყვეტილებით, კომპანიის 2018 და 2019 წლების წმინდა მოგებიდან 8 175 ათასი ლარი დარჩა საწარმოს განკარგულებაში, რეინვესტირებისთვის, ხოლო 69 000 ათასი ლარი მიიმართა სახელმწიფო ბიუჯეტში (58 650.0 ათასი ლარი-დივიდენდის სახით, ხოლო 10 350.0 ათასი ლარი-მოგების გადასახადის სახით).

სესხები სახელმწიფო საწარმოებს შორის

სახელმწიფო საწარმოებს შორის გადასესხება და მათ მიერ ერთობლივი სესხის აღება სხვადასხვა პროექტების დაფინანსებისათვის ქმნის მთავრობაზე რისკის გადატანის საშიშროებას. საქართველოში ასეთი სესხების პრაქტიკა არ არის გავრცელებული და 2020 წელს ასეთი ტიპის სესხება სახელმწიფო კომპანიებს შორის არ მომხდარა.

არაფინანსური ტრანსფერები

ფინანსური ტრანსფერების გარდა, საქართველოს მთავრობასა და სახელმწიფო საწარმოებს შორის ადგილი აქვს აქტივების ტრანსფერებსაც, მათ შორის გაზი, მიწა, დანადგარები, ინვენტარი და სხვა ფიქსირებული აქტივები. ასეთი ტრანსფერები ძირითადად იმ მიზნით ხორციელდება, რომ სახელმწიფო საწარმოები გახდნენ აქტივების მფლობელები და მათზე დაკისრებული ფუნქციები და პროექტები, სრულად და უკეთესად განახორციელონ. ეს არ იწვევს ფისკალურ რისკებს.

2020 წლისთვის საწარმოებისგან მოწოდებული ინფორმაციაზე დაყრდნობითი არსებითი არაფინანსური ტრანსფერი არ იკვეთება.

მეთოდოლოგია კვაზი-ფისკალური აქტივობების იდენტიფიცირების, მათი ანალიზისა და დაფინანსების მექანიზმების საუკეთესო პრაქტიკების დანერგვის შესახებ

რა არის კვაზი-ფისკალური აქტივობა?

კვაზი-ფისკალურია აქტივობა, რომელსაც სახელმწიფო საწარმო ახორციელებს ცხადად, მთავრობის დავალებით ან ფარულად და ამ საქონლის/მომსახურების მიწოდებისთვის გადახდილი თანხა, საბაზრო

ფასზე ან არსებულ პრაქტიკაზე დაბალია. უფრო რომ განვაზოგადოთ, კვაზი-ფისკალურია ნებისმიერი აქტივობა, რომელსაც მოგებაზე ორიენტირებული/კომერციული საწარმო არ განახორციელებდა. ასეთი აქტივობები ძირითადად ემსახურება სოციალურ და პოლიტიკურ მიზნებს.

კვაზი-ფისკალური აქტივობის მაგალითია მოსახლეობისთვის წყლის მიწოდება საბაზრო ფასზე ან თვითღირებულებაზე დაბალ ფასად, ასევე, სახელმწიფო საწარმოში დასაქმებულთა შეუსაბამოდ დიდი რაოდენობა ან/და სახელფასო ფონდი.

იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო არ ახდენს საწარმოებისთვის ასეთი ტიპის აქტივობების კომპენსირებას ბიუჯეტიდან, სახელმწიფო საწარმოებს თავად უწევთ კვაზი-ფისკალურ აქტივობებთან დაკავშირებული ტვირთის საკუთარ თავზე აღება, რაც აუარესებს მათ ფინანსურ შედეგებს.

კვაზი-ფისკალური აქტივობებიდან მომდინარე ფისკალური რისკების ეფექტიანი მართვისთვის მნიშვნელოვანია სახელმწიფომ შეიმუშაოს პოლიტიკა, რომელიც საწარმოთათვის არაკომპენსირებულ კვაზი-ფისკალურ აქტივობებთან დაკავშირებულ ტვირთს შეამსუბუქებს ან ნულამდე დაიყვანს. ასევე, თავიდან უნდა იქნას აცილებული სახელმწიფო საწარმოთათვის ასეთი ტვირთის შემდგომი წარმოშობაც. ამასთან, აღნიშნულის განხორციელება მიზანშეწონილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს დონეზე აღმოფხვრილია ნებისმიერი სხვა სახის არაეფექტურობა და პრაქტიკულად კვაზი-ფისკალური აქტივობის დაფინანსებისთვის გამოყოფილი თანხა შემდგომი საანგარიშო წლისთვის სახელმწიფო ბიუჯეტს უბრუნდება საწარმოს მიერ გადახდილი დივიდენდის სახით.

კვაზი-ფისკალური აქტივობების ფორმები:

კვაზი-ფისკალური აქტივობა შესაძლოა იყოს **ცხადი** (კომპანიის წესდებით, ან მთავრობის/სამინისტროს/უწყების სამართლებრივი აქტით განსაზღვრული) და **ფარული** (კომპანია ახორციელებს კვაზი-ფისკალურ აქტივობებს ამ ფუნქციის სამართლებრივი აქტით დაკისრების გარეშე). ფარული კვაზი-ფისკალური აქტივობის მაგალითია სახელმწიფო საწარმოში დასაქმებულთა საჭიროზე მეტი რაოდენობა სოციალური ან/და პოლიტიკური მიზნებისთვის.

ფარული კვაზი-ფისკალური აქტივობა უნდა იყოს აკრძალული. დაუშვებელია სახელმწიფო საწარმოს მიერ არაკომერციული მომსახურებების (NCSO-ები) განხორციელება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ისინი არიან ცხადი და მათი ღირებულება სრულადაა კომპენსირებული სახელმწიფო ბიუჯეტიდან;

გარდა ამისა არსებობს შემდეგი სახის კვაზი-ფისკალური აქტივობები:

არაკომეცრიული მომსახურება (NCSO): კომერციულ ფასზე ნაკლები ტარიფის დაწესება. მაგალითად, ხელოვნურად დაბალი ტარიფის დაწესება კომუნალურ სერვისებზე, როგორიცაა ელექტროენერგია, წყალი;

არაძირითადი ფუნქციების განხორციელება: მთავრობის მიერ დაკისრებული ვალდებულებები, მაგალითად კაპიტალური ხარჯის გაწევა, რომელიც არაა დაკავშირებული კომპანიის ძირითად საქმიანობასთან;

სუბსიდირებული შესყიდვები: საბაზროზე მაღალი ფასის გადახდა, მაგალითად, სოფლის მეურნეობის პროდუქტების შემენა ადგილობრივი ფერმერებისაგან საბაზრო ფასზე მაღალ ფასად, ფერმერების წახალისების მიზნი

მონოპოლიური პოზიციის გამოყენება: მომხმარებლებისაგან კომერციულად არასამართლიანი საფასურის მიღება (იმაზე მეტი ვიდრე ეს გამართებული იქნებოდა კომერციული თვალსაზრისით). დამატებითი შემოსავლების გამოყენება კომპანიის სხვა საქმიანობების ჯვარედინი სუბსიდირების მიზნით. (ერთი საქმიანობის დაფინანსების პრაქტიკა, სხვა საქმიანობიდან მიღებული მოგებით);

სუპერ-დივიდენდები: საწარმოს მიერ იმაზე მეტი დივიდენდის გადახდა, ვიდრე საანგარიშო პერიოდის მოგებით იყო შესაძლებელი. ასეთი გადახდები ხორციელდება ძირითადად საწარმოს აქტივების გაყიდვით (ერთჯერადი ოპერაცია) ან სხვა აკუმულირებული რეზერვებიდან.

ფასის კორექტირება შემოსავლების ზრდის მოკლევადიანი მიზნებისათვის: საქონლისა და მომსახურებისათვის უფრო მაღალი ფასის დაწესება, რათა მოკლევადიან პერიოდში გაიზარდოს სახელმწიფო საწარმოს მოგება და დივიდენდები, იმ შემთხვევაშიც კი თუ ეს შეამცირებს საწარმოს წილს ბაზარზე და მის მოგებას საშუალოვადიან პერიოდში.

გარდა ზემოაღნიშნულისა, გამოიყოფა სახელმწიფო საწარმოს კომერციული და არაკომერციული მომსახურებები.

სახელმწიფო საწარმოს კომერციული მომსახურებები (CSO) წარმოადგენენ ისეთ მომსახურებებს, რომლებიც სრულად ანაზღაურდება საწარმოს მომხმარებლების მიერ,

სახელმწიფო საწარმოს თითოეული კომერციული ფუნქცია ასახულ უნდა იქნეს კომპანიის კორპორაციული მართვის განაცხადში ან სხვა მსგავსი ტიპის დოკუმენტში, რომელიც წარმოადგენს აქციონერის მიერ სამეთვალყურეო საბჭოსთვის განსაზღვრულ სტრატეგიულ მიზნებს, მიზნობრივ ფინანსურ და არაფინანსურ კოეფიციენტებსა და სხვა KPI-ებს, რისკების ლიმიტებს და ა.შ.

კორპორაციის კომერციული ფუნქციები უნდა იყოს გასაჯაროვებული სახელმწიფო საწარმოს წლიურ რეპორტში. გასაჯაროვებული ინფორმაცია უნდა შეიცავდეს: (1) თითოეული კომერციული ფუნქციის აღწერას; (2) თითოეული მათგანიდან გენერირებულ შემოსავალს/მოგებას; და (3) აღწერასა და ანგარიშს, თუ როგორ ხდება ღირებულების ანაზღაურება მომხმარებლებისაგან.

კომერციული ფუნქციების რეზიუმეები ასევე, უნდა იყოს გასაჯაროვებული ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტში, სადაც შეფასდება ამ ფუნქციების კვაზი-ფისკალურ აქტივობებად გარდაქმნის რისკები.

არაკომერციული მომსახურებები (NCSO)

სახელმწიფო საწარმომ ყველა არაკომერციული მომსახურება უნდა ასახოს, როგორც შესაბამისი ბიუჯეტიდან ტრანსფერი სრული ღირებულებით, მათ შორის შესაბამისი უკუგებით. თავის მხრივ, აღნიშნული თანხა საქართველოს საბიუჯეტო კანონმდებლობის შესაბამისად უნდა გაიწეროს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში.

ყველა არაკომერციული მომსახურება შესაბამისი საზომებით უნდა აისახოს კომპანიების კორპორაციული მართვის განაცხადში (SCI).

არაკომერციული აქტივობების შესაბამისობა SCI-სთან უნდა გასაჯაროვდეს სახელმწიფო საწარმოთა ანგარიშში ყოველწლიურად. ანგარიში სულ მცირე უნდა ფარავდეს:

- თითოეული არაკომერციული მომსახურების აღწერას;
- მასზე გაწეულ ფაქტიურ ხარჯს ბიუჯეტირებულთან შედარებით;
- არაფინანსური შედეგების შედარებას დაგეგმილ შედეგებთან.

არაკომერციულ მომსახურებებზე ინფორმაცია ასევე უნდა გასაჯაროვდეს ფისკალური რისკების დოკუმენტში.

ცნობისთვის, ერთი მხრივ საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების 203-206 მუხლების მიხედვით, მხარეები აცნობიერებენ თავისუფალი და შეუზღუდავი კონკურენციის მნიშვნელობას თავიანთ სავაჭრო ურთიერთობებში და აღიარებენ, რომ სახელმწიფოს ქმედებები, რომლებიც აზიანებენ კონკურენტულ ნეიტრალურობას (მაგ. სუბსიდირება), აზიანებენ მთლიანად ბაზარს, რაც ამცირებს ვაჭრობის ლიბერალიზაციიდან მომდინარე სარგებელს.

არსებული პრაქტიკები

კვაზი-ფისკალური აქტივობების იდენტიფიცირება, ანალიზი და გამოქვეყნება საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2017 წლიდან დაიწყო. უკანასკნელი გამოცდილებით 6 საწარმოშია იდენტიფიცირებული ცხადი კვაზი-ფისკალური აქტივობები. თუმცა, ფარული კვაზი-ფისკალური აქტივობები გაცილებით დიდი მოცულობის უნდა იყოს.

ფარული-კვაზი ფისკალურის მაგალითია ჭარბი დასაქმება.

კვაზი-ფისკალური აქტივობების გავლენა სახელმწიფო საწარმოთა ფინანსურ შედეგებზე

შპს ენგურჰესი	2019		2020	
	კვაზი ფისკალური აქტივობის გარეშე	კვაზი ფისკალური აქტივობა	კვაზი ფისკალური აქტივობის გარეშე	კვაზი ფისკალური აქტივობა
სულ შემოსავალი	43.9		27.1	
საოპერაციო შემოსავალი	42.9		26.9	
- კომპანიის სესხი არ წარმოადგენს სახელმწიფო ვალის ნაწილს.

ბალანსი

მლნ ლარებში

შპს მარაბდა-კარწახის რკინიგზა	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020
აქტივები	**1,010**	**1,170**	**1,285**	**1,393**	**1,461**	**1,535**	**1,679**
მიმდინარე აქტივები	344	310	261	281	258	248	245
გრძელვადიანი აქტივები	666	860	1,025	1,112	1,203	1,288	1,434
კაპიტალი	**-82**	**-414**	**-616**	**-565**	**-664**	**-847**	**-1,229**
საწესდებო კაპიტალი	53	53	53	53	57	57	57
კაპიტალში შენატანები	0	0	30	30	30	0	0
გაუნაწილებელი მოგება	0	0	0	0	0	0	0
დაუფარავი ზარალი	0	0	-699	-648	-751	-933	-1,316
სხვა დანარჩენი კაპიტალი	-135	-467	0	0	0	30	30
ვალდებულებები	**1,092**	**1,584**	**1,902**	**1,959**	**2,126**	**2,382**	**2,908**
მიმდინარე ვალდებულებები	9	23	10	14	19	23	28
მ.შ. მიმდინარე სესხები	0	0	0	0	0	0	0
გრძელვადიანი ვალდებულებები	1,083	1,561	1,891	1,945	2,107	2,359	2,881
მ.შ. გრძელვადიანი სესხები	0	0	0	0	2,107	2,359	2,881
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	**1,010**	**1,170**	**1,285**	**1,393**	**1,461**	**1,535**	**1,679**

მოგება-ზარალის ანგარიშგება

მლნ ლარებში

შპს მარაბდა-კარწახის რკინიგზა	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020
შემოსავალი	**9**	**0**	**43**	**178**	**134**	**72**	**202**
საოპერაციო შემოსავალი	0	0	0	0	0	0	0
არასაოპერაციო შემოსავალი	9	0	43	178	134	72	202
ხარჯი	**97**	**332**	**248**	**164**	**237**	**254**	**585**
საოპერაციო ხარჯი	13	16	18	20	20	22	22
ცვეთა/ამორტიზაცია	0	0	2	2	2	2	2
არასაოპერაციო ხარჯი	84	317	230	144	217	233	563
მ.შ.საპროცენტო ხარჯი	5	6	8	8	11	9	15
მ.შ. კურსთაშორის სხვაობით მიღ. ზარალი	0	0	223	137	202	224	547
სხვა დანარჩენი არასაოპერაციო ხარჯი	79	311	0	0	4	0	0
მოგება დაბეგვრამდე	**-88**	**-332**	**-205**	**14**	**-103**	**-183**	**-383**
მოგების გადასახადი	0	0	-3	0	0	0	0
წმინდა მოგება	**-88**	**-332**	**-202**	**14**	**-103**	**-183**	**-383**

ფინანსური კოეფიციენტები

შპს მარაბდა-კარწახის რკინიგზა	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020
რენტაბელობა							
შემოსავლების ცვლილება	-	-100%	178031%	317%	-24%	-46%	181%
ხარჯების ცვლილება	-	243%	-25%	-34%	44%	7%	130%
Operating Margin	-	-65090%	-	-	-	-	-
ROA	-9%	-28%	-16%	1%	-7%	-12%	-23%
ROE	108%	80%	33%	-2%	15%	22%	31%
Cost Recovery	68%	0%	242%	899%	660%	334%	910%
ლიკვიდურობა							
Current Ratio	3942%	1353%	2579%	2071%	1365%	1077%	882%
გადახდისუნარიანობა							
Debt to Equity	-1333%	-382%	-309%	-346%	-320%	-281%	-237%

Interest Coverage	-1738%	-5341%	-2626%	173%	-935%	-1973%	-2514%

წელი	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020
მომგებიანობა							
Return on Assets	მაღალ რისკიანი	მაღალ რისკიანი	მაღალ რისკიანი	საშუალო რისკიანი	მაღალ რისკიანი	მაღალ რისკიანი	მაღალ რისკიანი
Return on Equity	ძალიან მაღალ რისკიანი	ძალიან მაღალ რისკიანი	ძალიან მაღალ რისკიანი	ძალიან მაღალ რისკიანი	ძალიან მაღალ რისკიანი	ძალიან მაღალ რისკიანი	ძალიან მაღალ რისკიანი
Cost Recovery	ძალიან მაღალ რისკიანი	ძალიან მაღალ რისკიანი	ძალიან დაბალ რისკიანი	ძალიან დაბალ რისკიანი	ძალიან დაბალ რისკიანი	ძალიან დაბალ რისკიანი	ძალიან დაბალ რისკიანი
ლიკვიდურობა							
Current Ratio	ძალიან დაბალ რისკიანი	ძალიან დაბალ რისკიანი	ძალიან დაბალ რისკიანი	ძალიან დაბალ რისკიანი	ძალიან დაბალ რისკიანი	ძალიან დაბალ რისკიანი	ძალიან დაბალ რისკიანი
გადახდისუნარიანობა							
Debt to Equity	ძალიან მაღალ რისკიანი	ძალიან მაღალ რისკიანი	ძალიან მაღალ რისკიანი	ძალიან მაღალ რისკიანი	ძალიან მაღალ რისკიანი	ძალიან მაღალ რისკიანი	ძალიან მაღალ რისკიანი
Interest Coverage	ძალიან მაღალ რისკიანი	ძალიან მაღალ რისკიანი	ძალიან მაღალ რისკიანი	დაბალ რისკიანი	ძალიან მაღალ რისკიანი	ძალიან მაღალ რისკიანი	ძალიან მაღალ რისკიანი
რისკის საერთო რეიტინგი	საშუალო რისკიანი	ძალიან მაღალ რისკიანი	ძალიან მაღალ რისკიანი	ძალიან მაღალ რისკიანი	ძალიან მაღალ რისკიანი	ძალიან მაღალ რისკიანი	ძალიან მაღალ რისკიანი

სახელმწიფო საწარმოთა სენსიტიურობის ანალიზი

შესავალი

ამ თავში მოცემულია 6 ძირითადი სახელმწიფო საწარმოს ფინანსური რისკების ანალიზი. თავი მოიცავს: ანალიზის მიზანს, ანალიზში გამოყენებულ ძირითად დაშვებებს და მოდელირებულ მაკრო-ეკონომიკურ სცენარებს, ასევე რისკების ანალიზის ძირითად მიგნებებს და დასკვნებს.
ანალიზში განხილულ ექვს საწარმოს წარმოადგენს:

1. ენგურჰესი;
2. საქართველოს რკინიგზა;
3. ნავთობისა და გაზის კორპორაცია;
4. საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა;
5. მარაბდა-კარწახის რკინიგზა;
6. საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია.

ეს სახელმწიფო საწარმოები შეირჩა მათი ფინანსური მნიშვნელობიდან გამომდინარე, ამ კომპანიების 2020 წლის ჯამური მთლიანი აქტივები ფისკალური რისკების ანალიზში განხილულ სახელმწიფო საწარმოთა ჯამური მთლიანი აქტივების 60%-ს შეადგენს.

სენსიტიურობის ანალიზის მიზნები

სენსიტიურობის ანალიზის მიზანია შეაფასოს საქართველოს მთავრობის წინაშე მდგარი ფისკალური რისკების ფინანსური შედეგები „ზედა დონეზე" შემდგომი ხუთი წლისთვის, რომლებიც მომდინარეობს რამდენიმე მსხვილი სახელმწიფო საწარმოდან. ძირითადი ამოცანა, რომელსაც ანალიზი პასუხს სცემს არის: რა ფინანსური გავლენა ექნება მწვავე ეკონომიკურ შოკებს სახელმწიფო საწარმოებზე და მათ მფლობელზე - სახელმწიფოზე. მოდელირებული სცენარები მოიცავს მშპ-ს ზრდის, გაცვლითი კურსისა და საპროცენტო განაკვეთების შოკებს.

ანალიზი განხორციელებულია ზედა-დონეზე და რისკების რაოდენობრივი გამოსახულების დანიშნულებაა იყოს მიმანიშნებელი და არა ზუსტი, რადგან ანალიზი დაფუძნებულია ფინანსური მაჩვენებლების და გარე ფაქტორების პროგნოზებზე, ასევე ამ გარე ფაქტორების ფინანსურ მაჩვენებლებზე გავლენის დაშვებებზე და გარდაუვლად არსებობს განუსაზღვრელობა პროგნოზებთან და დაშვებებთან დაკავშირებით.

მოდელი მოიცავს სამწლიან ისტორიულ (2018-2020) და ხუთწლიან პრო-ფორმა (2021-2025) ფინანსურ პროგნოზებს. ფინანსური უწყისები მოიცავს საანგარიშო პერიოდისთვის ზედა დონის მოგება-ზარალის, ბალანსისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებებიდან დაანგარიშებულია ძირითადი ფინანსური კოეფიციენტები.

ეკონომიკური სცენარები

მოდელი განიხილავს საქართველოს მაკროეკონომიკური პერსპექტივის 5 სცენარს.

- სცენარი 1 - საბაზისო სცენარი, ეყრდნობა თითოეული საწარმოს ფინანსურ პროგნოზებს მიმდინარე და მომდევნო წლებისთვის (2021-2025);
- სცენარი 2 - უშვებს მშპ-ს მწვავე შოკს, რაც შეადგენს 2022 და 2023 წლებისთვის მშპ-ს ზრდას მხოლოდ 2.3%-ით და 1.8%-ით შესაბამისად (საბაზისო სცენართან შედარებით, რომელიც 2022 წლისთვის ითვალისწინებს 6%-იან, 2023 წლისთვის 5.5%-იან ზრდას), სხვა დაშვებების უცვლელად დატოვების პირობებში;
- სცენარი 3 - უშვებს გაცვლითი კურსის მწვავე შოკს ლარის სხვა ვალუტებთან დაახლოებით 30%-ით გაუფასურებით 2022 წლისთვის და შემდგომ წლებში აღნიშნული მაჩვენებლის შენარჩუნებით, სხვა დაშვებების უცვლელად დატოვების პირობებში;
- სცენარი 4 - უშვებს საპროცენტო განაკვეთის შოკს, 2022-2025 წლებში 0.5 სტანდარტული გადახრით, სხვა დაშვებების უცვლელად დატოვების პირობებში;
- სცენარი 5 - უშვებს სამივე მაკროენომიკური ცვლადის შოკს ერთდროულად (მშპ, გაცვლითი კურსი, საპროცენტო განაკვეთი), შოკების მაგნიტუდისა და ხანგრძლივობის 2-4 სცენარებში აღწერილის შესაბამისად;

სცენარებში დაშვებები ეყრდნობა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ამ ანალიზის მიზნებისთვის მომზადებულ სცენარებს

აუცილებელია ხაზი გაესვას, რომ 2-5 სცენარებში მოცემული დაშვებები არ წარმოადგენს სამინისტროს ხედვას საქართველოს ეკონომიკის განვითარების პროგნოზების შესახებ მომავალ წლებში, ნაცვლად ამისა, სცენარები იძლევა საშუალებას (საქართველოს უახლეს წარსულზე დაყრდნობით), გამოისახოს ის შედეგები რაც შეიძლება დადგეს მწვავე შოკების ეკონომიკაზე ზეგავლენის შედეგად. სცენარების მიზანია გაზომოს აღნიშნული მწვავე შოკების რეალიზების შემთხვევაში გავლენა სახელმწიფო საწარმოებზე და მათ ფაქტიურ მფლობელზე - სახელმწიფოზე.

მომზადებული საბაზისო სცენარის ეკონომიკური დაშვებების რიცხობრივი მაჩვენებლები პროგნოზების გათვალისწინებით მოცემულია ცხრილში 1.

ცხრილი 1. საბაზისო სცენარის დაშვებები: 5 წლის პროგნოზები

საბაზისო სცენარის დაშვებები	**2021**	**2022**	**2023**	**2024**	**2025**
მშპ-ს რეალური ზრდა	9.5%	6.0%	5.5%	5.2%	5.2%
გაცვლითი კურსი ლარი/დოლარი	3.12	3.12	3.12	3.12	3.12
საპროცენტო განაკვეთები					
საპროცენტო განაკვეთი ლარში აღებულ სესხებზე	8.8%	9.1%	8.3%	8.3%	8.3%
საპროცენტო განაკვეთი უცხოურ ვალუტაში აღებულ სესხებზე	1.5%	1.0%	1.0%	1.0%	1.0%

საბაზისო სცენარში საქართველოს ეკონომიკის ზრდის პროგნოზი მცირდება 2022 წლისთვის და შემდეგი 2 წლისთვისაც კლების ტენდენციით ხასიათდება, გაცვლითი კურსი უცვლელია და საპროცენტო განაკვეთები უმნიშვნელოდ ვარირებს და მეტ-ნაკლებად სტაბილურად რჩება ერთ დონეზე.

ეკონომიკური დაშვებები სტრეს სცენარებისთვის (სცენარები 2-5) მოცემულია ქვემოთ, ცხრილში 2:

ცხრილი 2. ალტერნატიული სცენარების მაკროეკონომიკური დაშვებები

DSA დაშვებები	**2021**	**2022**	**2023**	**2024**	**2025**
სცენარი 2: მშპ-ს რეალური ზრდის შოკი	9.5%	2.3%	1.8%	5.2%	5.2%
სცენარი 3: გაცვლის კურსი ლარი/დოლარი შოკი	3.12	4.45	4.45	4.45	4.45
სცენარი 4: საპროცენტო განაკვეთების შოკი					
საპროცენტო განაკვეთები ლარში აღებულ სესხებზე	8.8%	9.5%	8.7%	8.7%	8.7%
საპროცენტო განაკვეთები უცხოურ ვალუტაში აღებულ სესხებზე	1.5%	1.2%	1.2%	1.2%	1.2%
სცენარი 5: კომბინირებული შოკი - მშპ-ს, გაცვლითი კურსის, საპროცენტო განაკვეთების					

ფინანსური რისკების ანალიზი ეყრდნობა საშუალო-ვადიან (5 წლიან) პროგნოზების პერიოდს და იყენებს წლიურ მონაცემებს. მოცემული ანალიზის დანიშნულება არ არის გამოავლინოს ყველა ფინანსური რისკი, რომლის წინაშეც დგანან ანალიზში გამოყენებული საწარმოები. მაგალითად, ანალიზი არ მოიცავს ქვემოთ მოცემულ რისკებს, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ან ყველა საწარმო შეიძლება იდგეს ამ რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკები, რომლებიც წარმოიშობა საწარმოს მომხმარებლების მიერ მომსახურების საფასურის გადაუხდელობით, ან გვიანი გადახდებით;
- სექტორისთვის დამახასიათებელი რისკები, როგორიცაა ბუნებრივი აირისა და ელექტროენერგიის სამომხმარებლო ფასების და მოცულობების ცვლილების ზემოქმედება ენგურჰესისთვის, ნავთობისა და გაზის კორპორაციისთვის და საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისთვის;
- ბაზრის წილის რისკები, როგორიცაა კონკურენტების მხრიდან ბაზრის წილის გაზრდა, მაგალითად, ტრანსპორტირების ალტერნატიული ფორმების გაჩენამ შესაძლოა შეამციროს საქართველოს რკინიგზისა და მარაბდა-კარწახის ტვირთის ბრუნვის მოცულობები;
- მშენებლობასა და პროექტების მენეჯმენტთან დაკავშირებული რისკები, რომელიც შესაძლოა იყოს ძირითადი ფინანსური რისკი ისეთი სახელმწიფო საწარმოებისათვის, როგორიცაა საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია და მარაბდა-კარწახის რკინიგზა.

როგორც ნებისმიერი მოდელი, ეს მოდელიც არის იმდენად ზუსტი, რამდენადაც მოდელში გამოყენებული ძირითადი საპროგნოზო მონაცემები და დაშვებები. საწარმოების მიერ მოწოდებული ინფორმაციის აუდიტი არ განხორციელებულა.

ანალიზის შედეგები

საბაზისო სცენარის პროგნოზები

სცენარების ანალიზის შედეგების წარდგენამდე, ქვემოთ მოცემულ ცხრილში 3 მოცემულია საბაზისო სცენარის ნაერთი ფინანსური მაჩვენებლები ექვსივე საწარმოსთვის. როგორც ცხრილი მიუთითებს:

- 2021 წლის გადასახადების შემდეგ წმინდა მოგების საპროგნოზო მოცულობა შეადგენს 192 მილიონ ლარს. საპროგნოზო წმინდა მოგება მცირდება 2022 წლისთვის, ხოლო შემდგომ წლებში ხასიათდება ზრდის ტენდენციით;
- მოსალოდნელი კაპიტალის უკუგება (ROE) 2021 წლისთვის შეადგენს 47%-ს. რაც შეეხება აქტივების უკუგებას (ROA), აღნიშნული მაჩვენებელი ვარირებს 3%-დან 6%-მდე შუალედში 2021-2023 წლებში.
- ვალდებულებების აქტივების ჯამურ მოცულობაზე შეფარდების კოეფიციენტი სახელმწიფო საწარმოების მოცემული ჯგუფისთვის, მაღალია და შეადგენს 95%-ს 2021 წლისთვის, რაც შეეხება ამ მონაცემის ჩაშლას, შესამჩნევი ვარიაციაა საწარმოებს შორის, მაგალითად ნავთობისა და გაზის კორპორაციისთვის შეადგენს დაახლოებით 46%-ს, ენგურჰესისთვის 70%-ს, საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისა და მარაბდა-კარწახის რკინიგზისთვის კი ეს მაჩვენებელი 100%-ზე მაღალია. როგორც წესი, ვალის აქტივებთან თანაფარდობის კოეფიციენტის მაღალი მაჩვენებლის მქონე საწარმოებს მწირი შესაძლებლობები აქვთ გაუმკლავდნენ მწვავე ეკონომიკურ შოკებს.

ცხრილი 3. ძირითადი ფინანსური ინდიკატორები – საბაზისო სცენარი

საბაზისო სცენარი	2021	2022	2023	2024	2025
წმინდა მოგება გადასახადების შემდეგ (მლნ ლარი)	192	56	241	276	316
წმინდა ღირებულება (მლნ ლარი)	411	769	1,377	2,107	2,825

ამონაგები კაპიტალზე (ROE) (%)	47%	7%	18%	13%	11%
ამონაგები აქტივებზე (ROA) (%)	3%	5%	6%	6%	6%
ვალის ჯამურ აქტივებზე შეფარდება (D/(D+E)) (%)	95%	90%	84%	79%	74%
პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი	7.1	1.2	2.0	2.0	2.1
მიმდინარე კოეფიციენტი (CR)	2.0	1.0	0.8	0.9	1.1
სწრაფი კოეფიციენტი (QR)	1.8	0.9	0.6	0.7	0.9

მოცემული ექვსი საწარმოს საბაზისო სცენარის ფინანსურ პროგნოზებზე სხვადასხვა ეკონომიკური შოკების გავლენა აღწერილია ქვემოთ. მოცემულ მსჯელობაში აქცენტი კეთდება ეკონომიკური შოკების სახელმწიფო საწარმოების 3 ძირითად ფინანსურ მაჩვენებელზე/კოეფიციენტზე გავლენაზე:

- გადასახადების შემდეგ წმინდა მოგების ნაერთი მაჩვენებელი;
- სახელმწიფო საწარმოების ნაერთი წმინდა ღირებულება; და
- საწარმოთა მოცემული ჯგუფის ვალის ჯამურ აქტივებთან თანაფარდობის კოეფიციენტი.

დაბალი ზრდის სცენარი

დაბალი ეკონომიკური ზრდა ითვალისწინებს მშპ-ს ზრდას 2.3% 2022 წელს, 1.8% 2023 წლისთვის, ხოლო 2024-2025 წლებისთვის შეადგენს 5.2%-ს, საბაზისო სცენარის სხვა დაშვებები რჩება უცვლელი.

დაბალი ეკონომიკის ზრდის გავლენები ზემოთ აღწერილ საწარმოთა ნაერთ 3 ძირითად ფინანსურ მაჩვენებელზე მოცემულია ქვემოთ გრაფიკი 1-3-ში. გავლენა არსებითია, თუმცა, არა იმდენად დიდი, როგორიც გაცვლითი კურსის შოკის გავლენა, რომელიც აღწერილია შემდეგ სცენარში.

გრაფიკი 1. საწარმოთა წმინდა მოგების კლება დაბალი ეკონომიკური ზრდის სცენარისთვის

მოცემულ სცენარში დაბალი ეკონომიკური ზრდა ამცირებს საწარმოთა დაგეგმილ წმინდა მოგებას გადასახადების შემდეგ დაახლოებით 38 და 43 მილიონი ლარის ოდენობით 2022 და 2023 წლებისთვის.



გრაფიკი 2. სახელმწიფო საწარმოთა წმინდა ღირებულების შემცირება დაბალი ეკონომიკური ზრდის სცენარის პირობებში

დაბალი ეკონომიკური ზრდის პირობებში სახელმწიფო საწარმოთა წმინდა ღირებულება საბაზისო სცენართან შედარებით 2022 წლისთვის მცირდება დაახლოებით 25 მილიონი ლარით. წმინდა ღირებულებით გამოწვეული დანაკარგი იზრდება 2023 წელს და ნარჩუნდება მომდევნო წლებში.



გრაფიკი 3. სახელმწიფო საწარმოთა ვალის ჯამურ აქტივებთან თანაფარდობა დაბალი ეკონომიკური ზრდის პირობებში

დაბალი ეკონომიკური ზრდის პირობებში ვალის ჯამურ აქტივებთან თანაფარდობის კოეფიციენტი მცირედით იზრდება მომდევნო წლებში კლების ტენდენციით.



გაცვლითი კურისის შოკის სცენარი

გაცვლითი კურსის შოკის სცენარში ლარის გაუფასურება სხვა ვალუტების მიმართ 2022 წლისთვის შეადგენს დაახლოებით 30%-ს და შემდგომ წლებში შენარჩუნებულია 2022 წლის მაჩვენებელი.

გაცვლითი კურსის შოკის გავლენა საწარმოთა ფინანსურ შედეგებზე და პოზიციებზე ძალიან მნიშვნელოვანია, აღნიშნული ასახულია ქვემოთ მოცემულ 4-6 გრაფიკებში. ვინაიდან საწარმოებს 8,150.0 მილიონ ლარამდე ვალი აქვთ და მათი უდიდესი წილი დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში (ძირითადად დოლარსა და ევროში), გაცვლითი კურსის შოკის ნეგატიური ეფექტი ძალიან დიდია. როდესაც ლარი უფასურდება, სესხების მომსახურების ხარჯებიც პროპორციულად იზრდება.

ვინაიდან, რამდენიმე საწარმო შემოსავალს იღებს უცხოურ ვალუტაში (მაგ. ნავთობისა და გაზის კორპორაცია), გაცვლითი კურსის გაუფასურების ნეგატიური ეფექტი გარკვეულწილად შერბილებულია.

გრაფიკი 4. საწარმოთა წმინდა მოგების შემცირება გაცვლითი სავალუტო კურსის შოკის პირობებში

გაცვლითი კურსის შოკს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს საწარმოთა წმინდა მოგებაზე გადასახადების შემდეგ. აღნიშნული შოკის პირობებში მოსალოდნელია, რომ წმინდა მოგება გადასახადების შემდეგ შემცირდება თითქმის 3 060 მილიონ ლარამდე. ასეთი მოცულობის ეფექტი გამოწვეულია სახელმწიფო საწარმოების სესხების უცხოურ ვალუტაში დენომინირებით. სახელმწიფო საწარმოების გადასახადების შემდეგ წმინდა მოგების შემცირებული მოცულობა შეადგენს მშპ-ს 6%-ს.



გრაფიკი 5. საწარმოთა წმინდა ღირებულების შემცირება გაცვლითი კურსის შოკის პირობებში

გაცვლითი კურსის შოკი იწვევს საწარმოთა წმინდა ღირებულების შემცირებას დაახლოებით იგივე მოცულობით, რითაც გადასახადების შემდეგ წმინდა მოგების და შეადგენს დაახლოებით 3 040 მილიონ ლარს.

წმინდა ღირებულების შემცირების უდიდესი ნაწილი მუდმივია. წმინდა ღირებულების მაჩვენებლის ნაწილობრივი გაუმჯობესება მოსალოდნელია.



გრაფიკი 6. სახელმწიფო საწარმოთა ვალის ჯამურ აქტივებთან თანაფარდობის ზრდა გაცვლითი კურსის შოკის პირობებში

სახელმწიფო საწარმოთა ვალის ჯამურ აქტივებთან თანაფარდობის კოეფიციენტი გაცვლითი კურსის შოკის რეალიზების პირობებში იზრდება 35%-ზე მეტად.



საბაზისო სცენარში, ვალის ჯამურ აქტივებთან თანაფარდობის კოეფიციენტის მაჩვენებელი სახელმწიფო საწარმოთათვის შეადგენს 95%-ს 2021 წლისთვის. გაცვლითი კურსის შოკი იწვევს ამ მაჩვენებლის ზრდას 100%-ზე მეტად, რაც მიანიშნებს რომ სახელმწიფო საწარმოების ვალი აჭარბებს მათი აქტივების მოცულობას.

საპროცენტო განაკვეთის შოკის სცენარი

საპროცენტო განაკვეთის სცენარი უშვებს საპროცენტო განაკვეთის შოკს, 2022-2025 წლებში 0.5 სტანდარტული გადახრით, სხვა დაშვებების უცვლელად დატოვების პირობებში.

საპროცენტო განაკვეთის შოკის გავლენა სახელმწიფო საწარმოთა ფინანსურ მაჩვენებლებზე ასახულია ქვემოთ მოცემულ 7-9 გრაფიკებში. უარყოფითი შედეგი ცხადია, თუმცა, არაარსებითია გაცვლითი კურსის შოკით გამოწვეულ შედეგებთან შედარებით. ვინაიდან საწარმოთა უმეტეს ნაწილს სესხების პორტფელის უდიდესი წილი აქვთ ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით, საპროცენტო განაკვეთის ზრდის ნეგატიური ეფექტი გარკვეულწილად შერბილებულია და შესაბამისად საწარმოები დაცულები არიან საპროცენტო განაკვეთების ზრდის რისკისგან.

გრაფიკი 7. საწარმოთა გადასახადების შემდეგ წმინდა მოგების კლება საპროცენტო განაკვეთის შოკის გამო

საპროცენტო განაკვეთის ზრდა ამცირებს საწარმოთა დაგეგმილ წმინდა მოგებას გადასახადების შემდეგ დაახლოებით 6-8 მილიონი ლარის ფარგლებში.



გრაფიკი 8. საწარმოთა წმინდა ღირებულების შემცირება საპროცენტო განაკვეთის შოკის გამო

საპროცენტო განაკვეთის შოკის რეალიზების გამო საწარმოთა ჯამური წმინდა ღირებულება მცირდება დაახლოებით 6-17 მილიონი ლარის ფარგლებში. შოკის შედეგად გამოწვეული დანაკარგი წმინდა ღირებულებაში მუდმივია.



გრაფიკი 9. საწარმოთა ვალის ჯამურ აქტივებთან თანაფარდობის ზრდა საპროცენტო განაკვეთის შოკის სცენარის გათვალისწინებით

საპროცენტო განაკვეთის შოკი იწვევს საწარმოთა ვალის ჯამურ აქტივებთან თანაფარდობის კოეფიციენტის უმნიშვნელო ზრდას 2021 წელს.



კომბინირებული შოკის სცენარი

კომბინირებული შოკის პირობებში, სამივე მაკროეკონომიკური მაჩვენებელი (მშპ, გაცვლითი კურსი, საპროცენტო განაკვეთები) ერთდროულად განიცდის შოკს, თითოეული შოკის დიაპაზონი და ხანგრძლივობა იგივეა, რაც აღწერილია წინა სცენარებში.

კომბინირებული შოკების გავლენა სახელმწიფო საწარმოების ფინანსურ მახასიათებლებზე და პოზიციებზე ძალიან მნიშვნელოვანია, უმეტესწილად, როგორც უკვე აღვწერეთ, გაცვლითი კურსის ცვლილების გამო. შედეგები ასახულია ქვემოთ მოცემულ 10-12 გრაფიკებში.

გრაფიკი 10. გადასახადების შემდეგ წმინდა მოგების კლება კომბინირებული შოკების სცენარისთვის

დაბალი ეკონომიკური ზრდის, ვალუტის გაუფასურების და საპროცენტო განაკვეთის კომბინაციას მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ საწარმოთა წმინდა მოგებაზე. კომბინირებული შოკის პირობებში დაგეგმილი წმინდა მოგება გადასახადების შემდეგ მცირდება დაახლოებით 3 117 მილიონი ლარით. აღნიშნული კლება შეადგენს მშპ-ს 6%-ს.



გრაფიკი 11. საწარმოთა წმინდა ღირებულების შემცირება კომბინირებული შოკის სცენარისთვის

კომბინირებული შოკის სცენარის პირობებში საწარმოთა ჯამური წმინდა ღირებულება მცირდება დაახლოებით 3 097 მილიონი ლარით.
წმინდა ღირებულების დანაკარგის ნაწილობრივი გაჯანსაღება მოსალოდნელია შემდგომ პერიოდში.



გრაფიკი 12. საწარმოთა ვალის ჯამურ აქტივებთან თანაფარდობის ზრდა კომბინირებული შოკის სცენარისთვის

კომბინირებული შოკის სცენარის პირობებში საწარმოთა ვალის ჯამურ აქტივებთან თანაფარდობის მაჩვენებელი იზრდება დაახლოებით 40%-მდე.
საბაზისო სცენარში, საწარმოთა ვალის ჯამურ აქტივებთან თანაფარდობის კოეფიციენტი შეადგენს 95%-ს 2021 წლისთვის. კომბინირებული ეკონომიკური შოკი იწვევს ამ მაჩვენებლის ზრდას 100%-ზე მეტად.



დასკვნები

მიუხედავად იმისა, რომ საწარმოები გეგმავენ მაჩვენებლების გაუმჯობესებას შემდგომი 5 წლისთვის, მათი ვალების ჯამურ აქტივებთან თანაფარდობის (საშუალოდ 84%) მაღალი მაჩვენებელი მიუთითებს, რომ მათზე არსებით ზემოქმედებას ახდენენ ეკონომიკური შოკები. მათი ჯამური ვალის - 8,150 მლნ ლარის უმეტესი წილი დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, რაც ნიშნავს, რომ საწარმოები და მათი მფლობელი (სახელმწიფო) ვალუტის გაუფასურების შოკის მიმართ ძალიან მოწყვლადები არიან.
წარმოდგენილი ანალიზი ხაზს უსვამს, რომ სავალუტო კურსის რისკი ამ მომენტისთვის არის უმნიშვნელოვანესი მაკროეკონომიკური რისკი, რომლის წინაშეც მოცემულ საწარმოთა ჯგუფი დგას. განხილული ექვსივე საწარმო მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული გაცვლითი კურსის ცვლილებაზე. მოცემული ანალიზი მიუთითებს, რომ გაცვლითი კურსის შოკის გავლენა ძალიან დიდია საწარმოთა ჯამურ მაჩვენებლებზე: გადასახადების შემდეგ წმინდა მოგების შემცირება და წმინდა ღირებულების შემცირება შეადგენს დაახლოებით 3,060 მლნ ლარს, ხოლო კომპანიების ვალის ჯამურ აქტივებთან თანაფარდობის კოეფიციენტი იზრდება 35%-ზე მეტად. გადასახადების შემდეგ წმინდა მოგების უარყოფითი ცვლილება შეადგენს საქართველოს მშპ-ს დაახლოებით 6%-ს.
ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს, რომ გაცვლითი კურსის შოკის რეალიზაციის შემთხვევაში გარდა დაგეგმილი საბიუჯეტო შენატანებისა, სახელმწიფოს მოუწევს დაახლოებით 3,060 მლნ ლარის შენატანების განხორციელება აღნიშნულ საწარმოებში, რაც დამატებითი ფინანსურ ტვირთად დააწვება სახელმწიფოს.

ანალიზი მიუთითებს, რომ სახელმწიფო საწარმოები გაცვლითი კურსის გაუფასურებისგან განსხვავებით გაცილებით ნაკლებად რეაგირებენ ეკონომიკურ დაღმასვლებზე და გაზრდილ საპროცენტო განაკვეთებზე. ასევე, მოსალოდნელია, რომ ეკონომიკური დაღმასვლა, საპროცენტო განაკვეთის ზრდა კორელირებული და კომბინირებული იქნება ვალუტის გაცვლითი კურსის გაუფასურებასთან, რაც საბოლოოდ გამოიწვევს დიდ ნეგატიურ ეფექტებს, როგორც აღწერილია მოცემულ ანალიზში.

სახელმწიფო საწარმოთა რეფორმის სტრატეგია

ა. სტრატეგიის ისტორია

საქართველოს მთავრობის 2021-2024 წლების პროგრამა განსაზღვრავს მთავრობის ვალდებულებას სახელმწიფო საწარმოების რეფორმის განხორციელების შესახებ. რეფორმის პირველი ეტაპი ფოკუსირებული იქნება სახელმწიფო კორპორაციებზე, იმ სახელმწიფო საწარმოებზე, რომლებიც ფინანსთა სამინიტროს მიერ ჩატარებული სექტორიზაციის შედეგების მიხედვით წარმოადგენენ არსებითად კომერციულ საწარმოებს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და იდენტიფიცირებულები არიან საზოგადოებრივი დაინტერესების პირებად (სდპ) საქართველოს მთავრობის 2019 წლის 29 ნოემბრის N584 დადგენილებით განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე. „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით კი - საზოგადოებრივი დაინტერესების პირები. ამ დროისთვის 24 სახელმწიფო კორპორაცია აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერუმებს.

2021-2024 წლების სამთავრობო პროგრამის თანახმად, რეფორმა ხუთ ძირითად მიმართულებაზე იქნება დამყარებული:

1. პრიორიტეტად განისაზღვრება სახელმწიფო კორპორაციების კომერციული მიზნები.
2. სახელმწიფო კორპორაციების კორპორაციული მართვა განხორციელდება ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ შემუშავებული რეკომენდაციების საფუძველზე.
3. განისაზღვრება სახელმწიფო კორპორაციების ფლობის ფორმალური რაციონალური საფუძველი და პოლიტიკა.
4. სახელმწიფო კორპორაციების საქმიანობის მართვის ჩარჩო დაფუძნებული იქნება შესრულების ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლებით განსაზღვრულ საშუალოვადიან მიზნებზე.
5. სახელმწიფო კორპორაციები არ შეაფერხებენ კონკურენციას იმ სექტორებში, რომლებშიც ისინი ოპერირებენ.

2015 წლიდან მთავრობამ გააუმჯობესა სახელმწიფო საწარმოების გამჭვირვალობა მათი საქმიანობის ფინანსური შედეგებისა და ფისკალური რისკების შეფასების ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტში (თან ერთვის პარლამენტში წარდგენილ სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს) ყოველწლიურად გამოქვეყნებით, რაც საერთაშორისო დონეზე მაღალი ხარისხით არის შეფასებული. ამასთან, გამჭვირვალობის მაღალმა ხარისხის შედეგად გაიზარდა სახელმწიფო კორპორაციების მენეჯერებისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ანგარიშვალდებულება. თუმცა, აღნიშნული არ იყო საკმარისი საერთო ჯამში დამაკმაყოფილებელი ფინანსური შედეგების უზრუნველსაყოფად; უკანასკნელ პერიოდში შეიმჩნეოდა ფინანსური შედეგების ზოგადი გაუარესება. სათანადო სამართლებრივი და ინსტიტუციური ღონისძიებების გატარების გარეშე, მხოლოდ გამჭვირვალობა ვერ უზრუნველყოფს სახელმწიფო კორპორაციების მიერ საქართველოსათვის პოტენციური სარგებლის მოტანას.

გაუმჯობესებული გამჭვირვალობის ბოლო ხუთმა წელიწადმა გამოკვეთა აღნიშნული პოტენციური, როგორც ფინანსური, ასევე არაფინანსური სარგებლის, მასშტაბი, როგორც ეს ბევრი სხვა ქვეყნის სახელმწიფო კორპორაციების რეფორმის განხორციელების გამოცდილებამ აჩვენა. გაუმჯობესებული გამჭვირვალობის ბოლო ხუთმა წელიწადმა და საერთაშორისო გამოცდილებამ ასევე გამოააშკარავა ის რეფორმები, რომლებიც უნდა გატარდეს. ამრიგად, სწორედ ახლა არის მათი კომპლექსურად განხორციელების დრო.

ის ფაქტი, რომ სახელმწიფო საწარმოები ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტებისთვის არ არიან დივიდენდების გადამხდელები, წარმოადგენს ფისკალური რისკების მატერიალიზაციას. თუმცა, რეფორმის მთავარი ამოცანა არა საბიუჯეტო შემოსავლების ზრდა, არამედ ეკონომიკური ეფექტიანობის და ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება და ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაში წვლილის შეტანაა.

ბ. სტრატეგიის მიზანი

სტრატეგიის მიზანია:

- სახელმწიფო კორპორაციების დაგეგმილი რეფორმის ხედვის განსაზღვრა, რაც ხელს შეუწყობს პოლიტიკის, სამართლებრივი და ინსტიტუციონალური ცვლილებების შედეგად რეფორმების მიზნების მიღწევას.
- დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის, ფართო საზოგადოებასთან, პარლამენტის წევრებთან და სახელმწიფო კორპორაციებთან კომუნიკაციისთვის საფუძვლის შექმნა, რომელიც თავის მხრივ ხელს შეუწყობს რეფორმის ფარგლებში გათვალისწინებულ სამართლებრივ და ინსტიტუციონალურ ტრანზიციას.

გ. რეფორმის მიზნები

სახელმწიფო კორპორაციების რეფორმის მიზნებია:

- **ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა.** 2018 წელს საქართველოს მშპ-ს 18% 16 ყველაზე დიდ სახელმწიფო კორპორაციაზე მოდიოდა, შესაბამისად, სახელმწიფო კორპორაციების რესურსების - კაპიტალის, აქტივების, სამუშაო ძალის, შუალედური საქონლის და მომსახურების - ეფექტურად გამოყენება მნიშვნელოვან კონტრიბუციას შეიტანს ეკონომიკის ეკონომიკურ პროდუქტიულობასა და ზრდაში. ამასთან, სახელმწიფო კორპორაციების გაუმჯობესებული ეკონომიკურ ეფექტიანობა განაპირობებს ეკონომიკური ზრდის არაპირდაპირ სარგებელს იმ სექტორების ეფექტიანობის გაუმჯობესების სახით, რომლებიც იყენებენ მათ პროდუქტებს, მაგალითად, ენერგეტიკულ და სატრანსპორტო მომსახურებას, ასევე საქართველოს ბიზნეს გარემოს და ზოგადად შიდა კაპიტალის ბაზრის სტიმულირებით.
- **საჯარო ფინანსების გაძლიერება.** დამოუკიდებლობის მოპოვების პერიოდიდან სახელმწიფო კორპორაციები დამოკიდებული იყვნენ საქართველოს საჯარო ფინანსებზე. მხოლოდ 2014-2018 წლებში ცენტრალური ხელისუფლების სახელმწიფო კორპორაციების კაპიტალში შენატანები 1.3 მილიარდ ლარს გაუტოლდა, იმავე პერიოდში მათი წმინდა ღირებულება 0.7 მილიარდი ლარით შემცირდა. სახელმწიფო კორპორაციების საქმიანობის ფინანსური შედეგების გაუმჯობესება ხელს შეუწყობს მათ მიერ კრიტიკული მომსახურების ეფექტურად გაწევას, საჯარო ფინანსებზე მათი ტვირთისა და ფისკალური რისკების კონტროლს, მათი აქტივების სათანადო მართვის, და საქართველოს საჯარო ფინანსების მართვის სტრატეგიაში მათი ინტეგრირების უზრუნველყოფას საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესების მიზნით.
- **ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება.** საქართველოში დიდი სახელმწიფო საწარმოები ძირითადად ენერგეტიკისა და ლოჯისტიკის დარგებში ფუნქციონირებენ. ამ საწარმოების ეფექტიანობა დადებითად აისახება სექტორებზე სადაც ისინი ოპერირებენ და შესაბამისად, მთლიანად ქვეყნის ბიზნეს გარემოზე.
- **კაპიტალის ბაზრის განვითარება.** სახელმწიფო საწარმოების რეფორმა ასევე ხელს შეუწყობს ქვეყნის კაპიტალის ბაზრის განვითარების ამოცანების შესრულებას. აღნიშნული დასტურდება საერთაშორისო გამოცდილებითაც[9].

[9] იხილეთ World Bank, *Corporate Governance of SOEs. A Toolkit*, p. 17.

დ. რეფორმის ხუთი ძირითადი მიმართულება

2021-2024 წლების სამთავრობო პროგრამაში მოცემულია რეფორმის ხუთი ძირითადი პილარი (მიმართულება):

- **კომერციული მიზნები;**
- **კორპორაციული მართვა;**
- **ფლობის პოლიტიკა;**
- **საქმიანობის ჩარჩო;**
- **კონკურენტული ნეიტრალურობა.**

აღნიშნული მიმართულებები ეფუძნება სახელმწიფო კორპორაციის ფლობისა და კორპორაციული მართვის იმ დამკვიდრებულ საერთაშორისო პრინციპებს, რომლებიც შესაფერისია საქართველოს მსგავსი ქვეყნისთვის, რომელიც კორპორაციული მართვის ევროპულ სტანდარტებს ძირითადად ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების საშუალებით ნერგავს. ხსენებული პრინციპების შემუშავება და დახვეწა რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში მიმდინარეობდა და შეესაბამება საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფუნქციონირებად სახელმწიფო კორპორაციებს.

პრინციპები შემუშავდა საქართველოს პარტნიორების ორგანიზაციების, მათ შორის, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD), საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF), მსოფლიო ბანკის (WB) და აზიის განვითარების ბანკის (ADB) მიერ. სტრატეგიის დანართში #1-ში მითითებულია აღნიშნული ორგანიზაციების პუბლიკაციები, რომელსაც ეყრდნობა სტრატეგია.

ხუთივე პილარი ურთიერთდამოკიდებულია. სტანდარტების დანერგვისა და მასთან დაკავშირებული კორპორაციული მართვის გაუმჯობესების მისაღწევად ხუთივე მიმართულება უნდა განხორციელდეს.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი და აზიის განვითარების ბანკი,მხარს დაუჭერენ სტრატეგიის სხვადასხვა ასპექტის განხორციელებას.

პილარი #1. კომერციული მიზნები

სახელმწიფო კორპორაციების მთავარ მიზნად განისაზღვრება კომერციული, მოგებაზე ორიენტირებული საქმიანობა. საშუალოდ, დროთა განმავლობაში მათ უნდა მიაღწიონ კერძო სექტორის მსგავსი კომერციული კომპანიების შესადარის ფინანსურ შედეგებს. მათი საქმიანობის სამიზნე ორიენტირად კერძო სექტორის შესადარისი კომპანიების მიჩნევა უზრუნველყოფს იმას, რომ სახელმწიფო კორპორაციების მიმართ არ იქმნება კერძო სექტორის კონკურენტებთან შედარებით მაღალი თუ დაბალი სტანდარტის დაკმაყოფილების მოლოდინი და აქედან გამომდინარე, მიიღწევა კონკურენტული ნეიტრალურობა. საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ამგვარი ორიენტირება შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც კი, როცა სახელმწიფო კორპორაციებს კერძო სექტორში პირდაპირი კონკურენტი არ ჰყავთ. საქმიანობის ჩარჩო (საქმიანობის ჩარჩო #4) უზრუნველყოფს სახელმწიფო კორპორაციების ანგარიშვალდებულებას თავიანთი ფინანსური და არაფინანსური კომერციული მიზნების მისაღწევად.

სახელმწიფო კორპორაციების არაფინანსური მიზნები ასევე შესადარისი ხდება შესაბამისი კერძო სექტორის კომერციული კომპანიების მიზნებთან. აღნიშნული მოიცავს:

- ლიმიტებს, რომელთა ფარგლებშიც სახელმწიფო კორპორაციებს შეეძლებათ რისკის აღება;

- სახელმწიფო კორპორაციების მიერ საქონლისა და მომსახურების მიწოდების ხარისხის სტანდარტებს, მაგალითად, მომსახურების შეფერხების მაქსიმალური დონეები.
- კორპორაციული პასუხისმგებლობის სტანდარტებს, მაგალითად, დასაქმებულების, მომხმარებლების, იმ საზოგადოების და ფიზიკური გარემოს მიმართ, სადაც ისინი ოპერირებენ.

თუ, მეორადი მიზნის სახით, ცენტრალური თუ ადგილობრივი მთავრობა განიზრახავს სახელმწიფო კორპორაციების საშუალებით არაკომერციული საქმიანობების განხორციელებას, რომელიც ასევე ცნობილია კვაზი-ფისკალური აქტივობების სახელით, მთავრობამ სრულად უნდა აუნაზღაუროს მათ აღნიშნული აქტივობებზე გაწეული ხარჯები.

რეფორმის ფარგლებში გასატარებელი ძირითადი ღონისძიებები პილარ 1-თან დაკავშირებით

სახელმწიფო კორპორაციების შესახებ ჩარჩო კანონში გათვალისწინებულ იქნას შემდეგი საკითხები:

- სახელმწიფო კორპორაციების მთავარი კომერციული მიზანი
- მიდგომა სახელმწიფო კორპორაციების მეორადი არაკომერციული მიზნის მიღწევის მიმართ

უზრუნველყოფილ იქნას ფლობის პოლიტიკის შესაბამისობა სახელმწიფო კორპორაციების ძირითად პასუხისმგებლობასთან, საქმიანობა განახორციელონ კომერციული მიზნით.

უზრუნველყოფილ იქნას კომერციული მიზნების კომპლექსურად და *კორპორაციულ მართვასთან, ფლობის პოლიტიკასთან, საქმიანობის ჩარჩოსა და კონკურენტულ* ნეიტრალურობასთან შესაბამისობაში განსაზღვრა.

პილარი #2. კორპორაციული მართვა

კორპორაციული მართვა ეხება კორპორაციების ძირითადი მიმართულებებისა და კონტროლის შესახებ პროცესებსა და სტრუქტურებს. აღნიშნული განსაზღვრავს კორპორაციის დაინტერესებულ მხარეებს, მათ შორის, მფლობელებს, სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს, და აღამსრულებელ პირებს შორის უფლებამოსილებების და პასუხისმგებლობების გადანაწილებას და მკაფიოდ აწესებს კორპორაციების სახელით გადაწყვეტილებების მიღების წესებსა და პროცედურებს.

კორპორაციული მართვა არსებითად მნიშვნელოვანია სტრატეგიის სხვა ძირითადი მიმართულებების განსახორციელებლად, ნდობის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გარემოს შექმნის ხელშესაწყობად, რაც თავის მხრივ აუცილებელია გრძელვადიანი ინვესტიციების, ფინანსური სტაბილურობის და ბიზნესის მდგრადობის მიზნებისთვის.

სახელმწიფო კორპორაციების კორპორაციული მართვა მოითხოვს „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის არსებული მოთხოვნების გაფართოებას და იმ სახელმწიფო კორპორაციებზე კანონის დებულებების გავრცელებას, რომლებსაც არა აქვთ სააქციო საზოგადოების სტატუსი. კონკურენტული ნეიტრალურობის პრინციპის დარღვევის გარეშე, *კორპორაციული მართვის შესახებ კანონმდებლობის იმ დებულებების* გაძლიერების საჭიროება, რომლებიც საქართველოში მოქმედ ყველა კორპორაციას შეეხება, საერთაშორისო გამოცდილებიდან აღებული მკაფიო მაგალითი და სახელმწიფო კორპორაციების კონკრეტული ფლობის და საჯარო პოლიტიკის კონტექსტის შედეგია.

თითოეულ სახელმწიფო კორპორაციას ეყოლება სამეთვალყურეო საბჭო მათი სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, რომლის შემადგენლობაში შემავალ წევრებს ექნებათ შესაბამისი უნარები, ცოდნა, გამოცდილება, დამოუკიდებლობა და დრო კორპორაციის აღმასრულებელი პირების, კერძოდ, აღმასრულებელი დირექტორის ყოველდღიური საქმიანობების დამოუკიდებელი ზედამხედველობის ფუნქციის შესასრულებლად. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ანგარიშვალდებულნი იქნებიან თავიანთი ფუნქციების შესრულებაზე.

სახელმწიფო კორპორაციების შესახებ ჩარჩო კანონის მიხედვით, სამეთვალყურეო საბჭოს წევრების რაოდენობა შესაბამისობაში იქნება კარგ საერთაშორისო პრაქტიკასთან, კორპორაციის მასშტაბის და კომპლექსურობის შესაბამისად.

სახელმწიფო კორპორაციების ფლობის განმახორციელებელ ორგანოს, რომელსაც სახელმწიფო კორპორაციებთან მიმართებით სახელმწიფოს მხრიდან აქციონერის ან მფლობელის უფლებამოსილების განხორციელების პასუხისმგებლობა ეკისრება (იხილეთ ნაწილი ვ) და სადაც ცენტრალური თუ ადგილობრივი ხელისუფლება 100%-ზე ნაკლები აქციების მფლობელია, სხვა აქციონერებთან ერთად უფლებამოსილია:

- დროულად და რეგულარულად მიიღოს რელევანტური ინფორმაცია სახელმწიფო კორპორაციის შესახებ.
- მონაწილეობა მიიღოს და ხმა მისცეს აქციონერთა საერთო კრებაზე.
- დანიშნოს და გაათავისუფლოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრები და განსაზღვროს მათი ანაზღაურება.
- შეითანხმოს და განახორციელოს საწარმოს მანდატის, მიზნების და სამიზნე მაჩვენებლების შესრულების მონიტორინგი კორპორაციული განზრახვის განაცხადის შესაბამისად, რომელიც *საქმიანობის ჩარჩოს* ძირითადი კომპონენტია.
- დაამტკიცოს გადაწყვეტილებები სახელმწიფო კორპორაციების წესდებებში ცვლილებების შეტანის, დამატებითი აქციების გამოშვებისა და მნიშვნელოვანი გარიგებების შესახებ. ცენტრალური თუ ადგილობრივი ხელისუფლება პასუხისმგებელი იქნება ფლობის პოლიტიკის შემუშავებაზე, რომელშიც დაზუსტდება, თუ როგორ აპირებს აღნიშნული ფუნქციების შესრულებას.

განისაზღვრება სახელმწიფო კორპორაციების სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ძირითადი ფუნქციები და მოვალეობები. საქმიანობის პროცესში მათ მოეთხოვებათ კეთილსინდისიერება და პროფესიონალიზმი. საბჭოს წევრებმა უნდა მართონ ნებისმიერი სახის ინტერესთა კონფლიქტი, თავიდან უნდა აიცილონ პერსონალური მიზნებისათვის კომპანიის შესახებ ნებისმიერი სახის ინფორმაციის გამოყენება. შესაბამისად, ისინი ანგარიშვალდებულნი იქნებიან თავიანთი მოვალეობების შეუსრულებლობისთვის.

სახელმწიფო კორპორაციების სამეთვალყურეო საბჭოს სხვა ძირითად პასუხისმგებლობებს წარმოადგენს:

- კორპორაციული განზრახვის განაცხადის მოწონება, კორპორაციული სტრატეგიული გეგმის დამტკიცება მისი მანდატის და ძირითადი სამიზნე მაჩვენებლების (KPI) მისაღწევად, აღმასრულებელი ხელძღვანელი პირისა და სხვა აღმასრულებელი პირების მიერ კორპორაციის სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგი.
- კორპორაციის პოლიტიკების განსაზღვრა.
- ფლობის ფუნქციების განამხორციელებელი ორგანოს მიერ დამტკიცებული ანაზღაურების პოლიტიკის შესაბამისად კორპორაციის აღმასრულებელი ხელძღვანელი პირისა და სხვა აღმასრულებელი პირების დანიშვნა და გათავისუფლება, მათი ანაზღაურების განსაზღვრა.
- კორპორაციის ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების სისტემების ერთიანობის, სისრულის და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის ზედამხედველობა.

- კორპორაციის ფორმალური გამჭვირვალობის სტანდარტების დამტკიცება და მისი კომუნიკაციების ზედამხედველობა.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს აეკრძალებათ სახელმწიფო კორპორაციების ყოველდღიურ საოპერაციო მართვაში ჩართვა, რათა არ შეფერხდეს მათ მიერ მონიტორინგის პასუხისმგებლობის ეფექტურად განხორციელება. აღმასრულებელი ხელმძღვანელი პირი (CEO) პასუხისმგებელი იქნება სახელმწიფო კორპორაციის ყოველდღიურ მართვაზე, მათ შორის, კორპორაციული განზრახვის განაცხადის დანერგვასა და შესრულებაზე, სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული სტრატეგიული გეგმისა და პოლიტიკების შესრულებაზე. CEO სხვა აღმასრულებელ პირებთან ერთად ასევე პასუხისმგებელი იქნება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მათთვის დელეგირებული ფუნქციების შესრულებაზე.

ფინანსთა სამინისტროს ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს საფინანსო დეპარტამენტის რეკომენდაციით პრემიერ-მინისტრი ან მერი შექმნის სპეციალურ კომიტეტს სამეთვალყურეო საბჭოს წევრების კანდიდატების ნომინირების მიზნით. ეს მიდგომა ხელს შეუწყობს სამეთვალყურეო საბჭოს ფორმირების პროცესის გამჭვირვალობასა და დამოუკიდებლობას. სპეციალური კომიტეტის წევრები, სასურველია, იყვნენ საჯარო ან კერძო სექტორის კორპორაციების სამეთვალყურეო საბჭოს გამოცდილი, მოქმედი ან ყოფილი წევრები.

ქვემოთ აღწერილია სპეციალური კომიტეტის მიერ განსახორციელებელი პროცესი. თითოეულ სამეთვალყურეო საბჭოში დასანიშნი წევრები სახელმწიფო კორპორაციის მფლობელის განმახორციელებელი ორგანოს მიერ სპეციალური კომიტეტის მიერ დასახელებული კანდიდატებიდან შეირჩევა.



სახელმწიფო კორპორაციის სამეთვალყურეო საბჭოს წევრები სამი წლით და მაქსიმუმ ორი ვადით აირჩევიან ერთი სამეთვალყურეო საბჭოს ფარგლებში.

სახელმწიფო კორპორაციის სამეთვალყურეო საბჭოს წევრის თანამდებობაზე განსახილველად კანდიდატებს რამდენიმე კრიტერიუმის დაკმაყოფილება მოეთხოვებათ, მათ შორის:

- სამეწარმეო, ფინანსური, ბიზნესის, სამართლებრივი და/ან კორპორაციული მართვის უნარები.
- მენეჯმენტის წამყვან თანამდებობებზე ან სამეთვალყურეო საბჭოში მუშაობის 10 წელზე მეტ-ხნიანი გამოცდილება, რომლის ნაწილიც კერძო სექტორში უნდა იყოს მიღებული.

- ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების მატარებელი პირები, რომელთაც გამოავლინეს კრიტიკული და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, ასევე სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში ეფექტურად მუშაობისთვის საჭირო სოციალური უნარები.

სახელმწიფო კორპორაციის სამეთვალყურეო საბჭოს წევრის თანამდებობას ვერ დაიკავებენ შემდეგი პირები:

- მინისტრები და ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა არჩეული თანამდებობის პირები, ასევე საჯარო მოსამსახურეები, ან ბოლო ორი წლის განმავლობაში ასეთ თანამდებობებზე მომუშავე პირები;
- პირები, რომლებიც თანამდებობებიდან გადაცდომის ან არაკეთილსინდისიერების გამო გადააყენეს.
- პირები, რომლებიც გასამართლებულები არიან ქურდობის, თაღლითობის, ფაქტების დამახინჯების, არაკეთილსინდისიერების, ცრუმოწმეობის, კორუფციის, ან ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული სარჩელის გამო.
- გაკოტრებული, მაგრამ არარეაბილიტირებული პირები.

სახელმწიფო კორპორაციების სამეთვალყურეო საბჭოს წევრები შესაძლოა მფლობელი ერთეულის დისკრეციით გათავისუფლდნენ, მაგრამ უნდა მოხდეს შესაბამისი მიზეზების განმარტება. თუმცა, გათავისუფლებამდე სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს მფლობელი ერთეულის წინაშე განცხადების გაკეთება შესაძლებლობა უნდა მიეცეთ. როგორც წესი, სამეთვალყურეო საბჭოს წევრები დაკავებული თანამდებობიდან შესაძლოა გათავისუფლდნენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი გახდებიან:

- შეუფერებლები ან დისკვალიფიცირებულები;
- ქმედუუნაროები, ისე რომ მათ არ შეეძლოთ თავიანთი ფუნქციების შესრულება;
- დაუდევრები ან ვალდებულების დამრღვევები თავიანთი მოვალეობების შესრულებაში.

სახელმწიფო საწარმოთა ფლობის უფლებამოსილი ორგანოები განსაზღვრავენ სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ანაზღაურებას, რომელიც იქნება კონკურენტული და გაითვალისწინებს სახელმწიფო კორპორაციის და იმ დარგის მასშტაბსა და კომპლექსურობას, რომელშიც ის ოპერირებს, ასევე, შესაბამისობაში მოვა ცენტრალური თუ ადგილობრივი ხელისუფლების მიერ დამტკიცებულ ანაზღაურების პოლიტიკასთან, რაც *ფლობის პოლიტიკის* ნაწილი იქნება.

სახელმწიფო საწარმოთა ფლობის უფლებამოსილი ორგანოები ასევე შემოიღებენ და შეასრულებენ სამეთვალყურეო საბჭოს წევრების საქმიანობის შეფასების პროცედურას.

განისაზღვრება კორპორაციული მართვის რამდენიმე ძირითადი დებულება:

- თითოეულმა სახელმწიფო კორპორაციის სამეთვალყურეო საბჭომ უნდა შექმნას მინიმუმ ერთი - აუდიტის კომიტეტი და სასურველია, ასევე შექმნას რისკების მართვის და ანაზღაურების კომიტეტები.
- სამეთვალყურეო საბჭოებს მოეთხოვებათ განახორციელონ თავიანთი ეფექტურობის წლიური შეფასება, როგორც ფლობის უფლებამოსილი ორგანოების მიერ საბჭოს შეფასების პროცესის ნაწილი.
- სახელმწიფო კორპორაციებს მოეთხოვებათ კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობა.
- თითოეულ სახელმწიფო კორპორაციას მოეთხოვება როგორც მინიმუმი მოეთხოვება ჰქონდეს ეთიკის კოდექსი, რომელიც შეეხება სახელმწიფო კორპორაციის სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს, ყველა თანამშრომელს და კონტრაქტორს, მათ შორის, აღმასრულებელ ხელმძღვანელ პირს და წამყვან თანამდებობაზე მომუშავე სხვა აღმასრულებელ პირებს, ასევე მთლიანად კორპორაციას. კოდექსში მოცემული უნდა იყოს მოთხოვნა იმის შესახებ, რომ კორპორაციამ უნდა იმოქმედოს, როგორც პასუხისმგებლიანმა კორპორაციულმა მოქალაქემ და ჰქონდეს პროცედურები კორუფციის და ფულის გათეთრების პრევენციისათვის.

- შემოღებულ უნდა იქნას მამხილებელი მექანიზმები, რომლებიც ნებისმიერ პირს მისცემს საშუალებას სახელმწიფო კორპორაციაში მოახდინოს პოტენციური გადაცდომის მხილება. მამხილებლები სამართლებრივად დაცულნი უნდა იყვნენ, რათა მათი პრეტენზიები უმნიშვნელოდ ან არაკეთილსინდისიერად არ იქნას მიჩნეული.
- ,,მეწარმეთა შესახებ" კანონით გათვალისწინებული მინორიტარების დაცვის მექანიზმები გავრცელდება ყველა სახელმწიფო კორპორაციაზე, რომელშიც ცენტრალურ თუ ადგილობრივ ხელისუფლებას 100%-იანი წილის მფლობელობა არ გააჩნია.

რეფორმის მე-2 პილარის ფარგლებში გასატარებელი ძირითადი ღონისძიებები

სახელმწიფო კორპორაციების შესახებ ჩარჩო კანონში გათვალისწინებულ იქნას:

- სახელმწიფო კორპორაციებისთვის სამეთვალყურეო საბჭოს არსებობის მოთხოვნა.
- სახელმწიფო კორპორაციების აქციონერებისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების უფლებამოსილებები და პასუხისმგებლობები.
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრების დანიშვნის, გათავისუფლებისა და ანაზღაურების პროცედურები.

შემუშავდეს კანონქვემდებარე აქტები კანონის მოთხოვნების უფრო დეტალურად გასაწერად.

შემუშავდეს კორპორაციული მართვის ისეთი კოდექსი, რომელიც ცენტრალური ხელისუფლების ყველა სახელმწიფო კორპორაციაზე გავრცელდება.

უზრუნველყოფილ იქნას კორპორაციული მართვის კომპლექსურად და კომერციულ მიზნებთან, ფლობის პოლიტიკასთან, საქმიანობის ჩარჩოსა და კონკურენტულ ნეიტრალურობასთან შესაბამისობაში განსაზღვრა.

პილარი #3. ფლობის პოლიტიკა

სახელმწიფო კორპორაცია დაარსდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საჯარო პოლიტიკის რელევანტური და მნიშვნელოვანი ამოცანის მისაღწევად განხილული თითოეული ვარიანტის ხარჯებისა და სარგებლების შეფასება გვიჩვენებს, რომ ეს არის ცალსახად ყველაზე ეფექტიანი გზა. პოლიტიკის ამოცანის მიღწევის სხვა ვარიანტები შეიძლება მოიცავდეს რეგულირებას, მიზნობრივი დაბეგვრისა და ხარჯვით ღონისძიებებს, ან სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული არაკომერციული საწარმოს შექმნას.

არსებულ სახელმწიფო კორპორაციასთან მიმართებით განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

- ლიკვიდაცია, თუ სახელმწიფო კორპორაცია: (i) არ არის კომერციულად სიცოცხლისუნარიანი; და (ii) პოლიტიკის ამოცანის მისაღწევად აღარ არის ყველაზე ეფექტიანი გადაწყვეტა;
- საჯარო სამართლის იურიდიულ პირად გარდაქმნა, თუ სახელმწიფო კორპორაცია: (i) არ არის კომერციულად სიცოცხლისუნარიანი; მაგრამ (ii) პოლიტიკის ამოცანის მისაღწევად ყველაზე ეფექტიანი გადაწყვეტაა;
- პრივატიზაცია, თუ სახელმწიფო კორპორაცია: (i) კომერციულად სიცოცხლისუნარიანია; მაგრამ (ii) პოლიტიკის ამოცანის მისაღწევად აღარ არის ყველაზე ეფექტიანი გადაწყვეტა;
- შენარჩუნდება, როგორც სახელმწიფო კორპორაცია, თუ ეს უკანასკნელი: (i) კომერციულად სიცოცხლისუნარიანია; და (ii) პოლიტიკის ამოცანის მისაღწევად კვლავ ყველაზე ეფექტიანი გადაწყვეტაა; ქვემოთ ჩამოთვლილია ის გარემოებები საერთაშორისო გამოცდილებიდან, რომლის

პირობებშიც სახელმწიფო კორპორაციები პოლიტიკის მნიშვნელოვანი და რელევანტური ამოცანების მისაღწევად ყველაზე ეფექტიანი გადაწყვეტა აღმოჩნდა:

- ეროვნული უსაფრთხოება.
- ბუნებრივი მონოპოლიები, რომელთა პირობებშიც ბაზრის რეგულირება არასაკმარისად ეფექტურია.
- საქონლისა და მომსახურების მიწოდება, როცა საჯარო მფლობელობა უფრო ეფექტიანი თუ სანდოა, ვიდრე კერძო ოპერატორებთან კონტრაქტების გაფორმება.
- ინვესტიციები, რომლებიც კერძო სექტორის მიერ განსახორციელებლად ძალიან დიდია.

თითოეული არსებული სახელმწიფო კორპორაციის სტატუსი ამ კრიტერიუმების მიხედვით მინიმუმ ხუთ წელიწადში ერთხელ გადაიხედება.

როგორც ახალი სახელმწიფო კორპორაციების დაარსების, ისე არსებული სახელმწიფო კორპორაციების განხილვის შემთხვევები დამოუკიდებელ შეფასებას დაექვემდებარება, შესაბამისი შედეგები კი გამოქვეყნდება.

სახელმწიფო კორპორაციები შესაძლოა მთლიანად სახელმწიფოს საკუთრებაში იყოს. სახელმწიფო შესაძლოა ფლობდეს წილების 50%-ზე მეტს, ან იყოს მინორიტარული მეწილე. პოლიტიკის იდენტიფიცირებული ამოცანების ყველაზე ეფექტიანად მისაღწევად საჭირო სახელმწიფო მფლობელობის მასშტაბი შემოწმდება სახელმწიფო კორპორაციების დაარსების ან შენარჩუნების შეფასების ფარგლებში.

ცენტრალური ხელისუფლება და ადგილობრივი ხელისუფლების თითოეული ორგანო შეიმუშავებს, განაახლებს და გამოაქვეყნებს სახელმწიფო კორპორაციების შესახებ ფლობის პოლიტიკის განაცხადს. საჭიროების შემთხვევაში, ფინანსთა სამინისტრო წარმართავს ამ პროცესს ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებისთვის. აღნიშნულ განაცხადში მკაფიოდ იქნება განსაზღვრული სახელმწიფო კორპორაციების შენარჩუნების რაციონალური საფუძველი და მასთან დაკავშირებული პოლიტიკის ამოცანები. განაცხადში ასევე მოცემული იქნება შემდეგი საკითხები:

- როგორ განახორციელებს ცენტრალური ან ადგილობრივი ხელისუფლება ფლობის ან კონტროლის უფლებებს;
- როგორ მოახდენს ცენტრალური ან ადგილობრივი ხელისუფლების ფლობის ან კონტროლის ფუნქციების ორგანიზებას;
- როგორ შეასრულებს ცენტრალური ან ადგილობრივი ხელისუფლება სახელმწიფო კორპორაციების მფლობელის ან მაკონტროლებლის როლით განსაზღვრულ ძირითად ფუნქციებს;
- თითოეული სახელმწიფო კორპორაციის მანდატი და ფინანსური და არაფინანსური ამოცანები;
- ფინანსური და არაფინანსური ზედამხედველობის საფუძველი.
- ძირითადი პრინციპები და პოლიტიკები რომლებიც უნდა შესრულდეს, როგორიცაა მაგალითად *კონკურენტული* ნეიტრალურობის უზრუნველყოფა.

ფლობის პოლიტიკის განაცხადი ასევე დაეფუძნება კონსტიტუციას, კანონებს, კანონქვემდებარე აქტებს და სხვა დოკუმენტებს, რომლებიც ცენტრალური თუ ადგილობრივი ხელისუფლების საკუთრების თუ კონტროლის უფლებებს განსაზღვრავენ. ფინანსური ზედამხედველობის თვალსაზრისით, პოლიტიკა ცალსახად შეეხება შემდეგ საკითხებს:

- დაგეგმვისა და ბიუჯეტირების მოთხოვნები.
- ძირითადი ტრანზაქციების (მნიშვნელოვანი გარიგებების) დამტკიცება
- ანგარიშგების მოთხოვნები
- ფასწარმოქმნა და ტარიფები

- დივიდენდების პოლიტიკა
- ცენტრალური ან ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან ფინანსური დახმარება ან კომპენსაცია, მათ შორის, გარანტიები და საკონტრაქტო ვალდებულებები.

ყველა აღნიშნული კომპონენტი ასახული იქნება საქმიანობის ჩარჩოში.

მე-3 პილარის ფარგლებში გასატარებელი ძირითადი ღონისძიებები

სახელმწიფო კორპორაციების შესახებ ჩარჩო კანონში გათვალისწინებულ იქნას:

- სახელმწიფო კორპორაციის დაარსების ან შენარჩუნების კრიტერიუმები
- სახელმწიფო კორპორაციის ფლობის პოლიტიკის განაცხადების შემუშავებისა და განახლების მოთხოვნა

შემუშავდეს კანონქვემდებარე აქტები კანონის დებულებების აღსრულების მიზნით.

უზრუნველყოფილ იქნას ფლობის პოლიტიკის კომპლექსურად და კომერციულ მიზნებთან, კორპორაციულ მართვასთან, საქმიანობის ჩარჩოსა და კონკურენტულ ნეიტრალურობასთან შესაბამისობაში განსაზღვრა.

პილარი #4. საქმიანობის ჩარჩო - კორპორაციული განზრახვის განაცხადი

საქმიანობის ჩარჩოში გამეორებული უნდა იყოს ის პრაქტიკები, რასაც კაპიტალის ბაზრები, კორპორაციული კონტროლის განმახორციელებლები უწესებენ კერძო კორპორაციებს. ეს იქნება ცენტრალიზებული მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც ცენტრალური ან ადგილობრივი ხელისუფლება განსაზღვრავს თავის მოლოდინებს თითოეული სახელმწიფო კორპორაციის საქმიანობასთან მიმართებით და სახელმწიფო კორპორაციის სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშვალდებულს გახდის დასახული შედეგების მისაღწევად. ამრიგად, საქმიანობის ჩარჩო განსაზღვრავს თითოეული სახელმწიფო კორპორაციის მანდატს, ამოცანებს, შესრულების სამიზნე ინდიკატორებს (KPI) და რისკების ლიმიტებს, საქმიანობის მონიტორინგისა და შეფასების პრინციპებს, მიღწეული შედეგების შესაბამისად სამეთვალყურეო საბჭოს წახალისების ან სანქცირების მექანიზმებს.

სახელმწიფო კორპორაციებმა ყოველწლიურად უნდა შეიმუშაონ კორპორაციული განზრახვის განაცხადი (კგგ), რომელიც სამეთვალყურეო საბჭომ განსახილველად უნდა წარუდგინოს ფინანსთა სამინისტროს ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს საფინანსო დეპარტამენტს. ფინანსთა სამინისტრო ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს საფინანსო დეპარტამენტი მოამზადებს კომენტარებს კორპორაციული განზრახვის განაცხადთან დაკავშირებით, რომელიც საბოლოო სახით ამ კომენტარების გათვალისწინებით ჩამოყალიბდება. კორპორაციული განზრახვის დასრულებული განაცხადი ფინანსური წლის დაწყებამდე წარედგინება ფინანსთა სამინისტროს ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს საფინანსო დეპარტამენტს კორპორაციული განზრახვის განაცხადში მოცემული ამოცანების და მიზნების შესრულებისთვის შემუშავებულ სტრატეგიულ გეგმასთან ერთად. ამის შემდეგ ფინანსთა სამინისტრო ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს საფინანსო დეპარტამენტი ორივე დოკუმენტს ცნობისთვის წარუდგენს პარლამენტს ან ადგილობრივ საკრებულოს.

კორპორაციული განზრახვის განაცხადში ცვლილებების შეტანა შესაძლოა ინიცირებული იყოს სამეთვალყურეო საბჭოს ან ფინანსთა სამინისტროს ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს საფინანსო დეპარტამენტის მიერ. თუმცა, ცვლილებები შეეხება მხოლოდ გამონაკლის გარემოებებს წლის განმავლობაში ანგარიშვალდებულების ჩარჩოს მნიშვნელოვნად შეცვლის და შესაბამისად, ანგარიშვალდებულების ხარისხის შემცირების თავიდან აცილების მიზნით. კორპორაციული განზრახვის განაცხადის ან

სტრატეგიული გეგმის ცვლილებები ცნობისთვის წარედგინება ქვეყნის პარლამენტს ან ადგილობრივ საკრებულოს.

როგორც კორპორაციული განზრახვის განაცხადი, ისე სტრატეგიული გეგმა უნდა ფარავდეს ცენტრალური ხელისუფლების საშუალოვადიანი ბიუჯეტის ჩარჩოს ოთხ-წლიან პერიოდს და საჭიროების შესაბამისად, განახლდეს ყოველწლიურად. კორპორაციული განზრახვის განაცხადი უნდა შეიცავდეს შემდეგ კომპონენტებს:

- განსაზღვრავდეს სახელმწიფო კორპორაციის ბინზესის არეალს, საქმიანობის სფეროს, რომლის მიღმაც მას არა აქვს ოპერირების უფლება.
- განსაზღვრავდეს სახელმწიფო კორპორაციის ამოცანებს, მათ შორის, შესრულების ძირითად ფინანსურ და არაფინანსურ მაჩვენებლებს და მიზნებს და დივიდენდების განაწილების პოლიტიკას საპროგნოზო ფინანსურ უწყისებთან შესაბამისობაში.
- განსაზღვრავდეს რისკების ლიმიტებს, რომლის აღების უფლებამოსილებაც აქვს სახელმწიფო კორპორაციას.
- განსაზღვრავდეს ნებისმიერ ტრანსფერს, რომელიც სახელმწიფო კორპორაციამ უნდა მიიღოს ცენტრალური ან ადგილობრივი ბიუჯეტიდან ან გადაუხადოს მას არახელსაყრელი კონკურენტული პირობების ან კონკურენტული უპირატესობის გამო.
- განსაზღვრავდეს ნებისმიერ კვაზი-ფისკალური აქტივობას და ტრანსფერებს, რომელიც სახელმწიფო კორპორაციამ უნდა მიიღოს ცენტრალური ან ადგილობრივი ბიუჯეტიდან ან გადაუხადოს მას, ცენტრალური ან ადგილობრივი მთავრობის მითითებით მსგავსი აქტივობების განხორციელების მიზნით.
- შეიცავდეს ფინანსურ და არაფინანსურ მონაცემებს და მასში წარმოდგენილ სხვა ინფორმაციას, უზრუნველყოფილი იყოს ინფორმაციის შესაბამისობა წინა წლის კორპორაციული განზრახვის განაცხადსა და მმართველობის ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციასთან.
- შეიცავდეს სახელმწიფო კორპორაციის კორპორაციული მართვის ჩარჩოს ძირითად სტრუქტურას;
- განსაზღვრავდეს მოსალოდნელ შედეგებს სახელმწიფო კორპორაციის მიზნების მიუღწევლობის, აღებული რისკების ლიმიტების და ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევებში.

სტრატეგიული გეგმა მინიმუმ უნდა შეიცავდეს შემდეგ კომპონენტებს:

- ბიზნეს-გეგმა, რომელიც კორპორაციული განზრახვის განაცხადში შეთანხმებული ამოცანების შესასრულებლად საჭირო სტრატეგიულ ინიციატივებს შეიცავს.
- საპროგნოზო ფინანსური ანგარიშგებები, ასევე კორპორაციული განზრახვის განაცხადსა და ბიზნეს-გეგმასთან შესაბამისობაში მოყვანილი სესხებისა და კაპიტალური დანახარჯების გეგმები.
- მომდევნო ფინანსური წლის ფინანსური პროგნოზების და საქმიანობის მიზნების კვარტალურად ჩაშლილი ინფორმაცია კვარტალური მონიტორინგის ხელშეწყობის მიზნებისათვის.
- სტრატეგიული რისკების შეფასება და მასთან შესაბამისი რისკების მართვის გეგმა.

კორპორაციული განზრახვის განაცხადი უნდა იყოს შეთანხმება სახელმწიფო კორპორაციის ფლობის უფლებამოსილ ორგანოსა და სახელმწიფო კორპორაციას შორის იმ შედეგებთან დაკავშირებით, რომლებსაც სახელმწიფო კორპორაციამ უნდა მიაღწიოს, ხოლო სტრატეგიული გეგმა უნდა იყოს გეგმა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა მიაღწიოს კორპორაციამ კორპორაციული განზრახვის განაცხადში განსაზღვრულ შედეგებს, რომლებზეც სამეთვალყურეო საბჭო იღებს პასუხისმგებლობას. თუ აღნიშნული ორი დოკუმენტი გაერთიანდებოდა, მფლობელი ორგანო გახდებოდა პასუხისმგებელი სტრატეგიული გეგმის

შესრულებაზე და შესაბამისად, გაუჭირდებოდა სამეთვალყურეო საბჭოს მხრიდან ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა შედეგების მისაღწევად.

სამეთვალყურეო საბჭოები კვარტალურ ანგარიშებს წარუდგენენ ფინანსთა სამინისტროს ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს საფინანსო დეპარტამენტს. ანგარიშებში შემდეგი საკითხები იქნება განხილული:

- საქმიანობის რეალური ფინანსური შედეგების და ფინანსური პროგნოზების ან ბიუჯეტის შედარება.
- საქმიანობის რეალური შედეგების და კორპორაციული განზრახვის განაცხადში მოცემული კვარტალური სამიზნე მაჩვენებლების შედარება.
- ნებისმიერი გადახრის მიზეზები და საქმიანობის შედეგების სამიზნე მაჩვენებლებში დასაბრუნებლად გასატარებელი ღონისძიებები.

ყოველი წლის ბოლოს სამეთვალყურეო საბჭომ სახელმწიფო კორპორაციის წლიურ ანგარიშში უნდა ასახოს საქმიანობის ფაქტობრივი შედეგებისა და კორპორაციული განზრახვის განაცხადში მოცემული თითოეული ამოცანის და მიზნის შედარება. საქმიანობის შედეგების აუდიტი ჩატარდება დამოუკიდებლად ინფორმაციის სანდოობის უზრუნველსაყოფად, რადგან ეს ქმნის სახელმწიფო კორპორაციის საქმიანობის შედეგების შეფასების საფუძველს. ფინანსთა სამინისტრო ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს საფინანსო დეპარტამენტი შეაფასებს საქმიანობის შედეგებს. სახელმწიფო კორპორაციის წლიურ ანგარიშში მოცემული კორპორაციის რისკების შეფასება, როგორც წესი, შესაბამისობაში უნდა იყოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მომზადებულ ფისკალური რისკების ანალიზის წლიურ ანგარიშში მოცემულ ფისკალური რისკების შეფასებასთან.

საქმიანობის ჩარჩოს შესახებ ნორმები ასახული იქნება როგორც სახელმწიფო კორპორაციების შესახებ ჩარჩო კანონში, ისე კანონქვემდებარე აქტებში.

პილარი 4-ის ფარგლებში გასატარებელი ძირითადი ღონისძიებები

სახელმწიფო კორპორაციების შესახებ ჩარჩო კანონში გათვალისწინებულ იქნას:

- სახელმწიფო კორპორაციების კორპორაციული განზრახვის განაცხადის და სტრატეგიული გეგმების ძირითადი შინაარსი და მათი წარდგენისა და დამტკიცების პროცედურები.
- მოთხოვნა სახელმწიფო კორპორაციების მხრიდან რეგულარული ანგარიშების და მათი ძირითადი შინაარსის წარდგენასთან დაკავშირებით.
- სახელმწიფო კორპორაციის საქმიანობის შედეგების შეფასების არსებითი პროცედურები.
- ფინანსთა სამინისტროს ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს საფინანსო დეპარტამენტის როლი საქმიანობის ჩარჩოსთან მიმართებით.

შემუშავდეს კანონქვემდებარე აქტები კანონის მოთხოვნების უფრო დეტალურად განსაზღვრის მიზნით.

უზრუნველყოფილ იქნას საქმიანობის ჩარჩოს კომპლექსურად და კომერციულ მიზნებთან, კორპორაციულ მართვასთან, ფლობის პოლიტიკასა და კონკურენტულ ნეიტრალურობასთან შესაბამისობაში განსაზღვრა.

პილარი #5. კონკურენტული ნეიტრალურობა

სახელმწიფო კორპორაციები ოპერირებას კონკურენტული ნეიტრალურობის საწყისებზე მოახდენენ. ეს იმას ნიშნავს, რომ მათ არ ექნებათ კონკურენტული უპირატესობა და არც არახელსაყრელი მდგომარეობა ცენტრალური თუ ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან მათი ფლობის ან კონტროლის შედეგად.

კონკურენტული ნეიტრალურობის პრინციპების გამოყენება უზრუნველყოფს სახელმწიფო კორპორაციების მხრიდან შეზღუდული ეკონომიკური რესურსების ეფექტურ გამოყენებას.

სახელმწიფო კორპორაციები კონკურენციას უწევენ არა მხოლოდ ბაზარზე რეალურად არსებულ კერძო სექტორის კომერციულ ფირმებს, არამედ თავიანთ ბაზარზე პოტენციურ კონკურენტებსაც და სხვა კომპანიებს, რომლებიც ბაზარს სთავაზობენ ურთიერთშემცვლელ პროდუქტს თუ სერვისებს. მაგალითად, საქართველოს რკინიგზის კონკურენცია შეეხება არა მხოლოდ სარკინიგზო, არამედ სატრანსპორტო სერვისების ბაზარსაც და მისი კონკურენტები არიან სატრანსპორტო სერვისების როგორც რეალური, ისე პოტენციური მომწოდებლები. სახელმწიფო კორპორაციები კონკურენციას უწევენ ასევე ბაზრებზე საქართველოს საჯარო და კერძო სექტორის ყველა ფირმას ისეთი რესურსების თვალსაზრისით, როგორებიცაა: კაპიტალი, სამუშაო ძალა, მასალები და მომსახურებები.

სახელმწიფო კორპორაციები:

- დაექვემდებარებიან ზოგად კანონმდებლობას, რეგულაციებს, და გადასახადებს, და არ ისარგებლებენ შეღავათებით და არ დაექვემდებარებიან სპეციალურ კანონებს, რეგულაციებსა და საგადასახადო რეჟიმებს, რომლებიც ხელს უშლიან კონკურენტული ნეიტრალურობის უზრუნველყოფას. ზოგადი კანონმდებლობა მოიცავს ზოგად კორპორაციულ, შრომის, გარემოს დაცვის და მომხმარებლის უფლებების დაცვის კანონმდებლობას. სახელმწიფო კორპორაციების ჩარჩო კანონი და მასთან ასოცირებული კანონქვემდებარე აქტები ხელს არ შეუშლის, პირიქით, ხელს შეუწყობს კონკურენტული ნეიტრალურობის გაძლიერებას და გაუმჯობესებას.
- საბაზრო პირობებით ექნებათ სესხზე ხელმისაწვდომობა. მათ მოეთხოვებათ შესაძლებლობის ფარგლებში ფინანსური ბაზრებიდან სასესხო დაფინანსების მიღება კომერციული პირობებით. ცენტრალური თუ ადგილობრივი ხელისუფლებიდან გადასესხების ნებისმიერი შემთხვევა სტანდარტულად კომერციული პირობებით, ვალის ვადიანობისა და რისკის პროფილის შესაბამისი საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით განხორციელდება. სახელმწიფო კორპორაციებს შორის გადასესხების თუ სხვა ნებისმიერი ტრანზაქცია ასევე საბაზრო პირობებით შესრულდება. სახელმწიფო კორპორაციების მიერ მოზიდული ვალი უზრუნველყოფილი არ იქნება ცენტრალური თუ ადგილობრივი ხელისუფლების მიერ, და ეს მკაფიოდ იქნება გაცხადებული ვალთან დაკავშირებულ ყველა სახის დოკუმენტში.
- ასევე, საბაზრო პირობებით ექნებათ კაპიტალზე ხელმისაწვდომობა. მათ მოეთხოვებათ კაპიტალზე ისეთივე ამონაგები, როგორიც გააჩნიათ შესადარის კერძო სექტორის კომპანიებს. კაპიტალში ახალი ინვესტიციების განხორციელების ნებისმიერ შემთხვევაში, გონივრული მოლოდინი უნდა არსებობდეს იმისა, რომ სახელმწიფო კორპორაციები შეძლებენ უკუგების ამგვარი კოეფიციენტის გენერირებას. კაპიტალზე უკუგების საბაზრო ორიენტირის განსაზღვრა კორპორაციული ფინანსების სტანდარტული მექანიზმების გამოყენებით ხდება. სახელმწიფო კორპორაციები დივიდენდების პოლიტიკებისა და კაპიტალის სტრუქტურების თვალსაზრისითაც კერძო სექტორის ნორმებს დაექვემდებარებიან.
- არ ისარგებლებენ ცენტრალური თუ ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან არაპირდაპირი ფინანსური მხარდაჭერით, რაც მათ უპირატესობას მიანიჭებს შესადარისი კერძო სექტორის კომერციულ კომპანიებთან მიმართებით. ამრიგად, სახელმწიფო კორპორაციები ცენტრალური ან ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან ვერ მიიღებენ სპეციალურ გარანტიებს თუ სუბსიდიებს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს კონკურენტული ნეიტრალურობის მისაღწევად არის საჭირო; პირიქით, მათ მიმართ უნდა იყოს ისეთივე დამოკიდებულება, როგორიც კერძო სექტორის კომპანიების მიმართ. სრულად და გამჭვირვალედ უნდა მოხდეს მათი ფინანსური ანაზღაურება ნებისმიერი იმ კვაზი-ფისკალური აქტივობისთვის, რისი განხორციელებაც მათ მოეთხოვებათ.
- უნდა შეასრულონ ფინანსური ანგარიშგების, გამჭვირვალობის, აუდიტის, და კორპორაციული მართვის მოთხოვნები, რომლებიც შესადარისი კერძო სექტორის ფირმების მოთხოვნების მსგავსია, თუმცა გარკვეულ ასპექტებში უფრო მკაცრი იქნება ცენტრალური თუ ადგილობრივი ხლისუფლების მხრიდან, როგორც აქციონერებისგან დაყენებული კონკრეტული მოთხოვნები.

პილარი 5-ის ფარგლებში გასატარებელი ძირითადი ღონისძიებები

სახელმწიფო კორპორაციების შესახებ ჩარჩო კანონში გათვალისწინებულ იქნას მოთხოვნა სახელმწიფო კორპორაციების მიერ ბაზრებზე კონკურენტული ნეიტრალურობის პირობებში ოპერირების შესახებ.

განხილულ იქნას სახელმწიფო კორპორაციების სამართლებრივი, მარეგულირებელი და საგადასახადო ჩარჩოები და შემუშავდეს გეგმა მათგან კონკურენტულ ნეიტრალურობასთან შეუსაბამო კომპონენტების ამოღების შესახებ.

შემუშავდეს კანონქვემდებარე აქტები კანონში კონკურენტულ ნეიტრალურობასთან დაკავშირებული მუხლების აღსრულების მიზნით.

შემუშავდეს სხვა კანონებში შესატანი ცვლილებები.

უზრუნველყოფილ იქნას კონკურენტული ნეიტრალურობის კომპლექსურად და კომერციულ მიზნებთან, კორპორაციულ მართვასთან, ფლობის პოლიტიკასა და საქმიანობის ჩარჩოსთან შესაბამისობაში განსაზღვრა.

ე. ურთიერთდამოკიდებულებები რეფორმის ფარგლებში

რეფორმის ხუთივე ძირითადი პილარი ერთმანეთზეა ურთიერთდამოკიდებული. ამრიგად, რეფორმის ფარგლებში დასახული ამოცანების მიღწევის უზრუნველსაყოფად, ყველა ძირითადი მიმართულება თანმიმდევრულად და საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებთან მაღალი ხარისხის შესაბამისობის პირობებში განხორციელდება. აუცილებელი იქნება სტანდარტების მოდიფიკაცია, რათა გათვალისწიებულ იქნას საქართველოს პრაქტიკული რეალობა დღეს და განჭვრეტად მომავალში, თუმცა ეს ცვლილებები მინიმალურ დონეზე უნდა განხორციელდეს.

მაგალითად, კონკურენტული ნეიტრალურობა არ მიიღწევა საქმიანობის ჩარჩოს გარეშე, რომელიც სახელმწიფო კორპორაციებს მათთან კონკურენციაში მყოფ კერძო სექტორის ფირმებთან შესადარისობის საფუძველზე ხდის ანგარიშვალდებულს. და პირიქით, საქმიანობის ჩარჩოს მნიშვნელობა და აღსრულებადობა შეიზღუდება, თუ სახელმწიფო კორპორაციებს მნიშვნელოვანი კონკურენტული უპირატესობა ექნებათ ან შეექმნებათ არსებითი კონკურენტული არახელსაყრელი მდგომარეობა ცენტრალური ან ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მათი ფლობის გამო.

ხუთ ძირითად პილარს შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულებების გამო რეფორმის შემუშავების, თანმიმდევრულობი და განხორციელების უზრუნველყოფა წარმოადგენს გამოწვევას, თუმცა, განხორციელების შემთხვევაში რეფორმას სტაბილურს და მყარს გახდის, რადგან აღნიშნული ხუთი ძირითადი პილარი ერთმანეთს გააძლიერებს. ეს არის ის გაკვეთილი, რაც ევროპულმა და საერთაშორისო გამოცდილებამ და კარგმა პრაქტიკამ გვასწავლა.

ვ. მფლობელი ერთეული

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის რეკომენდაციების შესაბამისად, საქართველოში სახელმწიფო კორპორაციების აქციონერთა უფლებების განხორციელების პასუხისმგებლობა, ერთი გამონაკლისის გარდა, თითოეული ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების შემთხვევაში ცენტრალიზებული იქნება ერთი მფლობელი ერთეულის ფარგლებში. სახელმწიფოს აქციონერისა და დარგობრივი პოლიტიკის შემქმნელის ფუნქციების მკაფიოდ გამიჯვნის უზრუნველსაყოფად, ფინანსთა

სამინისტრო იქნება ცენტრალური ხელისუფლების სახელმწიფო კორპორაციების ფლობის უფლებამოსილების განმახორციელებელი ცენტრალური ორგანო, ხოლო ადგილობრივი ხელისუფლების კორპორაციებისთვის - ადგილობრივი საფინანსო დეპარტამენტები, საჭიროების შემთხვევაში ფინანსთა სამინისტრო. დარგობრივი სამინისტროები და დეპარტამენტები კვლავ პასუხისმგებელნი იქნებიან იმ სექტორებში პოლიტიკის შექმნასა და რეგულირებაზე, რომლებშიც სახელმწიფო კორპორაციები ოპერირებენ.

რაც შეეხება გამონაკლისს, ენერგეტიკის სექტორში ქონებრივი განცალკევების შესახებ ევროდირექტივასთან შესაბამისობაში მოყვანისმიზნით, ფინანსთა სამინისტრო იქნება სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილი ელექტროენერგიის გადამცემი კომპანიის მფლობელი ორგანო, ხოლო ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო შეინარჩუნებს ელექტროენერგიის მწარმოებელ კომპანიებს. ამასთან, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ საწარმოთა ფლობისა და დარგობრივი პოლიტიკის გამტარისროლს შორის ინტერესთა კონფლიქტის ეფექტის შესამცირებლად, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემის ფარგლებში ამ როლების გასამიჯნად დამატებითი ღონისძიებები უნდა გატარდეს.
სახელმწიფო კორპორაციების ფლობის ცენტრალიზებული მოდელი ყველა სახელმწიფო კორპორაციისთვის უზრუნველყოფს სახელმწიფოს და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ფლობის პოლიტიკის განხორციელების თანმიმდევრულობას. ცენტრალიზებული მოდელი ხელს შეუწყობს სახელმწიფო კორპორაციების შესახებ საერთო ანგარიშგებას, რაც საერთაშორისო დონეზე დამკვიდრებულ კარგ პრაქტიკად ითვლება.
ვინაიდან ფინანსთა სამინისტრო და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს საფინანსო დეპარტამენტები არ არიან ჩართულები დარგობრივი პოლიტიკის შექმნის პროცესში, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის რეკომენდაციების შესაბამისად, მათ შეეძლებათ იმოქმედონ, როგორც შედარებით მიუკერძოებელმა ცენტრალიზებულმა მფლობელმა ერთეულებმა. ამის საპირისპიროდ, დარგობრივი სამინისტროები და დარგობრივი დეპარტამენტები გადაწყვეტილებებს იღებენ პოლიტიკებთან დაკავშირებით იმ დარგებში, რომლებშიც ზოგიერთი სახელმწიფო კორპორაცია ოპერირებს, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ინტერესთა კონფლიქტი წარმოშვას. ამგვარმა კონფლიქტებმა შესაძლოა გაართულოს *კონკურენტული ნეიტრალურობის,* და შესაბამისად, *საქმიანობის ჩარჩოს, კორპორაციული მართვის და კომერციული მიზნების შენარჩუნება.*

სახელმწიფო კორპორაციის ფლობის უფლებამოსილების ფინანსთა სამინისტროსა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს საფინანსო დეპარტამენტისათვის გადაცემა გააუმჯობესებს მათი მხრიდან სახელმწიფო კორპორაციების საქმიანობის ფარგლებში წარმოქმნილ ფისკალურ რისკებზე კონტროლს. ეს ასევე ხელს შეუწყობს ფინანსთა სამინისტროსა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების საფინანსო დეპარტამენტებს სახელმწიფო კორპორაციების შესახებ საერთო ანგარიშგების გაუმჯობესებაში, რომლებიც დაეფუძნება ანგარიშგების ამჟამინდელ პრაქტიკებს.

სასურველია, ფლობის უფლებამოსილების ფინანსთა სამინისტროსა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების საფინანსო დეპარტამენტებისათვის, და არა ავტონომიური სააგენტოებისა თუ ჰოლდინგური კომპანიებისათვის გადაცემა. სააგენტოს ან ჰოლდინგური კომპანიის სტრუქტურა შესაძლოა გაუმჭვირვალე იყოს, რაც საჯარო რესურსების გამოყენების ზედამხედველობის პროცესს ართულებს. უფრო მეტიც, სააგენტოს ან ჰოლდინგური კომპანიის სტრუქტურის ფარგლებში არსებობს სახელმწიფო კორპორაციებს შორის ჯვარედინი სუბსიდირების შესაძლებლობა, რაც ართულებს მონიტორინგისა დ მართვის განხორციელებას. ამასთან, ჰოლდინგურ კომპანიებს შესაძლოა ჰქონდეთ მნიშვნელოვანი ბერკეტები იმის განსასაზღვრად, თუ როგორ ხდება დივიდენდების გაცემა, ფინანსური აქტივების მართვა/გასხვისება, რესურსების რეინვესტირება, რამაც შესაძლოა გაართულოს ცალკეული სახელმწიფო კორპორაციების ფლობის უფლებამოსილების განხორციელება.

რეფორმის ფარგლებში გასატარებელი ძირითადი ღონისძიებები მფლობელ ერთეულთან დაკავშირებით

- სახელმწიფო კორპორაციების შესახებ ჩარჩო კანონში შეტანილ იქნას დებულებები ფლობის უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ინსტიტუციური ღონისძიებების შესახებ.

- სახელმწიფო კორპორაციების მფლობელობა გადაეცეს ფინანსთა სამინისტროსა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების საფინანსო დეპარტამენტებს.

- შეიქმნას მექანიზმი ფინანსთა სამინისტრომ როგორც სახელმწიფო კორპორაციების ფლობის ცენტრალურმა ორგანომ იმოქმედოს ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების საფინანსო დეპარტამენტების ნაცვლად.

- ელექტროენერგიის გენერირებასთან დაკავშირებით ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ფარგლებში განისაზღვროს პოლიტიკის შემქმნელის/მარეგულირებლის და ფლობის ფუნქციების გამიჯვნის საკითხი.

ზ. რეფორმის არეალი

რეფორმის პირველი ეტაპი შეეხება:

- 18 სახელმწიფო კორპორაციას, რომლებიც ამ ეტაპზე განსაზღვრულია ფინანსთა სამინისტროს მიერ საერთაშორისო სავალუტო ფონდის 2014 წლის სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სახელმძღვანელოში განსაზღვრული საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით და რომლებიც ასევე არიან საზოგადოებრივი დაინტერესების პირები.

- 2 სახელმწიფო საწარმო, რომლებიც ფინანსთა სამინისტროს მიერ ამჟამად კლასიფიცირებულნი არიან, როგორც სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული საწარმოები და რომლებსაც, მთავრობის მოსაზრებით, პროგნოზირებად მომავალში აქვთ სახელმწიფო კორპორაციად გარდაქმნის პოტენციალი.

შესაბამისად, სახელმწიფო საწარმოთა რეფორმამ უნდა დაფაროს შემდეგი საწარმოები:

N	ID	SOE	მშობელი	სექტორი
1	204995176	სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	PC
2	251716371	შპს ენგურჰესი	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	PC
3	206237491	სს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია	სს საპარტნიორო ფონდი	PC
4	202886010	სს საქართველოს რკინიგზა	სს საპარტნიორო ფონდი	PC
5	206103722	შპს საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	PC
6	208144051	შპს საქაერონავიგაცია	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	PC

7	404389693	შპს საქართველოს აეროპორტების გაერთიანება	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	PC
8	204524568	შპს საქართველოს მელიორაცია	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	GG
9	412670097	შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	GG
10	208144541	სს თამ თბილავიამშენი	შპს თბილავიამშენი	PC
11	239403392	სს საჩხერეგაზი	საჩხერის მუნიციპალიტეტი	PC
12	204862372	შპს საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრი	შპს აქტივების მართვისა და განვითარების კომპანია	PC
13	245556679	შპს ბათუმის წყალი	ბათუმის მუნიციპალიტეტი	PC
14	202886788	შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანია	თბილისის მუნიციპალიტეტი	PC
15	245383678	შპს ბათუმის საზღვაო ნავსადგური	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	PC
16	203836233	შპს საქართველოს ფოსტა	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	PC
17	203829250	შპს საქართველოს ტელერადიოცენტრი	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	PC
18	245626443	შპს შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი	ბათუმის მუნიციპალიტეტი	PC
19	204532899	შპს სერვისი - 7	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	PC
20	231165583	სს აკურა	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	PC

სახელმწიფო კორპორაციის ანგარიშვალდებულების ჩარჩო, რომელიც ამ რეფორმის საგანია, არ იქნება იგივე რაც სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული (არაკომერციული) საწარმოებისთვის მოქმედებს ან განისაზღვრება სამომავლოდ. ვინაიდან სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული საწარმოები არსებითად არაკომერციული ერთეულები არიან, იმ ფაქტის მიუხედავად, რომ მათ აქვთ საქართველოს ,,მეწარმეთა შესახებ" კანონის შესაბამისად დაფუძნებული კომპანიების სამართლებრივი ფორმა, ისინი დაექვემდებარებიან ანგარიშვალდებულების განსხვავებულ ჩარჩოს, რომელსაც მთავრობა შემდგომ ეტაპზე შეიმუშავებს.

რეფორმის დაფარვის არეალის შესახებ გასატარებელი ძირითადი ღონისძიებები

იმ სახელწიფო საწარმოების ინფორმირება, რომლებსაც თავდაპირველად შეეხებათ რეფორმა და მოეთხოვებათ რეფორმის პრინციპების დაცვა.

თ. კვაზი-ფისკალური აქტივობები

კვაზი-ფისკალური აქტივობა სახელმწიფო კორპორაციის მიერ საჯარო პოლიტიკის ამოცანის შესრულების მიზნით განხორციელებული ოპერაციაა, რომელიც არ არის მკაცრად კომერციული ბუნების, მაგალითად:

- ასეთი საქმიანობის ხარჯი არ ანაზღაურდება ან ნაწილობრივ ანაზღაურდება მომხმარებლების შემოსავლებით ან ცენტრალური თუ ადგილობრივი ხელისუფლების ტრანსფერებით.
- ასეთი საქმიანობა მონოპოლიურ პოზიციას იყენებს მომხმარებლებისაგან კომერციულად არასამართლიანი საფასურის მისაღებად (იმაზე მეტი ვიდრე ეს გამართებული იქნებოდა კომერციული თვალსაზრისით), ასევე შემოსავლების ნაწილიდან ახდენს კომპანიის სხვა საქმიანობების ჯვარედინი სუბსიდირებას (ერთი საქმიანობის დაფინანსების პრაქტიკა, სხვა საქმიანობიდან მიღებული მოგებით);

კვაზი-ფისკალური აქტივობა შესაძლოა სხვადასხვა ფორმით იყოს განხორციელებული, მაგალითად:

- *არაკომერციული მომსახურების ვალდებულებები (**NCSO**)*: ზოგადად მოსახლეობისთვის ან სამიზნე ჯგუფებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდება კომერციულზე ნაკლებ ფასად. მეორეს მხრივ, კომერციული მომსახურების ვალდებულება (**CSO**) არის მომსახურების ისეთი ვალდებულება, რომლის სრულ ღირებულებას (მათ შორის კაპიტალზე შესაბამის უკუგებას) სახელმწიფო კორპორაცია თავისი მომხმარებლებისგან ინაზღაურებს.
- *არაძირითადი ფუნქციები*: ცენტრალური თუ ადგილობრივი ხელისუფლების მიერ სახელწიფო კორპორაციაზე დაკისრებული ვალდებულებები საქონლისა და მომსახურების მიწოდებაზე, ან კაპიტალური ინვესტიციების განხორციელებაზე, რაც მათ ძირითად ფუნქციებს არ უკავშირდება.
- *სუბსიდირებული შესყიდვები:* საქონლისა და მომსახურებების ან აქტივების კონკრეტული მომწოდებლებისათვის კომერციულზე მაღალი ფასის გადახდა.
- *სუპერ-დივიდენდები:* საწარმოს მიერ იმაზე მეტი დივიდენდის გადახდა, ვიდრე საანგარიშო პერიოდის მოგებით იყო შესაძლებელი. ასეთი გადახდები ხორციელდება ძირითადად საწარმოს აქტივების გაყიდვით (ერთჯერადი ოპერაცია) ან სხვა აკუმულირებული რეზერვებიდან.
- *ფასწარმოქმნა მოკლევადიანი საბიუჯეტო შემოსავლების მიზნებისათვის*: საქონელსა და მომსახურებაზე უფრო მაღალი ფასის დაწესება სახელმწიფო კორპორაციის მოგებისა და დივიდენდების მოკლევადიან პერსპექტივაში გასაზრდელად, თუნდაც კორპორაციის ბაზრის წილისა და საშუალოვადიან პერსპექტივაში მისი მოგების შემცირების რისკის წარმოქმნის ხარჯზე.
- *მონოპოლიური პოზიციის ბოროტად გამოყენება:*. მომხმარებლებისაგან კომერციულად არასამართლიანი საფასურის მიღება (იმაზე მეტი ვიდრე ეს გამართებული იქნებოდა კომერციული თვალსაზრისით). დამატებითი შემოსავლების გამოყენება კომპანიის სხვა საქმიანობების ჯვარედინი სუბსიდირების მიზნით. (ერთი საქმიანობის დაფინანსების პრაქტიკა, სხვა საქმიანობიდან მიღებული მოგებით).

არსებობს ცხადი კვაზი-ფისკალური აქტივობები - ე.ი. გაწერილია კანონით, ცენტრალური ან ადგილობრივი ხელისუფლების განკარგულებით, ან ოფიციალური შეთანხმებით. ზოგიერთი კვაზი-ფისკალური აქტივობა კი - ფარულია (implicit) ე.ი. სახელმწიფო კორპორაციები კვაზი-ფისკალურ აქტივობას ახორციელებენ კანონში, განკარგულებასა თუ ოფიციალურ შეთანხმებაში განსაზღვრის გარეშე. ორივე შემთხვევაში, სახელმწიფო კორპორაციები ოპერირებდნენ იმის გათვალისწინებით, რომ ისინი არ იქნებოდნენ ანგარიშვალდებულები კვაზი-ფისკალური აქტივობებით გამოწვეული ფინანსური მდგომარეობის გაუარესებაზე.

აიკრძალება როგორც ცხადი, ასევე ფარული კვაზი-ფისკალური აქტივობები, თუ ისინი არ მიეკუთვნებიან არაკომერიული მომსახურების ვალდებულებებს, რაც აისახება:

- სახელწიფო კორპორაციების შესახებ ჩარჩო კანონის დებულებებში, რომლებიც მოითხოვს სახელმწიფო კორპორაციების მხრიდან კომერციულ ოპერირებას და აქედან გამომდინარე, კვაზი-ფისკალურ აქტივობებზე უარის თქმას, თუ ეს არ არის ცხადი საქმიანობები და მათი ხარჯები ან

სარგებელი სრულად ანაზღაურდება ტრანსფერებით მათსა და ცენტრალური თუ ადგილობრივი ხელისუფლების ბიუჯეტებს შორის.

- სახელმწიფო კორპორაციის კორპორაციული განზრახვის განაცხადის დებულებებში, რომლებითაც იკრძალება ფარული კვაზი ფისკალური აქტივობები.

ყველა CSO აისახება კორპორაციული განზრახვის განაცხადში, რომელშიც ასევე წარმოდგენილი იქნება მკაფიო განაცხადი იმასთან დაკავშირებით, რომ ამგვარი სოციალური ვალდებულება არის CSO და არა NCSO. CSO-ები სახელმწიფო კორპორაციების მმართველობის წლიურ ანგარიშებში გამოქვეყნდება, კორპორაციული განზრახვის განაცხადთან მიმართებით მათი საქმიანობის შესახებ ანგარიშგების ნაწილში. აქედან გამომდინარე გამჟღავნებული ინფორმაცია უნდა მოიცავდეს კომერციული მომსახურების თითოეული ვალდებულების აღწერას, მისი სრული ღირებულების შეფასებას და ამ ღირებულების მომხმარებლებისგან მიღების ფორმის აღწერასა და რაოდენობრივ შეფასებას. კომერციული მომსახურების ვალდებულებების შესახებ რეზიუმეები ასევე გამოქვეყნდება ფინანსთა სამინისტროს მიერ მომზადებულ ფისკალური რისკების ანალიზის ანგარიშებში, რადგან კომერციული მომსახურების ვალდებულებებს აქვთ არაკომერციული მომსახურების ვალდებულებებად გადაქცევის პოტენციალი.

არაკომერციული მომსახურების ვალდებულებების წმინდა ღირებულება, მათ შორის, კაპიტალზე შესაბამისი უკუგება, ანაზღაურდება სახელმწიფო თუ ადგილობრივი ბიუჯეტებიდან სახელმწიფო კორპორაციებზე მიმართული ტრანსფერებით. ამ უკანასკნელმა არ უნდა გადააჭარბოს ასეთი აქტივობის მთლიან წმინდა ღირებულებას. ტრანსფერები, და მათ უკან მდგარი არაკომერციული მომსახურების ვალდებულებები განიხილება და პრიორიტეტად განისაზღვრება სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტის პროცესებში სხვა ხარჯების მსგავსად. თუ ხარჯების დასაფარად არ ხდება სახსრების გამოყოფა, სახელმწიფო კორპორაციებს უფლება აქვთ არ შეასრულონ არაკომერციული მომსახურების ვალდებულებები.

ყველა NCSO და მათი ეფექტურობის შეფასებასთან ერთად ასახული იქნება კორპორაციული განზრახვის განაცხადში. NCSO-ები ასევე გამოქვეყნდება სახელმწიფო კორპორაციების მმართველობის წლიურ ანგარიშებში, კორპორაციული განზრახვის განაცხადთან მიმართებით მათი საქმიანობის შესახებ ანგარიშგების ნაწილში. აქედან გამომდინარე გამჟღავნებული ინფორმაცია დაექვემდებარება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტს და მოიცავს არაკომერციული მომსახურების თითოეული ვალდებულების აღწერას, მისი ფაქტობრივი და ბიუჯეტირებული ღირებულების შედარებას და მასთან დაკავშირებულ რეალურ და დაგეგმილ ასოცირებულ არაფინანსურ შედეგ(ებ)ს. NCSO-ების შესახებ რეზიუმეები ასევე გამოქვეყნდება ფისკალური რისკების ანალიზის ანგარიშებში, ხარისხობრივი ანალიზით მათ ფაქტიურ ხარჯებსა და ბიუჯეტირებულ თანხებს შორის გადახრებზე.

რეფორმის ფარგლებში გასატარებელი ძირითადი ღონისძიებები კვაზი-ფისკალური აქტივობებთან დაკავშირებით

სახელმწიფო კორპორაციების შესახებ ჩარჩო კანონში გათვალისწინებულ იქნას:

- კვაზი-ფისკალური აქტივობების კომპლექსური განმარტება.
- კვაზი-ფისკალური აქტივობების, არაკომერციული მომსახურების ვალდებულებების და კომერციული მომსახურების ვალდებულებების მართვის პრინციპები.

კანონქვემდებარე აქტების შემუშავება კანონში კვაზი-ფისკალური აქტივობების შესახებ მოცემული ნორმების დამატებითი განმარტებების და პრინციპების აღსრულების მიზნით.

კვაზი-ფისკალური აქტივობებისა და შესაბამისი მაგალითების განმარტებისთვის მეთოდოლოგიური გზამკვლევის შემუშავება.

უზრუნველყოფილ იქნას კვაზი-ფისკალური აქტივობების სამართლებრივი და მეთოდოლოგიური ჩარჩოს კომპლექსურობა და შესაბამისობა კონკურენტულ ნეიტრალურობასთან, კომერციულ მიზნებთან და საქმიანობის ჩარჩოსთან.

ი. აუდიტი, ანგარიშგება და გამჭვირვალობა

საერთაშორისო კარგი პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სახელმწიფო კორპორაციებმა, რამდენადაც შესაძლებელია, უნდა მოამზადონ თავიანთი ფინანსური უწყისები, უზრუნველყონ მათი აუდიტი და გამოაქვეყნონ ისინი შესადარისი კერძო სექტორის კომპანიების მსგავსად, რათა გაზარდონ კონკურენტული ნეიტრალურობის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხარისხი. საქართველოში ამჟამად არსებულ პრაქტიკას არეგულირებს ,,ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონი საქართველოს მთავრობის 2019 წლის 29 ნოემბრის #584 დადგენილებასთან ერთად და იგი დიდწილად შესაბამისობაშია საერთაშორისო კარგ პრაქტიკასთან. თუმცა, უნდა განხორციელდეს ღონისძიებები გაუმჯობესების მიმართულებით ცენტრალური თუ ადგილობრივი ხელისუფლების მფლობელობის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით:

- ყველა სახელმწიფო კორპორაციის ფინანსურ ანგარიშგებებში ასახული იქნება კვაზი-ფისკალური აქტივობები და დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციები, ე.ი. ტრანზაქციები კორპორაციებსა და მთავრობას და სხვა სახელმწიფო კორპორაციებს შორის.
- სახელმწიფო კორპორაციებმა ფინანსური ანგარიშგებები უნდა წარუდგინონ ქვეყნის პარლამენტს და ადგილობრივ საკრებულოს, რათა შეძლონ მათი ოფიციალურად განხილვა.

საქართველოში ამჟამად არსებული პრაქტიკა სახელმწიფო კორპორაციების მმართველობის ანგარიშების მომზადებასა და გამოქვეყნებასთან მიმართებით ასევე უმეტესწილად შესაბამისობაშია საერთაშორისო კარგ პრაქტიკასთან. თუმცა, ცენტრალური თუ ადგილობრივი ხელისუფლების მფლობელობის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით გაუმჯობესება შეეხება შემდეგ საკითხებს:

- მმართველობის ანგარიშებში წარმოდგენილი ინფორმაცია შესაბამისობაში იქნება დოკუმენტებში, მაგალითად, კორპორაციული განზრახვის განაცხადებში მოცემულ, ცენტრალური თუ ადგილობრივი ხელისუფლების მიერ დამტკიცებულ და სახელმწიფო კორპორაციების მიერ მიღებულ საქმიანობის ფინანსური და არაფინანსური მოთხოვნებთან.
- მმართველობის ანგარიშებში ასახული იქნება სამეთვალყურეო საბჭოს წევრების კვალიფიკაცია და გამოცდილება, მიმდინარე სამსახური და სხვა სამეთვალყურეო საბჭოს წევრობა და ინფორმაცია იმის

შესახებ, ისინი დამოუკიდებლებად განიხილებიან თუ - არა. ასევე გამჟღავნდება სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მონაწილეობა საბჭოსა და კომიტეტების სხდომებზე, და მათი და ასევე აღმასრულებელი პირების ჯამური და ინდივიდუალური ანაზღაურება.

- მმართველობის ანგარიშების მოთხოვნები ასევე გავრცელდება მესამე და მეოთხე კატეგორიის სახელმწიფო კორპორაციებზე.
- მმართველობის ანგარიშებს სახელმწიფო კორპორაციები ცნობისთვის წარუდგენენ პარლამენტს და ადგილობრივ საკრებულოებს ფინანსურ უწყისებთან ერთად.

ამასთან, საერთაშორისო კარგი პრაქტიკის შესაბამისად, სახელმწიფო კორპორაციებს ასევე მოეთხოვებათ წლის განმავლობაში რეგულარული ანგარიშგება ფინანსთა სამინისტროს და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების საფინანსო დეპარტამენტების წინაშე კორპორაციული განზრახვის განაცხადის მოთხოვნების შესაბამისად. ანგარიშგებაში მოცემული უნდა იყოს ის ინფორმაცია, რომელიც შესაძლოა არ აისახოს ფინანსურ უწყისებში ან მმართველობის ანგარიშებში, მაგალითად, კორპორაციისთვის კომერციულად ან სამართლებრივად სენსიტიური ინფორმაცია, ასევე კონფიდენციალური და უსაფრთხოების გამო გაუცხადებელი სხვა ინფორმაცია; და უფრო დეტალური და/ან ფართო სპექტრის ანალიზი ან დაზუსტებები. ფინანსთა სამინისტრო და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების საფინანსო დეპარტამენტები მოამზადებენ აგრეგირებულ ანგარიშებს, გამოაქვეყნებენ და წარუდგენენ მათ ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას, პარლამენტს და საკრებულოებს იმ კორპორაციებთან დაკავშირებით, რომლებზეც პასუხისმგებლებიც არიან, მათ შორის, აგრეგირებულ და შემაჯამებელ ინფორმაციას ცალკეულ კორპორაციებზე და ფინანსთა სამინისტროსა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების საფინანსო დეპარტამენტების მიერ მომზადებულ კომენტარებს მათ საქმიანობასა და პერსპექტივებზე. ფინანსთა სამინისტროს მიერ მომზადებულ და ქვეყნის პარლამენტში წარდგენილ ფისკალური რისკების ანალიზის წლიურ ანგარიშებში შეძლებისდაგვარად თავიდან უნდა იქნას არიდებული ხსენებულ აგრეგირებულ ანგარიშებში წარმოდგენილი ინფორმაციის დუბლირება, მათ შორის, ჯვარედინი დამოწმების სახითაც.

რეფორმის ფარგლებში გასატარებელი ძირითადი ღონისძიებები აუდიტთან, ანგარიშგებასთან და გამჭვირვალობასთან დაკავშირებით

უზრუნველყოფილ იქნას აუდიტის, ანგარიშგების და გამჭვირვალობის ძირითადი მოთხოვნების გათვალისწინება სახელმწიფო კორპორაციების შესახებ ჩარჩო კანონში ან *„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონში*

შემუშავდეს კანონქვემდებარე აქტები აუდიტთან, ანგარიშგებასა და გამჟღავნებასთან/გამჭვირვალობასთან დაკავშირებული კანონის მოთხოვნების აღსრულების მიზნით.

უზრუნველყოფილ იქნას აუდიტის, ანგარიშგების და გამჟღავნების/გამჭვირვალობის ჩარჩოს კომპლექსურობა და შესაბამისობა საქმიანობის ჩარჩოსთან.

თ. საპილოტე პროექტი/პილოტი საწარმოები

სტრატეგია საპილოტე პროექტის სახით რამდენიმე წინასწარ შერჩეულ სახელმწიფო კორპორაციაში განხორციელდება. საპილოტე პროექტის მთავარი მიზანი იქნება სტრატეგიის შემოწმება იმის უზრუნველსაყოფად, რომ ეს უკანასკნელი სათანადოდ და ეფექტიანად მოერგოს ქართულ კონტექსტს. ეს ხელს შეუწყობს სახელმწიფო კორპორაციების შესახებ ჩარჩო კანონისა და კანონქვემდებარე აქტების განვითარებასა და დახვეწას. სტრატეგიის ძირითადი კომპონენტების პრაქტიკაში განხორციელების შესაძლებლობა ასევე დაეხმარება დაინტერესებულ მხარეებს, დაიწყონ შესწავლა იმისა, თუ როგორ

შეასრულონ თავიანთი ახალი როლები და განავითარონ საჭირო პოტენციალი, კომპეტენცია და შესაძლებლობები.

საპილოტე პროექტისათვის შერჩეული სახელმწიფო კორპორაციებია: საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა, საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია და საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია. ეს სახელმწიფო კორპორაციები საპილოტე პროექტისათვის შეირჩა იმის გამო, რომ ისინი წარმოადგენენ კომპანიებს, რომელთა ფინანსური მდგომარეობა განსხვავებული სპეციფიკისაა, და რომლებსაც კომპლექსურობის და მმართველობის გამოწვევების განსხვავებული დონეები ახასიათებთ.

გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია ამჟამად არ კლასიფიცირდება როგორც სახელმწიფო კორპორაცია, არამედ კლასიფიცირებულია, როგორც სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული საწარმო, ძირითადად უწყვეტი ზარალის გამო. თუმცა, შესაძლოა არსებობდეს კომპანიის გონივრულ ვადაში სახელმწიფო კორპორაციად რეკლასიფიცირების პერსპექტივა მისი რესტრუქტურიზაციით და საქმიანობის შედეგების გაუმჯობესებით.

ქვემოთ ჩამოთვლილია სტრატეგიის ის ძირითადი კომპონენტები, რომლებიც საპილოტე პროექტის ფარგლებში დაიტესტება:

- *კორპორაციული მართვა:* ერთ-ერთ საპილოტე კორპორაციაში სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ან აღმასრულებელი პირების დანიშვნის ან ჩანაცვლების საჭიროების შემთხვევაში, მოხდება პროცესის ჰარმონიზაცია სტრატეგიით გათვალისწინებულ პროცედურებთან. საპილოტე კორპორაციებს ასევე მოეთხოვებათ საბჭოს შეფასებების უზრუნველყოფა, ისევე როგორც კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის უზრუნველყოფა, ეთიკის კოდექსის შემუშავება და შესაბამისობის უზრუნველყოფა.
- *საქმიანობის ჩარჩო.* შერჩეულ სახელმწიფო კორპორაციებს მოეთხოვებათ 2022-2025 წლების კორპორაციული განზრახვის განაცხადის შემუშავება და ფინანსთა სამინისტროსთან განხილვა, რაც შესაბამისობაში უნდა იყოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და საჯარო ინვესტიციების მართვის პროცესის პროგნოზებთან და მტკიცებებთან. ამ კორპორაციებმა ასევე უნდა მოამზადონ და დაამტკიცონ თავიანთი კორპორაციული განზრახვის განაცხადის შესაბამისი სტრატეგიული გეგმა. შერჩეულ სახელმწიფო კორპორაციებს მოეთხოვებათ კორპორაციული განზრახვის განაცხადთან მიმართებით თავიანთი საქმიანობის შედეგების კვარტალური ანგარიშგება ფინანსთა სამინისტროს წინაშე.
- *კონკურენტული ნეიტრალურობა.* შესაძლებლობის ფარგლებში გატარდება ღონისძიებები, ისე რომ შერჩეულმა სახელმწიფო კორპორაციებმა კონკურენტულად ნეიტრალურ მარეგულირებელ გარემოში იმოქმედონ. თუ აღნიშნულის მიღწევა აღმოჩნდება შეუძლებელი (მაგალითად, კანონმდებლობის მიზეზით, რომელიც მხოლოდ პარლამენტმა შეიძლება შეცვალოს), სახელმწიფო კორპორაციასა და სახელმწიფო ბიუჯეტს შორის განხორციელდება ტრანსფერები კონკურენტული ნეიტრალურობის უზრუნველსაყოფად.
- *კვაზი-ფისკალური აქტივობები.* შერჩეულ სახელმწიფო კორპორაციებზე მიეცემათ ტრანსფერები იმ კვაზი-ფისკალური აქტივობების ხარჯების კომპენსირების მიზნით, რომლებიც ცხადად ნებადართულია კორპორაციული განზრახვის განაცხადით.
- *აუდიტი, ანგარიშგება და გამჟღავნება/გამჭვირვალობა.* საპილოტე კორპორაციებს მოეთხოვებათ (ასეთის არარსებობის შემთხვევაში) აუდიტის კომიტეტის შექმნა შიდა აუდიტის ფუნქციისა და გარე აუდიტის ზედამხედველობისთვის. საპილოტე პროექტის სახით განხორციელდება სახელმწიფო კორპორაციის საქმიანობის შედეგების შესახებ ინფორმაციისა და კვაზი-ფისკალური აქტივობების აუდიტი. შერჩეული სახელმწიფო კორპორაციები უნდა შეეცადონ, შეასრულონ ინფორმაციის გამჟღავნების შეთავაზებული მოთხოვნები. საპილოტე პროექტიდან მიღებულ ინფორმაციას ფინანსთა სამინისტრო გამოიყენებს იმ ანგარიშის დასახვეწად, რომელსაც ის უკვე ამზადებს ფისკალური რისკების ანალიზის ანგარიშის ნაწილის სახით.

- *სახელმწიფო კორპორაციის ფლობის ორგანო.* საპილოტე პროექტის განმავლობაში ფინანსთა სამინისტრო იკისრებს ფლობის ორგანოს პასუხისმგებლობებს.

რეფორმის ფარგლებში გასატარებელი ძირითადი ღონისძიებები საპილოტე პროექტთან დაკავშირებით

უზრუნველყოფილ იქნას შერჩეული სახელმწიფო კორპორაციების ინფორმირება და მათგან თანხმობის მიღება საპილოტე პროექტში მონაწილეობაზე.

შერჩეულ სახელმწიფო კორპორაციებში გატარდეს კორპორაციული მართვის საპილოტე ღონისძიებები.

საპილოტე პროექტის გამოცდილება გამოყენებულ იქნას სახელმწიფო კორპორაციების შესახებ ჩარჩო კანონის პროექტის დასახვეწად.

კ. სახელმწიფო კორპორაციების შესახებ ჩარჩო კანონი

საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საქართველოში სახელმწიფო კორპორაციების კომპლექსური, ძლიერი და მდგრადი რეფორმის გასატარებლად, საჭიროა პარლამენტმა მიიღოს ჩარჩო კანონი სახელმწიფო კორპორაციების შესახებ. აღნიშნულის მიზეზი არის ის, რომ საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“ და კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საკმარისად არ ითვალისწინებს ცენტრალური თუ ადგილობრივი ხელისუფლების მიერ საწარმოთა ფლობასთან დაკავშირებულ კონკრეტულ გარემოებებს, და აქედან გამომდინარე, საჭიროა მათი დახვეწა. თუმცა, კარგი საერთაშორისო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სახელმწიფო კორპორაციების შესახებ ჩარჩო კანონი კერძო სექტორის ფირმებთან დაკავშირებით მოქმედ ზოგადი კანონმდებლობის საფუძვლებს უნდა დაეყრდნოს. შესაბამისად, საქართველოში სახელმწიფო კორპორაციების შესახებ ჩარჩო კანონი შეავსებს და გააუმჯობესებს,,მეწარმეთა შესახებ” და ,,ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” კანონებს და არ შეასუსტებს მათ გავრცელებას სახელმწიფო კორპორაციებზე.

საქართველოში სახელმწიფო კორპორაციების შესახებ ჩარჩო კანონი მოახდენს წინამდებარე სტრატეგიაში გამოყოფილი იმ ძირითადი კომპონენტების ასახვას, რაც არ არის დაფარული ,,მეწარმეთა შესახებ'' და,,ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” კანონებში. აღნიშნული მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- სახელმწიფო კორპორაციის განმარტება და კანონის გამოყენების არეალი.
- ინსტიტუციონალური წყობა და მმართველობის პროცედურები როგორც მფლობელის, ისე სამეთვალყურეო საბჭოს დონეზე.
- სახელმწიფო კორპორაციის ფლობის რაციონალური საფუძველი და მისი ასახვა ფლობის პოლიტიკის განაცხადში.
- სახელმწიფო კორპორაციების ძირითადი და მეორადი ამოცანები.
- კონკურენტული ნეიტრალურობის, მათ შორის, კვაზი-ფისკალური აქტივობების რეგულირების პრინციპები.
- სახელმწიფო კორპორაციების საქმიანობის ზედამხედველობისა და კონტროლის განსახორციელებლად საჭირო მოთხოვნები.
- სახელმწიფო კორპორაციების ძირითადი ტრანზაქციების მართვის ფორმა.

- სამეთვალყურეო საბჭოს წევრის დანიშვნის, გათავისუფლების, შეფასების, ანაზღაურების, როლების და პასუხისმგებლობების ჩარჩო.
- სახელმწიფო კორპორაციებისა და მათი მფლობელი ორგანოებისთვის (ცენტრალური ან ადგილობრივი მფლობელი ორგანოები) განსაზღვრული გამჟღავნების/გამჭვირვალობის მოთხოვნები.
- ფინანსური და საქმიანობის შედეგების შესახებ ინფორმაციის აუდიტთან დაკავშირებული მოთხოვნები.
- სანქციები დარღვევებისთვის.

კანონპროექტის შესახებ კონსულტაციები გაიმართება დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის, სახელმწიფო კორპორაციებთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან და ძირითად დონორებთან, ასევე ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების შესაბამის ორგანოებთან კანონპროექტის პარლამენტში წარდგენამდე. ამასთან, საპილოტე პროექტიდან მიღებული გამოცდილება გამოყენებულ იქნება კანონპროექტის დასახვეწად.

რეფორმის ფარგლებში გასატარებელი ღონისძიებები სახელმწიფო კორპორაციების ჩარჩო კანონთან დაკავშირებით

შემუშავდეს სახელმწიფო კორპორაციების შესახებ ჩარჩო კანონის პროექტი.

დაინტერესებულ მხარეებთან გაიმართოს კონსულტაციები კანონის პროექტთან დაკავშირებით.

კანონის პროექტი წარედგინოს პარლამენტს.

შემუშავდეს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების კანონქვემდებარე აქტები (განკარგულებები) და ფინანსთა სამინისტროსა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების საფინანსო დეპარტამენტების ინსტრუქციები.

დანართი 1: გამოყენებული ლიტერატურა

ADB (აზიის განვითარების ბანკი), *რეფორმები, სახელმწიფო საწარმოების შესაძლებლობები და გამოწვევები.*

IMF (საერთაშორისო სავალუტო ფონდი) ფისკალური საკითხების დეპარტამენტი, *როგორ გავაუმჯობესოთ სახელმწიფო კორპორაციების ფინანსური ზედამხედველობა.*

OECD (ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია), *სახელმწიფო საწარმოების კორპორაციული მართვის სახელმძღვანელო პრინციპები./გაიდლაინები*

OECD (ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია), *კონკურენტული ნეიტრალურობა: საჯარო და კერძო ბიზნესებისთვის თანაბარუფლებიანი მონაწილეობის შესაძლებლობის შენარჩუნება.*

მსოფლიო ბანკი, *სახელმწიფო საწარმოების კორპორაციული . მართვა ინსტრუმენტების ნაკრები.*

ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის.

G20/OECD სამთავრობათაშორისო ფორუმის და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის კორპორაციული მართვის პრინციპები.

სახელმწიფო საწარმოთა კორპორაციული მართვის პრაქტიკების შესახებ ანგარიში

შეჯამება

უკანასკნელ წლებში სახელმწიფო საწარმოთა მიერ განცდილი წარუმატებლობის მიზეზები კომპლექსურია. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რომელმაც მოახდინა საწარმოთა მასშტაბური ზარალის პროვოცირება უნდა იყოს არსებული ფლობის მოდელი. სახელმწიფო საწარმოებისთვის ხშირად დამახასიათებელია დარგობრივი პოლიტიკის განმსაზღვრელი სამინისტროების და ზოგადად პოლიტიკური გავლენები *(სახელმწიფო საწარმოზე პოლიტიკური გავლენების არსებობა ბუნებრივია, ჩვენ ვფოკუსირდებით ისეთ გავლენებზე, რამაც შესაძლოა საწარმოში გამოიწვიოს არაეფექტურობები),* ამ მხრივ საქართველოს მოცემულობაც არ არის განსხვავებული. აღნიშნულის დასაბალანსებლად აუცილებელია აქციონერის ძლიერი ინსტიტუტი, რაც ჩვენს შემთხვევაში არ არსებობს და ამ ფუნქციის შესრულება არ ხორციელდება. აქციონერის ფუნქციის არარსებობას მოყვება მთელი რიგი არაეფექტურობები უშუალოდ საწარმოების დონეზე.

საწარმოთა დიდ ნაწილში არ არსებობს სამეთვალყურეო საბჭო. იქ სადაც შექმნილია საბჭო, არ დასტურდება მათი დამოუკიდებლობა. კორპორაციული მართვის კარგი პრაქტიკები სრულად არცერთ საწარმოში არ არის დანერგილი. თუმცა, "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაში" მიმდინარე რეფორმები იძლევა ოპტიმიზმის საფუძველს, რომ კომპანია მიაღწევს სრულ შესაბამისობას კორპორაციული მართვის კარგ პრაქტიკებთან და გახდება წარმატების მოდელი სხვა მსხვილი საწარმოებისთვის.

საქართველოში სახელმწიფო საწარმოთა სექტორის სპეციფიკის გათვალისწინებით ცენტრალიზებული ფლობის მოდელმა უნდა უზრუნველყოს ყველა იმ არაეფექტურობის აღმოფხვრა, რაც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ. ამასთან, გასაცემია შეკითხვაზე პასუხი რომელმა ორგანომ უნდა შეითავსოს ეს ფუნქცია, ან ხომ არ უნდა დაფუძნდეს სხვა ახალი ერთეული.

ამ მხრივ, მსოფლიოში არსებობს რამდენიმე წარმატებული მოდელი. იმის გათვალისწინებით, რომ ფინანსთა სამინისტროს ბუნებრივად აქვს განსაზღვრული ფისკალური ზედამხედველის ფუნქცია და ამავე დროს დარგობრივი სამინისტროებისგან განხვავებით წარმოადგენს ნეიტრალურ ორგანოს, ფინანსთა სამინისტროსთვის აქციონერის ფუნქციის მინიჭება მართებული იქნება.

უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო საწარმოებზე ვრცელდება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზუსტად ის ნორმები რაც კერძო სექტორზე, რაც წარმოადგენს საუკეთესო პრაქტიკას.

გადასადგმელია ნაბიჯები სამართლებრივი ჩარჩოს შექმნის/დახვეწის მიზნით. სახელმწიფო საწარმოების შესახებ მარეგულირებელი ნორმები გაფანტულია სხვადასხვა კანონებსა და სამართლებრივ აქტებში, რომელთა ნაწილი შესაძლოა მოძველებულია და არ შეესაბამება კარგ პრაქტიკებს. აუცილებელია შემუშავდეს ერთიანი, ყოვლისმომცველი სახელმწიფო საწარმოთა შესახებ კანონი და მისგან გამომდინარე კანოქვემდებარე აქტები, რომელიც სისტემურად დაარეგულირებს სახელმწიფო საწარმოთა საკითხებს და უზრუნველყოფს სექტორში განხორციელებული რეფორმების შედეგების შენარჩუნებას და შემდგომ გაუმჯობესებას.

ზოგადი მიმოხილვა

სახელმწიფო საწარმოები საქართველოში მოქმედებენ როგორც სააქციო საზოგადოების, ისე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით და რეგულირდებიან „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის და ,,სახელმწიფო ქონების შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად. მათ გააჩნიათ პოტენციალი შეასრულონ წამყვანი როლი ეკონომიკის გარკვეული დარგების განვითარებაში და სახელმწიფოს სტრატეგიული ინტერესების დაცვაში.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აწარმოებს ცენტრალური მთავრობისა და ადგილობრივი მთავრობების წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების რეესტრს, რომელიც ეყრდნობა სახელმწიფო სტრუქტურების, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის და სხვა ადმინისტრაციული წყაროების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას.

2020 წელს მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით ფისკალური რისკების ანალიზისთვის მნიშვნელოვან საწარმოთა რიცხვმა 352 შეადგინა, რომელთაგან 179 ცენტრალური ხელისუფლების, ხოლო 173 ადგილობრივი ხელისუფლების საკუთრებაშია. ამასთან, რიგ საწარმოებს ჯამურად დაარსებული აქვთ 82 შვილობილი კომპანია. საწარმოთა სიაში შესულია ცენტრალური მთავრობის ყველა საწარმო და ისეთი მუნიციპალური საწარმოები, რომელშიც მუნიციპალიტეტის წილი 25%-ზე მეტია, წლიური ბრუნვა აღემატება 200 ათას ლარს, ან გაცემული წლიური ხელფასი აღემატება 15 ათას ლარს.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ იურიდიული პირის საზოგადოებრივი დაინტერესების პირად განსაზღვრის კრიტერიუმების მოთხოვნების გათვალისწინებით ამ დროისთვის საზოგადოებრივი დაინტერესების პირად (სდპ) განსაზღვრულია 48 სახელმწიფო საწარმო.

სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების საქმიანობა განაწილებულია 12 სექტორს შორის, ამასთან, საწარმოთა ერთობლივი შემოსავლის 52 და 28 პროცენტი მოდის ენერგეტიკისა და ტრანსპორტის სექტორებზე.

სამართლებრივი ჩარჩო, ფლობის მოდელი

საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტების და პრაქტიკის თანახმად, სახელმწიფოს უნდა გააჩნდეს სამართლებრივი და მარეგულირებელი ჩარჩო სახელმწიფო საწარმოებისთვის, რომელიც დაადგენს მკაფიო პრინციპებს და ნორმებს მათი საქმიანობისთვის. სამართლებრივი ჩარჩო უნდა უზრუნველყოფდეს საუკეთესო ბალანსის მიღწევას სახელმწიფოს საზედამხედველო/ფლობის ფუნქციასა და სახელმწიფო საწარმოების დამოუკიდებლობას შორის. ფლობის ნიშნით დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და თანაბარი პირობების უზრუნველსაყოფად კარგ პრაქტიკას წარმოადგენს ქვეყანაში არსებული ზოგადი სამეწარმეო კანონმდებლობის სახელმწიფო საწარმოებზე გავრცელება, რაც წაახალისებს კონკურენტული გარემოს შექმნას სახელმწიფო საწარმოებსა და კერძო კომპანიებს შორის[10].

---

10 წყარო: ,,Corporate Governance of State-Owned Enterprises in Europe and Central Asia“, CFRR, World Bank Group, 2020, გვ.15-16

საქართველოში სახელწიფო საწარმოების საქმიანობა რეგულირდება ზოგადი სამეწარმეო კანონმდებლობით, მაგალითად, მათზე ვრცელდება საქართველოს კანონი ,,მეწარმეთა შესახებ". აღნიშნული კანონი იცნობს სახელმწიფოს, როგორც სამეწარმეო სუბიექტის ხმის უფლების, აქციების, წილის მფლობელს, თუმცა კანონში ტერმინი ,,სახელმწიფო საწარმო" არ გვხვდება. კანონი არასავალდებულო ნორმის სახით განსაზღვრავს სამეთვალყურეო საბჭოს შექმნის საკითხს იმ საწარმოებში, სადაც სახელმწიფო ფლობს ხმათა საერთო რაოდენობის 50%-ზე მეტს, კერძოდ, კანონის 46-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად *,,იმ საზოგადოებაში, რომელშიც სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა ფლობს ხმათა საერთო რაოდენობის 50%-ზე მეტს, საქართველოს მთავრობის, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით შეიძლება შეიქმნას სამეთვალყურეო საბჭო."* ამასთან, სახელმწიფოს, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენელი სამეთვალყურეო საბჭოში შესაძლებელია იყოს საჯარო მოსამსახურე, თუ მას კონკრეტულ საწარმოსთან ინტერესთა კონფლიქტი არ აქვს. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, რომელიც იმავდროულად არის საჯარო მოსამსახურე, დაკისრებულ მოვალეობებს სათანადო ანაზღაურების გარეშე ასრულებს და მისი საქმიანობა საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობად არ ჩაითვლება. გარდა ამისა, აღნიშნული კანონი აწესრიგებს ხელმძღვანელი პირის თანამდებობაზე დანიშვნისა და გათავისუფლების საკითხს, კერძოდ, კანონის 46-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად *,,იმ საწარმოში, რომელშიც სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა ფლობს ხმათა საერთო რაოდენობის 50%-ზე მეტს, ხელმძღვანელი პირის თანამდებობაზე დანიშვნა და თანამდებობიდან გათავისუფლება სამეთვალყურეო საბჭომ საწარმოს ხმების 50%-ზე მეტის მფლობელ აქციონერს უნდა შეუთანხმოს."*

„მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 182-ე მუხლი განსაზღვრავს სააქციო საზოგადოებაში სამეთვალყურეო საბჭოს სავალდებულოდ შექმნის საფუძვლებს. აღნიშნული მუხლის მე-3 პუნქტი მიუთითებს, რომ თუ სააქციო საზოგადოება არის „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ანგარიშვალდებული საწარმო, რომლის ფასიანი ქაღალდები სავაჭროდ არის დაშვებული საფონდო ბირჟაზე, ან თუ სააქციო საზოგადოება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ არის ლიცენზირებული, სავალდებულოა არანაკლებ 3 და არაუმეტეს 21 წევრისგან შემდგარი სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა.

,,მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 78-ე მუხლი არეგულირებს სამეწარმეო საზოგადოების დაშლის წესსა და საფუძვლებს. აღნიშნული მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, *,,იმ საწარმოს დაშლის წესს, რომლის აქციების ან წილის 50%-ზე მეტს ფლობს სახელმწიფო, ამტკიცებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი, ხოლო იმ საწარმოს დაშლის წესს, რომლის აქციების ან წილის 50%-ზე მეტს ფლობს აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, – აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის სფეროში უფლებამოსილი შესაბამისი მინისტრი."* კანონის 254-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით აღნიშნული წესის დამტკიცება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა/აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის სფეროში უფლებამოსილმა შესაბამისმა მინისტრმა უნდა უზრუნველყოს 2021 წლის 1 ნოემბრამდე.

„სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ქონების მართვასა და განკარგვას ახორციელებს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო. ამავე მუხლის მიხედვით, ქონების სააგენტო ახორციელებს აგრეთვე მისთვის

საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს, მათ შორის, ხელს უწყობს დაინტერესებული ფიზიკური პირებისა და საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირების ქონების განკარგვას.

აღნიშნული კანონის თანახმად, სახელმწიფო ქონების მართვასა და განკარგვასთან დაკავშირებულ სახელმწიფო პოლიტიკას განსაზღვრავს და წარმართავს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. კანონის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტი განმარტავს, რომ სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოს პარტნიორის (აქციონერის) უფლებამოსილებებს ახორციელებს ქონების მმართველი, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოს კაპიტალში სახელმწიფო ქონების, მათ შორის, წილებისა და აქციების, ასევე ფულადი შენატანის (შენატანების) განხორციელების შესახებ. ამავე კანონის თანახმად, ქონების მმართველი შეიძლება იყოს სამინისტრო, ქონების სააგენტო ან მათ მიერ დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედი ორგანო, სახელმწიფო ქონებით მოსარგებლე პირი (გარდა ფიზიკური პირისა და კერძო სამართლის იურიდიული პირისა), რომელიც ახორციელებს „სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული წესითა და ფორმით. კანონის 39-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოს წილების/აქციების „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით შესყიდვის/გამოსყიდვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა.

გამჭვირვალობის პრინციპის დაცვისა და კორუფციასთან ბრძოლის მიზნით, ,,საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განისაზღვრება იმ სახელმწიფო საწარმოთა ჩამონათვალი, რომელთა თანამდებობის პირებსაც ამავე კანონით ევალებათ თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსება და წარდგენა. სახელმწიფო საწარმოებთან მიმართებით თანამდებობის პირის ცნებას შემდეგნაირად განმარტავს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის გ) ქვეპუნქტი: *იმ საწარმოს ხელმძღვანელი, რომლის აქციათა ან წილის 100 პროცენტს ფლობს სახელმწიფო ორგანო ან მუნიციპალიტეტი/მუნიციპალიტეტები, აგრეთვე ამ საწარმოს შვილობილი საწარმოს ხელმძღვანელი.*

საჯარო ფინანსების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფისა და ეფექტური კონკურენციის ხელშეწყობის მიზნით ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონი ვრცელდება იმ საწარმოებზე, რომელთა აქციების ან წილის 50%-ზე მეტს ფლობს სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტი/მუნიციპალიტეტები. კერძოდ, აღნიშნული კანონის მე-3 მუხლის 1 პუნქტის ა.თ) ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვად მიიჩნევა აღნიშნული კანონით დადგენილ შემთხვევებში ელექტრონული ან სხვა საშუალებების გამოყენებით შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ნებისმიერი საქონლის, მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოს შესყიდვა იმ საწარმოს სახსრებით, რომლის აქციათა ან წილის 50%-ზე მეტს ფლობს სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტი/მუნიციპალიტეტები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული საწარმო თავისი საქმიანობის სპეციფიკასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების შესყიდვისას ხელმძღვანელობს საქართველოს მთავრობის მიერ ამ საქონლის ან მომსახურების შესყიდვისთვის დადგენილი სპეციალური წესით, რომლის მოქმედების ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს 2 წელს. ამასთან, საქართველოს მთავრობის მიერ სპეციალური წესის დაუდგენლობის შემთხვევაში შესყიდვა უნდა განხორციელდეს აღნიშნული კანონის შესაბამისად.

სახელმწიფო საწარმოების ანგარიშვალდებულებისა და ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით, სახელმწიფო საწარმოების ეკონომიკური საქმიანობა ექვემდებარება სახელმწიფო აუდიტის

სამსახურის მიერ შემოწმებას. ,,სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის ი) ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო აუდიტის სამსახური ამოწმებს იმ კერძო სამართლის იურიდიული პირის საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობას, რომელშიც ავტონომიური რესპუბლიკა ან/და მუნიციპალიტეტი/მუნიციპალიტეტები ფლობს/ფლობენ წილის/აქციების 50 პროცენტს და 50 პროცენტზე მეტს, აგრეთვე სახელმწიფოს მიერ 50 პროცენტი და 50 პროცენტზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი კერძო სამართლის იურიდიული პირის საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობას, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ამ საწარმოს ფასიანი ქაღალდები – აქცია, წილი განთავსებულია ფასიანი ქაღალდების საერთაშორისო საფონდო ბირჟაზე. ამ საწარმომ ინფორმაცია თავისი ფინანსური ანგარიშგების შესახებ, მოთხოვნისამებრ, უნდა წარუდგინოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურს.

საერთაშორისო ვალდებულების შესრულებისა და სახელმწიფო საწარმოთა ფინანსური შედეგების შესახებ ინფორმაციის ადრეული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 11 თებერვლის N217 განკარგულებით განსაზღვრულია საზოგადოებრივი დაინტერესების პირად იდენტიფიცირებული სახელმწიფო საწარმოების მიერ აუდიტირებული ფინანსური და სხვა სახის ანგარიშგებების ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისთვის საანგარიშგებო პერიოდის მომდევნო წლის 1 ივლისამდე წარდგენის, ხოლო არააუდიტირებული ფინანსური და სხვა სახის ანგარიშგებების საანგარიშგებო პერიოდის მომდევნო წლის 1 აპრილამდე წარდგენის ვალდებულება. ამასთან, ,,ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, სდპ-ები ვალდებულები არიან ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება აწარმოონ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად.

კორპორაციული მართვის საუკეთესო სტანდარტების მიხედვით მნიშვნელოვანია საწარმოში შიდა უდიტის ერთეულის ჩამოყალიბება შიდა კონტროლის, რისკის მართვისა და მართვის სისტემების ეფექტიანობისა და ქმედითობის უზრუნველსაყოფად. ,,სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონი არაიმპერატიული ნორმის სახით განსაზღვრავს შიდა აუდიტის სუბიექტის შექმნის შესაძლებლობას იმ კერძო სამართლის იურიდიულ პირებში, რომელთა აქციების ან წილის 50%-ზე მეტს ფლობს სახელმწიფო.

როგორც უკვე აღინიშნა, სახელმწიფო საწარმოები საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობენ ,,მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სს ,,საპარტნიორო ფონდი'' წარმოადგენს ერთადერთ სახელმწიფო საწარმოს, რომლის საქმიანობის რეგულირებისთვის მიღებულია ცალკე კანონიც - ,,სააქციო საზოგადოების - საპარტნიორო ფონდის შესახებ" საქართველოს კანონი.

საქართველოში სახელმწიფო საწარმოების ფლობის მოდელი შეიძლება კლასიფიცირდეს უმთავრესად დუალისტურ მოდელად. აღნიშნული მოდელი გულისხმობს ფლობის პასუხისმგებლობებისა და უფლებამოსილებათა გადანაწილებას ცენტრალიზებულ მაკოორდინებელ ორგანოსა და შესაბამისი სექტორის სამინისტროებს შორის.

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის №391 დადგენილებით დამტკიცებული დებულებით განსაზღვრულია სააგენტოს მიზნები, მათ შორის, ერთ-ერთი მიზანია სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებში პარტნიორის/აქციონერის

უფლებამოსილების განხორციელება. შესაბამისად, როგორც პარტნიორი, დებულების თანახმად იგი იღებს გადაწყვეტილებებს შემდეგ საკითხებზე:

ა) სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოს კაპიტალში ცვლილების განხორციელება;

ბ) საწარმოების ბიზნეს-გეგმების დამტკიცება;

გ) საწარმოების მიერ სასესხო ვალდებულებების და კრედიტების აღება;

დ) საწარმოების მიერ ფილიალების დაფუძნება/ლიკვიდაცია;

ე) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, საწარმოების წმინდა მოგების განაწილების მიზნით საკითხის მომზადება;

ვ) საწარმოების რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია, რეაბილიტაციისა და გაკოტრების საქმის წარმოების გახსნა;

ზ) საწარმოებში ინვესტიციების დაბანდება;

თ) საწარმოების ქონების დროებით სარგებლობაში გადაცემა, ჩამოწერა, გაყიდვა, გირაოთი, იპოთეკით და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სხვა ფორმებით დატვირთვა.

სააგენტოს, როგორც მაკოორდინებელი ორგანოს, არსებობა დუალისტური მოდელისთვის არის დამახასიათებელი. მაკოორდინებელი ორგანო სხვა სამინისტროსთან ერთად უნდა ახორციელებდეს პარტნიორის უფლებამოსილებას (უფლებამოსილებები სააგენტოსა და სამინისტროებს შორის უნდა იყოს გადანაწილებული და არა სრულად დელეგირებული). ფაქტობრივად კი, პარტნიორის ყველა უფლებამოსილებას ახორციელებენ შესაბამისი სამინისტროები. ამასთან, სააგენტო არც კოორდინაციისა და ზედამხედველობის ფუნქციას ასრულებს, რისთვისაც აუცილებელია მართვის უფლებით გადაცემულ საწარმოთა შესახებ შესაბამისი ინფორმაციის არსებობა. სააგენტოს რეპორტინგის სისტემა მხოლოდ მის მმართველობის სფეროში შემავალი საწარმოების მიმართ აქვს. საწარმოთა მართვის ერთადერთი ბერკეტი სააგენტოს მხრიდან არის ის, რომ სამინისტროებს სააგენტოს თანხმობის გარეშე არ შეუძლიათ საწარმოთა განკარგვა, ლიკვიდაცია, გაკოტრება, ქონების რეალიზაცია, კაპიტალში შეტანა ან/და კაპიტალიდან ამოღება, გადაუდებელი შესყიდვების განხორციელება, დირექტორის ცვლილება და ა.შ. (მაგალითად, რიგ საწარმოებთან მიმართებით სამინისტროებს, ასევე, არ აქვთ სესხების აღებისა და ინვესტიციების განხორციელების უფლება სააგენტოს თანხმობის გარეშე)11

სახელმწიფო საწარმოების ზედამხედველობისა და პარტნიორის/აქციონერის უფლებამოსილების ეფექტიანად და ქმედითად განხორციელებისთვის, მნიშვნელოვანია სახელმწიფო საწარმოთა საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ფლობის მოდელის დანერგვა. ,,ეკონომიკური განვითარების და თანამშრომლობის ორგანიზაციის" (OECD) სახელმძღვანელო პრინციპები მიუთითებს სახელმწიფოს აქციონერის/პარტნიორის ფუნქციის ცენტრალიზებასა და ამ როლის განმახორციელებელი შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს განსაზღვრაზე. ასეთი მოდელის არსებობა უზრუნველყოფს, მათ შორის, სახელმწიფოს, როგორც აქციონერის/პარტნიორის როლის გამიჯვნას

11 წყარო: სახელმწიფო აუდიტის სამსახური, სახელმწიფო საწარმოების მართვისა და განკარგვის ეფექტიანობის აუდიტი; 2015 წელი; გვ. 30-31

პოლიტიკის გამტარებლის/მარეგულირებლის როლისგან, რაც წარმოადგენს კარგ პრაქტიკას. ასევე მნიშვნელოვანია სპეციალიზებული ექსპერტული ცოდნის, უნარებისა და გამოცდილების ერთ სახელმწიფო ორგანოში თავმოყრისთვის. ამასთან, აღნიშნულ მოდელს ახასიათებს უფრო მოქნილი და ძლიერი ზედამხედველობა, რაც უზრუნველყოფს სახელმწიფო საწარმოებიდან საკმარისი და დროული ინფორმაციის მიღებას, პრობლემების ოპერატიულად იდენტიფიცირებას და მათი მოგვარების პრაქტიკის უნიფიკაციას12.

სახელმწიფო საწარმოთა რეფორმის სტრატეგია

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ საერთაშორისო პარტნიორ ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობით შეიმუშავა სახელმწიფო საწარმოთა რეფორმის სტრატეგიის პროექტი და აგრძელებს მუშაობას მის დახვეწაზე. სტრატეგიის პროექტი ეფუძნება OECD-ს, IMF-ის, WB-ს და ADB-ს საუკეთესო გამოცდილებებს. ამასთან, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 7 აპრილის N156 დადგენილებით შეიქმნა სახელმწიფო საწარმოთა რეფორმის საბჭო, რომელიც დაკომპლექტებულია საქართველოს მთავრობის და საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლებით. საბჭო საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად წარუდგენს სახელმწიფო საწარმოთა რეფორმის სტრატეგიას და განსაზღვრავს რეფორმის პილოტ საწარმოებს.

რეფორმა შედგება 5 ძირითადი სვეტისგან:

კორპორაციული მართვა - გულისხმობს სახელმწიფო საწარმოებში კორპორაციული მართვის სტანდარტების დანერგვას OECD-ის სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად. ამ თვალსაზრისით, უმთავრესად მიგვაჩნია გამჭვირვალე პროცედურებით საწარმოთა სამეთვალყურეო საბჭოების დამოუკიდებელი წევრებით დაკომპლექტება. ამ მხრივ წარმატებული პილოტირება უკვე განხორციელდა სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაში“.

კომერციულობა, როგორც საწარმოს უმთავრესი მიზანი - დღეს რიგ შემთხვევებში სახელმწიფო საწარმოები საქმიანობას არ ახორციელებენ სრულად კომერციული მიზნების შესაბამისად და ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რასაც სხვა კერძო სექტორის კომპანია არ განახორციელებდა. სახელმწიფო საწარმოთა უპირველეს ამოცანად უნდა განისაზღვროს მოგებაზე ორიენტირებულობა, იდენტიფიცირდეს და შეიზღუდოს მათი ჩართვა არამომგებიან აქტივობებში, გარდა საჯარო ინტერესების მატარებელი აქტივობებისა, რომელიც სრულად და გამჭვირვალედ უნდა იყოს კომპენსირებული ბიუჯეტიდან, რათა აღნიშნული აქტივობები არ იქცეს საწამოების ფინანსურ ტვირთად. ბუნებრივია, იმ დაშვებით, რომ სხვა სახის საოპერაციო არაეფექტურობა აღმოფხვრილი იქნება.

კონკურენციის ხელშეწყობა - სახელმწიფოს მიერ საწარმოს ფლობა არ უნდა ანიჭებდეს კომპანიას რაიმე სახის უპირატესობას ან უქმნიდეს მას არახელსაყრელ მდგომარეობას. მაგალითად, შესაძლოა საწარმოს საქმიანობის კონკრეტული მიმართულება ხელს უშლიდეს სექტორში კერძო კომპანიის შემოსვლას და

12 წყარო:,,Corporate Governance of State-Owned Enterprises in Europe and Central Asia“, CFRR, World Bank Group, 2020, გვ.85-86; Corporate Governance of State-Owned Enterprises: A Toolkit (2014), World Bank Group, გვ.78; სახელმწიფო აუდიტის სამსახური, სახელმწიფო საწარმოების მართვისა და განკარგვის ეფექტიანობის აუდიტი; 2015 წელი; გვ. 27-28

სექტორის შემდგომ განვითარებას. ასეთი სახის აქტივობა უნდა გასხვისდეს ან გამოინახოს ალტერნატიული გზები კონკურენტული ნეიტრალურობის დარღვევის აღმოსაფხვრელად.

სახელმწიფო საწარმოთა ფლობის მიზანი, მონაწილეობის ზომის რაციონალურობა - სახელმწიფოს უნდა გააჩნდეს მკაფიოდ განსაზღვრული პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფოს მიერ კონკრეტულ სექტორში საწარმო(ები)ს ფლობის მიზანშეწონილობას, მათი შენარჩუნების საჭიროებას და შეაფასებს როდის არის დასაშვები და გამართლებული ახალი საწარმოს დაფუძნება, ასევე განსაზღვრავს საწარმოს არასრულად ფლობის (მაგალითად, მინორიტარული წილის) რაციონალურობას. ზოგადად, სახელმწიფო საწარმოს ფლობა/დაფუძნება გამართლებულია თუ აღნიშნული წარმოადგენს კონკრეტული კრიტიკული სერვისის მიწოდების საუკეთესო და რაციონალურ გადაწყვეტას;

კორპორაციული მიზნების მართვა - სახელმწიფოს, როგორც აქციონერს უნდა გააჩნდეს გარკვეული ჩარჩო თავისი კომპეტენციის ფარგლებში კომპანიის სამართავად, ასეთ ინსტრუმენტად შემოგვაქვს კორპორაციული განზრახვის განაცხადი, ე.წ. Statement of Corporate Intent SCI). დოკუმენტის შესრულებაზე ანგარიშვალდებულია საწარმოს სამეთვალყურეო საბჭო. დოკუმენტი განსაზღვრავს კომპანიის საქმიანობის სფეროს და მასშტაბს, ძირითად ფინანსურ და არაფინანსურ ინდიკატორებს - ე.წ. KPI-ებს, რისკების ლიმიტებს, არაკომერციულ აქტივობებს, რომლებიც პოტენციურად უნდა დაფინანსდეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, დაგეგმილ მსხვილ ტრანზაქციებს. შემდგომში, სახელმწიფო საწარმოს სამეთვალყურეო საბჭო აღნიშნულ დოკუმენტზე დაყრდნობით ახორციელებს აქციონერთან მისი შესრულების ანგარიშგებას, რაც შეიძლება გახდეს საბჭოს წახალისების ან სანქცირების საფუძველი.

აღსანიშნავია, რომ ახლახან გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაში შემუშავდა და დამტკიცდა კორპორაციული განზრახვის განაცხადი და აღნიშნულით ქვეყანაში შეიქმნა პირველი პრეცენდენტი. დოკუმენტს ვურთავთ დანართის სახით.

სახელმწიფო საწარმოთა კორპორაციული მართვის კოდექსი

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ საერთაშორისო პარტნიორი ორგანიზაციების მხარდაჭერით და მათი უშუალო ჩართულობით შეიმუშავა სახელმწიფო საწარმოთა კორპორაციული მართვის კოდექსი (იხილეთ დანართი). კოდექსი უზრუნველყოფს კორპორაციული მართვის სტანდარტების მიღებას და დანერგვას ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად, რაც ასევე წარმოადგენს 2021-2024 წლების „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“ საქართველოს სამთავრობო პროგრამით განსაზღვრულ ერთ-ერთ პრიორიტეტს.

საწარმოებში ეფექტიანი და ჯანსაღი კორპორაციული მართვის სისტემების დანერგვა ხელს შეუწყობს ეკონომიკურ აქტივობაში მათი წვლილის გაზრდას, ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებას, ფისკალური რისკებისა და ფისკალურ სივრცეზე ზეწოლის შემცირებას. საწარმოების გამჭვირვალობის და ფინანსური მდგრადობის ზრდა ასევე მნიშვნელოვან როლს შეასრულებს მათი კაპიტალის ბაზარზე ინტეგრაციასა და აქტიურ მონაწილეობაში.

აღნიშნული მიზნების მისაღწევად, კოდექსი განსაზღვრავს საწარმოს კორპორაციული მართვის ძირითად პრინციპებს, აქციონერის უფლებებს, სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის, დამოუკიდებლობის კრიტერიუმებს და დამსახურებაზე დაფუძნებულ შერჩევის პროცედურებს, საბჭოს, მისი კომიტეტებისა

და ხელმძღვანელი პირების როლებსა და პასუხისმგებლობას, რისკების მართვის და შიდა კონტროლის სისტემებს, გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და ანგარიშგების პრინციპებს. საერთაშორისო კარგი პრაქტიკა ითვალისწინებს კოდექსთან შესაბამისობის ანგარიშების მომზადებას უშუალოდ საწარმოს მიერ. საწარმოებს მიეცემათ შესაძლებლობა უზრუნველყონ კოდექსით განსაზღვრულ პრინციპებთან ეტაპობრივი შესაბამისობა, ამასთან ყოველწლიურად მოახდინონ აღნიშნულის შესახებ ანგარიშების გამოქვეყნება.

მიზანშეწონილია, კოდექსი სავალდებულოდ გავრცელდეს „Comply or Explain“ პრინციპით მსხვილ საწარმოებზე, დაახლოებით 20 ძირითად სახელმწიფო კორპორაციაზე.

კორპორაციული მართვის პრაქტიკების შესახებ კვლევა

საქართველოს მთავრობის თხოვნით მსოფლიო ბანკი ახორციელებს კორპორაციული მართვის სამართლებრივი ჩარჩოსა და პრაქტიკების შეფასებას საქართველოში. შეფასება ეყრდნობა მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ერთობლივი ინიციატივით შემუშავებულ სტანდარტებთან და კოდექსებთან შესაბამისობის ანგარიშებს (ROSC). პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ქვეყანაში სახელმწიფო საწარმოთა კორპორაციული მართვის პრაქტიკების შესაბამისობის დადგენა საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკებთან. აღნიშნული შეფასების ფარგლებში კითხვარი გაეგზავნა ცამეტ ძირითად სახელმწიფო საწარმოს.
გამოკითხული საწარმოების მხოლოდ 15%-მა გაანაწილა დივიდენდი ბოლო 5 წლის მანძილზე. ამავე პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა სახელმწიფო საწარმოთა აკუმულირებული ზარალი. ამასთან, საწარმოთა 60%-ზე მეტი საჭიროებს დაფინანსების მოზიდვას სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული არ განხორციელდეს სახელმწიფოს მხრიდან გადასესხებით და კომპანიებმა დამოუკიდებლად შეძლონ სახსრების მოზიდვა.
საწარმოების 85% თვლის, რომ საწარმოთა კორპორაციული მართვის გაუმჯობესებით გაიზრდებოდა სტრატეგიული გადაწყვეტილებების ეფექტურობა ამავე საწარმოთა 92% პრიორიტეტულად არ მიიჩნევს აქციონერის ინტერესების გათვალისწინებას, რაც არის კიდეც არსებული სიტუაციის გამოძახილი, კერძოდ, პრაქტიკულად არ ხდება აქციონერის ფუნქციის შესრულება, არ არის ერთანეთისგან გამიჯნული აქციონერის, სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორის/მენეჯმენტის ფუნქციები.

სს „საქართველოს რკინიგზა” - სახელმწიფოს წილი: 100% (100%-იანი წილის მფლობელია სს „საპარტნიორო ფონდი“, რომელიც, თავის მხრივ, სრულად სახელმწიფოს საკუთრებაშია).
კომპანიისთვის კორპორაციული მართვის გაუმჯობესება მიზნად ისახავს სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების პროცესის ეფექტიანობის გაზრდას, სამეთვალყურეო და საზედამხედველო ფუნქციის გაუმჯობესებასა და შიდა კონტროლის ეფექტიანობის ამაღლებას. კომპანიას გააჩნია კორპორაციული მართვის სისტემისთვის მნიშვნელოვანი დოკუმენტები: ეთიკის კოდექსი, დოკუმენტი, სადაც გაწერილია სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციები, შემუშავებული აქვს დაკავშრებულ მხარეებთან ტრანზაქციების/ინტერესთა კონფლიქტის პოლიტიკის დოკუმენტი. თუმცა კომპანიაში არ არსებობს კორპორაციული მდივნის თანამდებობა, რომლის ერთ-ერთი ფუნქციას წარმოადგენს სამეთვალყურეო საბჭოსა და აღმასრულებელი პირებისთვის რჩევების მიწოდება კორპორაციულ დოკუმენტაციასთან და პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით.
აღსანიშნავია, რომ კომპანიას მომავალი 3 წლის განმავლობაში არ აქვს დაგეგმილი კორპორაციული მართვის გაუმჯებესებისთვის საჭირო სათანადო ზომების მიღება, გარდა შიდა დოკუმენტაციის გაუმჯობესებისა.

კომპანიის ინფორმაციით, უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში კორპორაციული მართვის გაუმჯობესების მიზნით, კომპანიამ სამეთვალყურეო საბჭოში დაამატა დამოუკიდებელი წევრები, გააუმჯობესა შიდა დოკუმენტაცია და ფინანური რეპორტინგი. ამასთან, კომპანიის აზრით, კორპორაციული მართვის გაუმჯობესებისთვის კომპანიის შიგნით დაბრკოლებები არ არსებობს.
კომპანიის ინფორმაციით, საერთო კრება პასუხისმგებელია მოიწონოს და დაამტკიცოს დამატებითი

აქციების გამოშვების შესახებ გადაწყვეტილებები, რაც შესაბამისობაშია კარგი პრაქტიკით განსაზღვრულ აქციონერის ფუნქციებთან. 2020 წელს გაიმართა ყოველწლიური საერთო კრება.
რაც შეეხება, კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობას, საბჭო შედგება 7 წევრისგან, რომელთაგანაც კომპანიის განმარტებით 6 წევრი დამოუკიდებელია, ხოლო 1 წევრი აქციონერის წარმომადგენელია. საბჭოს წევრთა უმრავლესობის დამოუკიდებლობა წარმოადგენს კარგ პრაქტიკას. სამეთვალყურეო საბჭოს არ ჰყავს ქალი წევრი, საბჭოს 1 წევრი არ არის ქართველი, წევრთა საშუალო ასაკი 43 წელია. სრული გენდერული დისბალანსი არ შეესაბამება საბჭოს შემადგენლობის მრავალფეროვნების პრინციპს. 2020 წელს საბჭომ ჩაატარა 11 შეხვედრა. კომპანიას არ აქვს გაცხადებული არის თუ არა სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე არჩეული საბჭოს დამოუკიდებელი წევრებისგან. სამეთვალყურეო საბჭოსთან შექმნილია აუდიტის კომიტეტი, რომელიც შედგება 1 დამოუკიდებელი წევრისგან, რომელსაც გააჩნია შეაბამისი ექსპერტული ცოდნა და გამოცდილება ფინანსების მიმართულებით. კომპანიის ინფორმაციით, მიმდინარეობს ანაზღაურების კომიტეტის თავმჯდომარის, მისი მოადგილეებისა და წევრების დანიშვნის პროცესი, შემუშავებულია კომიტეტის დებულება. OECD-ის სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად, სამეთვალყურეო საბჭო კვალიფიციური და დამოუკიდებელი წევრებისგან უნდა აკომპლექტდებდეს საბჭოს სპეციალიზებულ კომიტეტებს, განსაკუთრებით, რისკების, აუდიტის, ანაზღაურების მიმართულებებით.

კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს წევრების დანიშვნაზე პასუხისმგებელია საერთო კრება და სამეთვალყურეო საბჭო, რაც შეესაბამება კარგ პრაქტიკას. ამასთან, სამეთვალყურეო საბჭოს წევრების შესარჩევად საწარმოს უნდა გააჩნდეს შერჩევის შესაბამისი გამჭვირვალე პროცედურები და პოლიტიკა და უნდა უზრუნველყოს არსებულ კრიტერიუმებთან შესაბამისობა.

აღსანიშნავია, რომ არ ხორციელდება კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობის შეფასება, მათ შორის, არც თვითშეფასების პროცედურის გზით, რაც არ წარმოადგენს კარგ პრაქტიკას. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ანაზღაურება ფიქსირებულია და საბჭოს წევრთა საშუალო ყოველთვიური ანაზღაურება შეადგენს 2500 ლარს. საბჭოს წევრი არ იღებს ანაზღაურებას, თუ ის არის საჯარო მოსამსახურე ან იკავებს ანაზღაურებად პოზიციას სს ,,საპარტნიორო ფონდის" კომპანიაში.

კომპანიის დირექტორთა საბჭო 5 წევრისგან შედგება, რომელთაგან არცერთი არის ქალი. კომპანიას არ აქვს გაცემული ინფორმაცია დირექტორთა საბჭოს საშუალო წლიური ანაზღაურების შესახებ. კომპანიის ინფორმაციით, დირექტორთა საბჭოს წევრების დანიშვნაზე პასუხისმგებელია საერთო კრება და სამეთვალყურეო საბჭო.

კარგი პრაქტიკის შესაბამისად კომპანიაში ჩამოყალიბებულია შიდა აუდიტის ფუნქციის განმახორციელებელი ერთეული, რომელიც ანგარიშვალდებულია აუდიტის კომიტეტის წინაშე. კომიტეტს გააჩნია დებულება, რომელიც განსაზღვრავს მის როლებსა და პასუხისმგებლობას. კომპანიის ინფორმაციით შიდა აუდიტორის და კონტროლის ფუნქციების ზედამხედველობას ახორციელებენ სამეთვალყურეო საბჭო, აუდიტის კომიტეტი და დირექტორთა საბჭო. დირექტორთა საბჭოს მიერ შიდა აუდიტის ფუნქციის ზედამხედველობა არღვევს შიდა აუდიტორების ფუნქციური და ორგანიზაციული დამოუკიდებლობის აღიარებულ პრინციპებს. კომპანიაში ხორციელდება რისკის მართვის ფუნქციაც.

კომპანიის ინფორმაციით, სტრატეგიის შემუშავება წარმოადგენს სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორთა საბჭოს პასუხისმგებლობას, ხოლო სტრატეგიის დამტკიცება სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციაა. კარგი პრაქტიკის თანახმად, სამეთვალყურეო საბჭო არის პასუხისმგებელი სტრატეგიის შემუშავებასა და დამტკიცებაზე, სტრატეგიის განხორციელების პოლიტიკის დამტკიცებაზე, ხელმძღვანელი პირებისთვის უფლებამოსილების დელეგირებაზე დამტკიცებული სტრატეგიისა და პოლიტიკის შესრულების მიზნით და ხელმძღვანელი პირების მიერ სტრატეგიული მიზნების შესრულების ზედამხედველობაზე. სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორთა საბჭო ასევე განიხილავენ და ამტკიცებენ დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციებს. დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციების ზედამხედველობა და კონტროლი ეფექტური პროცედურებით და პოლიტიკით კარგი პრაქტიკის შესაბამისად წარმოადგენს სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციას. მსხვილი ოპერაციების განხილვა და

დამტკიცება წარმოადგენს კომპანიის საერთო კრების, სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორთა საბჭოს ფუნქციას. კარგი პრაქტიკა ძირითადი ტრანზაქციების (მნიშვნელოვანი გარიგებების) კონტროლის შესახებ წესების შემუშავების ფუნქციას სამეთვალყურეო საბჭოს მიაკუთვნებს, ხოლო მათ შესახებ გადაწყვეტილებების მოწონება და დამტკიცება აქციონერის უფლებამოსილებაა.

რაც შეეხება, კომპანიის მიერ გამჭვირვალობის სტანდარტების დაცვას, გაცემული ინფორმაციის თანახმად, კომპანიას გააჩნია წლიური ანგარიშების მომზადებისა და გამოქვეყნების პრაქტიკა, რომელიც მოიცავს კანონმდებლობით გათვალისწინებულ კორპორაციული მართვის და მმართველობის ანგარიშგებასაც. კომპანია ინფორმაციას აქვეყნებს საკუთარ ვებგვერდზე. კომპანიის წლიური ანგარიშში ასევე ასახულია მდგრადი განვითარების სტანდარტების დაცვის შესახებ ინფორმაცია. კომპანიაში ხორციელდება ინვესტორებთან კომუნიკაციის ფუნქციაც. ყოველივე ზემოთ აღნიშნული შეესაბამება საუკეთესო სტანდარტებს და კარგ პრაქტიკას. კომპანიის ფინანსური ანგარიშგებები კანონმდებლობით განსაზღვრული წესით წარედგინება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს.

სს „სპარტნიორო ფონდი” - სახელმწიფოს წილი: 100%

კომპანიისთვის კორპორაციული მართვის გაუმჯობესება მიზნად ისახავს შიდა კონტროლის ეფექტიანობის გაზრდასა და კორპორაციული კონფლიქტების პრევენციის უზრუნველყოფას. კომპანიას გააჩნია კორპორაციული მართვის სისტემისთვის მნიშვნელოვანი დოკუმენტები: დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციებს, შემუშავებული აქვს დაკავშრებულ მხარეებთან ტრანზაქციების/ინტერესთა კონფლიქტის პოლიტიკის დოკუმენტი. კომპანიას არ აქვს შემუშავებული ეთიკის კოდექსი. კომპანიაში არსებობს კორპორაციული მდივნის თანამდებობა. კომპანიის კორპორაციული მდივანი ასრულებს სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს შორის მედიაციის ფუნქციას.

კომპანიას მომავალი 3 წლის განმავლობაში დაგეგმილი აქვს კორპორაციული მართვის გაუმჯებესებისთვის საჭირო სათანადო ზომების განხორციელება. კერძოდ, აპირებს სამეთვალყურეო საბჭოში დამოუკიდებელი წევრების დამატებას, სამეთვალყურეო საბჭოს წვრებისთვის ეფექტიანი ანაზღაურების სისტემის დანერგვას, შიდა დოკუმენტაციის გაუმჯობესებას.

კომპანიის ინფორმაციით, უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში კორპორაციული მართვის გაუმჯობესების მიზნით, კომპანიამ განახორციელა დირექტორთა საბჭოს წევრებისთვის ეფექტიანი ანაზღაურების სისტემა, შეიმუშავა სამეთვალყურეო საბჭოს ელექტრონული შეხვედრების პროგრამული უზრუნველყოფა. თუმცა არ განუხორციელებია შესაბამისი ღონისძიებები, მაგალითად, სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრების დამატების მიმართულებით. ამასთან, კომპანიის აზრით, კორპორაციული მართვის გაუმჯობესებისთვის კომპანიის შიგნით დაბრკოლებები არ არსებობს.

კომპანიის ინფორმაციის თანახმად, 2020 წელს არ ჩატარებულა ყოველწლიური საერთო კრება. აღსანიშნავია, რომ კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა სპეციფიკურია, კერძოდ, შედგება ქვეყნის პრემიერ-მინისტრის და 4 მინისტრისგან, შესაბამისად, ბევრი საკითხი გადაწყდა სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, რომელიც ამტკიცებს მომდევნო საანგარიშგებო წლის ბიუჯეტს და გასული წლის საქმიანობის ანგარიშს. სამეთვალყურეო საბჭო შედგება 5 წევრისგან, საბჭოს არ ჰყავს დამოუკიდებელი წევრი, საბჭოს წევრთაგან 2 ქალია, წევრთა საშუალო ასაკი 47 წელია. 2020 წლის განმავლობაში საბჭომ ჩაატარა 28 შეხვედრა. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების დანიშვნა საერთო კრების ფუნქციაა. სამეთვალყურეო საბჭოში დამოუკიდებელი წევრების არ არსებობა და აქციონერის და სამეთვალყურეო საბჭოს როლების და ფუნქციების გადაფარვა და გამიჯვნის არ არსებობა არღვევს კორპორაციული მართვის საუკეთესო სტანდარტებს და პრინციპებს.

აღსანიშნავია, რომ არ ხორციელდება კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობის შეფასება, მათ შორის, არც თვითშეფასების პროცედურის გზით. კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ამავე

დროს არიან საქართველოს მთავრობის წევრები. სამეთვალყურეო საბჭოზე ანაზღაურება არ გაიცემა.

კომპანიის დირექტორთა საბჭო 8 წევრისგან შედგება, რომელთაგან 1 არის ქალი. აღმასრულებელი ხელმძღვანელი პირი და მისი ორი მოადგილე დანიშნულია სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, ხოლო დირექტორთა საბჭოს სხვა წევრები დანიშნულები არიან აღმასრულებელი ხელმძღვანელი პირის მიერ. კომპანიის სტრატეგიას შეიმუშავებს დირექტორთა საბჭო. სტრატეგია მტკიცდება სამეთვალურეო საბჭოს მიერ. კომპანიას არ აქვს გაცემული ინფორმაცია დირექტორთა საბჭოს საშუალო წლიური ანაზღაურების შესახებ.

კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოსთან არ არის შექმნილი არცერთი კომიტეტი. თუმცა კომპანია გეგმავს აუდიტის და რისკების კომიტეტის ჩამოყალიბებას.

სამეთვალყურეო საბჭო განიხილავს და ამტკიცებს დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციებს, ხოლო მსხვილი ოპერაციების განხილვა და დამტკიცება წარმოადგენს კომპანიის საერთო კრებისა და სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციას.

კომპანიაში ხორციელდება შიდა აუდიტის ფუნქცია, რომელიც კარგი პრაქტიკის შესაბამისად ანგარიშვალდებული უნდა იყოს სამეთვალყურეო საბჭოსა და აუდიტის კომიტეტის წინაშე. თუმცა კომპანიაში ჯერჯერობით არ არის ჩამოყალიბებული აუდიტის კომიტეტი. კომპანიაში ასევე ხორციელდება რისკის მართვის ფუნქციაც. კომპანიის ინფორმაციით შიდა აუდიტის და კონტროლის ფუნქციების ზედამხედველობას ახორციელებს დირექტორთა საბჭო, რაც არღვევს შიდა აუდიტორების ფუნქციური და ორგანიზაციული დამოუკიდებლობის აღიარებულ პრინციპებს და ეწინააღმდეგება კარგ პრაქტიკას.

კომპანიის ინფორმაციით, საერთო კრებაა პასუხისმგებელი მოიწონოს და დაამტკიცოს დამატებითი აქციების გამოშვების შესახებ გადაწყვეტილებები.

კომპანიას გააჩნია წლიური ანგარიშების მომზადების და გამოქვეყნების პრაქტიკა, რომელიც მოიცავს კანონმდებლობით გათვალისწინებულ კორპორაციული მართვის და მმართველობის ანგარიშგებასაც. კომპანია ინფორმაციას აქვეყნებს საკუთარ ვებგვერდზე. კომპანია ასევე ამზადებს მდგრადი განვითარების სტანდარტების დაცვის შესახებ ანგარიშს. კომპანიაში ხორციელდება ინვესტორებთან კომუნიკაციის ფუნქციაც. ყოველივე ზემოთ აღნიშნული შეესაბამება კარგ პრაქტიკას. კომპანიის ფინანსური ანგარიშგებები კანონმდებლობით განსაზღვრული წესით წარედგინება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს.

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი (ესკო)” - სახელმწიფოს წილი: 100%

კომპანიისთვის კორპორაციული მართვის გაუმჯობესება მიზნად ისახავს სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების პროცესის ეფექტიანობის გაზრდას, შიდა კონტროლის ეფექტიანობის ამაღლებას და კორპორაციული კონფლიქტების პრევენციის უზრუნველყოფას. კომპანიას შემუშავებული აქვს დაკავიშრებულ მხარეებთან ტრანზაქციების/ინტერესთა კონფლიქტის პოლიტიკის დოკუმენტი, თუმცა არ გააჩნია ეთიკის კოდექსი და დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციებს. კომპანიაში არ არსებობს კორპორაციული მდივნის თანამდებობა.

კომპანიას მომავალი 3 წლის განმავლობაში კორპორაციული მართვის გაუმჯებესების მიზნით დაგეგმილი აქვს მხოლოდ შიდა კონტროლის ერთეულის ჩამოყალიბება. კომპანიის ინფორმაციით, უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში კორპორაციული მართვის გაუმჯობესების მიზნით, კომპანიამ შიდა დოკუმენტები და ფინანსური რეპორტინგი გააუმჯობესა. ამასთან, კომპანიის აზრით, კორპორაციული მართვის გაუმჯობესებისთვის დაბრკოლებას კომპანიის შიგნით ინფორმაციის ნაკლებობა წარმოადგენს.

კომპანიის ინფორმაციით, 2020 წელს ჩატარდა ყოველწლიური საერთო კრება.

კომპანიას არ აქვს გაცემული ინფორმაცია სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტოთა საბჭოს შემადგენლობის, წევრთა რაოდენობის, 2020 წლის განმავლობაში სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ჩატარებული შეხვედრების რაოდენობის, დირექტორთა საბჭოს წევრთა საშუალო წლიური ანაზღაურებისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანაზღაურების ფორმის და სამეთვალყურეო საბჭოს ყოველთვიური საშუალო ანაზღაურების შესახებ.

კომპანიის ინფორმაციით, სამეთვალყურეო საბჭოს არ ჰყავს არცერთი კომიტეტი. კომპანიაში არ არსებობს შიდა აუდიტის ფუნქციის განმახორციელებელი ერთეული. კომპანიაში სრულდება რისკების მართვის ფუნქცია.

კომპანიის დირექტორთა საბჭო არის პასუხისმგებელი მოიწონოს და დაამტკიცოს დამატებითი აქციების გამოშვების შესახებ გადაწყვეტილებები, რაც კარგი პრაქტიკის შესაბამისად წარმოადგენს აქციონერის ფუნქციას.

კომპანიას არ აქვს გაცემული ინფორმაცია სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორთა საბჭოს წევრების დანიშვნასა და სტრატეგიის შემუშავებაზე პასუხისმგებელი ერთეულების შესახებ. კომპანიის ინფორმაციით სტრატეგიის დამტკიცებაზე, დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციების და მსხვილი ოპერაციების განხილვასა და დამტკიცებაზე, ასევე შიდა კონტროლის ფუნქციების ზედამხედველობაზე პასუხისმგებელია გენერალური დირექტორი. აღნიშნული არ არის კორპორაციული მართვის კარგ პრაქტიკასთან შესაბამისობაში.

აღსანიშნავია, რომ არ ხორციელდება კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობის შეფასება, მათ შორის, არც თვითშეფასების პროცედურის გზით, რაც არ წარმოადგენს კარგ პრაქტიკას.

კომპანიას გააჩნია წლიური ანგარიშების მომზადების და გამოქვეყნების პრაქტიკა, რომელიც მოიცავს კანონმდებლობით გათვალისწინებულ კორპორაციული მართვისა და მმართველობის ანგარიშგებასაც. კომპანია ინფორმაციას აქვეყნებს საკუთარ ვებგვერდზე. კომპანიის ფინანსური ანგარიშგებები კანონმდებლობით განსაზღვრული წესით წარედგინება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს. კომპანიაში სრულდება ინვესტორებთან კომუნიკაციის ფუნქციაც. კომპანია არ ამზადებს მდგრადი განვითარების სტანდარტების დაცვის შესახებ ანგარიშს.

სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია" - სახელმწიფოს წილი: 100% (100%-იანი წილის მფლობელია სს „საპარტნიორო ფონდი", რომელიც, თავის მხრივ, სრულად სახელმწიფო საკუთრებაშია).

კომპანიისთვის კორპორაციული მართვის გაუმჯობესება მიზნად ისახავს სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების პროცესის ეფექტიანობის გაზრდას, სამეთვალყურეო და საზედამხედველო ფუნქციის გაუმჯობესებასა და აქციონერსა და მართვის ორგანოებს შორის ურთიერთობის ეფექტიანობის გაზრდას. კომპანიას გააჩნია კორპორაციული მართვის სისტემისთვის მნიშვნელოვანი დოკუმენტები: ეთიკის კოდექსი, დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციებს, შემუშავებული აქვს დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციების/ინტერესთა კონფლიქტის პოლიტიკის დოკუმენტი. კომპანიაში არსებობს კორპორაციული მდივნის თანამდებობა, რომლის ფუნქციებსაც წარმოადგენს აქციონერთან ყოველწლიური შეხვედრების ორგანიზება, აქციონერთან, ინვესტორებთან კომუნიკაცია, ასრულებს სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს შორის მედიაციის ფუნქციას.

კომპანიას მომავალი 3 წლის განმავლობაში დაგეგმილი აქვს კორპორაციული მართვის გაუმჯებესებისთვის საჭირო სათანადო ზომების განხორციელება, კერძოდ, აპირებს შიდა დოკუმენტაციის და ფინანსური რეპორტინგის გაუმჯობესებას. კომპანიას უკანასკნელი 3 წლის განმავლობაშიც აქვს გადადგმული ნაბიჯები აღნიშნული მიმართულებებით. ამასთან, კომპანიამ არ

გასცა პასუხი კორპორაციული მართვის გაუმჯობესების ხელშემშლელ ფაქტორებზე ინფორმაციის კონფიდენციალურობის მოტივით.

კომპანიის განმარტებით 2020 წელს არ ჩატარებულა ყოველწლიური საერთო კრება, რადგან ვინაიდან კომპანიას ჰყავს ერთადერთი აქციონერი, არ არსებობს აქციონერთან შეხვედრების გამართვის საჭიროება. შესაბამისი გადაწყვეტილებები მიიღება და იგზავნება ოფიციალური წერილით, რაც, კომპანიის წესდებითა და ,,მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, ექვივალენტურია აქციონერთა კრების გადაწყვეტილების.

კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო შედგება 3 წევრისგან, რომელთაგანც 2 წევრი დამოუკიდებელია, ხოლო 1 წევრი აქციონერის წარმომადგენელია. სამეთვალყურეო საბჭოს არ ჰყავს ქალი წევრი. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა საშუალო ასაკი 46 წელია. 2020 წლის განმავლობაში საბჭომ ჩაატარა 10 შეხვედრა. კომპანიას არ აქვს გაცემული ინფორმაცია არის თუ არა სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე არჩეული საბჭოს დამოუკიდებელი წევრებისგან. კომპანიის დირექტორთა საბჭო შედგება 5 წევრისგან, რომელთაგან 1 წევრი არის ქალი.

კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოსთან არ არის შექმნილი არცერთი კომიტეტი. კომპანიაში ხორციელდება შიდა აუდიტის და რისკების მართვის ფუნქციები.

აღსანიშნავია, რომ არ ხორციელდება კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობის შეფასება, მათ შორის, არც თვითშეფასების პროცედურის გზით, რაც არ წარმოადგენს კარგ პრაქტიკას. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ანაზღაურება ფიქსირებულია და საბჭოს საშუალო ყოველთვიური ანაზღაურება შეადგენს 1504 ლარს. საბჭოს წევრი არ იღებს ანაზღაურებას, თუ ის არის საჯარო მოსამსახურე ან იკავებს ანაზღაურებად პოზიციას სს ,,საპარტნიორო ფონდის" კომპანიაში.

კომპანიის საერთო კრება პასუხისმგებელია მოიწონოს და დაამტკიცოს დამატებითი აქციების გამოშვების შესახებ გადაწყვეტილებები და დანიშნოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრები. კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია დირექტორთა საბჭოს წევრების დანიშვნაზე. კომპანიის ინფორმაციით, კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორთა საბჭო შეიმუშავებენ და ამტკიცებენ კომპანიის სტრატეგიას.

კომპანიაში დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაციების განხილვა და დამტკიცება დირექტორთა საბჭოს ფუნქციაა. მსხვილი ოპერაციების განხილვა და დამტკიცება საერთო კრების და სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობას წარმოადგენს.

კომპანიაში შიდა აუდიტის და კონტროლის ფუნქციების ზედამხედველობაზე პასუხისმგებელია სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორთა საბჭო.

კომპანიას გააჩნია წლიური ანგარიშების მომზადების და გამოქვეყნების პრაქტიკა, რომელიც მოიცავს კანონმდებლობით გათვალისწინებულ კორპორაციული მართვისა და მმართველობის ანგარიშგებასაც. კომპანია ინფორმაციას აქვეყნებს საკუთარ ვებგვერდზე. კომპანიის ფინანსური ანგარიშგებები კანონმდებლობით განსაზღვრული წესით წარედგინება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს. კომპანია არ ამზადებს მდგრადი განვითარების სტანდარტების დაცვის შესახებ ანგარიშს. კომპანიაში სრულდება ინვესტორებთან კომუნიკაციის ფუნქცია.

შპს ,,ენგურჰესი" - სახელმწიფოს წილი - 100%, წილის მმართველი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

კომპანიისთვის კორპორაციული მართვის გაუმჯობესება მიზნად ისახავს სტრატეგიული

გადაწყვეტილებების მიღების პროცესის ეფექტიანობის გაზრდას. კომპანიას გააჩნია კორპორაციული მართვის სისტემისთვის მნიშვნელოვანი დოკუმენტები: ეთიკის კოდექსი, დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციებს. არ აქვს შემუშავებული დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციების/ინტერესთა კონფლიქტის პოლიტიკის დოკუმენტი. კომპანიაში არსებობს კორპორაციული მდივნის თანამდებობა, რომლის ფუნქციებსაც წარმოადგენს აქციონერთან ყოველწლიური შეხვედრების ორგანიზება, აქციონერთან, ინვესტორებთან კომუნიკაცია, ასრულებს სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს შორის, ასევე აქციონერსა და დირექტორთა საბჭოს შორის მედიაციის ფუნქციას.

კომპანიას მომავალი 3 წლის განმავლობაში დაგეგმილი აქვს კორპორაციული მართვის გაუმჯობესებისთვის საჭირო სათანადო ზომების განხორციელება, კერძოდ, აპირებს შიდა დოკუმენტაციის და ფინანსური რეპორტინგის გაუმჯობესებას. კომპანიის ინფორმაციით, უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში კორპორაციული მართვის გაუმჯობესების მიზნით, საწარმომ შიდა დოკუმენტაცია და ფინანსური რეპორტინგი გააუმჯობესა, ასევე კორპორაციული მართვის თემაზე ჩაატარა ტრენინგები სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისთვის. ამასთან, კომპანიის აზრით, კორპორაციული მართვის გაუმჯობესებისთვის კომპანიის შიგნით დაბრკოლებებს წარმოადგენს საკანონმდებლო ჩარჩოს ნაკლოვანებები და დასავლური სტანდარტების დანერგვასთან დაკავშირებული რისკები.
კომპანიის ინფორმაციით, 2020 წელს ჩატარდა ყოველწლიური საერთო კრება.

კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო შედგება 5 წევრისგან, რომელთაგან აბსოლუტური უმრავლესობა სახელმწიფოს, აქციონერის წარმომადგენელია. სამეთვალყურეო საბჭოს არ ჰყავს ქალი წევრი. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა საშუალო ასაკი 50 წელია. 2020 წლის განმავლობაში საბჭომ ჩაატარა 13 შეხვედრა. სამეთვალყურეო საბჭო ახორციელებს საკუთარი საქმიანობის ყოველწლიურ თვითშეფასებას. საბჭოს წევრთა ანაზღაურება ფიქსირებულია და ყოველთვიურად საშუალოდ შეადგენს 2725 ლარს. კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოსთან არ არის შექმნილი არცერთი კომიტეტი. კომპანიაში ხორციელდება შიდა აუდიტის და რისკების მართვის ფუნქციები.

კომპანიის დირექტორთა საბჭო შედგება 3 წევრისგან, რომელთაგან არცერთი წევრია ქალი. კომპანიას არ აქვს გაცემული ინფორმაცია დირექტორთა საბჭოს საშუალო წლიური ანაზღაურების შესახებ.

კომპანიის საერთო კრება პასუხისმგებელია მოიწონოს და დაამტკიცოს დამატებითი აქციების გამოშვების შესახებ გადაწყვეტილებები და დანიშნოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრები. კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია დირექტორთა საბჭოს წევრების დანიშვნაზე. აღნიშნული შესაბამისობაშია კარგ პრაქტიკასთან. კომპანიის ინფორმაციით, საწარმოს სტრატეგიას შეიმუშავებს დირექტორთა საბჭო და ამტკიცებს საერთო კრება.

კომპანიაში დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაციების და მნიშვნელოვანი გარიგებების განხილვა და დამტკიცება საერთო კრების ფუნქციაა.

კომპანიაში შიდა აუდიტის და კონტროლის ფუნქციების ზედამხედველობაზე პასუხისმგებელია დირექტორთა საბჭო.

კომპანიას გააჩნია წლიური ანგარიშების მომზადების და გამოქვეყნების პრაქტიკა, რომელიც მოიცავს კანონმდებლობით გათვალისწინებულ კორპორაციული მართვის და მმართველობის ანგარიშგებასაც. კომპანია ინფორმაციას აქვეყნებს საკუთარ ვებგვერდზე. კომპანიის ფინანსური ანგარიშგებები კანონმდებლობით განსაზღვრული წესით წარედგინება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს. კომპანია ასევე ამზადებს მდგრადი განვითარების სტანდარტების დაცვის შესახებ ანგარიშს. კომპანიაში არ სრულდება ცალკე ინვესტორთან კომუნიკაციის ფუნქცია.

შპს „საქართველოს მელიორაცია" - სახელმწიფოს წილი - 100%, წილის მმართველი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

კომპანიისთვის კორპორაციული მართვის გაუმჯობესება მიზნად ისახავს სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების პროცესის, საწარმოს სამეთვალყურეო და საზედამხედველო ფუნქციებისა და აქციონერსა და მართვის ორგანოებს შორის კომუნიკაციის ეფექტიანობის გაზრდას. კომპანიას არ გააჩნია კორპორაციული მართვის სისტემისთვის მნიშვნელოვანი დოკუმენტები: ეთიკის კოდექსი, დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციებს, ინტერესთა კონფლიქტისა და დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციების პოლიტიკის დოკუმენტი. კომპანიაში ასევე არ არსებობს კორპორაციული მდივნის თანამდებობა.

კომპანიას მომავალი 3 წლის განმავლობაში დაგეგმილი აქვს კორპორაციული მართვის გაუმჯებესებისთვის საჭირო სათანადო ზომების განხორციელება, კერძოდ, აპირებს შიდა დოკუმენტაციის და ფინანსური რეპორტინგის გაუმჯობესებას. კომპანიის ინფორმაციით, უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში კორპორაციული მართვის გაუმჯობესების მიზნით, საწარმომ შიდა დოკუმენტაცია და ფინანსური რეპორტინგი გააუმჯობესა, ასევე შექმნა სამეთვალყურეო საბჭო და დანერგა წევრთა ეფექტური ანაზღაურების სისტემა. ამასთან, კომპანიის აზრით, კორპორაციული მართვის გაუმჯობესებისთვის კომპანიის შიგნით დაბრკოლებებს წარმოადგენს ინფორმაციის და შესაბამისი კვალიფიციური სპეციალისტების ნაკლებობა.

კომპანიის ინფორმაციით, 2020 წელს არ ჩატარებულა ყოველწლიური საერთო კრება.

კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო შედგება 3 წევრისგან, რომელთაგან აბსოლუტური უმრავლესობა სახელმწიფოს, აქციონერის წარმომადგენელია. სამეთვალყურეო საბჭოს არ ჰყავს ქალი წევრი. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა საშუალო ასაკი 65 წელია. 2020 წლის განმავლობაში საბჭომ ჩაატარა 20 შეხვედრა. სამეთვალყურეო საბჭო წელიწადში ორჯერ ახორციელებს საკუთარი საქმიანობის თვითშეფასებას. საბჭოს წევრთა ანაზღაურება ფიქსირებულია და ყოველთვიურად საშუალოდ შეადგენს 4239 ლარს. კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოსთან არ არის შექმნილი არცერთი კომიტეტი. კომპანიაში ხორციელდება შიდა აუდიტის ფუნქცია და არ სრულდება რისკების მართვის ფუნქცია. კომპანიას არ ჰყავს დირექტორთა საბჭო.

კომპანიის ინფორმაციით საქართველოს მთავრობა არის პასუხისმგებელი მოიწონოს და დაამტკიცოს კომპანიის რეორგანიზაციის ან/და დამატებითი აქციების გამოშვების შესახებ გადაწყვეტილებები. სამეთვალყურეო საბჭოს დანიშვნაზე კი საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო არის პასუხისმგებელი. კომპანიის ინფორმაციით, საწარმოს სტრატეგიას გენერალური დირექტორი შეიმუშავებს, სტრატეგიის დამტკიცება კი საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ფუნქციაა.

კომპანიაში დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაციების განხილვა და დამტკიცება გენერალური დირექტორის ფუნქციაა, მნიშვნელოვან გარიგებებს განხილავს და ამტკიცებს საქართველოს მთავრობა. კომპანიაში შიდა აუდიტის და კონტროლის ფუნქციების ზედამხედველობაზე პასუხისმგებელია გენერალური დირექტორი.

კომპანიას გააჩნია წლიური ანგარიშების მომზადების და გამოქვეყნების პრაქტიკა, რომელიც მოიცავს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მმართველობის ანგარიშგებასაც. კომპანია ინფორმაციას აქვეყნებს საკუთარ ვებგვერდზე. კომპანიის ფინანსური ანგარიშგებები კანონმდებლობით განსაზღვრული წესით წარედგინება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს. კომპანია არ ამზადებს მდგრადი განვითარების სტანდარტების დაცვის შესახებ ანგარიშს. კომპანიაში სრულდება ინვესტორთან კომუნიკაციის ფუნქცია.

შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია” - სახელმწიფოს წილი - 100%, წილის მმართველი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

კომპანიისთვის კორპორაციული მართვის გაუმჯობესება მიზნად ისახავს სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების პროცესის, საწარმოს შიდა კონტროლის ეფექტიანობის გაზრდას, ასევე კომპანიის შესახებ დროული და ზუსტი ინფორმაციის გასაჯაროების უზრუნველყოფას. კომპანიას არ გააჩნია კორპორაციული მართვის სისტემისთვის მნიშვნელოვანი დოკუმენტები: ეთიკის კოდექსი, დოკუმენტი, რომელიც განსაზღვავს სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციებს, ინტერესთა კონფლიქტისა და დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციების პოლიტიკის დოკუმენტი. კომპანიაში ასევე არ არსებობს კორპორაციული მდივნის თანამდებობა.

კომპანია ორგანიზაციული-სამართლებრივი ფორმით წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას და არ ჰყავს სამეთვალყურეო საბჭო. აღნიშნულის გათვალისწინებით, კომპანია მიიჩნევს, რომ კორპორაციული მართვა ამ თვალსაზრისით, არ არის იმდენად რელევანტური, რამდენადაც ეს იქნებოდა სააქციო საზოგადოების შემთხვევაში და შესაბამისად, არ გეგმავს მომავალი 3 წლის განმავლობაში კორპორაციული მართვის გაუმჯობესების მიზნით შესაბამისი ზომების მიღებას და არც უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში განუხოციელებია შესაბამისი ღონისძიებები. კომპანიის ინფორმაციით, კორპორაციული მართვის გაუმჯობესებისთვის საწარმოს შიგნით დაბრკოლებებს წარმოადგენს საკანონმდებლო ჩარჩოს ნაკლოვანებები. ამასთან, კომპანიის პოზიციაა, რომ თუ აქციონერი გადაწყვეტს საწარმოს რეორგანიზაციას სააქციო საზოგადოებად, კომპანია იქნება მოტივირებული დანერგოს კორპორაციული მართვის სტანდარტები.

კომპანიის ინფორმაციით, 2020 წელს ჩატარდა ყოველწლიური საერთო კრება. აქციონერის გადაწყვეტილება მიიღება სამინისტროს ბრძანების სახით, რომელიც ახორციელებს აქციონერის ფუნქციებს.

კომპანიაში სრულდება შიდა აუდიტის ფუნქცია. კომპანიის ინფორმაციით საერთო კრება არის პასუხისმგებელი მოიწონოს და დაამტკიცოს დამატებითი აქციების გამოშვების შესახებ გადაწყვეტილებები. კომპანიას არ ჰყავს სამეთვალყურეო და დირექტორთა საბჭოები. საწარმოს გენერალური დირექტორი თანამდებობაზე ინიშნება საერთო კრების მიერ. გენერალური დირექტორი არის პასუხისმგებელი საწარმოს სტრატეგიის შემუშავებაზე. კომპანია სტრატეგიის გარკვეულ ნაწილს უთანხმებს საქართველოს ენერგეტიკისა წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას, როგორც მარეგულირებელს.

კომპანიაში დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაციებისა და მნიშვნელოვანი გარიგებების განხილვა და დამტკიცება საერთო კრების პასუხისმგებლობაა, ასევე ზოგიერთი მნიშვნელოვანი გარიგება შესაძლოა დამტკიცდეს საქართველოს მთავრობის მიერ. კომპანიაში შიდა აუდიტის და კონტროლის ფუნქციების ზედამხედველობაზე პასუხისმგებელია გენერალური დირექტორი.

კომპანიას გააჩნია წლიური ანგარიშების მომზადების პრაქტიკა, რომელიც მოიცავს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მმართველობის ანგარიშგებასაც. კომპანია პერიოდულ ანგარიშებს არ აქვეყნებს საკუთარ ვებგვერდზე. კომპანიის ფინანსური ანგარიშგებები კანონმდებლობით განსაზღვრული წესით წარედგინება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს. კომპანია არ ამზადებს მდგრადი განვითარების სტანდარტების დაცვის შესახებ ანგარიშს. კომპანიაში არ სრულდება ინვესტორთან კომუნიკაციის ფუნქცია.

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა” - სახელმწიფოს წილი - 100%.

კომპანიისთვის კორპორაციული მართვის გაუმჯობესება მიზნად ისახავს სტრატეგიული

გადაწყვეტილებების მიღების პროცესის, საწარმოს შიდა კონტროლის, საზედამხედველო და სამეთვალყურეო ფუნქციის, აქციონერსა და მართვის ორგანოებს შორის კომუნიკაციის ეფექტიანობის გაზრდას, ასევე კომპანიის შესახებ დროული და ზუსტი ინფორმაციის გასაჯაროებისა და კორპორაციული კონფლიქტების შემცირებისა და პრევენციის უზრუნველყოფას. კომპანიას გააჩნია კორპორაციული მართვის სისტემისთვის მნიშვნელოვანი დოკუმენტები: კორპორაციული მართვის კოდექსი და ახალი წესდება, რომელიც განსაზღვრავს, მათ შორის, სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციებს, ინტერესთა კონფლიქტისა და დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციების პოლიტიკის დოკუმენტი, ასევე, მიღებული აქვს ეთიკის კოდექსი და კომპანიაში არსებობს კორპორაციული მდივნის თანამდებობა.

კომპანიამ 2021 წელს შექმნა და დააკომპლექტა სამეთვალყურეო საბჭო დამოუკიდებელი წევრებით, რაც შეიძლება ითქვას, რომ პირველი პრეცენდენტია ქვეყანაში.
კომპანიის ინფორმაციით, 2020 წელს არ ჩატარებულა ყოველწლიური საერთო კრება.

საწარმოს არ აქვს გაცემული ინფორმაცია სამეთვალყურეო საბჭოს, მისი კომიტეტების, ანაზღაურებისა და საქმიანობის შეფასების შესახებ, ასევე დირექტორთა საბჭოს ყოველწლიური საშუალო ანაზღაურების თაობაზე. კომპანიის ინფორმაციით, საწარმოს დირექტორთა საბჭო შედგება 10 წევრისგან, რომელთაგან არცერთია ქალი. თუმცა, სამეთვალყურეო საბჭო შეიქმნა ამ კითხვარის შედგენის შემდეგ, ამიტომ, გვაქვს მოლოდინი, რომ სიტუაცია არსებითად გაუმჯობესებულია.

კომპანიაში სრულდება შიდა აუდიტისა და რისკის მართვის ფუნქციები. კომპანიის ინფორმაციით საერთო კრება არის პასუხისმგებელი მოიწონოს და დაამტკიცოს დამატებითი აქციების გამოშვების შესახებ გადაწყვეტილებები. საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორთა საბჭოს დანიშვნა, საწარმოს სტრატეგიის დამტკიცება და მნიშვნელოვანი გარიგებების განხილვა და დამტკიცებაც საერთო კრების ფუნქციას წარმოადგენს.

კომპანიას გააჩნია წლიური ანგარიშების მომზადების და გამოქვეყნების პრაქტიკა, რომელიც მოიცავს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მმართველობის ანგარიშგებასაც. კომპანია პერიოდულ ანგარიშებს აქვეყნებს საკუთარ ვებგვერდზე. კომპანიის ფინანსური ანგარიშგებები კანონმდებლობით განსაზღვრული წესით წარედგინება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს. კომპანია არ ამზადებს მდგრადი განვითარების სტანდარტების დაცვის შესახებ ანგარიშს. კომპანიაში არ სრულდება ინვესტორთან კომუნიკაციის ფუნქცია.

შპს „საქაერონავიგაცია" - სახელმწიფოს წილი - 100%

კომპანიისთვის კორპორაციული მართვის გაუმჯობესება მიზნად ისახავს სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების პროცესისა და საწარმოს შიდა კონტროლის ეფექტიანობის გაზრდას, ასევე სამეთვალყურეო და საზედამხედველო ფუნქციების გაუმჯობესების უზრუნველყოფას. კომპანიას გააჩნია კორპორაციული მართვის სისტემისთვის მნიშვნელოვანი დოკუმენტები: ეთიკის კოდექსი, კორპორაციული მართვის კოდექსი ან სხვა დოკუმენტი, სადაც გაწერილია სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციები, ინტერესთა კონფლიქტისა და დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციების პოლიტიკის დოკუმენტი. კომპანიაში არსებობს კორპორაციული მდივნის თანამდებობა, რომლის ფუნქციებსაც წარმოადგენს აქციონერთან ყოველწლიური შეხვედრის ორგანიზება, აქციონერსა და დირექტორთა საბჭოს, ასევე სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს შორის მედიაციის განხორციელება.

კომპანიას მომავალი 3 წლის განმავლობაში დაგეგმილი აქვს კორპორაციული მართვის გაუმჯებესებისთვის საჭირო სათანადო ზომების განხორციელება, კერძოდ, აპირებს შიდა დოკუმენტაციის და ფინანსური რეპორტინგის გაუმჯობესებას. კომპანიის ინფორმაციით, უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში კორპორაციული მართვის გაუმჯობესების მიზნით, ჩამოაყალიბა შიდა კონტროლის ერთეული, გააუმჯობესა შიდა დოკუმენტაცია და ორგანიზაციულ სტრუქტურაში შექმნა

კორპორაციული მდივნის თანამდებობა. ამასთან, კომპანიის აზრით, კორპორაციული მართვის გაუმჯობესებისთვის კომპანიის შიგნით დაბრკოლებებს წარმოადგენს ინფორმაციისა და შესაბამისი კვალიფიციური სპეციალისტების ნაკლებობა.

კომპანიის ინფორმაციით, 2020 წელს ჩატარდა ყოველწლიური საერთო კრება.

კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო შედგება 4 წევრისგან, რომელთაგან კომპანიის აზრით ყველა დამოუკიდებელია. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთაგან ერთი ქალია. საბჭოს წევრების საშუალო ასაკი 47 წელია. 2020 წლის განმავლობაში საბჭომ ჩაატარა 4 შეხვედრა. სამეთვალყურეო საბჭო არ ახორციელებს საკუთარი საქმიანობის შეფასებას. საქართველოს მთავრობის განკარგულებით 2013 წელს განისაზღვრა კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა:

- **საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე;**
- **საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე;**
- **საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე;**
- **საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე.**

შესაბამისად, კომპანიის ფორმულირება საბჭოს წევრების დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით არ არის შესაბამისობაში ჩვენს მიერ შემუშავებული კორპორაციული მართვის კოდექსში განსაზღვრულ დამოუკიდებლობის განმარტებასთან.

საწარმოს არ აქვს გაცემული ინფორმაცია სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანაზღაურების შესახებ. კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოსთან შექმნილია მხოლოდ რისკების კომიტეტი, რომელიც შედგება 7 წევრისგან, რომელთაგან არცერთია საბჭოს წევრი და 2 წევრს გააჩნია ექსპერტული ცოდნა რისკების მართვის მიმართულებით. რისკების კომიტეტს არ გააჩნია დებულება, რომელიც განსაზღვრავდა მის როლებსა და პასუხისმგებლობას. კომპანიაში არ ხორციელდება შიდა აუდიტის ფუნქცია, თუმცა სრულდება რისკების მართვის ფუნქცია, რომელიც ანგარიშვალდებულია რისკების კომიტეტის წინაშე.

კომპანიის დირექტორთა საბჭო შედგება 2 წევრისგან, მათგან არცერთია ქალი. კომპანიას არ აქვს გაცემული ინფორმაცია დირექტორთა საბჭოს საშუალო წლიური ანაზღაურების შესახებ. საწარმოს დირექტორთა საბჭოს პასუხისგებლობაა დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციებისა და მნიშვნელოვანი გარიგებების განხილვა და დამტკიცება. საწარმოს შიდა კონტროლის ფუნქციის ზედამხედველობა ხორციელდება სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს მიერ.

კომპანიის ინფორმაციით, საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს დანიშვნა სსიპ ,,სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს" პასუხისმგებლობაა. კომპანიის დირექტორთა საბჭოს დანიშვნაზე პასუხისმგებელია სამეთვალყურეო საბჭო.

კომპანიას გააჩნია წლიური ანგარიშების მომზადების და გამოქვეყნების პრაქტიკა, რომელიც მოიცავს კანონმდებლობით გათვალისწინებულ კორპორაციული მართვისა და მმართველობის ანგარიშგებასაც. კომპანია პერიოდულ ანგარიშებს აქვეყნებს საკუთარ ვებგვერდზე. კომპანიის ფინანსური ანგარიშგებები კანონმდებლობით განსაზღვრული წესით წარედგინება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს. კომპანია არ ამზადებს მდგრადი განვითარების სტანდარტების დაცვის შესახებ ანგარიშს. კომპანიაში არ სრულდება ინვესტორთან კომუნიკაციის ფუნქცია.

შპს ,,საქართველოს აეროპორტების გაერთიანება" - სახელმწიფოს წილი - 100%.

კომპანიისთვის კორპორაციული მართვის გაუმჯობესება მიზნად ისახავს სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების პროცესის, საწარმოს შიდა კონტროლის ეფექტიანობისა და მართვის ორგანოების ანგარიშვალდებულების გაზრდას. კომპანიას გააჩნია კორპორაციული მართვის სისტემისთვის მნიშვნელოვანი დოკუმენტები: ეთიკის კოდექსი, ინტერესთა კონფლიქტისა და დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციების პოლიტიკის დოკუმენტი, თუმცა არ აქვს შემუშავებული კორპორაციული მართვის კოდექსი ან სხვა დოკუმენტი, სადაც გაწერილია სამეთვალყურეო საბჭოს

ფუნქციები. კომპანიაში ასევე არ არსებობს კორპორაციული მდივნის თანამდებობა.

კომპანიას მომავალი 3 წლის განმავლობაში დაგეგმილი აქვს კორპორაციული მართვის გაუმჯობესებისთვის საჭირო სათანადო ზომების მიღება, კერძოდ, აპირებს შიდა კონტროლის ერთეულის ჩამოყალიბებას, შიდა დოკუმენტაციის გაუმჯობესებას, კორპორაციული მდივნის თანამდებობის შემოღებას და რეორგანიზაციას. კომპანიის ინფორმაციით, უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში კორპორაციული მართვის გაუმჯობესების მიზნით, შიდა დოკუმენტაცია და ფინანსური რეპორტინგი გაუმჯობესდა. ამასთან, კომპანიის აზრით, კორპორაციული მართვის გაუმჯობესებისთვის კომპანიის შიგნით დაბრკოლებას წარმოადგენს შესაბამისი ადამიანური რესურსის ნაკლებობა.

კომპანიის ინფორმაციით, 2020 წელს ჩატარდა ყოველწლიური საერთო კრება.

კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო შედგება 7 წევრისგან, რომელთაგან კომპანიის აზრით, ყველა დამოუკიდებელია. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთაგან არცერთია ქალი. საბჭოს წევრების საშუალო ასაკი 44 წელია. 2020 წლის განმავლობაში საბჭომ ჩაატარა 3 შეხვედრა. სამეთვალყურეო საბჭოსთან არ არის შექმნილი არცერთი კომიტეტი. სამეთვალყურეო საბჭო არ ახორციელებს საკუთარი საქმიანობის შეფასებას. კომპანიის ინფორმაციაით, სამეთვალყურეო საბჭოს დანიშვნა საერთო კრების პასუხისმგებლობაა, საბჭოს წევრებად საქართველოს მთავრობის განკარგულებით დანიშნულები არიან სხავადასხვა სამინისტროების მინისტრის მოადგილეები.
საწარმოს არ ჰყავს დირექტორთა საბჭო. კომპანიის სტრატეგიის შემუშავებაზე პასუხისმგებელია მენეჯმენტი (აღმასრულებელი ხელმძღვანელი პირი - CEO, მოადგილეები). საწარმოში არ არის განსაზღვრული სტრატეგიის დამტკიცებაზე პასუხისმგებელი ორგანო, თუმცა ის შეიძლება წარედგინოს, როგორც სამეთვალყურეო საბჭოს, ასევე პარტნიორს. ამასთან, კომპანიის წლიური ბიზნეს გეგმები ექვემდებარება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განხილვას და პარტნიორის მიერ დამტკიცებას. საწარმოში არ არის განსაზღვრული დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციების განხილვისა და დამტკიცების პროცედურა. რაც შეეხება მნიშვნელოვანი გარიგებების განხილვისა და დამტკიცების პასუხისმგებლობას, აღნიშნული საერთო კრების და სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციაა. ამასთან, კომპანიის ინფორმაციით, არ არსებობს შიდა პოლიტიკა, რომელიც არეგულირებს მნიშვნელოვან გარიგებებს, თუმცა არის გარკვეული გარიგებები (დამოკიდებულია გარიგების ტიპზე), რომლებიც ექვემდებარებიან სამეთვალყურეო საბჭოს და/ან სსიპ ,,სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს" მიერ დამტკიცებას.

კომპანიაში არ ხორციელდება შიდა აუდიტის ფუნქცია, თუმცა სრულდება რისკის მართვის ფუნქცია. კომპანიის შიდა კონტროლის ფუნქციის ზედამხედველობაზე პასუხისმგებელია საწარმოს აღმასრულებელი ხელმძღვანელი პირი (CEO).

კომპანიის ინფორმაციით, საწარმოს წესდების თანახმად საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო არის პასუხისმგებელი მოიწონოს და დაამტკიცოს დამატებითი აქციების გამოშვების შესახებ გადაწყვეტილებები.

კომპანიას გააჩნია წლიური ანგარიშების მომზადების პრაქტიკა, რომელიც მოიცავს კანონმდებლობით გათვალისწინებულ კორპორაციული მართვის და მმართველობის ანგარიშგებასაც. კომპანია პერიოდულ ანგარიშებს არ აქვეყნებს საკუთარ ვებგვერდზე. კომპანიის ფინანსური ანგარიშგებები კანონმდებლობით განსაზღვრული წესით წარედგინება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს. კომპანია არ ამზადებს მდგრადი განვითარების სტანდარტების დაცვის შესახებ ანგარიშს. კომპანიაში არ სრულდება ინვესტორთან კომუნიკაციის ფუნქცია.

შპს ,,თბილისის სატრანსპორტო კომპანია" - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი - 100%

კომპანიისთვის კორპორაციული მართვის გაუმჯობესება მიზნად ისახავს სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების პროცესის, საწარმოს შიდა კონტროლის ეფექტიანობისა გაზრდას და

საზედამხედველო და სამეთვალყურეო ფუნქციის გაუმჯობესებას. კომპანიას არ გააჩნია კორპორაციული მართვის სისტემისთვის მნიშვნელოვანი დოკუმენტები: ეთიკის კოდექსი, ინტერესთა კონფლიქტისა და დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციების პოლიტიკის დოკუმენტი, თუმცა აქვს დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციებს. კომპანიაში არ არსებობს კორპორაციული მდივნის თანამდებობა.

კომპანიას მომავალი 3 წლის განმავლობაში დაგეგმილი აქვს საქმიანობის გაუმჯობესება EBRD-ის მხარდაჭერით. კომპანიის ინფორმაციით, უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში კორპორაციული მართვის გაუმჯობესების მიზნით, შიდა დოკუმენტაცია გააუმჯობესა. ამასთან, კომპანიის აზრით, კორპორაციული მართვის გაუმჯობესებისთვის კომპანიის შიგნით დაბრკოლებას წარმოადგენს შესაბამისი კვალიფიციური სპეციალისტების ნაკლებობა და საკანონმდებლო ჩარჩოს ნაკლოვანებები.

კომპანიის ინფორმაციით, 2020 წელს არ ჩატარებულა ყოველწლიური საერთო კრება. საერთო კრება არის პასუხისმგებელი დირექტორთა საბჭოს დანიშვნაზე, ასევე მნიშვნელოვანი გარიგებების განხილვასა და დამტკიცებაზე.

კომპანიას არ აქვს გაცემული ინფორმაცია სამეთვალყურეო საბჭოს შესახებ. კომპანიის დირექტორთა საბჭო შედგება 7 წევრისგან, რომელთაგან ერთი წევრია ქალი. კომპანიას ასევე არ აქვს გაცემული ინფორმაცია დირექტორთა საბჭოს საშუალო წლიური ანაზღაურების შესახებ. დირექტორთა საბჭო შეიმუშავებს და ამტკიცებს კომპანიის სტრატეგიას, ასევე განიხილავს და ამტკიცებს დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციებს და ზედამხედველობს შიდა აუდიტისა და კონტროლის ფუნქციებს.

კომპანიაში სრულდება შიდა აუდიტისა და რისკების მართვის ფუნქციები.

კომპანიას არ გააჩნია წლიური ანგარიშების მომზადების და გამოქვეყნების პრაქტიკა. კომპანიის ფინანსური ანგარიშგებები კანონმდებლობით განსაზღვრული წესით წარედგინება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს. კომპანია არ ამზადებს მდგრადი განვითარების სტანდარტების დაცვის შესახებ ანგარიშს. კომპანიაში არ სრულდება ინვესტორთან კომუნიკაციის ფუნქცია.

შპს „მარაბდა-კარწახის რკინიგზა” - სახელმწიფოს წილი - 100%.

კომპანიას არ აქვს გაცემული ინფორმაცია კორპორაციული მართვის გაუმჯობესების მიზნებთან დაკავშირებით.

კომპანიას გააჩნია კორპორაციული მართვის სისტემისთვის მნიშვნელოვანი დოკუმენტები: ეთიკის კოდექსი და დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციებს. კომპანიაში არ არსებობს კორპორაციული მდივნის თანამდებობა და არ არის შემუშავებული ინტერესთა კონფლიქტისა და დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციების პოლიტიკის დოკუმენტი.

კომპანიას მომავალი 3 წლის განმავლობაში არ აქვს დაგეგმილი კორპორაციული მართვის გაუმჯობესების მიზნით შესაბამისი ზომების მიღება და არ გეგმავს ამ მიმართულებით ცვლილებების განხორციელებას. კომპანიის ინფორმაციით, უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში არ განხორციელებულა ცვლილებები კორპორაციული მართვის გაუმჯობესების მიზნით. ამასთან, კომპანია მიიჩნევს, რომ კორპორაციული მართვის გაუმჯობესებისთვის კომპანიის შიგნით დაბრკოლებები არ არსებობს.

კომპანიის ინფორმაციით, 2020 წელს არ ჩატარებულა ყოველწლიური საერთო კრება.

კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო შედგება 7 წევრისგან, თუმცა კომპანიას არ აქვს გაცემული

ინფორმაცია საბჭოში დამოუკიდებელი წევრების არსებობის შესახებ. საბჭოს წევრების საშუალო ასაკი 50 წელია. 2020 წლის განმავლობაში საბჭომ ჩაატარა 4 შეხვედრა. სამეთვალყურეო საბჭოსთან არ არის შექმნილი არცერთი კომიტეტი. სამეთვალყურეო საბჭო არ ახორციელებს საკუთარი საქმიანობის შეფასებას, თუმცა მისი საქმიანობა ფასდება კონსულტანტის მიერ ყოველწლიურად. კომპანიის ინფორმაციით, სამეთვალყურეო საბჭოს დანიშვნა თავად სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობაა. მნიშვნელოვანი გარიგებების განხილვა და დამტკიცებაც სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციას წარმოადგენს. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანაზღაურება ფიქსირებულია. კომპანიას არ აქვს გაცემული ინფორმაცია სამეთვალყურეო საბჭოს საშუალო ყოველთვიური ანაზღაურების შესახებ.

კომპანიას არ აქვს გაცემული ინფორმაცია დირექტორთა საბჭოს შესახებ, ასევე სტრატეგიის შემუშავებასა და დამტკიცებაზე პასუხისმგებლის თაობაზე. კომპანიის ინფორმაციით, დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციების განხილვა და დამტკიცება დირექტორის ფუნქციაა, ასევე დირექტორი ახორციელებს შიდა აუდიტისა და კონტროლის ფუნქციების ზედამხედველობას.

კოპანიაში სრულდება შიდა აუდიტის ფუნქცია.
კომპანიას გააჩნია წლიური ანგარიშების მომზადების და გამოქვეყნების პრაქტიკა, რომელიც მოიცავს კანონმდებლობით გათვალისწინებულ კორპორაციული მართვისა და მმართველობის ანგარიშგებასაც. კომპანია პერიოდულ ანგარიშებს აქვეყნებს საკუთარ ვებგვერდზე. კომპანიის ფინანსური ანგარიშგებები კანონმდებლობით განსაზღვრული წესით წარედგინება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს. კომპანია ასევე ამზადებს მდგრადი განვითარების სტანდარტების დაცვის შესახებ ანგარიშს. კომპანიაში სრულდება ინვესტორთან კომუნიკაციის ფუნქცია. ცნობისთვის, „სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის (GFS) კონტექსტიდან და კომპანიის ეკონომიკური ბუნებიდან გამომდინარე შპს მარაბდა-კარწახის რკინიგზა კლასიფიცირებულია სამთავრობო სექტორს მიღმა. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ მარაბდა-კარწახის მმართველობა ხორციელდება აზერბაიჯანის მთავრობის მიერ, ხოლო GFSM 2014-ის მიხედვით სახელმწიფო სექტორი შედგება მხოლოდ იმ ერთეულებისგან, რომლებსაც სახელმწიფო აკონტროლებს. ამრიგად, მარაბდა-კარწახი კლასიფიცირდება, როგორც რეზიდენტი კომპანია საქართველოში, უცხოეთის მიერ კონტროლირებადი კორპორაციების სექტორში. ამასთან, მარაბდა-კარწახის რკინიგზა წარმოადგენს არარეზიდენტი (სხვა ქვეყნის) მთავრობის კონტროლის ქვეშ მყოფ კორპორაციას, ამ შემთხვევაში საქართველოს მთავრობის როლი (კონტროლი) მარაბდა-კარწახის პროექტში არ უნდა იყოს მნიშვნელოვანი. ამ მოცემულობის გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობისთვის მარაბდა-კარწახის რკინიგზის კორპორატიზაცია არ უნდა იყოს პრიორიტეტული სხვა საწარმოებთან შედარებით.

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია" - სახელმწიფოს წილი - 100%, წილის მმართველი - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

კომპანიისთვის კორპორაციული მართვის გაუმჯობესება მიზნად ისახავს სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების პროცესის ეფექტიანობისა გაზრდასა და სამეთვალყურეო და საზედამხედველო ფუნქციების გაუმჯობესებას. კომპანიას კორპორაციული მართვის სისტემისთვის მნიშვნელოვანი დოკუმენტებიდან შემუშავებული აქვს დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციებს, თუმცა არ აქვს ეთიკის კოდექსი და ინტერესთა კონფლიქტისა და დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციების პოლიტიკის დოკუმენტი. კომპანიაში ასევე არ არსებობს კორპორაციული მდივნის თანამდებობა.

კომპანიას მომავალი 3 წლის განმავლობაში კორპორაციული მართვის გაუმჯეზესების მიზნით დაგეგმილი აქვს კორპორაციული მდივნის თანამდებობის შემოღება. კომპანიას არ აქვს გაცემული ინფორმაცია უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში კორპორაციული მართვის გაუმჯობესების მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ. ამასთან, კომპანიის აზრით, კორპორაციული მართვის გაუმჯობესებისთვის კომპანიის შიგნით დაბრკოლებას წარმოადგენს შესაბამისი კვალიფიციური

სპეციალისტების ნაკლებობა.

კომპანიის არ აქვს გაცემული ინფორმაცია 2020 წელს ყოველწლიური საერთო კრების ჩატარების შესახებ. ამასთან, თითქმის არ აქვს გაცემული კითხვარით მოთხოვნილი, სხვა საწარმოების მაგალითზე განხილული, სხვა ინფორმაცია.

კომპანიას გააჩნია წლიური ანგარიშების მომზადების და გამოქვეყნების პრაქტიკა, რომელიც მოიცავს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მმართველობის ანგარიშგებასაც. კომპანია პერიოდულ ანგარიშებს აქვეყნებს საკუთარ ვებგვერდზე. კომპანიის ფინანსური ანგარიშგებები კანონმდებლობით განსაზღვრული წესით წარედგინება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს. კომპანია არ ამზადებს მდგრადი განვითარების სტანდარტების დაცვის შესახებ ანგარიშს. კომპანიაში არ სრულდება ინვესტორთან კომუნიკაციის ფუნქცია.

სახელმწიფო საწარმოთა კორპორაციული მართვის კოდექსი

მუხლი 1. ძირითადი დებულებები

კორპორაციული მართვის წინამდებარე კოდექსი (შემდეგში ,,კოდექსი”) ვრცელდება საქართველოს მთავრობის 2021 წლის 7 აპრილის N156 დადგენილებით შექმნილ სახელმწიფო საწარმო თა რეფორმის საბჭოს მიერ განსაზღვრულ საწარმოებზე. ამ კოდექსის მიზანია საწარმოთა კორპორაციული მართვის ძირითადი პრინციპების განსაზღვრა ეფექტიანი და ჯანსაღი კორპორაციული მართვის უზრუნველსაყოფად.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ კოდექსში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა. დამოუკიდებლობა – ობიექტური განსჯისა და დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღების უნარი ნებისმიერი სხვა მხარისგან მომდინარე გავლენის გარეშე.

ბ. სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი – წევრი, რომელიც არ მიეკუთვნება ქვემოთ ჩამოთვლილ არცერთ ჯგუფს:

i. ბოლო ორი წლის განმავლობაში აკავშირებდა პირადი ურთიერთობა, მაგალითად, ნათესაური კავშირი, თანაცხოვრება და ა.შ. საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრთან ან ხელმძღვანელ პირთან, ან საწარმოს მნიშვნელოვანი წილის მფლობელ პირთან ან პირებთან.

ii. ბოლო ორი წლის განმავლობაში ეკავა მინისტრის, მინისტრის მოადგილის, საქართველოს პარლამენტის წევრის ან/და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა პოლიტიკური თუ სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობა.

iii. ბოლო ორი წლის განმავლობაში მართავდა/აწარმოებდა ბიზნესს, (პირდაპირ ან ირიბად), ან ჰქონდა სხვა რაიმე არსებითი საქმიანი ურთიერთობა საწარმოსთან ან პირთან ან პირებთან, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობენ მნიშვნელოვან წილს საწარმოში.

iv. აქვს რაიმე სახის მატერიალური ვალდებულება, მათ შორის, ფინანსური, საწარმოს მნიშვნელოვანი წილის მფლობელი აქციონერების ან ხელმძღვანელი პირების მიმართ.

v. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ჰქონდა პროფესიული ან სხვა სახის საქმიანი ურთიერთობა (მათ შორის, ბიზნეს მომსახურების გაწევა) საწარმოს მიმართ, მის ხელმძღვანელებთან ან მნიშვნელოვანი წილის მქონე აქციონერებთან.

vi. სამეთვალყურეო საბჭოს წევრობისთვის დაწესებული ფიქსირებული ხელფასისა და დივიდენდის გარდა, საწარმო მას უხდის სხვა დამატებით თანხას.

vii. აქვს სხვა რაიმე სახის ურთიერთობა, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მის დამოუკიდებლობაზე.

viii. მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული საჯარო მოსამსახურე.

გ. კორპორაციული განზრახვის განაცხადი (შემდგომში კგგ) - დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს დადგენილი რისკების ფარგლებში საწარმოს მიერ მისაღწევ ფინანსურ და არაფინანსურ მიზნებს. კგგ წარმოადგენს 4 წლიან დოკუმენტს, რომელიც უნდა განახლდეს ყოველწლიურად. დოკუმენტი შესათანხმებლად წარედგინება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს არაუგვიანეს 1 სექტემბრისა. დოკუმენტი შესაძლებელია დაზუსტდეს ფინანსთა სამინისტროს რეკომენდაციების და მითითებების გათვალისწინების მიზნით. კგგ-ს შესრულებაზე ანგარიშვალდებულია სამეთვალყურეო საბჭო. დოკუმენტში უნდა განისაზღვროს საწარმოს:

გ.ა. საქმიანობის სფერო;

გ.ბ. ფინანსური და არაფინანსური მიზნები შესრულების ძირითად ინდიკატორებთან ერთად (KPIs), სამიზნე მაჩვენებლები და დივიდენდების პოლიტიკა. აღნიშნული შესაბამისობაში უნდა იყოს საპროგნოზო ფინანსურ ანგარიშგებებთან;

გ.გ.რისკების ლიმიტები;

გ.დ. ნებისმიერი ტრანსფერი, რომელიც საწარმომ უნდა მიიღოს ბიუჯეტიდან ან გადაუხადოს მას არახელსაყრელი კონკურენტული პირობების ან კონკურენტული უპირატესობის გამო.

გ.ე. ნებისმიერი კვაზი-ფისკალური აქტივობა და ტრანსფერები, რომელიც საწარმომ უნდა მიიღოს ბიუჯეტიდან ან გადაუხადოს მას, ცენტრალური მთავრობის მითითებით მსგავსი აქტივობების განხორციელების მიზნით.

გ.ვ. ინფორმაციის (ფინანსური, არაფინანსური თუ სხვა სახის ინფორმაციის) შესაბამისობის უზრუნველყოფა წინა წლის კორპორაციული განზრახვის განაცხადსა და მმართველობის ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციასთან.

გ.ზ. მოსალოდნელი შედეგები საწარმოს მიზნების მიუღწევლობის, აღებული რისკების ლიმიტების და ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევებში.

დ. სტრატეგია - საწარმოს მიერ შემუშავებული გზამკვლევი გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად. დოკუმენტი განსაზღვრავს საწარმოს მისიას, ხედვას და განვითარების მიმართულებას, აღწერს გეგმების, მოქმედებებისა და მიზნების მკაფიო ჩამონათვალს კონკურენტულ, განუსაზღვრელ გარემოსა და შეზღუდული რესურსების პირობებში ფუნქციონირებისთვის.

ე. საწარმო - სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმო.

ვ. მშობელი საწარმო - სუბიექტი, რომელიც ერთ ან რამდენიმე შვილობილ საწარმოს აკონტროლებს ,,ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ზ. შვილობილი საწარმო - სუბიექტი, რომელსაც მშობელი საწარმო აკონტროლებს, მათ შორის, შვილობილი საწარმო, რომელიც წარმოადგენს მშობელ საწარმოს ,,ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

თ. *კონტროლის ფუნქციები* - ფუნქციები, რომლებსაც ევალებათ ობიექტური შეფასება, ანგარიშგება და რწმუნება. ასეთ ფუნქციებს მიეკუთვნება: რისკის მართვის, შესაბამისობის დადგენის და შიდა აუდიტის ფუნქციები, ასევე აღნიშნული ფუნქციების განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულები.

ი. *შესაბამისობის ფუნქცია* - ერთეული, რომელიც სხვა ფუნქციებთან ერთად უზრუნველყოფს რწმუნებას, რომ საწარმო მოქმედებს არსებული კანონმდებლობის, წესების, შიდა პოლიტიკისა და

პროცედურების შესაბამისად, აგრეთვე განსაზღვრავს და აფასებს შესაბამისობის რისკებს, აძლევს რეკომენდაციებს სამეთვალყურეო საბჭოს და ხელმძღვანელ პირებს შესაბამისობის რისკების მართვისა და მონიტორინგის შესახებ. აგრეთვე, უზრუნველყოფს თანამშრომელთა ინფორმირებულობას შესაბამისობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

კ. რისკის ზღვრები - კონკრეტული რაოდენობრივი ზღვარი ან ლიმიტი, რომელიც განსაზღვრავს საწარმოს მთლიანი რისკის განაწილებას ბიზნესის ცალკეულ მიმართულებებზე, იურიდიულ პირებზე (სადაც შესაბამისია), ასევე სპეციფიკური რისკის კატეგორიებზე, კონცენტრაციებზე და, საჭიროების შემთხვევაში, სხვა სახის რისკებზე.

ლ. ნათესაური ნიშნით დაკავშირებული პირები (ნათესავები) - პირები, რომლებიც, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, წარმოადგენენ I და II რიგის მემკვიდრეებს.

ამ კოდექსში გამოყენებულ ყველა სხვა ტერმინს აქვს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი მნიშვნელობები.

მუხლი 3. კორპორაციული მართვის ძირითადი პრინციპები

1. საწარმოს ორგანიზაციულ სტრუქტურაში უნდა არსებობდეს სამეთვალყურეო საბჭო.

2. სამეთვალყურეო საბჭო პასუხს აგებს საწარმოს კორპორაციულ მართვაზე. გარდა ამისა, მაღალი რანგის ხელმძღვანელი პირები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მმართველობის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად და პასუხისმგებელნი არიან საწარმოს საქმიანობის ეფექტიანობაზე სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული სხვადასხვა პოლიტიკის შესაბამისად.

3.საწარმოს უნდა ჰქონდეს მკაფიოდ განსაზღვრული ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს პასუხისმგებლობის მკაფიო განაწილებას, რისკების ეფექტურ იდენტიფიკაციას, სათანადო მართვის, მონიტორინგისა და ანგარიშგების პროცედურებს, შიდა კონტროლის ადეკვატურ მექანიზმებს, მათ შორის, მკაცრ ადმინისტრაციულ და სააღრიცხვო პროცედურებს, ეფექტურ ინფორმაციული ტექნლოგიების (IT) სისტემებსა და რისკის კონტროლს; შესაბამის კომპენსაციის, ანაზღაურების პოლიტიკას და პროცედურებს. ეს წესები რეგულარულად უნდა განიხილებოდეს და განახლდეს ორგანიზაციის შიგნით.

4.საწარმომ უნდა უზრუნველყოს, რომ მისი ორგანიზაციული და კორპორაციული მართვის სტრუქტურა არ იწვევდეს ინტერესთა კონფლიქტს და არც ერთ პირს არ ჰქონდეს გადაწყვეტილების მიღების შეუზღუდავი უფლებამოსილება.

5.კორპორაციული მართვის სტრუქტურა და პოლიტიკა უნდა იყოს მკაფიოდ ჩამოყალიბებული და გაცხადებული ყველა დაინტერესებული მხარისა და თანამშრომლისთვის.

6.საწარმოს მმართველობითი სტრუქტურის ნებისმიერ წევრს, რომელსაც რაიმე არსებითი შეშფოთება გაუჩნდება საწარმოს საერთო კორპორაციული მართვის საკითხზე, უფლება აქვს მიმართოს სამეთვალყურეო საბჭოს.

7.საწარმოს გრძელვადიან სტრატეგიული განვითარების გეგმაში უნდა იქნას გათვალისიწინებული მდგრადი განვითარების საკითხები, როგორებიცაა: გარემოს დაცვა, სოციალური პასუხისმგებლობა და მმართველობა (გსმ) სტანდარტები.

მუხლი 4. სამეთვალყურეო საბჭოს როლები და პასუხისმგებლობა

1. სამეთვალყურეო საბჭოს წევრებმა უნდა იმოქმედონ საწარმოს მიმართ ლოიალური და ერთგული დამოკიდებულებით.

2. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები უნდა იყვნენ ანგარიშვალდებულნი თავიანთი მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის ფარგლებში, სამართლიანად უნდა მოექცნენ ყველა დაინტერესებულ მხარეს და გამჭვირვალედ განახორციელონ თავიანთი მოვალეობები.

3. სხვა ფუნქციებთან ერთად, სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ინდივიდუალურად და ერთობლივად უნდა იყვნენ პასუხისმგებელნი შემდეგი ფუნქციების შესრულებაზე:

ა. საწარმოს ღირებულებების, კორპორაციული მართვის სტრუქტურების ჩამოყალიბებასა და ზოგადად, საწარმოს ჯანსაღი მმართველობის უზრუნველყოფაზე, სამართლიანობის, კომპეტენციის, პროფესიონალიზმის, ეთიკისა და კორპორაციული მართვის პრინციპების სრული დაცვით.

ბ. საწარმოში კორპორაციული მართვის ძირითადი ცენტრისა და ზედამხედველის როლის შესრულებაზე, მათ შორის, პოლიტიკისა და გეგმების დამტკიცებით, მენეჯმენტის საქმიანობის ზედამხედველობითა და ორგანიზაციის ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფით ანგარიშგებისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვის გზით.

გ. საწარმოში ეთიკური კულტურის ჩამოყალიბებასა და საწარმოს ეთიკის სტანდარტების დაცვით ფუნქციონირებაზე ეთიკის კოდექსისა და ეთიკის პოლიტიკის დამტკიცებით, მენეჯმენტის მუდმივი მონიტორინგითა და აღნიშნული პოლიტიკის დაცვით, სანქციებისა და სხვა ზომების გამოყენებით ეთიკური სტანდარტების დარღვევის შემთხვევებში.

დ. თვალყურს ადევნებს არსებული სხვადასხვა პოლიტიკისა და პროცედურების ეფექტურობასა და მიუკერძოებლობას დაცული ინფორმაციის გამჟღავნებასთან დაკავშირებით (მაგალითად, მხილების სისტემა). ამასთან, უზრუნველყოფს ხელმძღვანელი პირების სრულ პასუხისმგებლობას საწარმოს სხვა ერთეულების მიერ გამოვლენილი ყველა მნიშვნელოვანი საკითხის ანგარიშგებაზე. გარდა ამისა, მამხილებლები სრულად უნდა იყვნენ დაცულნი ნებისმიერი სახის პოტენციური ზიანისა და დისკრიმინაციისგან.

ე. საწარმოს სტრატეგიის შედგენაზე დაკავშირებული რისკების გათვალისწინებით, დამტკიცებული სტრატეგიის განხორციელების პოლიტიკის დამტკიცებაზე, ხელმძღვანელი პირებისთვის უფლებამოსილების დელეგირებაზე დამტკიცებული სტრატეგიისა და პოლიტიკის შესრულების მიზნით; ხელმძღვანელი პირების მიერ სტრატეგიული მიზნების შესრულების ზედამხედველობასა და ნებისმიერ უარყოფით მოვლენასა და შედეგზე რეაგირებაზე .

ვ. კანონმდებლობის, მარეგულირებელი და საზედამხედველო მოთხოვნების, ამ კოდექსის, ეთიკის კოდექსისა და საწარმოს შიდა სტანდარტების, მათ შორის, შესაბამისობის უზრუნველმყოფი პოლიტიკის შემუშავებაზე და მენეჯმენტის მიერ შესაბამისობის მარეგულირებელი ნორმების შესრულებაზე.

ზ. რისკის მართვაზე იმგვარად, რომ დაეხმაროს საწარმოს სტრატეგიული მიზნების დასახვასა და მიღწევაში კგგ-ის, კონკურენტული და მარეგულირებელი გარემოს, საწარმოს გრძელვადიანი ინტერესების, რისკის მიმღებლობის გათვალისწინებით. აღნიშნული მოიაზრებს რისკების მართვის ისეთი პოლიტიკის ჩარჩოს შექმნას, რომელიც განსაზღვრავს იმ რისკების სახეებსა და მოცულობებს, რომელთა გაწევაც საწარმოს სურს თავისი სტრატეგიული მიზნების მისაღწევად. რისკების მართვის მიმდინარე კონტროლისას ყურადღება ექცევა არსებული რისკებს, მათ გამოვლენას და საპასუხო ქმედებების განხორციელებას; რისკების მართვის ეფექტურობას, კონტროლს და საწარმოს რისკების ლიმიტებთან და რისკის პოლიტიკასთან შესაბამისობას.

თ. კორპორაციული მართვის სტრუქტურის ჩამოყალიბებაზე, დამოუკიდებლად განსჯისა და საკუთარი მოვალეობების ეფექტურად შესრულებაზე, რაც უზრუნველყოფს ძალაუფლების შესაბამის ბალანსს, რათა არც ერთ პირს გააჩნდეს ერთპიროვნული გადაწყვეტილების მიღების უფლება.

ი. უზრუნველყოფა იმისა, რომ ორგანიზაციული სტრუქტურა, პირთა თანამდებობაზე დანიშვნა, ფუნქციათა დელეგირება, ხელმძღვანელი პირების საქმიანობის ზედამხედველობა და შეფასება ხელს უწყობდეს თითოეული რგოლის როლის სიცხადეს, უფლებამოსილების და პასუხისმგებლობის

ეფექტიანად განხორციელებას, ანაწილებდეს ძალაუფლების ბალანსს ისე, რომ არც ერთ პირს ჰქონდეს გადაწყვეტილების მიღების შეუზღუდავი უფლება. დამტკიცდეს უფლებამოსილების განაწილების ჩარჩო წერილობითი სახით.

კ. უზრუნველყოფა იმისა, რომ სამეთვალყურეო საბჭო იღებს საკმარის ინფორმაციას ხელმძღვანელი პირებისგან, მათ შორის, განმარტებებს და რწმუნებას, რომ ხელმძღვანელების საქმიანობა სრულად შეესაბამება საწარმოს კგგ-ს, სტრატეგიას, პოლიტიკას და საწარმოს შიდა კონტროლის მექანიზმებს, რაც დამტკიცებულია სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

ლ. უზრუნველყოფა იმისა, რომ საწარმოს მიერ გადახდილი ანაზღაურება იყოს სამართლიანი, პასუხისმგებლიანი და გამჭვირვალე, რაც ხელს შეუწყობს საწარმოს კგგ-ის, სტრატეგიული მიზნების და ეთიკური კულტურის მიღწევას მოკლევადიან, საშუალო და გრძელვადიან პერიოდში. აღნიშნული ასევე გულისხმობს ხელმძღვანელი თანამდებობის პირების კომპენსაციის განხილვასა და განსაზღვრას, კომპენსაციის, ანაზღაურების პოლიტიკის დამტკიცებას კგგ-ის, საწარმოს სტრატეგიის, ეთიკური კულტურისა და გამჭვირვალობის სტანდარტების შესაბამისად და მიღებული გადაწყვეტილების შესრულების ზედამხედველობას.

მ. უზრუნველყოს, რომ საწარმოს მიერ გამოქვეყნებული ანგარიშები საშუალებას მისცემენ დაინტერესებულ მხარეებს ინფორმირებულად შეაფასონ საწარმოს საქმიანობა და მისი მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი პერსპექტივები. მათ შორის, უზრუნველყოს, რომ ანგარიშები შეესაბამებოდეს სამართლებრივ მოთხოვნებს, აგრეთვე მატერიალურად დაინტერესებული მხარეების ლეგიტიმურ ინფორმაციულ საჭიროებებს. ანგარიშები უნდა იყოს ყოვლისმომცველი და ძირითადი ანგარიშები უნდა გამოქვეყნდეს საწარმოს ვებგვერდზე.

ნ. კონტროლის ფუნქციის და შესაბამისობის ფუნქციის დამოუკიდებლობისა და ეფექტურობის უზრუნველყოფა, რაც ხელს უწყობს იმ ინფორმაციის სისრულეს და სანდოობას, რომელიც საწარმოს შიდა გადაწყვეტილების და გარე ანგარიშგების მომზადებისთვის გამოიყენება, ასევე კორპორაციული მდივნის საქმიანობის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა.

ო. დაკავშირებულ პირებთან ტრანზაქციების ზედამხედველობას და კონტროლს ეფექტური პროცედურებით და პოლიტიკით.

პ. დაიცვას და მიყვეს საწარმოს კომერციულ მიზნებს, თავიდან აიცილოს იმ საქმიანობების განხორციელება, რასაც, როგორც წესი, არ ახორციელებენ კერძო სექტორის კომპანიები.

ჟ. საწარმოს არამომგებიანი საქმიანობების იდენტიფიცირება და მათ შესახებ დაინტერესებული მხარეების ინფორმირება.

4. ყველა აღნიშნული მოვალეობის შესრულების მიზნით სამეთვალყურეო საბჭომ უნდა განახორციელოს შემდეგი ფუნქციები:

ა. ხელმძღვანელი პირების თანამდებობაზე დანიშვნა და გათავისუფლება;

ბ. საწარმოს ბიუჯეტის დამტკიცება;

გ. ორგანიზაციული სტრუქტურის მიღება და სახელფასო ბადის დამტკიცება.

დ. შიდა პოლიტიკის, რეგულაციების და ინსტრუქციების მიღება, ასევე აღმასრულებელი ხელმძღვანელი პირისთვის (CEO) ფუნქციების დელეგირების შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

ე. წესების მიღება იმ ძირითადი ტრანზაქციების (მნიშვნელოვანი გარიგებების) კონტროლის შესახებ, რომელთაც სჭირდებათ თანხმობა აქციონერის მხრიდან.

ვ. საწარმოს გრძელვადიანი სტრატეგიის მიღება.

ზ. აქციონერისთვის კგგ-ის წარდგენა;

თ. საწარმოს შიდა კონტროლის და აღრიცხვა-ანგარიშგების სისტემების საიმედოობის და სანდოობის უზრუნველყოფა;

ი. ფინანსური ანგარიშგებების დამტკიცება;

კ. გარე აუდიტორის შერჩევა აქციონერის მიერ დასამტკიცებლად;

ლ. საწარმოს არაკომერციული აქტივობების იდენტიფიკაცია და კომუნიკაცია აქციონერთან აღნიშნული ტიპის აქტივობების შეწყვეტის ან მათი კომპენსაციის შესახებ.
მ. კომუნიკაციის და გამჭვირვალობის პროცესების ზედამხედველობა;
ნ. ინტერესთა კონფლიქტის მართვა.
5. დაკისრებული ფუნქციების შესასრულებლად სამეთვალყურეო საბჭო უნდა შეიკრიბოს სულ მცირე კვარტალში ერთხელ, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, გაზარდოს შეხვედრების სიხშირე.
6. სამეთვალყურეო საბჭოს წევრებმა არ უნდა მიიღონ მონაწილეობა სამეთვალყურეო საბჭოს განხილვებში ან გადაწყვეტილების მიღების პროცესში, თუ მათ აქვთ პირდაპირი კავშირი განსახილველ საკითხთან, რამაც შეიძლება ინტერესთა კონფლიქტი წარმოშვას. ამასთან, არაპირდაპირი კავშირის არსებობის პირობებში, სამეთვალყურეო საბჭომ უნდა შეაფასოს არსებული რისკები, რამაც შეიძლება ინტერესთა კონფლიქტი გამოიწვიოს. ასევე სამეთვალყურეო საბჭომ უნდა გაითვალისწინოს ასეთის წარმოშობის ალბათობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.
7. სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს არ აქვთ უფლება თავისი უფლებები გადასცენ სხვას, საბჭოს კომიტეტების გარდა.
8. სამეთვალყურეო საბჭო რეგულარულად უნდა შეხვდეს ხელმძღვანელ პირებს და შიდა კონტროლის ფუნქციის განმახორციელებლებს, რათა განიხილოს ის პოლიტიკა და კონტროლის მექანიზმები, რომლითაც მატერიალური რისკის და შემაფერხებელი ფაქტორების იდენტიფიცირება ხდება. სამეთვალყურეო საბჭომ უნდა დასვას კითხვები და კრიტიკულად განიხილოს ხელმძღვანელი პირების მიერ წარმოდგენილი განმარტებები და მიწოდებული ინფორმაცია.
9. სამეთვალყურეო საბჭოს და მისი კომიტეტების შეკრება, გადაწყვეტილებები და მიღებული რეკომენდაციები უნდა გაფორმდეს სათანადოდ, დოკუმენტის/ოქმის სახით. ასეთი დოკუმენტის შედგენა კორპორაციული მდივნის მოვალეობაა, რომლის ფუნქციები განსაზღვრული უნდა იყოს საწარმოს ორგანიზაციულ სტრუქტურაში. დოკუმენტში უნდა აისახოს ინფორმაცია საბოლოო გადაწყვეტილების შესახებ და ასევე იმ პირთა მოსაზრებები და არგუმენტები, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ მიღებულ გადაწყვეტილებას თუ შემუშავებულ რეკომენდაციას.
10. მინიმუმ წელიწადში ერთხელ სამეთვალყურეო საბჭომ უნდა შეაფასოს საკუთარი და თავისი კომიტეტების საქმიანობა. მინიმუმ სამ წელიწადში ერთხელ შეფასების პროცესში უნდა ჩაერთონ გარე კონსულტანტები. შეასაბამისი პროცედურა უნდა შემუშავდეს და დამტკიცდეს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.
11.სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობის შეფასება უნდა განახორციელოს აქციონერმაც, აქციონერმა უნდა შეიმუშაოს და პრაქტიკაში განახორციელოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრების საქმიანობის შეფასების პროცედურები. შეფასების შემდგომი პროცესი და აქციონერის მოსაზრებები შეფასების შედეგების შესახებ უნდა აისახოს საწარმოს წლიურ ანგარიშში.

მუხლი 5. სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა და შერჩევა

1. სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს უნდა გააჩნდეთ საკმარისი კომპეტენცია და უნარ-ჩვევები საწარმოს ფინანსური მდგრადობისა და რისკების ეფექტური ზედამხედველობის უზრუნველსაყოფად.

2. თუ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი აღარ აკმაყოფილებს შესაბამისი კანონმდებლობით წაყენებულ მოთხოვნებს, ან მისი საბჭოს წევრობა პოტენციურად რისკის შემცველია, ან ვეღარ ასრულებს დაკისრებულ მოვალეობებს და ფუნქციებს, ან ვეღარ აკმაყოფილებს ამავე კოდექსის მე-2 მუხლის ბ) პუნქტით გათვალისწინებულ დამოუკიდებლობის კრიტერიუმს, უნდა გატარდეს შესაბამისი ზომები.

3. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების რაოდენობა უნდა შეესაბამებოდეს საწარმოს მასშტაბებსა და კომპლექსურობას.

4. სამეთვალყურეო საბჭოს წევრის საქმიანობის ვადაა 3 წელი. ამასთან, პირი საბჭოს წევრად შეიძლება

დაინიშნოს მაქსიმუმ 2 ვადით.

5. სამეთვალყურეო საბჭოს ყველა წევრი უნდა იყოს დამოუკიდებელი.

6. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების შერჩევა უნდა განხორციელდეს მთავრობის მიერ, ფინანსთა სამინისტროს, შესაბამისი დარგობრივი სამინისტროს და შესარჩევი საკონსულტაციო კომისიის რჩევის საფუძველზე. კომისიას უნდა გააჩნდეს რჩევების გაცემის გამჭვირვალე მექანიზმი. კომისიის შემადგენლობა უნდა იყოს დაბალანსებული, რათა უზრუნველყოფდეს სამეთვალყურეო საბჭოს წევრების დამსახურებაზე დაფუძნებულ შერჩევას. კომისიის წევრები, რომელთაც დაასახელებენ ბიზნეს-ასოციაცია(ები) და შესაბამისი სოციალური ინტერესის ჯგუფები, უნდა წარმოადგენდნენ კომისიის შემადგენლობის სულ მცირე 20 პროცენტს. შესარჩევი საკონსულტაციო კომისიის შექმნა ხელს შეუწყობს გამჭვირვალობისა და დამოუკიდებლობის პრინციპების დაცვას სამეთვალყურეო საბჭოს ფორმირების პროცესში. კომისიის ფუნქციებს წარმოადგენს: აუცილებელი უნარებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრა და გამოქვეყნება, კანდიდატების მოძიება-იდენტიფიკაცია საჯარო საკონკურსო განაცხადის საფუძველზე და მიღებული აპლიკაციების დადგენილ კრიტერიუმებთან შესაბამისობის შემოწმება, კანდიდატების მოკლე სიის შედგენა და ინტერვიუების ჩატარება მოკლე სიის კანდიდატებთან, ინტერესთა კონფლიქტის შესაძლო შემთხვევების იდენტიფიცირება.

7. წევრების შერჩევის პროცესის ხელშესაწყობად საწარმომ უნდა შექმნას შესარჩევი საკონსულტაციო კომისიის დროებითი სამდივნო.

8. სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის თითოეული კანდიდატის დამოუკიდებლობა უნდა დადასტურდეს წინასწარ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ უმრავლესობით ამ კანდიდატის შესარჩევი საკონსულტაციო კომისიისთვის წარდგენამდე. პირი, რომელიც მონაწილეობს კანდიდატის დამოუკიდებლობის შესახებ ხმის მიცემის პროცესში, თავის მხრივ, უნდა იყოს დანიშნული ამ კოდექსის პრინციპების შესაბამისად ამ კოდექსის მიღების შემდეგ.

9. თუ სამეთვალყურეო საბჭოს არ აქვს საკმარისი შესაძლებლობა ხმის მიცემისთვის, ან რაიმე მიზეზით არ შეუძლია კანდიდატის დამოუკიდებლობის დადგენა, შესარჩევმა საკონსულტაციო კომისიამ უნდა დაადასტუროს კანდიდატის დამოუკიდებლობა შერჩევის პროცესში.

10. სამეთვალყურეო საბჭოს ყველა წევრს უნდა მიეცეს სათანადო დრო თავისი მოვალეობის შესასრულებლად .

11. სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს უნდა გააჩნდეთ ცოდნა და გამოცდილება შესაბამის სფეროებში და ჰქონდეთ დაგროვილი ცოდნა, რათა უზრუნველყოფილ იქნას მოსაზრებათა მრავალფეროვნება. ამასთან, სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არანაკლებ 25 პროცენტი (25%) უნდა იყოს ქალი.

12. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების შესარჩევად საწარმოს უნდა ჰქონდეს შერჩევის შესაბამისი პროცედურები და პოლიტიკა და უნდა უზრუნველყოს არსებულ კრიტერიუმებთან შესაბამისობა. სამეთვალყურეო საბჭომ უნდა შეიმუშაოს წევრთა სავალდებულო კვალიფიკაციების ოფიციალური ჩამონათვალი, რაც უზრუნველყოფს საბჭოს წევრთა შორის შესაბამისი უნარების ფართო სპექტრის არსებობას, ხოლო წევრობის კანდიდატების შეფასება უნდა მოხდეს აღნიშნული ჩამონათვალის მიხედვით.

13. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ერთობლივად აგებენ პასუხს საწარმოს საერთო ინტერესებზე. ამასთან, სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს გააჩნიათ ფიდუციური, ნდობაზე დაფუძნებული და საწარმოსთვის სარგებლის მომტანი, ვალდებულებები საწარმოს მიმართ.

14. სამეთვალყურეო საბჭომ უნდა უზრუნველყოს საბჭოს წევრების მონაწილეობა სასწავლო პროგრამებში, რაც გულისხმობს საბჭოს წევრების მიერ ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეძენასა და შენარჩუნებას თავიანთი მოვალეობების შესასრულებლად. ძალისხმევა უნდა მიიმართოს წევრების უნარ-ჩვევების დახვეწასა და ცოდნის გაღრმავებაზე შეფასების პროცესში გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად, როგორც ეს აღწერილია მე-10 მუხლის მე-4 პუნქტში, მათ შორის, ფინანსების, რეგულაციების, ან რისკების შეფასების მიმართულებებით. აღნიშნული შესაძლოა საჭიროებდეს

როგორც შიდა, ასევე გარე რესურსების მოზიდვას.

15. საჭიროების შემთხვევაში, გადაწყვეტილებების მიღებისა და რეკომენდაციების შემუშავების პროცესში, სამეთვალყურეო საბჭოს და მის კომიტეტებს ხელი უნდა მიუწვდებოდეთ გარე ექსპერტების დახმარებაზე. ამ მიზნისთვის, საჭირო რესურსები უნდა განისაზღვროს საწარმოს ბიუჯეტის ფორმირებისას.

მუხლი 6. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

1. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე უნდა შეირჩეს საბჭოს წევრებიდან. იგი უნდა იყოს პასუხისმგებელი საბჭოს ფუნქციონირებაზე, ასევე ნდობისა და კოლეგიალურობის შენარჩუნებაზე წევრებს შორის, რაც ხელს შეუწყობს სამეთვალყურეო საბჭოსა და ხელმძღვანელ პირთა შორის კოორდინაციას და კოლეგიალურობას. მან ასევე უნდა შეასრულოს დამაკავშირებელი როლი აქციონერსა და საწარმოს შორის.

მუხლი 7. სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტები

1. საწარმომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისგან უნდა დააკომპლექტოს, სულ მცირე, შემდეგი კომიტეტები: აუდიტის და ანაზღაურების, ნომინირების და მმართველობის კომიტეტები.

2. თითოეულ კომიტეტს უნდა ჰქონდეს ფორმალური დებულება ან სხვა ინსტრუმენტი, რომელიც განსაზღვრავს მის წევრობას, მანდატს, საქმიანობის სფეროს და სამუშაო პროცედურას. ეს მოიცავს კომიტეტების როლს და პასუხისმგებლობას, მოვალეობებს, რომლებიც კომიტეტებს უნაწილდებათ გადაწყვეტილების მიღების პროცესში თუ როგორი იქნება ამ კომიტეტების ანგარიშგება სამეთვალყურეო საბჭოს მიმართ; მათი ხელმისაწვდომობა რესურსებსა და ინფორმაციაზე; შეხვედრების პროტოკოლი და წევრებისთვის კომიტეტებში მუშაობის ვადა. სამეთვალყურეო საბჭომ თვალყური უნდა ადევნოს მისი კომიტეტების შემადგენლობას, რათა ხელი შეუწყოს ეფექტურ თანამშრომლობას კომიტეტების წევრებს შორის. კომიტეტებში საჭირო უნარ-ჩვევების, ცოდნის და გამოცდილების არსებობას და ძალაუფლების გადანაწილებას. ასევე, სამეთვალყურეო საბჭომ უნდა განიხილოს კომიტეტების წევრებისა და კომიტეტების თავმჯდომარეების პერიოდული როტაცია, რაც შეამცირებს ძალაუფლების არასასურველი კონცენტრაციის რისკს და შექმნის ახალ პერსპექტივებს.

3. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი არ შეიძლება იყოს ორზე მეტი კომიტეტის წევრი.

4. კომიტეტებმა უნდა აწარმოონ და შეინახონ თავიანთი რეკომენდაციების და განხილვების ჩანაწერები, რომელიც მომზადებული იქნება კორპორაციული მდივნის მიერ. ამასთან, კომიტეტებმა რეგულარულად უნდა წარუდგინონ სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშები შემუშავებული რეკომენდაციების შესახებ. კომიტეტების თითოეული რეკომენდაციის შესრულებაზე საბოლოო პასუხისმგებელობა ეკისრება სამეთვალყურეო საბჭოს.

5. კომიტეტების დებულებების განხილვა, განსაკუთრებით უფლებების და მოვალეობების ნაწილში, უნდა მოხდეს წელიწადში ერთხელ. განხილვების შინაარსი უნდა გაფორმდეს დოკუმენტურად.

6. კომიტეტებს უფლება აქვთ მოიკვლიონ და შეისწავლონ ყველა საკითხი, რომელიც მათი მანდატის ფარგლებშია და ხელი მიუწვდებოდეთ ყველა ინფორმაციაზე, რაც საჭიროა მათი მოვალეობის შესასრულებლად. ამასთან, მათ უფლება აქვთ შეხვდნენ საწარმოს მაკონტროლებელი ფუნქციის მქონე სტრუქტურულ ერთეულებს, ხელმძღვანელი პირების თანდასწრების გარეშე.

7.სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტების წევრები თანამდებობაზე დანიშნულები უნდა იყვნენ სპეციალიზებული უნარების, ექსპერტული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე. მათ უნდა მოეთხოვებოდეთ ობიექტური, ჯანსაღი და დასაბუთებული რეკომენდაციების შემუშავება.

მუხლი 8. აუდიტის კომიტეტი

1. აუდიტის კომიტეტი პასუხისმგებელია :

ა. სხვა ვალდებულებებთან ერთად ჩამოაყალიბოს შიდა აუდიტის და ფინანსური ანგარიშგების პოლიტიკა.

ბ. მონიტორინგი გაუწიოს ფინანსური ანგარიშგების პროცესებს ისე, რომ საწარმოს მიერ ხდებოდეს ყველა ფინანსური ანგარიშგების მოთხოვნის შესრულება და მაღალი ხარისხის ფინანსური რეპორტების წარმოება დადგენილი პოლიტიკის შესაბამისად. ასევე, ფინანსური ანგარიშგებების დამტკიცება მათ გამოქვეყნებამდე.

გ. მონიტორინგი გაუწიოს და ითანამშრომლოს საწარმოს შიდა და გარე აუდიტორებთან

დ. შიდა აუდიტის ფუნქციის ზედამხედველობა და მისი საჭირო რესურსებით და აუცილებელი დამოუკიდებლობით უზრუნველყოფა.

ე. საწარმოს შიდა კონტროლის ადეკვატურობის ზედამხედველობა და მარეგულირებელ და საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

ვ. დაამტკიცოს ან შესაბამისი რეკომენდაციები წარუდგინოს სამეთვალყურეო საბჭოს და აქციონერებს გარე დამოუკიდებელი აუდიტორების კანდიდატურების მხარდაჭერის, დანიშვნის, ანაზღაურების და დათხოვნის შესახებ;

ზ. განიხილოს და დაამტკიცოს ჩასატარებელი აუდიტის სფერო და სიხშირე;

თ. მიიღოს აუდიტორული შემოწმების შედეგების ამსახველი ანგარიშები, აუდიტის მიგნებების საპასუხოდ ხელმძღვანელი პირების მიერ მომზადებული გეგმები და უზრუნველყოს უმაღლესი მენეჯმენტის მხრიდან მაკორექტირებელი ღონისძიებების დროული გატარება კონტროლის სისუსტის, რეგულაციებთან და სხვადასხვა პოლიტიკებთან შეუსაბამობების შესახებ აუდიტორებისა და სხვა მაკონტროლებელი ერთეულების მიერ გამოვლენილი სხვა პრობლემების აღმოსაფხვრელად;

ი. საბუღალტრო-საანგრიშგო პოლიტიკის და პრაქტიკების ჩამოყალიბების ზედამხედველობა.

კ. განიხილოს მესამე მხარის მოსაზრებები შიდა კონტროლის სისტემის ეფექტიანობის თაობაზე;

ლ. შიდა და გარე აუდიტის ადეკვატური ფუნქციონირების, დამოუკიდებლობის და ეფექტური საქმიანობის უზრუნველყოფა.

მ. გარე აუდიტორის შერჩევის შესახებ რჩევის გაცემა;

ნ. გარე აუდიტორის მიერ მომზადებული სარეკომენდაციო წერილების განხილვა და ხელმძღვანელი პირების მიერ პრობლემების აღმოსაფხვრელად მაკორექტირებელი ქმედების შესრულების მონიტორინგი.

2. აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე არ უნდა იყოს ამავდროულად სამეთვალყურეო საბჭოს ან სხვა კომიტეტის თავმჯდომარე. ამასთან, აუდიტის კომიტეტი უნდა შედგებოდეს არანაკლებ სამი წევრისგან; აუდიტის კომიტეტის არანაკლებ 2 წევრს, კომიტეტის თავმჯდომარის ჩათვლით უნდა გააჩნდეს ფინანსური ანგარიშგების ანალიზის უნარი და ჰქონდეს სათანადო ცოდნა ფინანსებში.

3. აუდიტის კომიტეტის წევრებს გააჩნიათ შესაძლებლობა თავისუფლად მიმართონ უმაღლეს მენეჯმენტს, შიდა აუდიტს და რისკების მართვაში ჩართულ ყველა შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს.

4. აუდიტის კომიტეტმა ყოველწლიურად უნდა განიხილოს გარე აუდიტორის დამოუკიდებლობის საკითხი და საწარმოს კორპორაციული მართვის წლიურ ანგარიშში გამოაქვეყნოს ინფორმაცია შემდეგზე:

ა. ფინანსური წლის განმავლობაში გარე აუდიტორებისთვის გადახდილი მთლიანი თანხა.

ბ. საწარმოს წლიურ რეპორტში მოცემული უნდა იყოს იმ საფასურის დეტალები, რაც გადახდილია აუდიტორული და არააუდიტორული მომსახურებისთვის, ან ასეთის არ არსებობის შემთხვევაში, განაცხადი ასეთის არ არსებობის შესახებ. თუ გარე აუდიტორები საწარმოს მნიშვნელოვანი რაოდენობით არააუდიტორულ მომსახურებასაც უწევენ, კომიტეტმა ყურადღება უნდა გაამახვილოს ასეთ მომსახურებაზეც ობიექტურობის შენარჩუნებისა და ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით.

5. გარე აუდიტორების დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად, სამეთვალყურეო საბჭომ, საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად, დროდადრო უნდა მოახდინოს გარე აუდიტორების როტაცია, როგორც ფირმების, ასევე ფირმაში დასაქმებული პირების.

მუხლი 9. ანაზღაურების, ნომინირებისა და მმართველობის კომიტეტი

1. ანაზღაურების, ნომინირებისა და მმართველობის კომიტეტმა მხარი უნდა დაუჭიროს სამეთვალყურეო საბჭოს ანაზღაურებასთან დაკავშირებული საკითხების ზედამხედველობაში, მათ შორის, ადამიანური რესურსების შესახებ სტარატეგიული გადაწყვეტილებების ნაწილში, რაც მოიცავს ანაზღაურების სისტემის შემუშავებას და მონიტორინგს საწარმოს მარეგულირებელი/საზედამხედველო მოთხოვნების და კომერციული მიზნების გათვალისწინებით საწარმოს კგგ-ის, ეთიკური კულტურისა და გრძლევადიანი სტრატეგიის შესაბამისად.
2. ანაზღაურების, ნომინირებისა და მმართველობის კომიტეტი უნდა შედგებოდეს მინიმუმ სამი წევრისგან.
3. ანაზღაურების, ნომინირებისა და მმართველობის კომიტეტი ვალდებულია:
ა. აიღოს პასუხისმგებლობა შრომის ანაზღაურების სისტემის მიმართულებების განსაზღვრასა და პოლიტიკის დამტკიცებაზე, რითაც უზრუნველყოფილი იქნება სამართლიანი, პასუხისმგებლიანი და გამჭვირვალე შრომის ანაზღაურება ყველა ელემენტის ჩათვლით.
ბ. ზედამხედველობა განახორციელოს შრომის ანაზღაურების პოლიტიკის განხორციელებასა და შესრულებაზე, ჩაატაროს რეგულარული მიმოხილვა და რეკომენდაციები მიაწოდოს სამეთვალყურეო საბჭოს შრომის ანაზღაურების პოლიტიკის შესახებ, რათა უზრუნველყოფილი იქნას საწარმოს შრომის ანაზღაურების პოლიტიკის მიერ კგგ-ისა და ეთიკური კულტურის ფარგლებში, კომერციული საქმიანობის მიზნების მიღწევა საკანონმდებლო, მარეგულირებელი და საზედამხედველო მოთხოვნების შესაბამისად. აღნიშნული უნდა მოიცავდეს შრომის ანაზღაურების პოლიტიკის ეფექტურობის ზედამხედველობას დასახული მიზნების მისაღწევად.
გ. ყოველწლიურად მიაწოდოს რეკომენდაციები სამეთვალყურეო საბჭოს ხელმძღვანელი პირების შრომის ანაზღაურების საკითხებზე.
დ. უზრუნველყოს გამჭვირვალე ანგარიშგება და ინფორმაციის გასაჯაროება შრომის ანაზღაურების პოლიტიკის და მისი განხორციელების შესახებ, ასევე სამეთვალყურეო საბჭოს ინდივიდუალური წევრებისა და ხელმძღვანელი პირებისთვის გადახდილი შრომის ანაზღაურების შესახებ.
ე. მიაწოდოს რეკომენდაციები სამეთვალყურეო საბჭოს ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებულ სტრატეგიულ საკითხებზე.
ვ. აქციონერის მოთხოვნის საფუძველზე გაუწიოს ორგანიზება მიზნობრივი გარე აუდიტის ჩატარებას ანაზღაურებისა და ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფის საკითხების შესწავლის მიზნით.
ზ. მიაწოდოს სამეთვალყურეო საბჭოს რჩევები ყველა ახალი წევრის დანიშვნის შესახებ. კომიტეტმა უნდა შეასრულოს სამეთვალყურეო საბჭოს ახალი წევრებით შევსების დაგეგმვის ფუნქცია და გაითვალისწინოს ბიზნეს სტრატეგიის სამომავლო მოთხოვნები და პროფესიული უნარებისა და ექსპერტული ცოდნის არსებული დონე.
თ. რეგულარულად, მინიმუმ ყოველწლიურად, განიხილოს სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებლობა, საქმიანობის ეფექტიანობა და ეფექტურობა. იმსჯელოს მაღალი თანამდებობის პირების - სამეთვალყურეო საბჭოს წევრების, აღმასრულებელი ხელმძღვანელი პირის (CEO), აღმასრულებელი ხელმძღვანელი პირის მოადგილის, მთავარი ფინანსური მენეჯერის (CFO) და ა.შ. თანამდებობაზე დანიშვნასა და გადადგომის მიზეზებზე;
ი. უზრუნველყოს ადეკვატური პოლიტიკისა და პროცედურების არსებობა ხელმძღვანელი პირების თანამდებობაზე დანიშვნის, გათავისუფლებისა და ჩანაცვლების შესახებ და იყოს აქტიურად ჩართული ამგვარ პროცესებში.

კ. უზრუნველყოს, რომ მართვის სტრუქტურის დიზაინი, გამორიცხავდეს სამეთვალყურეო საბჭოში რომელიმე პირის ან პირთა ერთობის საწარმოს საერთო ინტერესების საზიანოდ დომინირებას; ასევე უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი ცოდნის, პროფესიული უნარებისა და ექსპერტული ცოდნის არსებობა და დამოუკიდებელი განსჯის, მსჯელობის წახალისება.

ლ. შესაძლოა ჩაერთოს სამეთვალყურეო საბჭოსა და ხელმძღვანელი პირების ეფექტიანობის შეფასებაში და აწარმოოს ზედამხედევლობა ადამიანური რესურსების პოლიტიკაზე;

მ. უზრუნველყოს მართვის შიდა სტრუქტურის საწარმოს შიდა წესებთან, კორპორაციული მართვის დოკუმენტებსა და მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ რეკომენდაციების შემუშავება.

ნ. უზრუნველყოს რისკების შეფასებაზე დაფუძნებული ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღების სისტემის არსებობასთან დაკავშირებით რეკომენდაციების შემუშავება.

ო. სხვა ფუნქციებთან ერთად, პასუხისმგებელია ეთიკის კოდექსით დაკისრებულ მოვალეობების შესრულებაზე.

მუხლი 10. სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობის თვითშეფასება

1.სამეთვალყურეო საბჭომ პერიოდულად უნდა მიმოიხილოს თავისი საქმიანობა, განიხილოს კომიტეტების სტრუქტურა და მათი კოორდინაციის ხარისხი, ასევე საკუთარი მმართველობის პრაქტიკისა და პროცედურების ეფექტიანობა.

2.სამეთვალყურეო საბჭომ წელიწადში არანაკლებ ერთხელ უნდა გაიაროს თვითშეფასების პროცედურა.

3.ყოველ სამ წელიწადში ერთხელ, სამეთვალყურეო საბჭოს შეფასება გარე შემფასებელმა უნდა განახორციელოს.

4.სამეთვალყურეო საბჭოს შიდა და გარე შეფასებები მიზნად უნდა ისახავდეს ხარვეზების და გამოსასწორებელი საკითხების გამოვლენას. ამ შეფასებების საფუძველზე სამეთვალყურეო საბჭომ უნდა შეიმუშაოს გეგმა გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად და ცალკეული საკითხების გასაუმჯობესებლად. აღნიშნული შესაძლოა მოიცავდეს საბჭოს წევრების ტრენინგსაც.

5.შეფასების შემდგომი პროცესი და სამეთვალყურეო საბჭოს მოსაზრებები შეფასების შედეგების შესახებ უნდა აისახოს საწარმოს წლიურ ანგარიშში.

მუხლი 11. ხელმძღვანელი პირები

1. ხელმძღვანელი პირები უნდა უზრუნველყოფდნენ ბიზნეს სტრატეგიების განხორციელებას, რისკების მართვის სისტემების ფუნქციონირებას, კონტროლს ფინანსური და არაფინანსური რისკების მართვის მიზნით. ასევე, სამეთვალყურეო საბჭოს უნდა მიაწოდონ საჭირო ინფორმაცია საბჭოს მიერ დაკისრებული ფუნქციების შესასრულებლად, მათ შორის, ხელმძღვანელი პირების საქმიანობის ზედამხედველობისა და მათი მუშაობის ხარისხის შესაფასებლად.

2. ხელმძღვანელი პირები პასუხისმგებლები არიან საწარმოს თანამშრომლებს შორის ფუნქციებისა და მოვალეობების განაწილებაზე, მათი შრომის ანაზღაურების განსაზღვრასა და მართვის ეფექტიანი სტრუქტურის დანერგვაზე, მათ შორის, ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად.

3. ხელმძღვანელი პირების პასუხისმგებლობა უნდა განისაზღვროს და დოკუმენტურად გაფორმდეს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, რათა გამოირიცხოს რომელიმე კონკრეტული პირის მიერ საწარმოს შეუსაბამო, შეუზღუდავი კონტროლი.

4. ხელმძღვანელ პირებს უნდა გააჩნდეთ გამოცდილება და კომპეტენცია დაკისრებული ფუნქციების ეფექტიანად შესასრულებლად. ამასთან, მათ უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ სასწავლო პროგრამებში შესაბამის სფეროებში ცოდნის გაღრმავებისა და კომპეტენციის ამაღლების მიზნით. რეკომენდებულია და გასათვალისწინებელია, რომ ხელმძღვანელი პირების შერჩევა დაეფუძნოს საწარმოს სტრატეგიას. ამ პროცესში ყველა კანდიდატის კვალიფიკაცია და უნარები უნდა შეფასდეს.

მუხლი 12. აღმასრულებელი ხელმძღვანელი პირი

1. აღმასრულებელი ხელმძღვანელი პირი უნდა იყოს ყველაზე მაღალი რანგის აღმასრულებელი პირი, რომელსაც უნდა გააჩნდეს საბოლოო აღმასრულებელი პასუხისმგებლობა საწარმოს ფუნქციონირებაზე, კანონთან შესაბამისობასა და საქმიანობის შედეგებზე.

2. აღმასრულებელი ხელმძღვანელი პირი წარმოადგენს სამეთვალყურეო საბჭოსა და ხელმძღვანელ პირებს შორის დამაკავშირებელ რგოლს.

3. სამეთვალყურეო საბჭომ აღმასრულებელი ხელმძღვანელი პირი უნდა დანიშნოს კონკურენტულ გარემოში საკონკურსო შერჩევის საფუძველზე.

4. აღმასრულებელ ხელმძღვანელ პირს უნდა გააჩნდეს შესაბამისი პიროვნული თვისებები, პროფესიონალიზმი, პატიოსნება და ერთგულება დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად.

მუხლი 13. საწარმოს კორპორაციული მართვა

1. საწარმოს სტრუქტურაში მშობელი საწარმოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სამეთვალყურეო საბჭოს უნდა ეკისრებოდეს საერთო პასუხისმგებლობა როგორც მშობელ, ასევე შვილობილ საწარმოებზე და უზრუნველყოფდეს მართვის გამჭვირვალე ჩარჩოს ჩამოყალიბებასა და ფუნქციონირებას, მისი სტრუქტურის, საქმიანობის და რისკების გათვალისწინებით.

2. მშობელი საწარმოს სამეთვალყურეო საბჭო უნდა იცნობდეს ყველა რისკს და საკითხს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს მშობელ საწარმოსა და მისი შვილობილი საწარმოების საქმიანობაზე. სათანადო ზედამხედველობა უნდა გაუწიოს შვილობილ საწარმოებს და ამასთან, მხედველობაში იქონიოს აღნიშნული შვილობილი საწარმოების სამეთვალყურეო საბჭოების იურიდიული უფლებები და პასუხისმგებლობები.

3. შვილობილი საწარმოების სამეთვალყურეო საბჭოები და უმაღლესი მენეჯმენტი პასუხისმგებელია საკუთარ კომპანიებში რისკის მართვის პროცესების ეფექტიან შემუშავებაზე, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს რისკების ეფექტურ მართვას მშობელი საწარმოს დონეზე.

4. შვილობილი საწარმოების სამეთვალყურეო საბჭოებმა უნდა შეაფასონ საწარმოს პოლიტიკის შესაბამისობა სამართლებრივ და მარეგულირებელ ნორმებთან და შეუსაბამობის შემთხვევაში შეიტანონ სათანადო შესწორებები.

მუხლი 14. რისკების მართვა

1. საწარმოს რისკების იდენტიფიცირება, საპასუხო ღონისძიებების დასახვა და მონიტორინგი უნდა შეესაბამებოდეს საწარმოს მასშტაბს, მის კომპლექსურობასა და კორპორაციული განზრახვის განაცხადის (კგგ) მოთხოვნებს.

2. სამეთვალყურეო საბჭო ვალდებულია ესმოდეს საწარმოს წინაშე არსებული რისკები; საბჭოს მოეთხოვება მათი ანალიზი, ასევე პასუხისმგებელია მოახდინოს ახლად გაჩენილი რისკების იდენტიფიცირება.

3. სამეთვალყურეო საბჭომ უნდა უზრუნველყოს რისკების მართვის, შესაბამისობისა და შიდა აუდიტის ფუნქციების სწორი პოზიციონირება, კადრებით დაკომპლექტება და რესურსებით უზრუნველყოფა, რათა დამოუკიდებლად, ობიექტურად და ეფექტიანად შეასრულონ დაკისრებული პასუხისმგებლობები.

4. რისკების შესახებ ინფორმაციის განახლება უნდა ხდებოდეს დროულად, ზუსტად და მკაფიოდ დინამიური და თანმიმდევრული ანგარიშგების სისტემებით.

მუხლი 15. შიდა კონტროლი და აუდიტი

1. რისკის მართვის სისტემა მხარდაჭერილ უნდა იქნას ეფექტური და ქმედითი შიდა აუდიტის ფუნქციის მქონე გამართული შიდა კონტროლის სისტემით, რომელიც უზრუნველყოფს

აღმასრულებელი ხელმძღვანელი პირისა და სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელ რწმუნებას საწარმოს რისკის მართვის, შიდა კონტროლის, მართვის სისტემებისა და პროცესების ხარისხისა და ეფექტიანობის შესახებ.

2. სამეთვალყურეო საბჭომ და ხელმძღვანელმა პირებმა შიდა აუდიტის დამოუკიდებელი და ეფექტური ფუნქციონირება უნდა უზრუნველყონ შემდეგი გზით:

ა. უზრუნველყონ შიდა აუდიტის სრული წვდომა საწარმოს ინფორმაციაზე, ჩანაწერებზე და იმ მონაცემებზე, რომელიც ასევე მოიცავს ყველა გადაწყვეტილების მიმღები ერთეულის საინფორმაციო სისტემებს და ჩანაწერებს;

ბ. უზრუნველყონ შიდა აუდიტის დამოუკიდებელი ფუნქციონირება, მათ შორის, სტრუქტურული დამოუკიდებლობა, როდესაც რისკების მართვის, მართვის სისტემებისა და პროცესების ეფექტიანობისა და ეფექტურობის შეფასება ხდება.

გ. შიდა აუდიტორებს მოეთხოვოთ ეროვნული და საერთაშორისო პროფესიული სტანდარტების დაცვა.

დ. საჭიროა შიდა აუდიტის ისეთი რესურსების პოლიტიკის და შრომის ანაზღაურების დამოუკიდებელი სისტემების არსებობა, რომელიც საწარმოს მასშტაბისა და კომპლექსურობის შესაბამისად სათანადო რესურსების მოზიდვის შესაძლებლობას იძლევა.

ე. აუდიტის ჩატარებისას გამოვლენილი საკითხების დროული და ეფექტიანი მაკორექტირებელი ზომების გატარება ხელმძღვანელი პირებისგან.

ვ. შიდა აუდიტს მიეცეს ფუნქცია მოახდინოს საწარმოს საერთო რისკის მართვის სტრუქტურის შეფასება, რაც მოიცავს, თუმცა არ შემოიფარგლება შემდეგის შეფასებით:

(i) რისკის მართვისა და შესაბამისობის ფუნქციების ეფექტურობა.

(ii) სამეთვალყურეო საბჭოსა და ხელმძღვანელი პირებისადმი რისკების შესახებ ანგარიშგების ხარისხი.

(iii) საწარმოს შიდა კონტროლის სისტემის ეფექტიანობა.

3. შიდა აუდიტის ერთეული ანგარიშვალდებულია სამეთვალყურეო საბჭოსა და აუდიტის კომიტეტის წინაშე. შიდა აუდიტის ერთეული უნდა აწვდიდეს ანგარიშებს აუდიტის კომიტეტს და სამეთვალყურეო საბჭოს, რომელმაც გადაწყვეტილებები უნდა მიიღოს შიდა აუდიტის ერთეულის უფროსის სამსახურში აყვანაზე, გათავისუფლებაზე, შეფასებასა და შრომის ანაზღაურებაზე. საწარმოს ხელმძღვანელი პირები ან სხვა აღმასრულებელი სტრუქტურები არ უნდა იღებდნენ მონაწილეობას შიდა აუდიტის კადრების შრომის ანაზღაურების განსაზღვრაში .

4. შიდა აუდიტი დამოუკიდებლად უნდა აფასებდეს შემდეგს:

ა. შიდა კონტროლის, რისკის მართვისა და მართვის სისტემების ეფექტიანობასა და ქმედითობას, როგორც მიმდინარე, ასევე პოტენციური მომავალი რისკების კონტექსტში.

ბ. მართვის საინფორმაციო სისტემებისა და პროცესების სანდოობას, ეფექტიანობას და გამართულობას, მათ შორის, მონაცემების დროულობას, შესაბამისობას, სიზუსტეს, სისრულეს, ხელმისაწვდომობას, კონფიდენციალურობას და სრულყოფილებას.

გ. საკანონმდებლო და მარეგულირებელ ნორმებთან, მათ შორის, მარეგულირებელი და საზედამხედველო ორგანოების ნებისმიერ მოთხოვნასთან, შესაბამისობის მონიტორინგი.

დ. აქტივების დაცვა.

5. შიდა აუდიტის ერთეულის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია შეიმუშაოს შიდა აუდიტის ყოველწლიური გეგმა, რომელიც წარმოადგენს მრავალწლიანი გეგმის ნაწილს. გეგმა უნდა ეფუძნებოდეს რისკების შეფასებას, მათ შორის, უმაღლესი მენეჯმენტისა და სამეთვალყურეო საბჭოს მონაცემებს. გეგმის განახლება უნდა ხდებოდეს ყოველწლიურად. გეგმაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია საჭიროებისამებრ. გეგმა უნდა დამტკიცდეს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, რაც უზრუნველყოფს სათანადო ბიუჯეტის არსებობას გეგმის განხორციელების მიზნით. ბიუჯეტი უნდა იყოს მოქნილი და

ერგებოდეს გეგმას, რომელიც თავის მხრივ, უნდა რეაგირებდეს საწარმოს რისკების ნებისმიერ ცვლილებაზე.

6. შიდა აუდიტის ერთეული უნდა საქმიანობდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

7. შიდა აუდიტის ერთეულმა თავისი საქმიანობის ფარგლებში უნდა განახორციელოს რისკის მართვის შემდეგი ასპექტების შესრულება:

ა. რისკის მართვის ორგანიზება და მანდატი, კომერციული, ფინანსური, საოპერაციო, რეპუტაციული, პატიოსნების, მდგრადობის, მარეგულირებელი და კანონმდებლობასთან შეუსაბამობის რისკების ჩათვლით.

ბ. რისკის მართვის სისტემის ფარგლებში რისკების ესკალაციის, ანგარიშგებისა და ამ საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების შეფასება. ასევე, რისკების მართვის სისტემების და პროცესების, მათ შორის, საწარმოს საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა სახის რისკის იდენტიფიცირების, გაზომვის, შეფასების, კონტროლის და საპასუხო ღონისძიებების ადეკვატურობის შეფასება.

გ. რისკების მართვის საინფორმაციო სისტემების ერთიანობა და სანდოობა, მათ შორის, გამოყენებული მონაცემების დროულობა, სიზუსტე, სანდოობა და სისრულე.

დ. რისკის მოდელების დამტკიცება და მხარდაჭერა, მათ შორის, თანმიმდევრულობა, დროულობა, და მოდელებში გამოყენებული მონაცემთა წყაროს დამოუკიდებლობა და საიმედოობა.

8. შიდა აუდიტის ერთეულმა სისტემატურად უნდა შეაფასოს იმ პროცესის ეფექტიანობა, რომლითაც რისკებისა და ანგარიშგების ფუნქციები ურთიერთქმედებენ დროული, ზუსტი, სანდო და შესაბამისი ანგარიშების მოსამზადებლად მენეჯმენტისა და ზედამხედველი ორგანოსთვის.

9. სამეთვალყურეო საბჭოს მიმართ ანგარიშვალებულებასთან ერთად და ასევე, უმაღლესი მენეჯმენტის მიერ ეფექტიანი კონტროლის დაწესების ფუნქციის გათვალისწინებით, შიდა აუდიტმა უმაღლესი მენეჯმენტი უნდა უზრუნველყოს გამოვლენილი საკითხების შესახებ ინფორმაციითა და ამ საკითხების შეფასების შედეგებით, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს გადაწყვეტილებების დროულად მიღებას და შესაბამის რეაგირებას. ინფორმაცია საპასუხო ღონისძიებების სტატუსის და მათი შედეგების შესახებ უნდა წარედგინოს სამეთვალყურეო საბჭოს.

10. შიდა აუდიტის ეფექტიანობის უზრუნველყოფის მიზნით, საჭიროა არსებობდეს მუდმივი კომუნიკაცია შიდა აუდიტის ერთეულსა და სამეთვალყურეო საბჭოს შორის. ამისათვის, შიდა აუდიტის ერთეულმა სამეთვალყურეო საბჭოს უნდა აცნობოს გამოვლენილი რისკებისა და ხარვეზების შესახებ, ასევე წარუდგინოს ინფორმაცია უმაღლესი მენეჯმენტის მიერ დასახული მაკორექტირებელი და საპასუხო ღონისძიებებისა და ამ ღონისძიებების შედეგების შესახებ.

11. შიდა აუდიტის ერთეული უნდა შეფასდეს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ აუდიტის კომიტეტის რეკომენდაციების საფუძველზე წელიწადში არანაკლებ ერთხელ.

მუხლი 16. შრომის ანაზღაურება

1. საწარმომ უნდა შეიმუშაოს და დოკუმენტურად გააფორმოს „ანაზღაურების პოლიტიკა“.

2. ანაზღაურების პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს, რომ მაკონტროლებელი ფუნქციის მქონე თანამშრომელთა ანაზღაურების სტრუქტურა, მათ შორის, შესრულებული სამუშაოს ეფექტიანობის კომპონენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ეჭვქვეშ არ აყენებს აღნიშნული პერსონალის დამოუკიდებლობის ხარისხს. მაკონტროლებელი ფუნქციის დამოუკიდებლობის რწმუნების მიზნით, თანამშრომელთა ანაზღაურება არ უნდა ეფუძნებოდეს მათ მიერ გაწეული საქმიანობის ფინანსურ შედეგებს.

3. სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია შრომის ანაზღაურების სისტემის ეფექტიან ფუნქციონირებაზე. ანაზღაურების გეგმები, პროცესები და შედეგები სამეთვალყურეო საბჭოს ან ანაზღაურების, ნომინირებისა და მმართველობის კომიტეტის მიერ გადახედილ უნდა იქნას წელიწადში არანაკლებ ერთხელ.

4. სამეთვალყურეო საბჭო, ანაზღაურების, ნომინირების და მმართველობის კომიტეტის მიერ წარდგენილი რეკომენდაციებით, ამტკიცებს უმაღლესი მენეჯმენტისა და მაკონტროლებელი ფუნქციის მქონე პერსონალის შრომის ანაზღაურების პოლიტიკას და ზედამხედველობას უწევს აღნიშნული პოლიტიკის, სისტემების და კონტროლის ეფექტიანობას.

5. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა შრომის ანაზღაურება უნდა შეესაბამებოდეს მათ ჩართულობას, დაკისრებულ პასუხისმგებლობას, ძალისხმევასა და დროის რესურსს. მათი შრომის ანაზღაურება ეჭვქვეშ არ უნდა აყენებდეს მათ დამოუკიდებლობას. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანაზღაურება უნდა იყოს ფიქსირებული. საბჭოს წევრმა, რომელიც ასევე წარმოადგენს საბჭოს თავჯმდომარეს, არის საბჭოს რომელიმე კომიტეტის წევრი ან თავმჯდომარე, შესაძლოა აიღოს ამ რანგში გაწეული სამუშაოს ანაზღაურებაც. ამასთან, საბჭოს წევრების ანაზღაურებასა და იმ წევრების, რომლებიც ამავდროულად არიან კომიტეტის წევრები ან იკავებენ თავმჯდომარის პოზიციას, ანაზღაურებას შორის სხვაობა არ უნდა აღემატებოდეს ოცდაათ პროცენტს (30%)

6. შრომის ანაზღაურების სისტემა ხელმძღვანელი პირებისთვის უნდა მოიცავდეს შემდეგ ელემენტებს:

ა. ფიქსირებულ შრომის ანაზღაურებას.

ბ. ცვლად შრომის ანაზღაურებას.

მუხლი 17. აქციონერის უფლებები

1. აქციონერს უნდა გააჩნდეს შემდეგი უფლებები:

ა. დროულად და რეგულარულად მიიღოს ინფორმაცია საწარმოს შესახებ.

ბ. მონაწილეობა მიიღოს აქციონერთა საერთო კრებაში და ისარგებლოს ხმის მიცემის უფლებით

გ. ამ კოდექსით განსაზღვრული პრინციპების დაცვით თანამდებობაზე დანიშნოს და გაათავისუფლოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრები, განსაზღვროს მათი შრომის ანაზღაურება და შეაფასოს მათი საქმიანობა.

დ. შეითანხმოს და განახორციელოს საწარმოს მანდატის, მიზნების და სამიზნე მაჩვენებლების შესრულების მონიტორინგი კორპორაციული განზრახვის განაცხადის შესაბამისად.

ე. ისეთ შემთხვევაში, სადაც აქციონერის უფლებამოსილების განმახორციელებელ ორგანოს არ წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, კორპორაციული განზრახვის განაცხადზე ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში აქციონერის უფლებამოსილების განმახორციელებელი ორგანო უფლებამოსილია კგგ დასამტკიცებლად წარუდგინოს საქართველოს მთავრობას.

ვ. დაეთანხმოს, მოიწონოს და დაამტკიცოს გადაწყვეტილებები საწარმოს წესდებაში ცვლილებების შეტანის, დამატებითი აქციების და სხვა ფასიანი ქაღალდების გამოშვებისა და მნიშვნელოვანი გარიგებების შესახებ.

მუხლი 18. ეთიკის კოდექსი

1. საწარმოს უნდა გააჩნდეს ეთიკის კოდექსი, რომელიც აწესრიგებს ინტერესთა კონფლიქტის, ძალაუფლების ბოროტად გამოყენების, კორუფციის და სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებების თავიდან აცილების საკითხებს, კერძოდ, ეთიკის კოდექსი უნდა მოიცავდეს:

ა. მითითებას იმის თაობაზე, რომ საწარმოს სამელთვაყურეო საბჭო და თანამშრომლები უნდა მოქმედებდნენ კეთილსინდისიერად და პროფესიონალურად;

ბ. მითითებას იმის თაობაზე, რომ ხელმძღვანელი პირები უნდა მოქმედებდნენ საწარმოს და აქციონერთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით;

გ. არსებული და პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის რეგულირებისა და მისი გამოვლენის პროცედურებს;

დ. კორუფციული პრაქტიკის აღკვეთის პროცედურებს, რომელიც მოიცავს ქრთამის, საჩუქრების თუ სხვა სახის სარგებლის შეთავაზებასა და მიღებას;

ე. უკანონო ან არაეთიკურ ქცევასთან დაკავშირებით ინფორმაციის გამჟღავნების პროცედურებს;
ვ. საწარმოს აქტივების მიზნობრივი გამოყენების დაცვისა და უზრუნველყოფის საკითხებს;
ზ. კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის საკითხებს;
თ. ანონიმური მხილების ეფექტურ სისტემას, რომლის ფარგლებშიც თანამშრომლებს შეეძლებათ უკანონო/შეუსაბამო/არაეთიკური ფაქტების კონფიდენციალურად, ყოველგვარი დისკრიმინაციული და არასათანადო მოპყრობის საფრთხის გარეშე დაფიქსირება. ანონიმური მხილების სისტემა, მათ შორის, უნდა აწესრიგებდეს დაფიქსირებული ფაქტების მოკვლევისა და რეაგირების პროცედურულ საკითხებსაც. ანონიმური მხილების სისტემის შექმნასა და მისი სათანადო აღსრულების საკითხებზე მონიტორინგი უნდა განახორციელოს სამეთვალყურეო საბჭომ.

2. საწარმოში ეთიკის კოდექსის შემუშავებასა და მისი სათანადო აღსრულების საკითხებზე მონიტორინგი უნდა განახორციელოს სამეთვალყურეო საბჭომ.

3. საწარმოს ეთიკის კოდექსი ვრცელდება სამეთვალყურეო საბჭოსა და საწარმოში მომუშავე ყველა პირზე.

მუხლი 19. ინფორმაციის გასაჯაროება და გამჭვირვალობა

1. საწარმომ უნდა უზრუნველყოს დაინტერესებული მხარეებისთვის ინფორმაციის გასაჯაროება განხორციელებული ქმედებებისა და კორპორაციული მართვის საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის, წლიურ ანგარიშში ასახოს და თავის ვებ-გვერდზე გამოაქვეყნოს შესაბამისი ინფორმაცია გარემოს დაცვის, სოციალური პასუხისმგებლობის და მმართველობის სტანდარტებთან (ESG) შესაბამისობის შესახებ.

2. გარემოს დაცვის, სოციალური პასუხისმგებლობის და მმართველობის სტანდარტებთან შესაბამისობა სულ მცირე უნდა მოიცავდეს ინფორმაციას შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

ა. ადამიანური რესურსების პოლიტიკის შემუშავება, რომელიც ეფუძნება საერთაშორისოდ აღიარებულ შრომით სტანდარტებს და ადამიანის უფლებების დაცვას;
ბ. თანამშრომლებისთვის უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა;
გ. გარემოს დაცვა გარემოსდაცვითი რეგულაციებისა და საერთაშორისო სტანდარტებისა და სახელმძღვანელოების შესაბამისად;

მუხლი 20. მნიშვნელოვანი გარიგებები

1. მეტი გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად საჯარო რესურსების გამოყენებისას, საწარმოს სამეთვალყურეო საბჭომ აქციონერთა მხრიდან უნდა მიიღოს თანხმობა მუხლში 20 (2) ჩამოთვლილი კონკრეტული ოპერაციების მიმართ, როდესაც მნიშვნელოვანი გარიგების ღირებულება აღემატება საწარმოს აქტივების ღირებულების 30 პროცენტს.

2. ქვემოთ ჩამოთვლილ ოპერაციებს ითანხმებს აქციონერი:
ა. ეკონომიკური საქმიანობის დაწყება, წარმოება ან შეწყვეტა.
ბ. ფილიალების გახსნა ან ლიკვიდაცია.
გ. კაპიტალდაბანდება, მათ შორის, აქტივების შეძენა ან სხვა კომპანიის აქციონერობა.
დ. ისეთი ვალდებულებების უზრუნველყოფა იმ ნაწილში, რომელიც კომპანიის ჩვეულ საქმიანობას არ მიეკუთვნება.
ე. საწარმოს რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.
ვ. საწარმოს მფლობელობაში არსებული აქტივების გასხვისება აქციონერთან შეთანხმებული ლიმიტების ზემოთ, მათ შორის, საწარმოს წილის გასხვისება ან ისეთი ოპერაცია, რომელიც არსებითად შეცვლის აქციონერის მიერ საწარმოს ფლობის ბუნებას.
3.საქართველოს ფინანსთა სამინისტრო უფლებამოსილია დააწესოს საწარმოს მიერ ჯამურად ასაღებ

სესხებზე ლიმიტი, რომლის ზემოთაც აუცილებელია ფინანსთა სამინისტროს თანხმობა.
4. მუხლი 20 (3)-ით განსაზღვრული ლიმიტის არსებობის შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭო უზრუნველყოფს საწარმოს დაკრედიტების დონის დადგენილი ლიმიტის ფარგლებში შენარჩუნებას.

მუხლი 21 კორპორაციული მდივანი

1. საწარმოში კორპორაციული მდივნის თანამდებობის არსებობა ხელს უწყობს საწარმოს მმართველი ორგანოების ეფექტურ საქმიანობას. კორპორაციული მდივნის ძირითად ფუნქციებს წარმოადგენს:

ა. ორგანიზაციული და ინფორმაციული მხარდაჭერის გზით, დაეხმაროს სამეთვალყურეო საბჭოსა (კომიტეტების ჩათვლით) და ხელმძღვანელ პირებს თავიანთი საქმიანობის განხორციელებაში;
ბ. სამეთვალყურეო საბჭოს და ხელმძღვანელ პირებს მისცეს კორპორაციულ დოკუმენტაციასთან და პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით რჩევები;
გ. მჭიდროდ ითანამშრომლოს სამეთვალყურეო საბჭოსა და ხელმძღვანელ პირებთან მათი სხდომის დღის წესრიგის შედგენისა და გავრცელების, სხდომის ორგანიზებისა და ჩატარების, აგრეთვე, შეტყობინებების გავრცელების საკითხებში;
დ. დაგეგმოს საჭირო ტრენინგები და მოსამზადებელი საორიენტაციო შეხვედრები უკვე დასაქმებული ან/და სამეთვალყურეო საბჭოს ახლად დანიშნული წევრებისა და ხელმძღვანელი პირებისთვის;
ე. აწარმოოს და/ან შეინახოს ყველა კორპორაციული დოკუმენტი, ოქმი თუ სხვა საჭირო საბუთი და ინფორმაცია მინიმუმ 6 წლის ვადით;
ვ. განახორციელოს დამაკავშირებელი რგოლის ფუნქცია აქციონერებს, სამეთვალყურეო საბჭოსა და ხელმძღვანელ პირებს შორის;
ზ. განახორციელოს სამეთვალყურეო საბჭოსა (კომიტეტების ჩათვლით) და ხელმძღვანელი პირების სხდომების მდივნის ფუნქცია და აწარმოოს ოქმები.
2. კორპორაციული მდივანი წარმოადგენს უშუალოდ სამეთვალყურეო საბჭოს დაქვემდებარებაში მყოფ პირს, რომელიც ახორციელებს საწარმოს მმართველი ორგანოების, აქციონერების და სხვა დაინტერესებული პირების ინფორმაციულ და ორგანიზაციულ უზრუნველყოფას.
3. სამეთვალყურეო საბჭო ამტკიცებს შიდა დებულებას კორპორაციული მდივნის შესახებ, რომელიც დეტალურად უნდა განსაზღვრავდეს კორპორაციული მდივნის უფლებამოსილებასა და ვალდებულებებს, ფუნქციების ჩამონათვალს, საჭირო განათლებასა და კვალიფიკაციას, რომელსაც უნდა ფლობდეს კანდიდატი.

4. სამეთვალყურეო საბჭო ნიშნავს კორპორაციულ მდივანს და განსაზღვრავს შრომითი ხელშეკრულების პირობებს.

5. კორპორაციული მდივანი ამავე დროს არ უნდა იყოს საწარმოს მმართველი ორგანოს წევრი, მინიჭებული ჰქონდეს გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილება, ან სხვაგვარად იყოს დაკავშირებული საწარმოსთან ისეთი ფორმით, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს თავისი მოვალეობების მიუკერძოებლად და დამოუკიდებლად შესრულებაში.

მუხლი 22. კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის ანგარიშის გამოქვეყნება

1. საწარმომ საკუთარ ვებგვერდზე უნდა გამოაქვეყნოს კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის ანგარიში ყოველწლიურად, არაუგვიანეს 1 ივნისისა.

2. კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის ანგარიშს ხელს უნდა აწერდნენ საწარმოს აღმასრულებელი ხელმძღვანელი პირი (CEO) და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე.

სექტორიზაციის გავლენა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ განხორციელდა სახელმწიფო საწარმოთა სექტორიზაცია (ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 24 აპრილის N96 ბრძანება ,,სახელმწიფო საწარმოთა სექტორიზაციის სიის დამტკიცების შესახებ''), რაც გულისხმობს სახელმწიფო საწარმოების მიკუთვნებას სახელმწიფო კორპორაციების ან სამთავრობო *(General Government)* სექტორებზე. ცენტრალური აზიის და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის საქართველო პირველი ქვეყანაა, რომელმაც სრულყოფილად განახორციელა სახელმწიფო საწარმოთა სექტორიზაცია. სექტორიზაციის შედეგების მიხედვით 52 საწარმო მიეკუთვნა სახელმწიფო კორპორაციების სექტორს, ხოლო სამთავრობო სექტორს - 183 საწარმო. ამასთან, 2020 წლის ფისკალური რისკების დოკუმენტის მომზადების ეტაპზე მუნიციპალიტეტების მფლობელობაში არსებული საწარმოთა დაფარვის არეალი ფინანსთა სამინისტრომ გაზარდა 100%-მდე, რის შედეგადაც დაზუსტდა საწარმოთა სია და მათი რაოდენობა გაიზარდა 116-ით. ყველა მათგანი მიეკუთვნა სამთავრობო სექტორს. აღნიშნული გათვალისწინებული იქნა ქვეყნის ფისკალურ პარამეტრებზე სექტორიზაციის სავარაუდო გავლენის შეფასებაში.

სახელწიფო საწარმოების კლასიფიკაციის პროცესში მნიშვნელოვანი კრიტერიუმია თუ რამდენადაა დამოუკიდებელი საწარმო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, ყიდის თუ არა ის თავის პროდუქციას ეკონომიკურად მნიშვნელოვან ფასად კონკურენტულ გარემოში და რამდენად არის დამოკიდებული საბიუჯეტო დაფინანსებაზე.

საწარმოთა სექტორიზაცია მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია ქვეყნის ფისკალური გამჭვირვალობის თვალსაზრისით. კერძოდ, მოხდება სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული საწარმოების ასახვა სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკაში, რაც თავის მხრივ გავლენას მოახდენს სახელმწიფო ფინანსების შემოსავლებზე, ხარჯებსა და ვალდებულებების ნაწილზე. განხორციელებულ ანალიზზე დაყრდნობით 2020 წლის ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტში წარმოდგენილ იქნა ქვეყნის 2019 წლის ფისკალურ პარამეტრებზე სექტორიზაციის სავარაუდო გავლენის შეფასება. მიმდინარე წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდის ტექნიკური დახმარების მისიის მხარდაჭერით განხორციელდა სექტორიზაციის შედეგების მიხედვით სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების კომპილაცია სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად, 2019 წლის მონაცემებზე დაყრდნობით. კომპილაციამ მოიცვა სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული საწარმოების 84% წლიური ბრუნვის მიხედვით. შედეგად დაზუსტდა სექტორიზაციის გავლენა 2019 წლის ფისკალურ პარამეტრებზე.

სექტორიზაციის გავლენა ქვეყნის 2019 წლის ფისკალურ პარამეტრებზე (მშპ-სთან მიმართებით)

გავლენა სახელმწიფო ვალზე	+1.1%
გავლენა დეფიციტზე	-0.6%
გავლენა შემოსავლებზე	+2.4%
გავლენა ხარჯებზე	+3%

საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტებიდან მომდინარე ფისკალური რისკების შეფასება

2018 წლის 4 მაისს ძალაში შევიდა „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც ადგენს საჯარო და კერძო თანამშრომლობის (PPP) სამართლებრივ საფუძვლებს, მათ შორის, საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის შემუშავებასა და განხორციელებასთან დაკავშირებულ წესებსა და პროცედურებს, საჯარო და კერძო თანამშრომლობის პრინციპებს, შესაბამის ინსტიტუციურ სისტემას, აგრეთვე საჯარო და კერძო თანამშრომლობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

სამართლებრივი ჩარჩო ნათლად განსაზღვრავს საჯარო და კერძო თანამშრომლობის ძირითად პრიციპებს და იმ კრიტერიუმებს, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს პროექტი, რათა ის დაკვალიფიცირდეს საჯარო და კერძო თანამშრომლობად და მოექცეს კანონპროექტით გათვალისწინებულ რეგულირების სივრცეში. კანონის შესაბამისად ამგვარი პროექტების ძირითადი პრინციპებია გამჭვირვალობა, განჭვრეტადობა, დისკრიმინაციის აკრძალვა, ხარისხის თანაფარდობა, რისკების ოპტიმალური განაწილება, ფისკალური პასუხისმგებლობა, გარემოს დაცვა და სოციალური მდგრადობა.

საქართველოსთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფისკალური რისკების უმსხვილეს წყაროს წარმოადგენენ PPP პროექტები. ასეთი პროექტები თავმოყრილი ენერგეტიკის სექტორში ელექტროენერგიის გარანტირებული შესყიდვის (PPA – Power Purchase Agreement) ხელშეკრულებების ფორმით. ამ პროექტებიდან მომდინარე ფისკალური რისკები შეფასებულია ქვემოთ.

PPP კანონის მიხედვით ენერგეტიკა არის ერთადერთი სექტორი სადაც ნებადართულია პირდაპირი მოლაპარაკება. კანონის მიღების მომენტში შესაძლოა ასეთი გადაწყვეტა გამართლებული იყო სექტორში ახალი პროექტების იდენტიფიცირებისა და ინვესტიციების წასახალისებლად. თუმცა, საერთაშორისო პრაქტიკა ხაზს უსვამს კანონმდებლობაში პირდაპირი მოლაპარაკებების დაშვების ნაკლოვანებებსა და გამოწვევებს:

- **დაბალი გამჭვირვალობა;**
- **კონკურენციის ნაკლებობა;**
- **სივრცე კორუფციისთვის.**

პირდაპირი მოლაპარაკების გზით PPP პროექტის განხორციელებისას იზრდება ალბათობა იმისა, რომ ვერ იქნება მიღწეული ხარისხის ფასთან თანაფარდობის (Value-for-Money) და საჯარო და კერძო პარტნიორს შორის რისკების განაწილების ადეკვატური დონე.

ელექტროენერგიის გარანტირებული შესყიდვის (PPA) ხელშეკრულებები

PPA კონტრაქტები ქვეყნისთვის წარმოადგენენ ფისკალური რისკის ერთ-ერთ მსხვილ წყაროს. ასეთი ტიპის ხელშეკრულებების დიდი ნაწილი დაკონტრაქტდა PPP კანონის დამტკიცებამდე, PPA-ს გაცემა შედარებით შენელდა/შეფერხდა კანონის დამტკიცების შემდეგ, 2020 წელს კი, პანდემიის დაწყებისთანავე სრულად შეიზღუდა.

PPA ხელშეკრულებები შეიცავენ დიდი დოზით პირობით ვალდებულებებს. მთავრობის მიერ აღებული პირობითი ვალდებულება როგორც წესი რეალიზაციას პოვებს არა ეკონომიკური აღმასვლის და პიკის მომენტში, არამედ კრიზისულ პერიოდში, როცა სახეზეა ეკონომიკური შოკი. რეალიზებული პირობითი ვალდებულების ჯამურმა ოდენობამ ერთი წლის განმავლობაში შესაძლოა შეადგინოს **0.9-1.2 მილიარდი** ლარი, რაც წარმოადგენს ჩვენს მიერ მოდელირებულ პესიმისტურ სცენარს.

მიუხედავად იმისა, რომ **მიმდინარეობს ხუდონის და ნამახვანის მემორანდუმების შეწყვეტის პროცედურები, ფისკალური რისკის დემონსტრირების მიზნით, მოდელში ასახულია ორივე პროექტი მემორანდუმით განსაზღვრული PPA პირობებით.** მოდელი ეფუძნება შემდეგ დაშვებებს:

- ყველა PPA ოპერირების ეტაპზეა გადასული (ჩართულია). ცხრილში ჩანს თითოეული მათგანის გენერაცია;
- გაკეთებულია დაშვება, რომ ეკონომიკური შოკის პირობებში ელექტროენერგიაზე მოთხოვნის შემცირების გამო, ქვეყანაში შეიქმნა ჭარბი ენერგია, რომლის შესყიდვაზეც სახელმწიფოს ვალდებულება აქვს აღებული;
- რადგან ბაზარი დერეგულირებულია, პირველ რიგში მომხმარებელი ყიდულობს იაფ ენერგიას და გაუყიდავი რჩება ყველაზე ძვირი ენერგია, ასეთებია Top-3 პროექტი - ნენსკრა, ხუდონი და ნამახვანი.
- გენერაციის ძირითადი ნაწილი მოდის იმ თვეებზე, რომელზეც ვრცელდება PPA;
- ელექტროენერგიის საბაზრო ფასი 1 კვტ.სთ-ზე შეადგენს 5.5 აშშ ცენტს.

გენერაციის სტანდარტი	გენერაცია gwh	ჭარბი გენერაცია ბრუნვინტებში	ჭ.ბ. ჭარბი გენერაცია gwh	მოხმარება gwh	ტარიფი	ხარჯი ჭარბ გენერაციაზ ე (USD)	ხარჯის ჩათვლით ე ფასობრივ ეფექტის ხარჯ ი (USD)
ნენსკრა	1,219.00	52.1%	634.90	584.10	11.5	73,013,020.93	35,049,250.00
ხუდონი	1,527.99	52.1%	795.91	732.15	10.5	83,580,312.50	38,607,375.00
ნამახვანი	1,492.00	52.1%	777.17	715.83	8.2	48,910,339.33	5,017,630.33
სხვა PPA (ნორმ ბაზე)	1,337.68	0.6%	7.57	1,330.09	5.8	439,281.38	4,080,273.58
სხვა PPA (ანაბეჭდ ბაზე)	2,749.81	0.0%	0.00	2,749.81	5	0.00	13,749,020.00
ყველა PPA	8,745.98	0.0%	0.00	8,745.98	3	0.00	0.00
სულ	17,106.22		2,217.45	14,888.77		205,920,667.05	94,458,781.91

ამ დაშვებების გათვალისწინებით **სახეზეა ორი ტიპის რისკი:**

- **PPA ტარიფისა და საბაზრო ფასის განსხვავების გამო წარმოქმნილი ვალდებულება,** რისი მოხდენის ალბათობაც ძალიან მაღალია, შეადგენს **94.5 მლნ აშშ დოლარს.** მაგალითად, ნამახვანის ხარჯი ოპერირების პირველ წელს (როცა ტარიფი 6.2 ცენტია), შეადგენს 5 მლნ აშშ დოლარს, ეს თანხა მეთხუთმეტე წელს ადის 27 მლნ აშშ დოლარამდე ტარიფის ესკალაციის გამო; ასეთი ტიპის რისკების რეალიზება უნდა დაგვიდგეს ბაზრის დერეგულურებისთანავე.
- **ეკონომიკური შოკის შედეგად** (მაგ. პანდემიის შედეგად გამოწვეული ეკ. კრიზისი) **ელექტროენერგიაზე მოთხოვნის მკვეთრი შემცირების გამო წარმოქმნილი ჭარბი ენერგია**, რომლის სავალდებულო შესყიდვაზეც გაცემულია სახელმწიფო გარანტია PPA კონტრაქტის სახით - **205 მლნ აშშ დოლარი.** თუ დავუშვებთ რომ ეკონომიკური კრიზისები მეორდება ყოველ 10 წელში ერთხელ, დაახლოებით 10-წლიან პერსპექტივაში უნდა ველოდოთ ასეთი რისკის რეალიზებას. ისეთ პროექტებში, სადაც სახეზეა ტარიფის ესკალაცია, აღნიშნულის ეფექტი კიდევ უფრო მძიმდება.

წარმოდგენილი სცენარით რისკის რეალიზების მოცულობამ შესაძლოა შეადგინოს დაახლოებით 300 მლნ აშშ დოლარი (ლარებში 0.9-1 მლრდ ლარი). ამ თანხიდან დაახლოებით 30%-ის რეალიზების ალბათობა ძალიან მაღალია, დანარჩენი ნაწილის რეალიზება მიბმულია ეკონომიკური შოკის მოხდენის ალბათობაზე, რომელიც მეორდება დაახლოებით ყოველ 10 წელში ერთხელ და წარმოადგენს პესიმისტურ სცენარს.



დიაგრამა გვიჩვენებს გენერაციის მიხედვით PPA ელექტროსადგურების პროცენტულ განაწილებას. გენერაცის 51% მოდის Top-3 პროექტზე:

- ნენსკრა

- ხუდონი

- ნამახვანი



დიაგრამა გვიჩვენებს ზევით აღნიშნული ორი ტიპის რისკის რეალიზების შემთხვევაში დამდგარ შედეგებს მილიონ ლარებში და პროცენტულ წილში, რომლის ანაზღაურებაც უნდა მოხდეს ბიუჯეტიდან.

ნამახვანი გათვალისწინებულია 6.2-ცენტიანი ტარიფით და შეადგენს 166 მლნ ლარს. იგივე მაჩვენებელი მე-15 წელს შეადგენს 314 მლნ ლარს.

როგორც ჩანს, ფისკალური რისკის 70%-ზე მეტი მოდის TOP-3 პროექტზე. ვინაიდან აღნიშნული სამი პროექტიდან ამ ეტაპისთვის შეგვიძლია ვთქვათ, რომ 2 პროექტი - ხუდონი და ნამახვანი არსებული PPA პირობებით აღარ განხორციელდება, შესაძლოა გაჩნდეს მოლოდინები, რომ გამოთავისუფლდა გარკვეული სივრცე და გაჩნდა რისკის მადა, რომ განახლდეს PPA მემორანდუმებით ენერგეტიკული პროექტების განხორციელება. ფისკალური რისკების დამატებითი აკუმულირება მსგავსი მასშტაბით და პირობებით დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით დაუშვებლად მიგვაჩნია.
თვალსაჩინოებისთვის, აქვე ვურთავთ TOP-3 პროექტის PPA პირობებს:

დასახელება	**დადგმული სიმძლავრე (მგვტ)**	**გენერაცია (gwh)**	**პროექტის ტიპი**	**PPA პირობები**
ხუდონი	702	1528	HPP	15 წელი, 12 თვე. ტარიფი: I-V წელი 10.50 ცენტი; VI-VIII წელი 10.25 ცენტი;; IX-X

				წელი 9.74 ცენტი; XI წელი 9.5 ცენტი; XII წელი 6 ცენტი; XIII-XV წელი 5 ცენტი.
ნამახვანი	433	1496	HPP	15 წელი, 8 თვე, 6.2 ცენტი, 3%-იანი ესკალაცია
ნენსკრა	280	1219	HPP	36 წელი, 12 თვე, 7.75 ცენტი, 3%-იანი ესკალაცია პირველი ცამეტი წლის მანძილზე.

TOP-3 პროექტთან შედარების მიზნით ყურადღება გავამახვილოთ მომდევნო რამდენიმე პროექტზე:

- 2021 წელს ცვლილება შევიდა ონის კასკადის მემორანდუმში. შეიცვალა პროექტის ტექნოლოგია, ლოკაცია და PPA პირობები, შეიძლება ითქვას, ინვესტორმა წარმოადგინა სრულიად ახალი პროექტი, თუმცა, ძველის ჩანაცვლების ხარჯზე.

ონის კასკადის ძველი მემომრანდუმის პირობები

დასახელება	დადგმული სიმძლავრე (მგვტ)	გენერაცია (gwh)	პროექტის ტიპი	PPA პირობები
ონი 1	122.46	441.20	HPP	20 წელი, 12 თვე, 6.65 ცენტი, 3.5%-იანი ესკალაცია
ონი 2	83.70	339.00	HPP	მთლიანი გამომუშავების 20%, 6.65 ცენტი, 3.5%-იანი ესკალაცია

ონის კასკადის მემომრანდუმის განახლებული პირობები

დასახელება	დადგმული სიმძლავრე (მგვტ)	გენერაცია (gwh)	პროექტის ტიპი	PPA პირობები
ონის ქარის ელექტროსადგური	206	780-მდე	ქარის-ელ. სადგური	15 წელი, 12 თვე, 6.3 ცენტი

- კომპანიამ სამი წლის ვადით დაიტოვა უფლება ააშენოს ან არ ააშენოს ონის კასკადი, თუმცა, PPA-ს გარეშე. მაქსიმალური დატვირთვის პირობებში ფისკალური ხარჯი (კომპანიის მიერ მისაღები წლიური შემოსავალი) დაახლოებით შეადგენს 49 მლნ დოლარს.

გენერაციის თვალსაზრისით აუცილებელია აღინიშნოს დარიალი და შუახევი ჰესები, თუმცა, მათგან მომდინარე ფისკალური რისკები TOP-3 პროექტთან შედარებით მცირეა:

დასახელება	დადგმული სიმძლავრე (მგვტ)	გენერაცია (gwh)	პროექტის ტიპი	PPA პირობები
დარიალი	108	500	HPP	10 წელი, იანვ, თებ მარტი, ოქტ, ნოემბ, დეკემ – 6.5 ცენტი;

				აპრ, მაისი, ივნ, ივლ, აგვ, სექტ. – 5 ცენტი
შუახევი	178.2	455	HPP	15 წელი, 9 თვე - 5.5 ცენტი, 2%-იანი ესკალაცია, 3 თვე (მაისი, ივნისი, ივლისი) – 3.5 ცენტი

- დარიალის ყოველწლიური ფისკალური ხარჯი მაქსიმალური დატვირთვის პირობებში შეადგენს დაახლოებით 28 მლნ დოლარს;
- შუახევის ყოველწლიური ფისკალური ხარჯი მაქსიმალური დატვირთვის პირობებში შეადგენს დაახლოებით 25 მლნ დოლარს.

საქართველოს მთავრობის მიერ 2020 წელს PPA-ს ალტერნატივად განისაზღვრა მხარდაჭერის სქემა, ე.წ. Feed-in-Premium **(FIP)**. მხარდაჭერის პერიოდი განისაზღვრება სადგურის ექსპლუატაციაში შესვლისა და წარმოების ლიცენზიის (კანონმდებლობით ასეთი საჭიროების შემთხვევაში) გაცემიდან ათი წლის ვადით, წელიწადში 8 თვის (იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი, სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი) განმავლობაში. პრემიალური ტარიფი შეადგენს 1 კვტ.სთ-ისთვის 0.015 აშშ დოლარს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ელექტროენერგიის ორგანიზებულ ბაზარზე შესაბამისი საათისთვის დაფიქსირებულ საბითუმო (წონასწორულ) ფასსა და 0.055 აშშ დოლარს შორის სხვაობა 0.015 აშშ დოლარზე ნაკლებია, მაშინ პრემიალური ტარიფი გამოიანგარიშება აღნიშნული სხვაობით.

ამ ეტაპისტვის აღნიშნული მხარდაჭერის სქემით უკვე დაკონტრაქტებულია 30-მდე პროექტი დაახლოებით 106400 მლნ კვტ სთ წლიური გენერაციის პოტენციალით, რაც ხაზს უსვამს ინვესტორების დაინტერესებას მხარდაჭერის სქემის მიმართ.

მიუხედავად იმისა, რომ FIP-ს შემოღებით არსებითად შემცირდა ფისკალური რისკები და გადაიჭრა კითხვისნიშნები გამჭვირვალობასთან დაკავშირებით, აღნიშნული არ ნიშნავს, რომ ცალკე აღებული FIP-ს არსებული სტრუქტურა ეფექტიანია, კერძოდ, არსებობს ბიუჯეტიდან იმაზე მეტის გადახდის რისკი ვიდრე ამის საჭიროება დადგებოდა კონკურენტულ პირობებში. აღნიშნულის გათვალისწინებით, გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ მხარდაჭერის არსებული სქემა უნდა გადაიხედოს და მოიძებნოს ისეთი გადაწყვეტა რომელიც ერთი მხრივ შეინარჩუნებს FIP-ის ისეთ უპირატესობებს, როგორიცაა გამჭირვალობა, ხოლო მეორე მხრივ დაზღვეული იქნება პოტენციური არაეფექტიანობისგან.

PPP ვალდებულებების შეფასება

,,ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად საქართველოს მთავრობის ვალის მთლიან შიდა პროდუქტთან შეფარდება არ უნდა აღემატებოდეს 60%-ს. აღნიშნულ

ზღვარში აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტების (PPP) ფარგლებში მთავრობის მიერ აღებული ვალდებულებების მიმდინარე ღირებულება.

ქვეყანაში ამ მომენტისთვის არსებული PPP პროექტების შესაბამისი ვალდებულებების შეფასება განხორციელდა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით, კერძოდ, საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის - IPSAS 32-ის შესაბამისად.

ანაკლიის შავი ზღვის ღრმაწყლოვანი პორტი: ,,ანაკლიის განვითარების კონსორციუმის" მიერ საინვესტიციო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო საქართველოს მთავრობამ 2020 წლის 9 იანვარს შეწყვიტა კონსორციუმთან 2016 წლის 3 ოქტომბერს გაფორმებული საინვესტიციო ხელშეკრულება ,,ანაკლიაში შავი ზღვის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის მშენებლობის, ოპერირებისა და გადაცემის (BOT) შესახებ". 2020 წლის 29 ივლისს კერძო პარტნიორმა, ,,ანაკლიის განვითარების კონსორციუმმა", სარჩელი შეიტანა საერთაშორისო სავაჭრო პალატის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოში და დაიწყო დავა სახელმწიფოს წინააღმდეგ. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით სტანდარტის ფარგლებში არ ხდება ვალდებულებების შეფასება, თუმცა მიმდინარე დავის გათვალისწინებით პროექტი წარმოადგენს პირობითი ვალდებულების წყაროს. 2018 წლის ბოლოს ანაკლიის პორტიდან მომდინარე ვალდებულებები სტანდარტის ფარგლებში შეფასებული იყო 169,705,000 ლარად.

ნენსკრას ჰიდროელექტროსადგური: ნენსკრა ჰესის პროექტს ახორციელებს სს ,,ნენსკრა ჰიდრო", რომელიც კორეის წყლის რესურსების კორპორაციის - K-Water-ისა (ინვესტორი) და სს ,,საპარტნიორო ფონდის" თანამშრომლობის შედეგად 2015 წელს შეიქმნა. სს საპარტნიორო ფონდი ფლობს კომპანიის აქციათა 8%-ს. ოპერატორთან გაფორმებულია BOT (Build-operate-transfer) ხელშეკრულება, რომელიც ჰესის ექსპლუატაციაში შესვლიდან 36 წელიწადში მის საქართველოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემას გულისხმობს. პროექტი აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ საჯარო და კერძო თანამშრომლობის კრიტერიუმებს და მისგან მომდინარე ვალდებულებები შეგვიძლია შევაფასოთ IPSAS 32 სტანდარტით გათვალისწინებულ პრინციპებზე დაყრდნობით. კერძოდ, უნდა ვაღიაროთ შექმნილი გრძელვადიანი აქტივის ტოლი ვალდებულებები. ვალდებულებების მაჩვენებელს ვამცირებთ კომპანიის კაპიტალში ფონდის წილით, რადგან ფონდი წარმოადგენს სახელმწიფოს. სს ,,ნენსკრა ჰიდროს" 2020 წლის აუდიტირებული ანგარიშგების მიხედვით კომპანიის მიერ შექმნილი გრძელვადიანი აქტივის ღირებულება 2020 წლის ბოლოს არის 325 299 000 ლარი. მეთოდოლოგიის შესაბამისად პროექტიდან მომდინარე PPP ვალდებულება 2020 წლის ბოლოს შეადგენს 290 671 560 ლარს. 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით აღნიშნული პროექტის ფარგლებში განსაზღვრული PPP ვალდებულების მიმდინარე ღირებულება შეადგენდა 266 761 440 ლარს.

თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის საერთაშორისო აეროპორტი: პროექტი ითვალისწინებს კერძო პარტნიორის, შპს ,,TAV ურბან საქართველოს", მიერ თბილისის საერთაშორისო აეროპორტის იჯარით აღებას, მის განვითარებას, საჭირო აღჭურვილობის შეძენასა და ახალი ნაგებობების აშენებას. ხელშეკრულების მხარეები არიან: შპს ,,TAV ურბან საქართველო" და შპს ,,საქართველოს აეროპორტების გაერთიანება". შპს ,,TAV ურბან საქართველო" პასუხისმგებელია აეროპორტის მართვასა და განვითარებაზე, ხოლო შპს ,,საქართველოს აეროპორტების გაერთიანებას" ევალება ზედამხედველობა და კომპეტენციის ფარგლებში დახმარების გაწევა.

პირველადი ხელშეკრულება ძალაში შევიდა 2005 წლის 6 სექტემბერს, ხოლო ხელშეკრულების ახალ რედაქციას 2015 წლის მაისში მოეწერა ხელი. 2005 წლის ხელშეკრულების ახალი რედაქციით, შპს ,,TAV ურბან საქართველო" თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ოპერირებას და მოვლა-შენახვას 2027 წლის იანვრამდე განახორციელებს. 2027 წლიდან აეროპორტი უსასყიდლოდ გადაეცემა სახელმწიფოს მფლობელობაში. არსებული მდგომარეობით ოპერატორის მიერ განხორციელებული ინვესტიციები მოიცავს: რამდენიმე ტერმინალის აშენებას, ავტოსადგომის მოწყობას, ასაფრენი ზოლის, სამიმოსვლო ბილიკის და ბაქნის რეაბილიტაციას.

შპს ,,საქართველოს აეროპორტების გაერთიანება“, IPSAS 32-ის შესაბამისად, ოპერატორის მიერ განხორციელებულ ინვესტიციებს ასახავს გადავადებული შემოსავლის (არაფინანსური ვალდებულების) მუხლში, რომლის ამორტიზებაც ხდება კონცესიის ხელშეკრულების ვადის განმავლობაში. ამასთან, ,,TAV ურბან საქართველოს“ მიერ განხორციელებული ინვესტიციების მაჩვენებელი განსხვავდება ,,საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ ბალანსზე ასახულისგან, რადგან ,,საქართველოს აეროპორტების გაერთიანება“ აქტივს აღიარებს დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ განხორციელებული შეფასების საფუძველზე განსაზღვრული მოცულობით. 31/12/2020 წ-ის მდგომარეობით გადავადებული შემოსავლის ნაშთი შეადგენს 104 751 000 ლარს.

ზემოთ მოცემული მსჯელობის შესაბამისად, **PPP ვალდებულებების მოცულობა 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 395 422 560 (290 671 560 + 104 751 000) ლარს. 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კი საჯარო და კერძო თანამშრომლობის კრიტერიუმების შესაბამისი პროექტების ფარგლებში აღებული ვალდებულებების მიმდინარე ღირებულება შეადგენდა 388 789 440 ლარს.**

პანდემიით გამოწვეული ფისკალური რისკები

შესავალი

2019 წლის მიწურულს დაწყებული COVID-19-ის პანდემია გვაფიქრებინებს მომავალში ახალი პანდემიების გაჩენის გაზრდილ რისკებზე. აღნიშნულ რისკებს კიდევ უფრო ზრდის მოსახლეობის გაზრდილი სოციალური მობილობა, საერთაშორისო, ადგილობრივი და შიდა მოგზაურობების ზრდა.
COVID-19-ის პანდემიის პირობებში გამოიკვეთა ფისკალური ხარჯებზე მნიშვენლოვანი ზეწოლა პანდემიის ნეგატიური შედეგების შემცირებაზე მიმართული აქტივობებიდან. ასეთი დანახარჯები გამოწვეულია ერთი მხრივ პანდემიის გამო ეკონომიკური აქტივობების შეზღუდვით, მეორე მხრივ კი ჯანდაცვის სექტორის ხარჯების ზრდით.
აქედან გამომდინარე, გადავწყვიტეთ პანდემიური ფისკალური რისკების შეფასების დაწყება.
ზოგადად, პანდემიისგან გამოწვეული ფისკალური რისკები შესაძლოა რეალიზდეს მოკლე და საშუალოვადიან პერიოდებში, როგორც COVID-19 -ის შემთხვევაში იყო, შედეგების პროგნოზირება რჩება გამოწვევად. ამას ართულებს შემდეგი ფაქტორები:

- **ვირუსის მუტირების უნარი, რომელსაც შეუძლია დაამძიმოს პანდემიური ვითარება, რაც უკვე COVID-19-ის პანდემიისას ხდება.**

- **პანდემიის წინააღმდეგ ცოდნის მუდმივი დაგროვება, რომელიც მოიცავს ვაქცინაციის ტექნოლოგიებს, მკურნალობას და ვირუსის გავცელების შესანელებელ მეთოდებს.**

უფრო მეტიც, შესაძლოა მიმდინარე COVID-19 პანდემია შორს იყოს დამთავრებისგან. ის შეიძლება გაუარესდეს ნებისმიერ დროს, რაც გამოიწვევს მეტ ეკონომიკურ და ფისკალურ დანახარჯებს.
იმისათვის რათა, ჩამოყალიბდეს მიდგომა თუ როგორ შევაფასოთ პანდემიისგან გამოწვეული რისკები, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ დაიწყო საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) მიერ შემუშავებული ფისკალური სტრეს-ტესტის - COVID-19-ის მოდულის გამოყენება. აღნიშნული გვეხმარება ლოქდაუნების და სხვა შეზღუდვების მაკრო-ფისკალური სცენარების მოდელირებაში.

მოდულის ძირითადი პარამეტრები

მოდელი ითვალისწინებს 2 ცვლადს:

- **ლოქდაუნის ხანგძლივობა;**
- **ლოქდაუნის სიმკაცრე.**

ლოქდაუნის ხანგძლივობის ცვლადი ასახავს, იმას თუ რამდენი ხანი გრძელდებოდა ლოქდაუნისთვის მიმართული ზომები, ცვლადი მერყეობს 3-თვიდან 1 წლამდე. ლოქდაუნის სიმკაცრის ცვლადი ინდექსია, რომელიც ითვალისწინებს მიღებული ზომების რაოდენობას, რაც მთავრობამ დააწესა, ეს ზომები მოიცავს როგორც საერთაშორისო მგზავრობაზე დაწესებულ შეზღუდვებს, ისე უფრო მკაცრ შეზღუდვებს, როგორიცაა ადამიანების რაოდენობის შეზღუდვა საზოგოადოებრივი თავშეყრის ადგილებზე და სამუშაო ადგილების დახურვა. ასევე, ასახავს მიღებული ზომების ეფექტიანად აღსრულებას, იმისგან განსხვავებით თუ რა იყო ფორმალურად განცხადებული.
მაგალითად , ავიღოთ საშუალოდ ეფექტური ლოქდაუნის სიმკაცრე და 6-თვიანი ხანგძლივობით.13

---

13 According to the Oxford COVID-19 Government Response tracker, Georgia's formally announced stringency measure was the most stringent possible 100 in April 2020, which was gradually lowered in the subsequent two months, and stayed in the 50s and low 60s range for the remainder of 2020. See COVID-19: Stringency Index (ourworldindata.org).

ეს კომბინაცია გამოიწვევდა რეალური GDP-ის 17%-ით შემცირებას საბაზო წელთან შედარებით (წელი, როდესაც ლოქდაუნები დაწესდა).

2020 წელს საქართველოს რეალური GDP საბაზო წელთან შედარებით თითქმის 11% -ით შემცირდა.14 ეს სხვაობა მიუთითებს იმაზე რომ ლოქდაუნის სიმკაცრე იმაზე ნაკლები იყო, ვიდრე ეს ფორმალურად იყო გამოცხადებული, ასევე, შესაძლოა, რომ აღნიშნული მოდელის კალიბრაცია ზუსტად ვერ ასახავს საქართველოს ეკონომიკის ზოგიერთ თავისებურებებს, ეს ორივე მიზეზი სამომავლო ანალიზის ობიექტებია.

მოდელის მიხედვით, ლოქდაუნის დამთავრებიდან მეოთხე წელს ეკონომიკა უნდა დაუბრუნდეს საბაზისო მდგომარეობას.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე შედარებულია საშუალო სიმკაცრის ლოქდაუნი, რომელიც 6 თვე გრძელდება; დაბალი სიმკაცრის ლოქდაუნი, რომელიც 3 თვე გრძელდება და 1-წლიანი მაღალი სიმკაცრის ლოქდაუნი (ყველაზე მკაცრი ლოქდაუნი). ყველაზე ნაკლებად მკაცრ სცენარში, ეკონომიკა უბრუნდება საბაზისო მაჩვენებელს 3 წელიწადში, ხოლო ყველაზე მკაცრი ლოქდაუნის პირობებში ეკონომიკა 4 წლის შემდგომაც 4%-ით ნაკლებია საბაზისოსთან შედარებით.

დიაგრამა 1: ლოქდაუნების ეფექტი რეალურ GDP-ზე (პროცენტული პუნქტით გადახრა საბაზო მდგომარეობიდან) სხვადასხვა ლოქდაუნის პირობებში



მოდელი გრძელდება ლოქდაუნების გავლენის შეფასებით ფისკალურ ცვლადებზე. მთლიანი სალდო უარესდება მშპ-ს 2%-ით 1 წელში, აღნიშნული დემონსტრირებულია მეორე დიაგრამაზე:

14 აღნიშნული დაანგარიშებულია 2020 წელს რეალური GDP-ის 6.2%-იანი კლებისა პანდემიამდე პერიოდის საშუალო რეალური GDP-ის ზრდისგან, რომელიც 5%-ს შეადგენდა.

ნახაზი 2: ლოქდაუნების ეფექტი მთლიან სალდოზე(პროცენტული პუნქტით გადახრა საბაზო მდგომარეობიდან) სხვადასხვა სცენარის პირობებში



მშპ-ს შემცირება და გაუარესებული მთლიანი სალდო, ორივე ზრდის ვალის მშპ-სთან თანაფარდობას, რაც 26%-ით მაღალია საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით პირველ წელს, და დაახლოებით 19%-ით მეტი- 4 წლის შემდგომაც, საშუალო სიმკაცრის სცენარის პირობებში. რაც ასახულია მესამე დიაგრამაზე:

დიაგრამა 3: ლოქდაუნის ეფექტი ვალი-მშპ-ზე თანაფარდობაზე (პროცენტული პუნქტით გადახრა საბაზო მდგომარეობიდან) სხვადასხვა სცენარის პირობებში



წარმოდგენილი მოდელის მიხედვით ლოქდაუნები იწვევს მშპ-ს მკვეთრ შემცირებას, თუმცა, შეზღუდვის მოხსნის შემდგომ ხდება სწრაფი აღდგენა. რეალობაში, მშპ-ს შემცირება შესაძლოა იყოს ნაკლებად მძიმე, თუმცა, ეკონომიკას შეიძლება გაცილებით დიდი დრო დასჭირდეს პანდემიამდე არსებულ ტრენდზე დასაბრუნებლად.

სტიქიური მოვლენებიდან და კლიმატის ცვლილებიდან მომდინარე ფისკალური რისკები

შესავალი

სტიქიური მოვლენებიდან და კლიმატის ცვლილებიდან მომდინარე ფისკალური რისკები წარმოადგენენ აღნიშნულ მოვლენებთან დაკავშირებულ ფაქტორებს, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიონ ფისკალური აგრეგატების მნიშვნელობების არსებითი გადახრა საბიუჯეტო წლისთვის სახელმწიფო ბიუჯეტში დაგეგმილ და ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების (BDD) დოკუმენტში მომდევნო სამი წლის განმავლობაში პროგნოზირებულ დონესთან შედარებით.

სტიქიური მოვლენები წარმოადგენენ ფისკალური რისკის წყაროს კლიმატის ცვლილების არ არსებობის პირობებშიც, თუმცა, ჩვენს მიერ საკითხზე ყურადღების გამახვილება მეტწილად განპირობებულია კლიმატის ცვლილების ეფექტით. სწორედ აღნიშნული მიზეზით ვაქვეყნებთ ერთდროულად კლიმატის ცვლილებისა და სტიქიური მოვლენებიდან მომდინარე ფისკალური რისკების შეფასებას.

სტიქიურ მოვლენებთან ერთად, კლიმატის ცვლილებას შესაძლოა გავლენა ჰქონდეს ფისკალურ შედეგებზე ისეთი მაკროეკონომიკური და ფისკალური პარამეტრების ცვლილების გზით, როგორებიცაა: პოტენციური ეკონომიკური ზრდა, ინფლაცია, შემოსავალი, ხარჯები, ფინანსებზე ხელმისაწვდომობა, ფისკალური რისკების, მათ შორის, სახელმწიფო საწარმოებიდან, ელექტროენერგიის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებებისა (PPA) და საჯარო და კერძო თანამშრომლობის (PPP) პროექტებიდან მომდინარე ფისკალური რისკების გამძაფრება.

კლიმატის ცვლილების ფისკალური გავლენა არ წარმოადგენს სტანდარტულად განსაზღვრულ კლიმატის ცვლილების ფისკალური რისკებს. კლიმატის ცვლილება ნელა პროგრესირებს და მისგან გამოწვეული ფისკალური შედეგები, არსებითი განუსაზღვრელობის მიუხედავად, უნდა აისახოს ფისკალურ პროგნოზებში. თუმცა, კლიმატის ცვლილების გავლენასთან დაკავშირებული განუსაზღვრელობები, მათ შორის, გარემოს ყოველწლიური ტრანსფორმაცია, რაც ზრდის სტიქიური მოვლენების სიხშირეს და სიმძიმეს - ასევე ზრდის შეუსაბამობას მაკროეკონომიკურ და ფისკალურ გეგმებთან და პროგნოზებთან მიმართებით. გარდა ამისა, კლიმატის ცვლილებამ შესაძლო გავლენა მოახდინოს იმ ფისკალური რისკების ალბათობასა და ზემოქმედებაზე, რომლებიც დაკავშირებულია სახელმწიფო საწარმოებთან, PPP და PPA პროექტებთან, ადგილობრივ თვითმმართველობებთან.

ქვემოთ მოცემული სქემა წარმოადგენს ფისკალურ რისკებზე კლიმატის ცვლილების ზეგავლენის ილუსტრაციას.



გავლენა შემოსავლებსა და ხარჯებზე

- **კლიმატის ცვლილების გლობალური მაკროეკონომიკური ეფექტები**
- **კლიმატის ცვლილების გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე**
- **გაცვლითი კურსის /ვაჭრობის პირობების/ საქონლის ფასების შოკები**

კლიმატის ცვლილების ეფექტები (მათ შორის, მაგრამ არ შემოიფარგლება, სტიქიურ მოვლენებზე აქცენტირებით)

- **ფინანსური სექტორი**
- **საჯარო და კერძო თანამშრომლობა**
- **სახელმწიფო საწარმოები**
- **ადგილობრივი თვითმმართველობები**
- **სასამართლო დავები**
- **პროგნოზირების შესაძლებლობა**
- **რისკის მართვის ინსტიტუციური სტრუქტურა**
- **ინფორმაციის და მონაცემების ხელმისაწვდომობა**
- **გადაწყვეტილებების მიღების უნარი**

კლიმატის ცვლილების შერბილების და ადაპტაციის პოლიტიკები გავლენას მოახდენენ ზემოთ აღნიშნულზე

საქართველოში სტიქიური მოვლენების შესახებ მიმოხილვა წარმოდგენილია ამ თავის მომდევნო ნაწილში, რომელსაც მოყვება მსჯელობა კლიმატის ცვლილების ფისკალური რისკებზე, მათ შორის, შერბილებისა და ადაპტაციის პოლიტიკებთან დაკავშირებული რისკების შესახებ. დასვნითი ნაწილი აჯამებს მნიშვნელოვან გამოწვევებს და გვთავაზობს შემდგომ ნაბიჯებს.

სტიქიური მოვლენები საქართველოში

საქართველო მნიშვნელოვნად დაზარალდა წყალდიდობებითა და მიწისძვრებით. 2015 წელს თბილისში მომხდარ წყალდიდობას[15] 55 მილიონი ლარის ღირებულების ფიზიკური ზიანი და 10 მილიონი ლარის ფინანსური ზარალი მოჰყვა, რაც უახლეს ისტორიაში ყველაზე დიდი მაჩვენებელია. ბოლო რამდენიმე ათწლეულების მანძილზე ყველაზე დიდი მიწისძვრა მოხდა თბილისში 2002 წელს, რომლის ზარალი 703 მილიონ ლარამდეა[16] შეფასებული. სხვადასხვა ტიპის სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ადამიანების რაოდენობის შესახებ ისტორიული მონაცემები მოცემულია დიაგრამა 1-ში.

[15] Disaster Risk Finance Country Note: Georgia 2017, World Bank.

[16] გამოყენებული გაცვლითი კურსი: 1 USD=3.11 GEL.

დიაგრამა 1. საქართველოში სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ადამიანთა რაოდენობა



წყარო: EM-DAT

საქართველოში წყალდიდობისა და მიწისძვრის რისკების პერსპექტივაში შეფასება მიუთითებს მომავალში ნაკლებად ხშირი სტიქიებით გამოწვეული პოტენციური არსებითი ზარალის მასშტაბზე სხვადასხვა ტიპის აქტივებისთვის.

წყალდიდობის მოდელირება საქართველოსთვის გვიჩვენებს, რომ უფრო ხშირ წყალდიდობებს (რომლის წელიწადში ერთხელ მოხდენის ალბათობა 20%-ია, 5 წელიწადში ერთი შემთხვევა) შეუძლია მუდმივი საცხოვრებელი აქტივებისთვის 93 მილიონი ლარის ღირებულების ზარალის მიყენება. ზარალი იზრდება 302 მილიონ ლარამდე 100 წელიწადში ერთხელ სცენარში და აქვს წელიწადში ერთხელ მოხდენის 1%-იანი ალბათობა. მსგავსი ტენდენციები შეინიშნება კომერციული და სამრეწველო აქტივებისთვის, რაც აღწერილია ცხრილში 1.

ცხრილი 1. წყალდიდობებიდან ყოველწლიურად მოსალოდნელი ზარალი აქტივების ტიპის მიხედვით განმეორების სხვადასხვა პერიოდისთვის

მილიონი ლარი

განმეორების პერიოდი	წლიური საშუალო	1-5წ-ში	1-10წ-ში	1-20წ-ში	1-50წ-ში	1-100წ-ში	1-200წ-ში
მუდმივი საცხოვრებელი	46.0	93.3	143.0	189.7	248.7	301.6	516.1
მთავრობის პირობითი ვალდ.	7.1	14.5	22.2	29.4	38.6	46.7	80.0
კომერციული	2.5	2.8	5.6	10.3	16.2	19.9	24.9
სამრეწველო	3.1	5.6	9.0	13.1	18.0	23.3	34.2

წყარო: JBA

ქვემოთ მოცემულია საქართველოში მომხდარი მიწისძვრების გადაჭარბების ალბათობის[17] მოდელირებული მრუდი, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ იზრდება ზარალი განმეორების

[17] გადაჭარბების ალბათობა არის ზარალის მოცემული დონის გადაჭარბების ალბათობა, მაგალითად, 1% გადაჭარბების ალბათობა გულისხმობს ზარალის გადაჭარბების რეალიზებას საშუალოდ 100 წელიწადში ერთხელ.

პერიოდების ზრდასთან ერთად (ალბათობები მცირდება), კერძოდ, ყოველ 100 წელიწადში ერთი მიწისძვრის შედეგად გამოწვეული ზარალი თითქმის 25-ჯერ აღემატება 10 წელიწადში 1 მიწისძვრის შედეგად გამოწვეულ ზარალს. აღნიშნულის საპირისპიროდ, 100 წელიწადში ერთხელ მომხდარი წყალდიდობის მიერ გამოწვეული ზარალი 2.2-ჯერ მეტია, 10 წელიწადში ერთი წყალდიდობის მიერ გამოწვეულ ფინანსურ ზარალზე.

დიაგრამა 2 - საქართველოში მიწისძვრების გადაჭარბების ალბათობა განმეორების სხვადასხვა პერიოდისთვის.



წყარო: მიწისძვრის გლობალური მოდელი

საქართველოს მთავრობას აქვს კლიმატის ცვლილებისა და სტიქიური მოვლენების შედეგად გამოწვეული ზარალის დაფინანსების პირობითი ვალდებულებები, რომლებიც მომდინარეობს სასწრაფო/გადაუდებელი რეაგირებისა და მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი სერვისების აღდგენის საჭიროებების, საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის რეკონსტრუქციისა და საზოგადოების იმ სეგმენტის უზრუნველყოფის მიზნით, რომელზეც პასუხისმგებლობა იქნა აღებული, ასევე, ვალდებულება გაიზიაროს გარკვეული ხარჯები თვითმმართველობებთან. წინასწარი შეფასება მიუთითებს, რომ საცხოვრებელი აქტივების რეკონსტრუქციისთვის პირობითი ვალდებულებები შეიძლება მერყეობდეს 5 წელიწადში 1 წყალდიდობის მოხდენის შემთხვევაში 14 მილიონი ლარიდან, 80 მილიონი ლარამდე 200 წელიწადში ერთი წყალდიდობის შემთხვევისთვის (დიაგრამა 3).

დიაგრამა 3. სახელმწიფოს პირობითი ვალდებულებები საცხოვრებელი აქტივებისთვის



წყარო: მთავრობის პირობითი ვალდებულების გაანგარიშება JBA წყალდიდობის მოდელირების საფუძველზე

მთავრობამ 2009 წლიდან 2018 წლამდე სტიქიურ მოვლენებზე მთლიანი ხარჯების საშუალოდ 0,06 პროცენტი დახარჯა. ეს ხარჯები ძირითადად მოიცავდა კომპენსაციებს და ფისკალურ ტრანსფერებს. დიაგრამა 4-ზე ნაჩვენებია აღდგენით სამუშაოებსა და სტიქიური მოვლენების საპასუხოდ ბიუჯეტიდან დახარჯული თანხები. ბიუჯეტიდან დახარჯული თანხა არ არის დიფერენცირებული სტიქიური მოვლენების ტიპების მიხედვით და შესაძლოა არ იყოს კორელაციაში ამ სტიქიური მოვლენების შედეგად გამოწვეულ ზიანთან და ეკონომიკურ დანაკარგებთან. აღწერილი დანახარჯები შესაძლოა არ მოიცავდეს სტიქიური მოვლენებით გამოწვეულ ყველა ხარჯს, მაგალითად, მომდევნო წლებში საჯარო აქტივების აღდგენისთვის საჭირო ხარჯებს.

დიაგრამა 4. საქართველოს მთავრობის სტიქიური მოვლენებით გამოწვეული დანახარჯები



მიუხედავად იმისა, რომ წარსულში სტიქიურ მოვლენებთან დაკავშირებული ხარჯები მშპ-ს მცირე წილს შეადგენდა, ზემოთ აღწერილი ანალიზი მიუთითებს, რომ ნებისმიერ დროს შესაძლებელია

მოხდეს ისეთი სტიქიური მოვლენა, რომელიც საჭიროს გახდის ამგვარი ხარჯების მნიშვნელოვან ზრდას. ამასთან, აღნიშნულ რისკს აძლიერებს კლიმატის ცვლილება (განხილულია ქვემოთ).

მთავრობის მიერ სტიქიური მოვლენის შემდგომი დაფინანსების ინსტრუმენტები მოიცავს: მთავრობის სარეზერვო ფონდს; საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელ პროექტების ფონდს (რეგიონული ფონდი); ადგილობრივი თვითმმართველობისა და სამინისტროების ბიუჯეტებს. რეგიონული ფონდის გარდა, სტიქიური მოვლენის შემდგომი მთლიანი დაფინანსება არ შეიძლება აღემატებოდეს მთლიანი წლიური ბიუჯეტის ასიგნების 2 პროცენტს, გარდა იმ შემთხვევისა როცა ბიუჯეტში შეტანილი ცვლილება დამტკიცებულია პარლამენტის მიერ. (ცხრილი 2)

ცხრილი 2. სახელმწიფო ბიუჯეტიდან სტიქიური მოვლენის შემდგომი ხელმისაწვდომი დაფინანსება
მილიონი ლარი

	ბიუჯეტი 2020	ბიუჯეტი 2021	გეგმა 2022
მთავრობის სარეზერვო ფონდი	54.7	40.0	50
რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	449.5	410.0	300

2020 წელს მთავრობამ ასევე შექმნა სოფლის მეურნეობის დაზღვევის პროგრამა, რომელიც თანადაფინანსებას უწევს სადაზღვევო პროვაიდერებს, რათა წაახალისოს მოსავლისა და სასოფლო-სამეურნეო მიწებისთვის ისეთი სტიქიური მოვლენებისგან დაზღვევის პროდუქტების განვითარება, როგორებიცაა: სეტყვა, წყალდიდობა, ქარიშხალი და შემოდგომის ყინვები. აღნიშნული ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ფისკალური რისკები საქართველოში

საქართველოზე მოქმედი გლობალური ეფექტები

კლიმატის ცვლილებამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს გლობალურ მშპ-ს ზრდაზე ან საქართველოს ერთი ან რამდენიმე სავაჭრო პარტნიორის ზრდაზე. საქართველოს ფარგლებს გარეთ კლიმატის ცვლილებით გამწვავებულმა სტიქიურმა მოვლენებმა, განსაკუთრებით მის ერთ ან რამდენიმე ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყანაში, შესაძლოა გამოიწვიოს მშპ-ს შოკი საქართველოში. გადაცემის არხები შეიძლება მოიცავდეს საქონლისა და მომსახურების შემცირებულ ექსპორტს, ინვესტიციების შემცირებულ ნაკადს და შემცირებულ წარმოებას, რაც წარმოიქმნება მიწოდების ჯაჭვის დარღვევის შედეგად, ყოველივე ასევე შეიძლება აისახოს გაცვლითი კურსის გაუფასურებასა და გაზრდილ რეალურ საპროცენტო განაკვეთებზე. კლიმატის ცვლილების შედეგად გლობალური სტიქიური მოვლენების გააქტიურების გათვალისწინებით, გლობალური კლიმატის ცვლილებით გამოწვეული შოკების ზეგავლენა საქართველოს მშპ-ს რეალურ ზრდაზე 2022-2025 წლებში შესაძლებელი და მოსალოდნელია.

საქართველოში მშპ-ს ზრდის შემცირებული ტენდენცია ასევე შეიძლება გამოწვეული იყოს გლობალური ეკონომიკური ზრდის შემცირებით გლობალური კლიმატის ცვლილების გამო, განსაკუთრებით მის ძირითად სავაჭრო პარტნიორებში. დაბალი გლობალური ეკონომიკური ზრდა შეიძლება გამოიწვიოს არა მხოლოდ სტიქიურმა მოვლენებმა და მწარმოებლურობის შემცირებამ, არამედ კლიმატის

ცვლილების ადაპტაციისა და შერბილების ხარჯებმაც. არ შეიძლება გამოირიცხოს 2022-2024 წლებში აღნიშნული ფაქტორების ნეგატიური გავლენა ეკონომიკურ ზრდასა და შესაბამისად ფისკალურ შემოსავლებზე.

კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული კიდევ ერთი გლობალური ფაქტორი, რომელმაც შეიძლება ნეგატიურად იმოქმედოს საქართველოს ეკონომიკური ზრდის ტემპზე, არის საერთაშორისო რეაქცია საქართველოს მიერ ემისიების შემცირების არადამაკმაყოფილებელ შედეგზე, მაგალითად, დიდი გადახრა ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის (NDC) ვალდებულებებიდან. აღნიშნულმა შესაძლოა გამოიწვიოს კლიმატის ცვლილების შერბილებასთან დაკავშირებული საერთაშორისო სავაჭრო შეზღუდვები საქართველოსთვის, მაგალითად, ნახშირბადის იმპორტის გადასახადები და განვითარების პარტნიორის დაფინანსების შემცირება. NDC-ში შერბილების მტკიცე ვალდებულების გათვალისწინებით, აღნიშნული ფაქტორი არ წარმოადგენს არსებითი ფისკალურ რისკს 2022-2025 წლებისთვის.

კლიმატის ცვლილების შედეგად გააქტიურებული სტიქიური მოვლენები საქართველოში

სტიქიური მოვლენები, რომლებიც კლიმატის ცვლილების შედეგად შეიძლება გააქტიურდეს საქართველოში, ძირითადად, ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენებია. ესენია: მეწყერი, წყალდიდობა, ღვარცოფი, ზვავი, ქარიშხალი, ძლიერი ქარი, გვალვა და ხანძარი. რაც უფრო მძიმეა სტიქიური მოვლენა, მით უფრო დიდია ფისკალური გავლენა და წნეხი. სავარაუდოა მთავრობის ხარჯების ზრდა, მაგალითად, მოკლევადიან პერიოდში დახმარების და რეაბილიტაციის და გრძელვადიან პერსპექტივაში საჯარო ინფრასტრუქტურის აღდგენისა და რეკონსტრუქციის ხარჯების ზრდის გამო. ასევე არსებობს რისკი, რომ ფინანსურმა სექტორმა ვერ შეძლოს ადაპტაცია უფრო ხშირი და მძიმე სტიქიური მოვლენის მიმართ, რაც ართულებს კერძო სექტორის მიერ ზემოქმედების დაძლევას. არსებითი განუსაზღვრელობა, შესაძლოა, შენარჩუნდეს სტიქიური მოვლენების დროის, მასშტაბის და ფისკალურ გავლენების მიმართ.

შიდა გავლენები ეკონომიკურ ზრდაზე

კლიმატის ცვლილებას შესაძლოა ნეგატიური გავლენა ჰქონდეს ეკონომიკურ ზრდაზე პროდუქტიულობის შესაძლებლობების დროებითი ან სამუდამო განადგურებით. სტიქიურ მოვლენებს შეიძლება ჰქონდეს დამაზიანებელი გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე ფისკალურ აგრეგატებზე ზემოქმედებით, უფრო მეტიც, კლიმატის ცვლილების შედეგად ტემპერატურის მატებამ შეიძლება შეამციროს საქართველოს ეკონომიკის პროდუქტიულობა ზაფხულის თვეებში, განსაკუთრებით სამუშაო ძალაზე, პირუტყვსა და სხვადასხვა მოსავალზე ზეგავლენის გამო. მეორე მხრივ, მისი გავლენა პროდუქტიულობაზე ზამთრის თვეებში შეიძლება დადებითიც კი აღმოჩნდეს. აღნიშნულ ფაქტორთაგან ბევრის წმინდა ეფექტი განუსაზღვრელია, მაგრამ დროთა განმვალობაში ზემოქმედების დიდი ნაწილი უფრო თანმიმდევრული გახდება. ამასთან, არ შეიძლება გამოირიცხოს აღნიშნული ფაქტორების ნეგატიური წმინდა გავლენა ეკონომიკურ ზრდასა და ფისკალურ შემოსავლებზე 2022-2025 წლებში.

ადაპტაციის პროცესთან დაკავშირებული ფისკალური რისკები

საქართველოს მთავრობის ადაპტაციის ეროვნული გეგმა (NAP) მიზნად ისახავს ქვეყნის მზადყოფნისა და ადაპტაციის შესაძლებლობების გაუმჯობესებას კლიმატის ცვლილებისადმი მოქნილი და მდგრადი პრაქტიკის შემუშავებით, რაც შეამცირებს მოწყვლადობას მაღალი ზემოქმედების თემებში,

საზოგადოებაში. იდგმება შესაბამისი ნაბიჯები კლიმატის ცვლილებებიდან მომდინარე რისკების და მდგრადობის განვითარების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში ინტეგრაციისთვის.

2018 წელს მთავრობამ გაეროს განვითარების პროგრამასთან და მწვანე კლიმატის ფონდთან ერთად დაიწყო ადრეული გაფრთხილების სისტემების შემუშავება და კლიმატთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოყენება. პროექტის საერთო ღირებულება 70 მილიონი აშშ დოლარია, საიდანაც 38 მილიონი აშშ დოლარი დაფინანსებულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან. პროექტის მიზანია:

- ჰიდრომეტეოროლოგიური მეთვალყურეობის ქსელის შემუშავება/განვითარება და მოდელირების საშუალებების შექმნა.
- ადრეული გაფრთხილების სისტემების შემუშავება/განვითარება სხვადასხვა საფრთხეებისა და კლიმატის შესახებ ახალი ინფორმაციის შემცველი პროდუქტებისათვის, რომლებიც ეფუძნება ეფექტურ ეროვნულ რეგულაციას, კოორდინაციის მექანიზმებსა და ინსტიტუციურ შესაძლებლობებს.
- საზოგადოების მდგრადობის გაუმჯობესება ადრეული გაფრთხილების სისტემებისა და პრიორიტეტული რისკის შემცირების აქტივობების დანერგვის საფუძველზე.

საქართველოს ეროვნული ადაპტაციის გეგმის მიხედვით პრიორიტეტულია ოთხი ძირითადი სექტორი: სოფლის მეურნეობა, ჯანდაცვა, ენერგეტიკა და წყალი.

კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის ღონისძიებების ფისკალური გავლენა განსხვავდება მათგან წარმოქმნილი ფისკალური რისკებისგან და უნდა იქნას გათვალისწინებული გრძელვადიანი ფისკალური მდგრადობის შეფასებაში. ადაპტაციის ზომებს შეუძლიათ წარმოადგინონ ფისკალური რისკების სამი განსხვავებული ჯგუფი:

- ადაპტაციასთან დაკავშირებული ზიანის აღმოსაფხვრელი ზომების, როგორებიცაა სტიქიური მოვლენის შემდგომი მხარდაჭერა, რეაბილიტაცია და რეკონსტრუქცია, რაოდენობრივი განსაზღვრა, რაც საკმაოდ რთული პროცესია სტიქიური მოვლენების დროის, მასშტაბის და მოსალოდნელი ფისკალური ხარჯების პროგნოზირების სირთულის გამო. მოსამზადებელი გეგმების გაუმჯობესება და ადრეული გაფრთხილების სისტემები იძლევა ფისკალური რისკის შემცირების, მაგრამ არა სრულად აღმოფხვრის შესაძლებლობას.
- კონკრეტული ადაპტაციის ღონისძიებების ფისკალური განუსაზღვრელობა. მაგალითად, ადაპტაციის პროექტების ფაქტობრივმა ხარჯებმა შესაძლოა გადააჭარბონ დაგეგმილს. მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტები უფრო მგრძნობიარეა ამ რისკების მიმართ, იმდენად, რამდენადაც ასეთი ინფრასტრუქტურული პროექტები ხორციელდება საჯარო და კერძო თანამშრომლობის ან სახელმწიფო საწარმოების მიერ, ასევე ასეთი პროექტები შეიცავენ ფისკალური რისკებს, მათ შორის პირობით ვალდებულებებს, თუმცა, რადგანაც კლიმატის ცვლილება ნელა პროგრესირებს და საინვესტიციო პროექტებთან დაკავშირებული ფისკალური რისკები შედარებით ნათელია, ამ რისკების იდენტიფიცირება და რაოდენობრივად განსაზღვრა შესაძლებელია.
- ადაპტაციის ღონისძიებების მაკროეკონომიკური და ფისკალური შედეგები. მაგალითად, წყალდიდობებისა და სანაპირო ეროზიისგან დამცავი ნაგებობების აგება კაპიტალს სხვა პროექტებისგან მიმართავს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ეკონომიკის პროდუქტიული შესაძლებლობების შემცირება და ზრდის ტემპის ტენდენციის შენელება. აღნიშნული თავის მხრივ, შეამცირებს შემოსავალს და ზეწოლას მოახდენს ბიუჯეტის დაფინანსებაზე. ეს რისკი უნდა შეფასდეს იმ ალტერნატივასთან მიმართებით, სადაც თავად კლიმატის ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს საზიანო მაკროეკონომიკური და შესაბამისად ფისკალური შედეგები.

არსებობს საფუძველი იმის დასაშვებად, რომ კარგად შემუშავებულმა ადაპტაციის ღონისძიებებმა შეიძლება უფრო დადებითი გავლენა მოახდინონ ეკონომიკაზე იმ სცენართან შედარებით, სადაც კლიმატის ცვლილებები ხდება ასეთი ღონისძიებების გატარების გარეშე. მაგალითად, e3.ge მოდელის (ეკონომიკა, ენერგეტიკა, გარემო; საქართველო) ანალიზი, მაკროეკონომიკური სიმულაციური მოდელი საქართველოს კლიმატის ცვლილების მაკროეკონომიკური ზემოქმედების და სექტორის სპეციფიკური ადაპტაციის ღონისძიებების გაანალიზების მიზნით წარმოაჩენს, რომ ინვესტიციების განხორციელება ირიგაციის სისტემებსა და ქარსაცავ ზოლებში ზრდის სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობას, რაც დადებითად აისახება მაკროეკონომიკურ და ფისკალურ შედეგებზე.

კლიმატის ცვლილების შერბილებასთან დაკავშირებული ფისკალური რისკები

კლიმატის ცვლილების გავლენის შერბილების მიზნით საქართველო ახორციელებს ფისკალური და სხვა სახის ხარჯების გაწევას, რათა მხარი დაუჭიროს ემისიების შემცირების შესახებ საერთაშორისო ვალდებულების შესრულებას, რაც სამომავლოდ თავიდან ააცილებს ქვეყანას გაცილებით მაღალ ეკონომიკურ, ფისკალურ და სოციალური ხარჯებს საერთაშორისო ვალდებულების არ არსებობის პირობებში. საქართველოს შემარბილებელი პოლიტიკა შეჯამებულია განახლებულ NDC-ის დოკუმენტში. აღნიშნული პოლიტიკის დოკუმენტი მიზნად ისახავს ემისიების შემცირებას 50-57 პროცენტით 2030 წლისთვის 1990 წელთან შედარებით საკმარისი საერთაშორისო მხარდაჭერის მიღების შემთხვევაში და 35 პროცენტით უპირობოდ (რაც დაახლოებით იქნება 16 პროცენტით ემისიების შემცირების ტოლფასი ერთ სულ მოსახლეზე). საერთაშორისო მხარდაჭერა გულისხმობს ტექნოლოგიების გადაცემას, გრანტებს და შეღავათიან სესხებს. მოცემული სამიზნე ნიშნულები არ მოიცავს მიწათსარგებლობას, მიწათსარგებლობასთან დაკავშირებულ ცვლილებებსა და სატყეო ემისიებს.

NDC ასევე ადგენს სექტორულ მიზნებს, რომლებიც განსაზღვრულია ემისიების კონკრეტულ ლიმიტებში შესანარჩუნებლად. სექტორული მიზნები მოიცავს ემისიების შემცირებას 2030 წლისთვის, ჩვეულებრივ საქმიანობასთან შედარებით 15 პროცენტით შემცირებას ენერგიის გამომუშავებისა და გადაცემის სექტორში, 5 პროცენტით შემცირებას მრეწველობის, ხოლო ტრანსპორტირებიდან მომდინარე ემისიის შემცირებას კი 15%-ით. NDC-ის დოკუმენტის მიხედვით ტყეებში ნახშირბადის შთანთქმის უნარის ზრდის სამიზნე ნიშნულია 10% 2015 წლის დონესთან შედარებით. ასევე, განსაზღვრულია სამიზნე მაჩვენებლები შენობებში ეკომეგობრული ტექნოლოგიების დანერგვის, სოფლის მეურნეობის და ნარჩენების მართვის მიმართულებებით.

NDC განსაზღვრავს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის მომზადების ვალდებულებას, რათა განისაზღვროს ამ მიზნების შესასრულებლად გასატარებელი ღონისძიებები. შესაბამისად, კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგია და 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმა (CSAP) დამტკიცდა მთავრობის მიერ და გამოქვეყნდა 2020 წლის დეკემბერში.

CSAP მოიცავს მასში შემავალი იმ აქტივობების ბიუჯეტების ცხრილს, რომლებიც არ არის ასახული სხვა სტრატეგიულ დოკუმენტებში. ბიუჯეტი მოიცავს 2021-2023 წლებს და აქტივობებს ტრანსპორტის, შენობების, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სექტორებში. კლიმატის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის ჯამური ბიუჯეტი შეადგენს 3,5 მილიარდ ლარს, აქედან დეფიციტია 208 მილიონი ლარი. კლიმატის სამოქმედო გეგმის მიხედვით, კერძო სექტორის ჩართულობის ჯამური ბიუჯეტი შეადგენს 4,392 მილიარდ ლარს.

სხვა პოლიტიკის დოკუმენტებში კლიმატის ცვლილების შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ ამომწურავი ინფორმაციის არარსებობა კიდევ უფრო ართულებს აღნიშნულთან დაკავშირებული ფისკალური რისკების შეფასებას. თუმცა CSAP-ის ფარგლებში შესაძლებელია განისაზღვროს ფისკალური მხარდაჭერის შესაძლო საჭიროება მრავალი შემამსუბუქებელი ქმედებისათვის, იქნება ეს დამატებითი ხარჯები, შემოსავლების შემცირება თუ გარანტიები რაიმე ფორმით. დონორების დაფინანსება შეამცირებდა შერბილების ღონისძიებების ფისკალური რისკების მატერიალიზაციის ეფექტებს, დონორებს აქვთ მთელი რიგი ინსტრუმენტები, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია საქართველოში შემარბილებელი ღონისძიებების გატარება, როგორც ეს მოცემულია CSAP-ში. მომდევნო პარაგრაფები აღწერს ფისკალური რისკების შერბილების ძირითად ღონისძიებებს CSAP–დან გამომდინარე.

<u>ენერგიის გამომუშავება და გადაცემა</u>

CSAP ითვალისწინებს, რომ ენერგიის გამომუშავებისა და გადაცემის შედეგად წარმოქმნილი ემისიების დაგეგმილი კონტროლი მიიღწევა შემდეგი ღონისძიებებით:

- დამატებითი ელექტროენერგიის წარმოება განახლებადი ენერგიის წყაროებიდან - ჰიდრო, მზის და ქარის ჩათვლით. მოსალოდნელია, რომ ეს მოითხოვდეს, სულ მცირე, სახელმწიფო სექტორის ერთეულებთან PPA ხელშეკრულებების დადებას. შესაძლოა საჭირო გახდეს სხვა ფორმის დამატებითი ფისკალური მხარდაჭერაც, მაგალითად, ინფრასტრუქტურული სამუშაოებისთვის, ან კაპიტალისა და ვალის დაფინანსებისათვის იმ პროექტებისთვის, რომლებსაც ახორციელებს სახელმწიფო სექტორის ერთეული.
- თბოელექტროენერგიის წარმოების ეფექტურობის გაუმჯობესება და ელექტროენერგიის გადაცემის და განაწილების ქსელში დანაკარგების შემცირება. აღნიშნული შესაძლოა მოითხოვდეს სახელმწიფო სექტორის ინვესტიციებს, რომელსაც ექნება ფისკალური გავლენა.

<u>ტრანსპორტი</u>

CSAP ითვალისწინებს, რომ ტრანსპორტით გამოწვეული ემისიების დაგეგმილი კონტროლი მიიღწევა შემდეგი ღონისძიებებით:

- ძველი და მაღალი ემისიის მქონე ავტომობილების წილის შემცირება და ახალი, ჰიბრიდული, ელექტრო და დაბალი ემისიის მქონე ავტომობილების წილის ზრდა. თუმცა შესაძლოა აღნიშნულის მიღწევა სირთულეს წარმოადგენდეს ფისკალური სტიმულების გარეშე, მაგ. საგადასახადო და საბაჟო შეღავათები.
- საზოგადოებრივი და არამოტორიზებული ტრანსპორტის გამოყენების ზრდა, რაც შესაძლოა ვერ განხორციელდეს მნიშვნელოვანი საჯარო ინვესტიციების გარეშე.
- მკაცრი ახალი რეგულაციები, კერძოდ სატრანსპორტო საშუალებების ინსპექტირების უფრო მკაცრი სტანდარტები და შეზღუდვები ქალაქებში მოტორიზებულ ტრანსპორტზე. ამგვარმა ზომებმა შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ეკონომიკურ ზრდაზე და შესაბამისად, ფისკალურ შემოსავლებზე, ეკონომიკური საქმიანობის ხარჯების ზრდით, თუმცა აღნიშნული შესაძლოა არ იყოს არსებითი 2025 წლამდე პერიოდში. ნებისმიერ შემთხვევაში, შერბილების ღონისძიებებზე მოკლევადიანი ეკონომიკური ხარჯების გაწევა გარდაუვალია და კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რათა შემცირდეს კლიმატის ცვლილებიდან მომდინარე გრძელვადიანი ეკონომიკური ხარჯები.

<u>შენობები</u>

CSAP ითვალისწინებს, რომ შენობებიდან გამოწვეული ემისიების დაგეგმილი კონტროლი მიიღწევა შემდეგი ღონისძიებების საშუალებით:

- შენობა-ნაგებობების ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება, კერძოდ მათი გათბობისა და განათების სისტემების. CSAP ნათლად მიუთითებს ენერგოეფექტური ნათურების და წყლის გასათბობად მზის ენერგიის გამოყენების ფისკალურ სტიმულებზე. ამ და სხვა ფისკალური სტიმულების ხარჯები შესაძლოა არ აისახოს 2025 წლამდე ფისკალურ პროგნოზებში.
- ენერგოეფექტური ნათურების დაყენება ყველა საჯარო შენობაში და სკოლაში, მოპირკეთების განახლება და მყარი საწვავის გამათბობლების შეცვლა ან გაუმჯობესება. არ არის ცხადი ყველა ეს ხარჯი აისახება თუ არა 2025 წლამდე ფისკალურ პროგნოზებში.
- მშენებლობასთან დაკავშირებული უფრო მკაცრი რეგულაციები. არ არის ნათელი, აღნიშნული ეხება მხოლოდ ახალ შენობებს თუ უკვე არსებულ შენობებსაც და შესაბამისად, არსებობს თუ არა მოდიფიკაციის საჭიროება. ამგვარმა რეგულაციებმა შეიძლება გამოიწვიოს დამატებითი ფისკალური ხარჯები, საჯარო შენობების ხარჯებზე მათი გავლენის გამო და ასევე ნეგატიური გავლენა მოახდინოს ეკონომიკურ ზრდაზე, ანალოგიურად სატრანსპორტო სექტორის მკაცრი რეგულაციების შემთხვევაშიც.

<u>მრეწველობა</u>

CSAP ითვალისწინებს მრეწველობაში ემისიების დაგეგმილი კონტროლის მიღწევას ცემენტის წარმოებაში ენერგიის მოხმარების შემცირების გზით და აზოტმჟავას წარმოებაში ემისიების კლების საშუალებით. არ არის ცხადი აღნიშნული ღონისძიებების დაფინანსების წყაროები და შესაძლო ფისკალური ხარჯები. ამდენად, შესაძლოა ისინი წარმოადგენდნენ არსებითი ფისკალური რისკის წყაროს 2025 წლამდე პერიოდისთვის.

<u>სოფლის მეურნეობა</u>

CSAP მიზნად ისახავს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის (20%-ის) საკვების ხარისხის მაქსიმალურად გაზრდას, რაც შეამცირებს სათბური გაზების ემისიას. არ არის ცხადი აღნიშნული მიზნის მისაღწევად ფისკალური სტიმულების საჭიროება.

<u>ნარჩენების მართვა</u>

CSAP ითვალისწინებს, ნარჩენების მართვიდან ემისიების დაგეგმილი კონტროლის მიიღწევას შემდეგი საშუალებებით:

- არსებული ნაგავსაყრელების დახურვა და ახლის აშენება, მათ შორის, დიდი ნაგავსაყრელების გაზის შეკრების და მეორადი გამოყენების სიტემებით აღჭურვას.
- ნარჩენების მეორადი გადამუშავება/გამოყენების ხელშეწყობა.
- ურბანული ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების აშენება, ასევე რამდენიმე ნაგებობის აღჭურვა გაზის შეკრებისა და დამუშავების სისტემებით, მათ შორის, თბილისის, ბათუმის და ქობულეთის გამწმენდი ნაგებობების.

არ არის ცხადი აღნიშნული ღონისძიებების ფისკალური შედეგები.

<u>სატყეო მეურნეობა</u>

CSAP ითვალისწინებს ტყეების ნახშირორჟანგის შთანთქმის შესაძლებლობების გაზრდას შემდეგი გზებით:

- დაზიანებული ტყის აღდგენა
- ტყის მდგრადი მართვის ხელშეწყობა.

არ არის ცხადი აღნიშნული ღონისძიებების ფისკალური შედეგები

<u>გავლენა ფისკალურ პროგნოზებზე</u>

სტიქიური მოვლენების და ზემოთ აღწერილი ადაპტაციისა და შერბილების პოლიტიკის გარდა, კლიმატის ცვლილება სავარაუდოდ გავლენას მოახდენს ფისკალურ პროგნოზებზე კომპლექსური და განუსაზღვრელი გზებით. კლიმატის ცვლილების გლობალური ეფექტი შეიძლება მოიცავდეს ცვლილებებს გრძელვადიან საპროცენტო განაკვეთის მაჩვენებლებში, რაც გავლენას მოახდენს დაფინანსების ვარიანტებზე და ვალის პროგნოზებზე.

ფირმების მიერ წარმოების და ინვესტიციების, ასევე საოჯახო მეორნეობების მოხმარების ცლილებები გავლენას მოახდენს საგადასახადო ბაზაზე, რაც ასევე გავლენას იქონიებს სახელმწიფო ხარჯებზე. მაგალითად, კლიმატის ცვლილებით გამოწვეულმა ტემპერატურის მატებამ, შესაძლებელია გაზარდოს ჯანდაცვის ხარჯები. მათ შორის, შემდეგი მიზეზებით:

- სტიქიური მოვლენების შედეგები.
- ზაფხულის უკიდურესი სიცხის გავლენა ავადობაზე, მათ შორის ქრონიკული და ეპიდემიური დაავადებების გავრცელება
- ჰაერის დაბალი ხარისხი
- მეორე მხრივ, უფრო მაღალი სიკვდილიანობა, ნაკლები სიცივე ზამთრის პერიოდში და ნაკლები ემისიები შეიძლება აღმოჩნდეს ჯანმრთელობის ხარჯების მაკომპენსირებელი ფაქტორი.

მთავრობის მიერ 2021 წლის აპრილში დამტკიცებული განახლებული NDC დოკუმენტის მიხედვით აღებულ იქნა ვალდებულება, კლიმატის ცვლილების საქართველოს ჯანდაცვის სისტემაზე შესაძლო გავლენის შესწავლის შესახებ. არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით სპეკულაციური იქნება იმის მტკიცება რომ აღნიშნული რისკი შეიძლება მატერიალიზდეს 2022-2025 წლების პერიოდში, თუმცა არც მისი სრულად გამორიცხვაა შესაძლებელი.

დასკვნა

სავარაუდოა, რომ კლიმატის ცვლილება გავლენას მოახდენს ფისკალურ პროგნოზებსა და რისკებზე კომპლექსური და განუსაზღვრელი გზებით. როგორც ფისკალური რისკის მართვის ნებისმიერ პროცესში, მოცემული ანალიზიც მიზნად ისახავს პირველ რიგში კონკრეტული რისკების იდენტიფიცირებასა და რაოდენობრივ შეფასებას. მონაცემთა შეზღუდული ხელმისაწვდომობა, მეთოდოლოგიური გამოწვევები და იმ რისკების რაოდენობრივი შეფასება, რომლებსაც რეალიზების მცირე პრეცედენტი აქვთ, წარმოადგენს ძირითად გამოწვევებს კლიმატის ცვლილებიდან მომდინარე ფისკალური რისკების ანალიზის პროცესში.

კლიმატის ცვლილება გრძელვადიანი ფენომენია. საქართველო ჯერ არ აწარმოებს ფისკალურ პროგნოზების ოფიციალურ შეფასებას BDD პერიოდს მიღმა.
ფინანსთა სამინისტრო გეგმავს გრძელვადიანი ფისკალური მდგრადობის შეფასებების გამოქვეყნებას. ამ შეფასებაში განხილული იქნება კლიმატის ცვლილების ნელი ზემოქმედება საქართველოს ფისკალურ მდგომარეობასა და შესრულებაზე.

2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და 2023-2025 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის (BDD) პერიოდისთვის:

- კლიმატის ცვლილებამ (განსაკუთრებით, ჰიდრომეტეოროლოგიურმა მოვლენებმა) შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ფისკალურ მდგომარეობასა და შესრულებაზე. ისტორიულმა მონაცემებმა შესაძლოა არასაკმარისად შეაფასოს მათი მომავალი სიხშირე და სიმძიმე.
- ადაპტაციის და შემარბილებელი ღონისძიებების ხარჯების გაწევა მოხდება 2022-2025 წლებში, რათა შემცირდეს კლიმატის ცვლილების გრძელვადიანი ეფექტები, თუმცა, ამ ხარჯების ოდენობა დაუზუსტებელია.

დანართები

დანართი 1

სახელმწიფო საწარმოთა შვილობილი კომპანიები

N	საწარმოს დასახელება	სახელმწიფოს წილი %	დამფუძნებელი	სექტორი (PC/GG)
1	შპს საქნავთობპროდუქტი	100	შპს რეაბილიტაცია	GG
2	შპს თბილისის N2 ფილტვის დაავადებათა ამბულატორიული კლინიკა	100	სს ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი	GG
3	სს ქართული ფილმი	100	სს ქართული კინოს განვითარების ცენტრი	GG
4	შპს ჯიარ ქონების მართვა	100	სს საქართველოს რკინიგზა	PC
5	შპს ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალები	100	სს საქართველოს რკინიგზა	PC
6	შპს საქწიგნი	100	შპს რეაბილიტაცია	GG
7	შპს თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი	100	შპს აქტივების მართვისა და განვითარების კომპანია	GG
8	შპს საქკოოპსერვისი	100	შპს რეაბილიტაცია	GG
9	JSC Georgian Railway Construction	100	სს საქართველოს რკინიგზა	GG
10	შპს საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრი	100	შპს აქტივების მართვისა და განვითარების კომპანია	PC
11	შპს თბილისის ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფო	100	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი	PC
12	სს გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში	0.05	შპს თბილავიამშენი	GG
13	შპს სპეც-კაპ სერვისი	100	შპს აქტივების მართვისა და განვითარების კომპანია	GG
14	შპს ჯორჯია ტრანზიტი	100	სს საქართველოს რკინიგზა	PC
15	შპს საქსპეცტრანსი	100	შპს აქტივების მართვისა და განვითარების კომპანია	GG
16	შპს აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა	100	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი	PC
17	შპს თბილისის N1 ფილტვის დაავადებათა ამბულატორიული კლინიკა	100	სს ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი	GG

N	საწარმოს დასახელება	სახელმწიფოს წილი %	დამფუძნებელი	სექტორი (PC/GG)
18	შპს კლინიკური პათოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი	100	შპს რეაბილიტაცია	GG
19	შპს ტექნიკური სპეციალისტების მომზადების ცენტრი	100	შპს რეაბილიტაცია	GG
20	შპს თამ-ველი	100	შპს თბილავიამშენი	GG
21	შპს თამ-ენერჯი	100	შპს თბილავიამშენი	GG
22	შპს თამ-კერა	100	შპს თბილავიამშენი	GG
23	შპს თამ - პოლიმერი	100	შპს თბილავიამშენი	GG
24	შპს სამთომაშველი	100	შპს აქტივების მართვისა და განვითარების კომპანია	PC
25	შპს მოდის სახელობის ლიცეუმი	100	შპს დემეტრე 96	GG
26	შპს ეროვნული ნაწარმის გაყიდვების სამსახური	100	შპს დემეტრე 96	GG
27	სს "თამ" თბილავიამშენი	93	შპს თბილავიამშენი	PC
28	შპს ვახტანგ ბოჭორიშვილის სახელობის სეფსისის საწინააღმდეგო ცენტრი	100	შპს რეაბილიტაცია	GG
29	შპს ქუთაისის პრესის სახლი	100	შპს რეაბილიტაცია	GG
30	შპს ქუთაისის სამხარეო ნარკოლოგიური ცენტრი	100	შპს ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი	GG
31	შპს ზუგდიდის პროფილაქტიკური დეზინფექციის განყოფილება	100	შპს დეზინფექციის, დეზინსექციის დერატიზაციისა და სტერილიზაციის სპეციალიზირებული ეპიდზედამხედველობის ცენტრი	GG
32	სს სანატორიუმი რკინიგზელი	100	შპს რეაბილიტაცია	GG
33	შპს აბასთუმნის ფილტვის ცენტრი	100	სს ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი	GG
34	შპს ქალაქ ბოლნისის აგრობაზარი	100	შპს რეაბილიტაცია	GG
35	სს თეკო	90	შპს რეაბილიტაცია	GG
36	სს მარმარილო	56	შპს რეაბილიტაცია	GG
37	შპს რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი	100	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი	GG
38	სს კურორტი მენჯი	100	შპს აქტივების მართვისა და განვითარების კომპანია	GG
39	შპს ქართული ტრადიციები	100	შპს რეაბილიტაცია	GG
40	შპს წალენჯიხის აგრარული ბაზარი	100	შპს ქართული ბაზარი	GG
41	შპს საქ. საზღვაო სანაოსნო	100	შპს აქტივების მართვისა და განვითარების კომპანია	PC
42	შპს "ვარდნილჰესების კასკადი"	100	შპს ენგურჰესი	PC
43	შპს საქპრესა +	100	სს საქპრესა	GG
44	შპს ჯინო გრინ სითი კორპორაცია	49	შპს საპარტნიორო ფონდი-მწვანე განვითარება	GG
45	შპს ჯიარ ტრანს-შიფმენთი	100	სს საქართველოს რკინიგზა	PC
46	შპს ჯიარ ტრანზიტი	100	სს საქართველოს რკინიგზა	PC
47	შპს "მაგანა ჰესი"	49	სს საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი	GG
48	შპს ჯორჯიან კარგო	100	შპს საქართველოს ფოსტა	GG
49	შპს "ჯეო-ემ-ტექს"	100	შპს "დელტა ტექსტილი"	GG

N	საწარმოს დასახელება	სახელმწიფოს წილი %	დამფუძნებელი	სექტორი (PC/GG)
50	შპს გარდაბნის თბოსადგური	49	სს საპარტნიორო ფონდი	PC
51	შპს ჯიარ ტრანზიტ ლაინი	100	სს საქართველოს რკინიგზა	PC
52	სს ჩალიკ ჯორჯია ვინდ	15	სს საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი	GG
53	შპს საქართველოს მზის კომპანია	10	სს საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი	GG
54	შპს "ზესტაფონის ქარის ელექტროსადგური	10	სს საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი	GG
55	შპს ენგურის ტურისტული ცენტრი	100	სს საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი	GG
56	შპს ჟურნალი ანაკლია	100	შპს ანაკლიის განვითარების კონსორციუმი	GG
57	შპს ბორჯომჰესი	100	სს საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი	GG
58	სს საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა	50	სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა, სს ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი	GG
59	შპს საქართველოს სათბურების კომპანია	100	შპს რეაბილიტაცია	GG
60	შპს ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი	100	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი	GG
61	შპს საქართველოს ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტის კომპანია	100	შპს თბილისის ლოგისტიკის ცენტრი	GG
62	შპს "ახალსოფელი ჰესი"	100	სს საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი	GG
63	შპს საქართველოს პროდუქტი	100	შპს თბილისის ლოგისტიკის ცენტრი	GG
64	სს უნივერსალური სამედიცინო ცენტრი	100	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი	GG
65	სს "ალტერნატიული ენერგიის კომპანია"	15	სს საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი	GG
66	შპს "ყვირილა ჰესი"	20	სს საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი	GG
67	შპს ,,ჩორდულა ჰესი"	45	სს საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი	GG
68	შპს ენგურის ჰიდრომააკუმულირებელი ელექტროსადგური	40	სს საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი/სს საქართველოს ნავთობის და გაზის კორპორაცია/შპს ენგურჰესი	GG
69	სს ნამახვანი	100	სს საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი	GG
70	შპს ინტერ გლასს-საქართველო	40	შპს საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია	GG
71	შპს საქართველოს გაზსაცავის კომპანია	100	სს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია	GG
72	შპს ფოთი თიზ კომუნალური მართვა თზკ	100	შპს ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა	GG
73	შპს ჯიარ ბორჯომი-ბაკურიანი	100	შპს ჯიარ ქონების მართვა	GG
74	შპს გარდაბნის თბოსადგური 2	100	სს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია	PC
75	შპს ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტი	100	შპს საქართველოს აეროპორტების გაერთიანება	GG
76	შპს "Qareli Wind Farm"	40	სს საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი	GG
77	სს კარჩალ ენერჯი	100	სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა	GG
78	Georgian Post (Greece)I.K.E	100	შპს საქართველოს ფოსტა	GG
79	GOGC Trading S.A.	100	სს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია	GG
80	შპს ჯორჯიან პოსტ (ჩეხ)	100	შპს საქართველოს ფოსტა	GG

N	საწარმოს დასახელება	სახელმწიფოს წილი %	დამფუძნებელი	სექტორი (PC/GG)
81	შპს გარდაბნის თბოსადგური 3	100	სს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია	GG
82	შპს საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის ოპერატორი	100	სს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია	GG
83	შპს აგროსერვის ცენტრი	100	შპს სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანია	GG

დანართი 2

სახელმწიფო საწარმოები

N	საწარმოს დასახელება	სახელმწიფოს წილი %	დამფუძნებელი	სექტორი (PC/GG)	დარგი განახლებული	ბრუნვა 2020 (ათასი ლარი)
1	სს ელმავალმშენებელი	12.8	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	დამამუშავებელი მრეწველობა	2,100.6
2	შპს ზაურ ხუბუტიას სახელობის დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრი დიოსკურია	100	სახელმწიფო ორგანო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	36.4
3	შპს ვარდების რევოლუციის პარკი	100	თბილისის მუნიციპალიტეტი	PC	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	33.8
4	სს აგროინვესტი	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	საფინანსო საქმიანობა	-
5	სს რემშენი	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	11.5
6	შპს საქექსპერტიზა	100	საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა	GG	ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	110.8
7	შპს ქ. თბილისის N3 სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრი	100	თბილისის მუნიციპალიტეტი	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	171.6
8	სს მშენებელი	51	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	მშენებლობა	-
9	სს ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი	91.5	თბილისის მუნიციპალიტეტი	GG	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	450.9
10	შპს ვ. სანიკიძის სახელობის ომის ვეტერანთა კლინიკური ჰოსპიტალი	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	5.2
11	შპს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური რეაბილიტაციის ცენტრი	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	დამამუშავებელი მრეწველობა	70.4
12	შპს მოზრდილთა და ბავშვთა პათოლოგიის პათოლოგანატომიური სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	-
13	სს ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	673.7
14	შპს ღვინის ლაბორატორია	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	PC	ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	1,557.4
15	სს საქართველოს რკინიგზა	100	სს საპარტნიორო ფონდი	PC	ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	419,710.9
16	შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანია	100	თბილისის მუნიციპალიტეტი	PC	ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	82,753.9
17	სს ნ. მახვილაძის სახელობის შრომის მედიცინისა და ეკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	-
18	შპს სისხლის გადასხმის საქალაქო სადგური	100	თბილისის მუნიციპალიტეტი	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	15.8

19	შპს ჰერმესი	100	თბილისის მუნიციპალიტეტი	PC	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	4,610.7
20	შპს ქართული ბაზარი	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	-
21	შპს საქართველოს ტელერადიოცენტრი	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	PC	ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	4,715.5
22	შპს საქართველოს ფოსტა	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	PC	ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	76,467.7
23	სს საქპრესა	15	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	-
24	სს საქართველოს ტუნგო და ეთერზეთი	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	-
25	შპს გაზეთი გურჯისტანი	51	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	-
26	სს კახეთის ენერგოდისტრიბუცია	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	-
27	სს ენერგორემმშენი	9	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	მშენებლობა	-
28	შპს თბილისის N1 სტომატოლოგიური პოლიკლინიკა	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	16.4
29	შპს მარაბდა-კარწახის რკინიგზა	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	მშენებლობა	3,779.5
30	შპს საოჯახო მედიცინის ცენტრი - აფხაზეთი	100	სახელმწიფო ორგანო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	35.3
31	შპს საქართველოს მელიორაცია	100	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	GG	სოფლის მეურნეობა. ნადირობა და სატყეო მეურნეობა	8,591.7
32	შპს სერვისი - 7	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	PC	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	1,290.9
33	შპს სამეფო უბნის თეატრი	49	თბილისის მუნიციპალიტეტი	GG	ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	123.9
34	შპს წინანდლის მამულები	46	სს საპარტნიორო ფონდი/შპს "წინანდლის სავანე" (სილქ როუდ ჯგუფი)(54.49%)	GG	სასტუმროები და რესტორნები	6,264.8
35	შპს საქართველოს ლატარიის კომპანია	70	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	PC	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	-
36	შპს გაზეთი ვრასტანი	51	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	-
37	შპს წყნეთის საექიმო ამბულატორია	100	თბილისის მუნიციპალიტეტი	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	23.7
38	სს ენერგოტექკომპლექტი	25	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	მშენებლობა	7.7
39	შპს სპორტმშენსერვისი	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	31,303.6
40	შპს პელიკომი	2	საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა	GG	ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	34.1
41	სს საქტრანსგაზმრეწვი	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	-
42	შპს ჯი სი სი აი სერვისი	100	საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა	GG	ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	152.0
43	შპს ლოგოსი	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	-
44	სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	PC	ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	139,698.0
45	შპს მედულა - ქიმიოთერაპიის და იმუნოთერაპიის კლინიკა	15	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	3.5

46	შპს მუმთაიდის კულტურისა და დასვენების პარკი	100	თბილისის მუნიციპალიტეტი	PC	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	408.7
47	შპს სახელმწიფო სამშენებლო კომპანია	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	მშენებლობა	442.1
48	სს ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	652,372.7
49	შპს საოჯახო მედიცინის ცენტრი ცხუმი	100	სახელმწიფო ორგანო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	13.0
50	შპს აფხაზეთის ფსიქონევროლოგიური დისპანსერი	100	სახელმწიფო ორგანო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	0.5
51	შპს დემეტრე 96	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	დამამუშავებელი მრეწველობა	-
52	შპს წყალთა სახეობის ცენტრი-ტონუსი	100	თბილისის მუნიციპალიტეტი	GG	ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	156.2
53	შპს EXPRESS	70	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	PC	ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	245.5
54	შპს თბილისის №4 საოჯახო მედიცინის ცენტრი	100	თბილისის მუნიციპალიტეტი	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	441.9
55	შპს რეაბილიტაცია	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	PC	ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	140.6
56	შპს საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	PC	ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	187,671.5
57	შპს თბილავიამშენი	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	PC	ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	1,630.5
58	შპს საქგეოსერვისი	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	-
59	სს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია	100	სს საპარტნიორო ფონდი	PC	ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	704,996.6
60	შპს თბილსერვის ჯგუფი	100	თბილისის მუნიციპალიტეტი	GG	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	94,209.3
61	შპს დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრი	100	სახელმწიფო ორგანო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	163.2
62	შპს საქართველოს ნავთობისა და გაზის სერვისული კომპანია	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	-
63	შპს სამედიცინო ამბულატორია ფონიჭალა	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	15.4
64	შპს სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანია	100	ააიპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო	GG	სოფლის მეურნეობა. ნადირობა და სატყეო მეურნეობა	13,119.7
65	სს შენობა-ნაგებობების მშენებელი	8	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	მშენებლობა	-
66	შპს საქაერონავიგაცია	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	PC	ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	51,323.3
67	შპს ქ.თბილისის N25-ე მოზრდილთა პოლიკლინიკა	100	თბილისის მუნიციპალიტეტი	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	67.4
68	სს დუღაბი	49	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	დამამუშავებელი მრეწველობა	-
69	შპს ლილოს სამედიცინო ცენტრი	100	თბილისის მუნიციპალიტეტი	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	26.3
70	შპს ქალაქ თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	13.4
71	სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა საქრუსენერგო	50	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	PC	ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	37,838.4
72	შპს დეზინფექციის, დეზინსექციის დერატიზაციისა და სტერილიზაციის სპეციალიზირებული ეპიდზედამხედველობის ცენტრი	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	-
73	შპს მშენტექნიკოსი	63	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	მშენებლობა	-

74	შპს სამედიცინო რეაბილიტაციის ამბულატორიული ცენტრი	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	25.3
75	სს ბიზნესცენტრი აგრომონტაჟი	59	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	-
76	შპს სპორტის სასახლე	100	თბილისის მუნიციპალიტეტი	PC	ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	835.1
77	სს ინფექციური პათოლოგიის შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	533.5
78	შპს ქუთაისის N4 შერეული პოლიკლინიკა	100	ქუთაისის მუნიციპალიტეტი	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	223.5
79	შპს ბისტრო	25	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	-
80	შპს ქუთაისის რეგიონალური სისხლის ბანკი	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	74.7
81	შპს ქუთაის ლიფტი	100	ქუთაისის მუნიციპალიტეტი	GG	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	-
82	შპს ქუთაისის მოზრდილთა N5 პოლიკლინიკა	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	42.5
83	შპს ბ.გაბაშვილის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი	100	ქუთაისის მუნიციპალიტეტი	GG	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	185.0
84	შპს ლჯ და კომპანია - დასავლეთ საქართველოს ტუბერკულოზისა და ინფექციურ პათოლოგიათა ცენტრი	5	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	6,276.9
85	შპს ქუთაისის დ. ნაზარიშვილის სახელობის საოჯახო მედიცინისა და საოჯახო მედიცინის რეგიონალური სასწავლო ცენტრი	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	330.5
86	შპს იჯიეს	50	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	დამამუშავებელი მრეწველობა	23.4
87	შპს შანს ოილი	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	-
88	სს რიონი	62	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	დამამუშავებელი მრეწველობა	-
89	შპს კომპანია იმერეთმშენი-2000	5	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	მშენებლობა	-
90	შპს დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრი - ბიჭვინთა	100	სახელმწიფო ორგანო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	17.3
91	შპს საშენი მასალები	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	მშენებლობა	-
92	შპს საფეხბურთო კლუბი ტორპედო ქუთაისი	100	ქუთაისის მუნიციპალიტეტი	GG	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	19.6
93	შპს ვარდისუბანი	70	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	სასტუმროები და რესტორნები	-
94	შპს მთის კურორტების განვითარების კომპანია	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	64,633.3
95	შპს ფოთი ქალაქტრანსპორტი	100	ფოთის მუნიციპალიტეტი	GG	ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	-
96	შპს საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913	100	ფოთის მუნიციპალიტეტი	GG	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	-
97	აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ფოთის პოლიკლინიკა	100	სახელმწიფო ორგანო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	5.3
98	ლაბორატორიული კვლევის ცენტრი	100	ფოთის მუნიციპალიტეტი	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	-
99	შპს ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა	10	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	3,718.3
100	შპს საფეხბურთო კლუბი ჭიათურა	100	ჭიათურის მუნიციპალიტეტი	GG	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	-
101	შპს ქვემო ქართლის რეგიონალური სისხლის გადასხმის სადგური	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	-

102	შპს რუსთავის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	12.1
103	ქ. რუსთავის კანისა და ვენსნეულებათა დისპანსერი	100	რუსთავის მუნიციპალიტეტი	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	96.7
104	შპს ხუროთმოძღვარი	100	რუსთავის მუნიციპალიტეტი	GG	ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	43.0
105	შპს გემა	100	რუსთავის მუნიციპალიტეტი	GG	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	148.1
106	შპს საკალათბურთო კლუბი - რუსთავი 1991	100	რუსთავის მუნიციპალიტეტი	GG	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	-
107	შპს რუსთავის მუნიციპალური ავტოტრანსპორტის საწარმო	100	რუსთავის მუნიციპალიტეტი	GG	ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	119.1
108	სს სამშენებლო ფირმა "ქართლი"	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	მშენებლობა	103.3
109	შპს გორის სტომატოლოგიური პოლიკლინიკა	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	1.5
110	შპს ქურთის საავადმყოფო	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	-
111	შპს ნიქოზის ამბულატორია	100	გორის მუნიციპალიტეტი	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	33.1
112	სს ტყიბულის ნავთობპროდუქტი	51	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	-
113	შპს საფეხბურთო კლუბი მეშახტე	100	ტყიბულის მუნიციპალიტეტი	GG	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	-
114	სს ცეკავშირის ზუგდიდის სასურსათო კომბინატი	51	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	41.7
115	შპს ზუგდიდის ფარმაცია	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	PC	ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	0.6
116	შპს სამეგრელო-ზემო სვანეთის ტელერადიოკომპანია სამეგრელო	64	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	-
117	შპს ინფრასტრუქტურის განვითარების კომპანია	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	-
118	შპს აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ზუგდიდის პოლიკლინიკა	100	სახელმწიფო ორგანო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	103.7
119	შპს ზუგდიდის მუნიციპალური ტრანსპორტი	100	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	GG	ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	-
120	სს სანატორიუმი გელათი	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	-
121	სს სანატორიუმი იმერეთი	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	-
122	სს სანატორიუმი მეგობრობა	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	-
123	შპს გეგუთის პოლიკლინიკა	100	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	58.1
124	შპს პროგრესი	50	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	-
125	შპს აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა წყალტუბოს პოლიკლინიკა	100	სახელმწიფო ორგანო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	27.8
126	შპს ლარგვისის საექიმო ამბულატორია	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	-
127	შპს ახალგორის რაიონული პოლიკლინიკა	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	-
128	შპს ახალგორის რაისაავადმყოფო	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	-
129	შპს წინაგრის საექიმო ამბულატორია	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	-

130	შპს რესტორანი ბაღდათი	51	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	1.5
131	შპს დეზ-ეფექტი	100	ბოლნისის მუნიციპალიტეტი	GG	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	-
132	შპს საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანება	100	ბოლნისის მუნიციპალიტეტი	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	10.5
133	შპს ქვეშის საექიმო ამბულატორია	100	ბოლნისის მუნიციპალიტეტი	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	2.3
134	შპს კომუნალური მეურნეობა	100	ბოლნისის მუნიციპალიტეტი	GG	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	-
135	შპს გაზეთი ბოლნისი	100	ბოლნისის მუნიციპალიტეტი	GG	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	-
136	შპს ბოლნისის კულტურისა და დასვენების პარკი	100	ბოლნისის მუნიციპალიტეტი	GG	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	4.8
137	შპს საფეხბურთო კლუბი სიონი (LTD Football Club Sioni)	100	ბოლნისის მუნიციპალიტეტი	GG	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	614.7
138	შპს ბოლნისი-2000	70	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	-
139	შპს უნიონი	20	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	19.9
140	სს უნივერსალი	33	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	-
141	შპს კოჯრის საექიმო ამბულატორია	100	თბილისის მუნიციპალიტეტი	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	3.9
142	სს თბილსრესმშენი	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	მშენებლობა	-
143	შპს კუმისის ამბულატორია	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	0.0
144	შპს ახალი სამგორის ამბულატორია	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	-
145	შპს შატო ზეგაანი	3	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	დამამუშავებელი მრეწველობა	422.0
146	სს კურორტი ახტალა	99	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	251.9
147	შპს შიდა ქართლის პირველადი ჯანდაცვის ცენტრი	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	1.0
148	შპს შირაქი	100	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი	GG	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	-
149	შპს დუშეთის დეზინფექციის სამსახური	100	დუშეთის მუნიციპალიტეტი	GG	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	-
150	შპს ბარისახოს ამბულატორია დღის სტაციონარი	100	დუშეთის მუნიციპალიტეტი	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	-
151	შპს შატილის საექიმო ამბულატორია	100	დუშეთის მუნიციპალიტეტი	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	-
152	შპს ავტოსატრანსპორტო საწარმო - 2006	100	დუშეთის მუნიციპალიტეტი	GG	ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	171.7
153	სს გრაცია	43	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	-
154	შპს ყვირილა	100	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი	GG	ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	42.0
155	შპს მანგლისის საავადმყოფო პოლიკლინიკა	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	1.2
156	შპს თეთრიწყაროს სერვის ჯგუფი	100	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი	GG	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	1,053.4
157	სს ალაზანი	50	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	-
158	სს აკურა	99	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	PC	დამამუშავებელი მრეწველობა	37,938.3

159	შპს დეო-კლაკი	20	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	დამამუშავებელი მრეწველობა	-
160	შპს თუშეთგზა	100	ახმეტის მუნიციპალიტეტი	GG	მშენებლობა	382.5
161	შპს თელავის ფსიქონევროლოგიური დისპანსერი	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	38.2
162	შპს ბავშვთა ჯანმრთელობის ცენტრი	100	თელავის მუნიციპალიტეტი	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	74.6
163	შპს თერჯოლა	100	თერჯოლის მუნიციპალიტეტი	GG	ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	-
164	შპს თერჯოლის პროფდეზინფექცია	100	თერჯოლის მუნიციპალიტეტი	GG	ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	-
165	შპს ახალი განთიადი	100	კასპის მუნიციპალიტეტი	GG	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	0.4
166	შპს გრიგოლ ორმოცაძის სახელობის ცენტრი ნევრონი	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	21.9
167	შპს ლანჩხუთი	100	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	GG	ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	-
168	შპს გურიის სამედიცინო ცენტრი	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	-
169	შპს მარნეულის მუნიციპალიტეტის ავტოპარკი	100	მარნეულის მუნიციპალიტეტი	GG	ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	204.0
170	შპს ავტოზაზი	5	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	3.9
171	სს მინა	0.1	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	დამამუშავებელი მრეწველობა	62,764.5
172	შპს დასტაქარი	100	თბილისის მუნიციპალიტეტი	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	2.2
173	შპს საქენერგოტექრემონტი	46	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	მშენებლობა	-
174	შპს იუნიორმშენი	60	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	მშენებლობა	-
175	შპს დევები	1	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	სასტუმროები და რესტორნები	-
176	შპს ნინოწმინდის უბონი	56	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	დამამუშავებელი მრეწველობა	-
177	შპს ადამ ბერიძის სახელობის ნიადაგისა და სურსათის დიაგნოსტიკური ცენტრი "ანასეული"	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	სოფლის მეურნეობა. ნადირობა და სატყეო მეურნეობა	534.3
178	ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საწარმო - შპს "მუნიციპალური ტრანსპორტი	100	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	GG	ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	-
179	სს სამტრედია 2002	90	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	-
180	შპს სამტრედიის მაცნე	100	სამტრედიის მუნიციპალიტეტი	GG	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	-
181	შპს სპორტული კომპლექსი - სამტრედია	100	სამტრედიის მუნიციპალიტეტი	GG	ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	-
182	შპს საჩხერის წყალკანალი	100	საჩხერის მუნიციპალიტეტი	GG	ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	664.3
183	სს საჩხერის საწარმოო კომბინატი	75	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	სამთომოპოვებითი მრეწველობა	-
184	შპს საყალიბე ქვიშები	49	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	სამთომოპოვებითი მრეწველობა	515.8
185	სს საჩხერეგაზი	100	საჩხერის მუნიციპალიტეტი	PC	ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	6,023.6
186	სს საჩხერის რაიონული საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანება	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	1,345.0

187	შპს სენაკის საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანება	100	სენაკის მუნიციპალიტეტი	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	48.5
188	შპს საინფორმაციო ცენტრი	100	სენაკის მუნიციპალიტეტი	GG	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	-
189	შპს სენაკის ბავშვთა საავადმყოფო	100	სენაკის მუნიციპალიტეტი	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	15.5
190	შპს ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანება	100	სენაკის მუნიციპალიტეტი	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	33.9
191	შპს სენაკის სამშობიარო სახლი	100	სენაკის მუნიციპალიტეტი	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	12.8
192	შპს სენაკის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	-
193	სს სენაკის რაიონული საავადმყოფო	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	-
194	შპს სენაკის დევნილთა პოლიკლინიკა	100	სახელმწიფო ორგანო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	7.0
195	შპს პანაცეა	100	ყაზბეგის მუნიციპალიტეტი	GG	ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	209.1
196	შპს მედია-ცენტრი	100	ყვარლის მუნიციპალიტეტი	GG	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	2.5
197	შპს კევრი	72	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	სოფლის მეურნეობა. ნადირობა და სატყეო მეურნეობა	-
198	შპს ცაგერის მანქანა-ტრაქტორთა პარკი	100	ცაგერის მუნიციპალიტეტი	GG	მშენებლობა	-
199	შპს ჯვარი-94	43	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	-
200	სს ჯვარის ნავთობპროდუქტი	56	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	-
201	შპს აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ჯვარის ამბულატორია	100	სახელმწიფო ორგანო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	38.5
202	შპს აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	0.2
203	შპს წალკის მუნიციპალიტეტის ავტოსერვისი	100	წალკის მუნიციპალიტეტი	GG	ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	-
204	სს ავტოტრანსი	36	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	3.3
205	შპს კურორტ წყალტუბოს განვითარების კომპანია	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	-
206	სს ხაშურის მინის ტარა	23	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	დამამუშავებელი მრეწველობა	29.8
207	შპს მზია ნიკოლაიშვილის სახელობის სურამის სადაბო პოლიკლინიკა	100	ხაშურის მუნიციპალიტეტი	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	1.1
208	შპს ხაშურის დეზინფექციის, დეზინსექციის, დერატიზაციის და სტერილიზაციის სამსახური	100	ხაშურის მუნიციპალიტეტი	GG	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	-
209	სს ხობის ნავთობპროდუქტი	51	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	-
210	აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ხობის პოლიკლინიკა	100	სახელმწიფო ორგანო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	2.9
211	შპს ხობი დასუფთავება და განათება	100	ხობის მუნიციპალიტეტი	GG	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	39.6
212	შპს აფხაზეთი	100	ხობის მუნიციპალიტეტი	GG	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	-
213	შპს აკად. ბ. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი	5	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	6,187.2
214	შპს ბათუმის საზღვაო ნავსადგური	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	PC	ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	51,902.8
215	შპს აჭარის აქტივების მართვის კომპანია	100	ბათუმის მუნიციპალიტეტი	GG	ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	-

216	შპს ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა	100	ბათუმის მუნიციპალიტეტი	PC	ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	498.0
217	სს ბათუმის ავტოსადგური	30	ბათუმის მუნიციპალიტეტი	GG	ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	198.6
218	შპს ქ. ბათუმის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონალური ცენტრი	100	ბათუმის მუნიციპალიტეტი	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	614.7
219	შპს აჭარის კანის და ვენსნეულებათა რეგიონალური ცენტრი	100	ბათუმის მუნიციპალიტეტი	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	61.2
220	შპს აჭარის ტექნიკური სპეციალისტების მომზადების ცენტრი	100	ბათუმის მუნიციპალიტეტი	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	26.1
221	შპს ქ, ბათუმის №1 პოლიკლინიკა	100	ბათუმის მუნიციპალიტეტი	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	406.0
222	შპს ბათუმის აეროპორტი	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	PC	ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	3,683.7
223	შპს გაზეთი აჭარა და ადჟარია	100	ბათუმის მუნიციპალიტეტი	GG	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	-
224	შპს ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო	100	ბათუმის მუნიციპალიტეტი	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	1,634.0
225	შპს საზღვაო ტექსერვისი	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	დამამუშავებელი მრეწველობა	200.7
226	შპს ბათუმის ავტოტრანსპორტი	100	ბათუმის მუნიციპალიტეტი	GG	ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	5,991.0
227	შპს სანდასუფთავება	100	ბათუმის მუნიციპალიტეტი	GG	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	11,253.2
228	შპს ბათუმის წყალი	100	ბათუმის მუნიციპალიტეტი	PC	დამამუშავებელი მრეწველობა	14,053.6
229	შპს დინამო ბათუმი	100	ბათუმის მუნიციპალიტეტი	PC	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	415.5
230	შპს შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი	100	ბათუმის მუნიციპალიტეტი	PC	ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	1,244.2
231	შპს აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია	100	ბათუმის მუნიციპალიტეტი	GG	ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	7.9
232	შპს სავაჭრო ცენტრი 2009	100	ბათუმის მუნიციპალიტეტი	PC	ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	1,508.8
233	შპს Goderdzi Resorts	100	ბათუმის მუნიციპალიტეტი	GG	სასტუმროები და რესტორნები	21.8
234	შპს ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო	100	ქედის მუნიციპალიტეტი	GG	ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	-
235	შპს ქედის კომუნალურსერვისი	100	ქედის მუნიციპალიტეტი	GG	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	547.8
236	შპს ქობულეთის ტრანსრეგულირება	100	ქობულეთის მუნიციპალიტეტი	GG	ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	418.4
237	სს ქობულეთის საკურორტო პოლიკლინიკა	98	ქობულეთის მუნიციპალიტეტი	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	281.9
238	შპს ქობულეთის პროფილაქტიკური დეზინფექციის სადგური	100	ქობულეთის მუნიციპალიტეტი	GG	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	-
239	შპს ქობულეთის წყალი	100	ქობულეთის მუნიციპალიტეტი	GG	დამამუშავებელი მრეწველობა	616.2
240	შპს ენგურჰესი	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	PC	ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	39,516.2
241	შპს ავტოპარკინგი 2011	100	თბილისის მუნიციპალიტეტი	GG	ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	473.4
242	სს ქართული კინოს განვითარების ცენტრი	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	-
243	შპს ქართული კვების კომპანია	100	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	GG	სასტუმროები და რესტორნები	-
244	შპს დელტა ინტერნეიშენალ	100	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	PC	ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	362.3
245	შპს დელტა მშენებელი	100	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	GG	მშენებლობა	56,476.1
246	შპს ჩხოროწყუ სამეგრელო	100	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი	GG	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	-

247	შპს ინფრასტრუქტურის განვითარების საპარტნიორო კომპანია	100	სს საპარტნიორო ფონდი	GG	საფინანსო საქმიანობა	-
248	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	-
249	შპს თოლია 2020	100	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	GG	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	-
250	შპს დელტა ტექსტილი	100	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	GG	დამამუშავებელი მრეწველობა	195.3
251	შპს რეგიონული ჰოსპიტალი	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	-
252	შპს იმერეთი გრინერი	50	სს საპარტნიორო ფონდი/ შპს "Georgian Fresh Holding B.V."	GG	სოფლის მეურნეობა. ნადირობა და სატყეო მეურნეობა	1,452.8
253	შპს საქართველოს აეროპორტების გაერთიანება	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	PC	ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	27,106.0
254	სს საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	11,975.1
255	შპს ილიას ბაღი	100	თბილისის მუნიციპალიტეტი	PC	ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	227.1
256	სს საპარტნიორო ფონდი	100	სახელმწიფო	GG	საფინანსო საქმიანობა	742.2
257	სს ბორჯომი ლიკანი ინტერნეიშენალი	100	სს საპარტნიორო ფონდი	GG	სასტუმროები და რესტორნები	4,284.2
258	შპს ბორჯომი ლიკანი	100	სს საპარტნიორო ფონდი	GG	სასტუმროები და რესტორნები	-
259	შპს "ნიუ ტექნოლოჯი იმპექს"	100	სს საპარტნიორო ფონდი	GG	დამამუშავებელი მრეწველობა	-
260	შპს თერმული წყლები	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	PC	დამამუშავებელი მრეწველობა	168.7
261	შპს ლაგოდეხის სავაჭრო ცენტრი	100	სს საპარტნიორო ფონდი	GG	მშენებლობა	-
262	შპს საქართველოს შავი ზღვის პორტი	100	სს საპარტნიორო ფონდი	GG	ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	0.0
263	შპს ანაკლიის განვითარების კონსორციუმი	0.01	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	46.1
264	შპს სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	სასტუმროები და რესტორნები	40,045.2
265	შპს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის აკადემია	30	საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა	GG	განათლება	-
266	შპს რუხის სავაჭრო ცენტრი	100	სს საპარტნიორო ფონდი	GG	ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	444.7
267	სს აერო-სტრუქტურების ტექნოლოგიები	33	სს საპარტნიორო ფონდი/შპს პროექტი (33%), Elbit Systems Cyclone Ltd. (34%)	GG	დამამუშავებელი მრეწველობა	26,307.3
268	შპს სტარტაპ საქართველო	100	სს საპარტნიორო ფონდი	GG	საფინანსო საქმიანობა	0.0
269	შპს ეკოსერვის ჯგუფი	100	თბილისის მუნიციპალიტეტი	GG	ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	7,107.3
270	ააიპ - მშვიდობის ფონდი უკეთესი მომავლისთვის	100	სს საპარტნიორო ფონდი	GG	საფინანსო საქმიანობა	-
271	საქართველო-ბელორუსიის სავაჭრო-ეკონომიკური საგენტო	10	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	-
272	შპს თბილისის ლოგისტიკის ცენტრი	100	სს საპარტნიორო ფონდი	GG	ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	-
273	შპს პერსპექტივა	100	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	GG	ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	87.4
274	შპს საკვების წარმოების კომპანია	63	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	დამამუშავებელი მრეწველობა	112.9
275	შპს საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია	100	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	GG	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	389.9

276	შპს აქტივების მართვისა და განვითარების კომპანია	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	8,952.5
277	სს ნენსკრა ჰიდრო	10	სს საპარტნიორო ფონდი/K Water (Korea) 90%	GG	მშენებლობა	676.4
278	შპს ბლექ სი არენა ჯორჯია	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	310.1
279	შპს გლობალ ბრენდი	100	სს საპარტნიორო ფონდი	GG	დამამუშავებელი მრეწველობა	463.3
280	შპს საქართველოს დარგობრივი და რეგიონული განვითარების კომპანია	100	სს საპარტნიორო ფონდი	PC	საფინანსო საქმიანობა	-
281	შპს ლიკანის რეზიდენცია	100	სს საპარტნიორო ფონდი	GG	სასტუმროები და რესტორნები	0.1
282	შპს კსჰ კავკასიან სუს ჰერითიჯ	50	სს საპარტნიორო ფონდი/ შპს "ნატივე ჯორჯიან" (49.90%)	GG	სოფლის მეურნეობა. ნადირობა და სატყეო მეურნეობა	1,172.6
283	შპს ისთ ვესთ ბრიჯი	100	სს საპარტნიორო ფონდი	GG	საფინანსო საქმიანობა	-
284	შპს საპარტნიორო ფონდი-მწვანე განვითარება	100	სს საპარტნიორო ფონდი	GG	სასტუმროები და რესტორნები	-
285	შპს მოსავლის მართვის კომპანია	100	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	GG	სოფლის მეურნეობა. ნადირობა და სატყეო მეურნეობა	-
286	შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია	100	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	GG	ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	45,013.1
287	შპს საკალათბურთო კლუბი ქუთაისი-2010	100	ქუთაისის მუნიციპალიტეტი	GG	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	-
288	შპს ქართული ტრადიციები 2011	100	თბილისის მუნიციპალიტეტი	GG	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	-
289	შპს პარკინგსერვისი	100	ქუთაისის მუნიციპალიტეტი	GG	ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	390.6
290	შპს საფეხბურთო კლუბი ქუთაისის მართვე	100	ქუთაისის მუნიციპალიტეტი	GG	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	-
291	შპს რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონი	100	ქუთაისის მუნიციპალიტეტი	GG	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	-
292	შპს ქუთაისის სატრანსპორტო კომპანია	100	ქუთაისის მუნიციპალიტეტი	GG	ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	5.7
293	შპს ჭიათურის სატრანსპორტო კომპანია	100	ჭიათურის მუნიციპალიტეტი	GG	ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	427.7
294	შპს ჭიათურის წყალი	100	ჭიათურის მუნიციპალიტეტი	GG	ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	-
295	შპს საფეხბურთო კლუბი რუსთავი	100	რუსთავის მუნიციპალიტეტი	GG	ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	-
296	შპს ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS	100	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	GG	მშენებლობა	243.9
297	შპს ზუგდიდაგროსერვისი	100	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	GG	დამამუშავებელი მრეწველობა	-
298	შპს ასპინძის კეთილმოწყობა	100	ასპინძის მუნიციპალიტეტი	GG	დამამუშავებელი მრეწველობა	147.6
299	შპს ახალქალაქის აგრარული ბაზარი	100	ახალქალაქის მუნიციპალიტეტი	GG	ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	34.6
300	შპს კეთილმოწყობა	100	ახალციხის მუნიციპალიტეტი	GG	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	1,802.3
301	შპს ბოლნისის მუნიციპალური ტრანსპორტის სამსახური	100	ბოლნისის მუნიციპალიტეტი	GG	ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	496.4
302	შპს რიტუალური მომსახურების სააგენტო	100	ბოლნისის მუნიციპალიტეტი	GG	ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	-
303	შპს დუშეთის აგრარული ბაზარი	100	დუშეთის მუნიციპალიტეტი	GG	ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	31.2
304	შპს საფეხბურთო კლუბი არაგვი	100	დუშეთის მუნიციპალიტეტი	GG	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	-
305	შპს მუნიციპალმშენი	100	დუშეთის მუნიციპალიტეტი	GG	მშენებლობა	80.4
306	შპს თელავის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური	100	თელავის მუნიციპალიტეტი	GG	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	1,555.9
307	შპს სოფლის წყალი	100	კასპის მუნიციპალიტეტი	GG	მშენებლობა	-

308	შპს ქალთა საფეხბურთო კლუბი ლანჩხუთის ლანჩხუთი	100	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	GG	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	-
309	შპს გზა 2015	100	ლენტეხის მუნიციპალიტეტი	GG	მშენებლობა	-
310	შპს მარნეულის სოფწყალი	100	მარნეულის მუნიციპალიტეტი	GG	დამამუშავებელი მრეწველობა	530.8
311	შპს მარნეულის ორგანული ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმო	100	მარნეულის მუნიციპალიტეტი	GG	დამამუშავებელი მრეწველობა	18.7
312	შპს მარტვილი ცენტრალ გრუპ	80	მარტვილის მუნიციპალიტეტი	GG	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	-
313	შპს ჭუბერი-უშგულის სპეციალიზირებული ამბულატორიული მომსახურეობა	100	მესტიის მუნიციპალიტეტი	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	-
314	შპს მესტიის საავადმყოფო-ამბულატორიული გაერთიანება	100	მესტიის მუნიციპალიტეტი	GG	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	37.8
315	შპს მცხეთის სოფწყალი	100	მცხეთის მუნიციპალიტეტი	GG	მშენებლობა	-
316	შპს სატისი	100	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	GG	დამამუშავებელი მრეწველობა	-
317	შპს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი-მერცხალი	100	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	GG	ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	-
318	შპს ონის სერვის ჯგუფი	100	ონის მუნიციპალიტეტი	GG	ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	844.0
319	შპს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი გარეჯის მაცნე	100	საგარეჯოს მუნიციპალიტეტი	GG	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	-
320	შპს საგარეჯო	100	საგარეჯოს მუნიციპალიტეტი	GG	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	-
321	შპს საფეხბურთო კლუბი საგარეჯოს გარეჯი	40	საგარეჯოს მუნიციპალიტეტი	GG	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	1,723.7
322	შპს სუფთა მუნიციპალიტეტი 2018	100	საგარეჯოს მუნიციპალიტეტი	GG	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	-
323	შპს ჩოხატაურის ავტოსერვისცენტრი	100	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი	GG	ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	17.5
324	შპს ჩოხატაურის აგრარული ბაზარი	100	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი	GG	ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	32.1
325	შპს ქიმბაქტი	100	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი	GG	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	-
326	შპს ჩხორწყალი	100	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი	GG	ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	-
327	შპს ხობის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგება	100	ხობის მუნიციპალიტეტი	GG	დამამუშავებელი მრეწველობა	-
328	შპს ხელბურთის კლუბი ბათუმი	100	ბათუმის მუნიციპალიტეტი	GG	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	-
329	შპს საკალათბურთო კლუბი ბათუმი - 2010	100	ბათუმის მუნიციპალიტეტი	GG	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	-
330	შპს ფრენბურთის კლუბი ბათუმი	100	ბათუმის მუნიციპალიტეტი	GG	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	-
331	შპს სარაგბო კლუბი ბათუმი	100	ბათუმის მუნიციპალიტეტი	GG	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	-
332	შპს წყალბურთის კლუბი ბათუმი	100	ბათუმის მუნიციპალიტეტი	GG	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	-
333	შპს აჭარის პროექტების მართვის კომპანია	100	ბათუმის მუნიციპალიტეტი	GG	მშენებლობა	147,649.2
334	სს აჭარის წყლის ალიანსი	26	ბათუმის მუნიციპალიტეტი	GG	ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	-
335	შპს საფეხბურთო კლუბი ბეთლემი	100	ქედის მუნიციპალიტეტი	GG	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	-
336	შპს ქედის წყალკანალი	100	ქედის მუნიციპალიტეტი	GG	დამამუშავებელი მრეწველობა	-
337	შპს სარაგბო კლუბი ფირალები	100	ქედის მუნიციპალიტეტი	GG	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	-
338	შპს ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი	100	ქედის მუნიციპალიტეტი	GG	სასტუმროები და რესტორნები	5.1
339	შპს საფეხბურთო კლუბი შუქურა	100	ქობულეთის მუნიციპალიტეტი	GG	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	-
340	შპს სარაგბო კლუბი პონტო	100	ქობულეთის მუნიციპალიტეტი	GG	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	-

341	შპს ხელვაჩაურის წყალკანალი	100	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	GG	დამამუშავებელი მრეწველობა	-
342	შპს საფეხბურთო კლუბი მაჭახელა	100	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	GG	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	-
343	Georgian Natural Products LLC	100	სს საპარტნიორო ფონდი	GG	ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	-
344	Caucasus Clean Energy I, LLP	10	სს საპარტნიორო ფონდი/სხვა საერთაშორისო აქციონერები (90%)	GG	საფინანსო საქმიანობა	-
345	Gazelle Fund LP	29	სს საპარტნიორო ფონდი/სხვა საერთაშორისო აქციონერები (70.90%)	GG	საფინანსო საქმიანობა	-
346	შპს იმერეთის აგრო ზონა	100	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	GG	სოფლის მეურნეობა. ნადირობა და სატყეო მეურნეობა	-

დანართი 3 – წყამომარაგების კომპანიის კორპორაციული განზრახვის განაცხადის პაკეტი

ნოემბერი, 2021

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“

კომპანიის 2022-2024 წწ. ბიზნესგეგმა

სარჩევი

დირექტორის მიმართვა 3

1. რეზიუმე 6

2. შესავალი 10

2.1. კომპანიის აღწერა 10

2.2. ხედვა და მისია 10

2.3. კორპორაციული მმართველობა 11

3. მუშაობის ანალიზი 13

3.1. ფინანსური მაჩვენებლები 13

3.2. ანალიზი აბონენტების მიხედვით 13

3.3. ანალიზი რეგიონების მიხედვით 15

4. შედარებითი ანალიზი 16

4.1. სემეკის მიერ შერჩეული ზონების შედარებითი ანალიზი 16

4.2. სგწკ-ს სერვის ცენტრების შედარებითი ანალიზი 18

4.3. შედარებითი ანალიზი GWP-სთან 19

5. ორგანიზაციული და მმართველობითი სტრუქტურა 21

5.1. ორგანიზაციული და მმართველობითი სტრუქტურა 21

5.3. ადამიანური რესურსების განვითარების გეგმა 24

6. ოპერირების გაუმჯობესება 28

6.1. აქტივების მართვა 28

6.2. აღურიცხავი წყალი 31

6.3. ენერგოეფექტურობა 33

7. აბონენტების მომსახურება 35

8. ინვესტიციები 38

8.1. სგწკ-ს ინვესტიციები: მიმდინარე და დაგეგმილი 38

8.2. საჭირო ინვესტიციები (საქსტატის მონაცემების მიხედვით) 38

9. ფინანსური დაგეგმარება 39

9.1. სცენარი 1 40
9.2. სცენარი 2 41
9.3. სცენარი 3 41
9.4. საოპერაციო კოეფიციენტები 42
10. პროგნოზირებული ბიუჯეტები 43
11. განვითარების გეგმა 44
დანართები 49
დანართი A1. ბიზნესგეგმა/ინვესტიციების შეფასება სემეკის წესების მიხედვით 49
დანართი A2. სგწკ-ს მუშაობის ინდიკატორები 66
დანართი A3. საჯარო და კერძო თანამშრომლობის მოდელები 76
დანართი A5. მთავარი დაინტერესებული მხარეები 80

დირექტორის მიმართვა

წარმოდგენილ ბიზნეს გეგმაში მოცემულია შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ 2022-2024 წლების გეგმები და მათი შესრულების გზები.

მსოფლიო მასშტაბით გამოწვეულმა ახალმა კორონავირუსმა, (COVID-19) ისევე როგორც მსოფლიოს ყველა ქვეყანაზე, მნიშვნელოვნად იმოქმედა საქართველოზეც. დაავადებასთან ბრძოლაში ჰიგიენა, უსაფრთხო და სტაბილური წყალმომარაგება მნიშვნელოვან როლს თამაშობს, რაც კომპანიის სტრატეგიულ გეგმებში გათვალისწინებულია. ამგვარად, ჩვენი სამოქმედო არეალის ურბანულ დასახლებებში უწყვეტი წყალმომარაგების უზრუნველყოფა სტრატეგიული მიზანია, რომელიც მიღწეული უნდა იყოს 2025 წლის ბოლოსთვის. ამ კუთხით წყლის ხარისხის მონიტორინგი პრინციპულად მნიშვნელოვანი საკითხია. ჩვენ მიზნად ვისახავთ, გავზარდოთ მოსახლეობის წვდომა წყალმომარაგებასა და წყალარინებაზე, გავაუმჯობესოთ მომსახურებების ხარისხი და წვლილი შევიტანოთ საზოგადოების ჯანმრთელობის გაუმჯობესებასა და გარემოს დაცვაში, ასევე, შევამსუბუქოთ კლიმატის ცვლილების ზეგავლენა. აღსანიშნავია, უკვე გადადგმული ნაბიჯები გარემოს დაცვის კუთხით და აშენებულია წყალარინების ექვსი გამწმენდი ნაგებობა, რომლებიც ექსპლუატაციაში შევა 2022 წელს. გარდა ამისა, მიმდინარეობს გამწმენდი ნაგებობების მშენებლობები და ისინი ექსპლუატაციაში შევა 2024 წლამდე. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ აქტიურად იყენებს ეკონომიკური, ეკოლოგიური და კლიმატური ცვლილებების შესაბამის ინფრასტრუქტურასა და ტექნოლოგიებს. ასევე, ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობთ საზოგადოებასთან და აბონენტებთან, რათა ქალებისათვის, სოციალურად დაუცველი და მოწყვლადი მოსახლეობისათვის უზრუნველვყოთ თანაბარი წვდომა მომსახურებებზე[1].

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიაჩნია, რომ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ მნიშვნელოვან როლს ითამაშებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 6.1. და 6.2 მდგრადი განვითარების მიზნების 2030 წლისათვის მიღწევაში[2]. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მიზანია, გახდეს კვალიფიციური, აბონენტებზე ორიენტირებული და საერთაშრისო სტანდარტების შესაბამისი წყალმომარაგების საწარმო. ამოცანები და მიზნები განისაზღვრება შესრულებაზე დაფუძნებული შეთანხმებებით, რომლებიც გაფორმდება კომპანიასა და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შორის, ასევე, კომპანიის სათავო ოფისსა და რეგიონულ

---

[1] შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ საჯარო კომუნიკაციის სტრატეგია, 2020.

[2] რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ დაამტკიცა წყალმომარაგებისა და წყალარინების ხედვისა და პოლიტიკის დოკუმენტი, ასევე, წყალმომარაგებისა და წყალარინების სექტორული განვითარების ჩარჩო-დოკუმენტი 2021-2030 წლებისათვის, 2021 წლის ნოემბერი.

ფილიალებს შორის. მონიტორინგის ძირითადი ინსტრუმენტები იქნება მკაფიოდ განსაზღვრული სამიზნე მაჩვენებლები, რომლებიც პირდაპირაა დაკავშირებული ბიზნესგეგმასთან. ამგვარად, გაძლიერდება შესრულებაზე დაფუძნებული სამუშაო კულტურა. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ დაამტკიცებს ადამიანური რესურსების განვითარების სისტემურ სტრატეგიასა და გეგმას, რათა მოიზიდოს, მოტივაცია აუმაღლოს, გადაამზადოს კომპეტენტური და პროდუქტიული პერსონალი და ჩამოაყალიბოს ძლიერი სამუშაო ძალა ჩვენი კორპორაციული ღირებულებების დაცვისათვის, მისიის შესრულებისა და მიზნების მიღწევისათვის.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ დამტკიცებულ დოკუმენტში, „წყალმომარაგებისა და წყალარინების სექტორის განვითარების ჩარჩო-დოკუმენტი 2021-2030 წლებისათვის“, მოცემულია სამინისტროს პრინციპები გარემოს დაცვასა და კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებით. აღნიშნული პრინციპები შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ სტრატეგიულ და საოპერაციო გეგმებში იქნება გათვალისწინებული.

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ მიზნად ისახავს ბიზნეს პროცესების გამარტივებასა და კომპანიის სტრუქტურის მორგებას წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვისა და მდინარეთა აუზების მართვის პრინციპებზე, რომლებიც გათვალისწინებულია წყლის რესურსების მართვის შესახებ ახალ კანონში. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ სტრუქტურა შეიცვლება და განახლდება[3]. კომპანიის რეგიონული ფილიალები გაძლიერდება და მათ გადაეცემა გადაწყვეტილების მიღების გაზრდილი უფლებები, რათა მათ გააუმჯობესონ აბონენტებთან ურთიერთობების სამსახურები და უზრუნველყონ მუნიციპალიტეტებთან ეფექტური კოორდინაცია, სტრატეგიული მიზნების მიღწევისათვის ბიზნესგეგმის შესაბამისად. ჩვენთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი დარჩება საოპერაციო ეფექტურობის გაზრდა, ხარჯების შემცირება და შემოსავლების მიღების გაუმჯობესება, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მომსახურების უზრუნველყოფა. ეფექტურობის გაუმჯობესების კუთხით ძირითადი აქცენტი გაკეთდება აღურიცხავი წყლის შემცირებაზე. რაც ითვალისწინებს კომერციული (მოხმარებული წყალი, რომლისთვისაც საფასური არ გადახდილა), და ფიზიკური (გაჟონვები) დანაკარგების შემცირებას შემოსავლების მიღების გაუმჯობესებასა და აბონენტების გამრიცხველიანებას.

ასევე, განიხილება კერძო სექტორის ჩართულობით კომპანიის საოპერაციო ეფექტურობის გაზრდა. პირველი სახელმძღვანელო გეგმა მზადაა და წარედგინა რეგიონული

[3] რესტრუქტურიზაციის გეგმა, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“,2021 წლის ნოემბერი.

განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს[4]. მომდევნო წლებში განისაზღვრება კერძო სექტორთან თანამშრომლობის მიზანშეწონილი ფორმა, მომზადდება პროექტები და განხორციელდება შესაბამისი პროცედურები.

ალექსანდრე თევდორაძე

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ დირექტორი

[4] კერძო სექტორის ჩართულობისა და კერძო და საჯარო თანამშრომლობის (PSP/PPP) სახელმძღვანელო გეგმა, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“, 2021 წლის ნოემბერი.

1. რეზიუმე

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ (შემდგომში „წყალმომარაგების კომპანია“) ხელმძღვანელობა მიყვება რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს (შემდგომში „ინფრასტრუქტურის სამინისტრო“) მიერ განსაზღვრული პოლიტიკის სტრატეგიულ მიზნებს.

(i) სტრატეგიული მიზანი (1): 2025 წლის ბოლოსთვის წყალმომარაგების კომპანიის სამოქმედო არეალში არსებული ყველა ქალაქის 24/7 უსაფრთხო წყალმომარაგებით უზრუნველყოფა.

(ii) სტრატეგიული მიზანი (2): წყალმომარაგების კომპანიის სამოქმედო არეალში 6.1 და 6.2 მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევა.

(iii) სტრატეგიული მიზანი (3): 2026 წლის ბოლოსთვის წყალმომარაგების კომპანიის სხვადასხვა მიმართულებებით ცვლილება:

- 2023 წლის ბოლოსთვის საოპერაციო კოეფიციენტის[5] „1“ მიღწევა წყალმომარაგების კომპანიის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებითა და სანდოობის გაზრდით;
- 2026 წლის ბოლოსთვის კაპიტალური მოვლა-შენახვის ხარჯების დაფარვა სუბსიდიების გარეშე.

აღნიშნული სამი სტრატეგიული მიზნის მისაღწევად, კომპანიამ შეიმუშავა განვითარების ჩარჩო სამოქმედო გეგმა, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტის მე-11 ნაწილში.

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ საქმიანობას არეგულირებს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკი) დადგენილი წესები და რეგულაციები. წყალმომარაგების კომპანია წარადგენს ბიზნესგეგმას 3 წლიანი მარეგულირებელი ციკლისა და მომსახურების შედეგების მზომი ინდიკატორების მიხედვით

წყალმომარაგების კომპანია სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული საწარმოა, რომელიც გახდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რათა უზრუნველყოს საოპერაციო მოგების მიღება. ამჟამად წყალმომარაგების კომპანია დამოკიდებულია სუბსიდიებზე. კომპანიის შემოსავლები საოპერაციო ხარჯების დაახლოებით 60%-ს ფარავს სხვადასხვა მიზეზებიდან გამომდინარე: კომპანიის დაბალი საოპერაციო ეფექტურობა, ტექნიკური შესაძლებლობების უკმარისობა და ტარიფები.

[5] საოპერაციო კოეფიციენტი = საოპერაციო ხარჯები / საოპერაციო შემოსავლები

კომპანიის შედეგების გასაუმჯობესებლად გამოიკვეთა ოთხი მთავარი მიმართულება, სადაც დამატებითი ჩარევა არის საჭირო:

- აღურიცხავი წყლის შემცირება;
- უმრიცხველო აბონენტებზე სემეკის მიერ 2010 წელს დადგენილი მაქსიმალური ზღვრული ტარიფის გამოყენება;
- სტრუქტურის ცვლილება სათავო ოფისში სტრატეგიული ხოლო რეგიონულ ფილიალებში საოპერაციო მართვის მიმართულებით. აღნიშნული უნდა განხორციელდეს ტრენინგებისა და უნარ-ჩვევების გაუმჯობესების პარალელურად, რათა შეიქმნას შესაბამისი კომპეტენცია რეგიონული ფილიალების უფლებამოსილებების გაზრდასთან ერთად.
- ბიზნესგეგმის წარდგენა, რათა ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და სემეკს შორის დაიწყოს მოლაპარაკებები ტარიფების ოპტიმიზაციაზე.

სამი წლის განმავლობაში 2022-2024 წლებში დაგეგმილია შემდეგი სამიზნე მაჩვენებლების მიღწევა მეორე სცენარის მიხედვით (იხ. თავი 9.3):

ცხრილი 1: მუშაობის მთავარი ინდიკატორები - საბაზისო და სამიზნე მაჩვენებლები

	საბაზისო	სამიზნე მაჩვენებლები		
მუშაობის მთავარი ინდიკატორები	2021	2022	2023	2024
24/7 წყალმომარაგების უზრუნველსაყოფად საჭირო ინვესტიციები [%, ფაქტობრივად ათვისებული თანხა/პროგნოზირებული თანხა]	12 [%]	30 [%]	60 [%]	90 [%]
სოფლის მოსახლეობისათვის უსაფრთხო წყალმომარაგების უზრუნველსაყოფად საჭირო ინვესტიციები[6] [%, ფაქტობრივად ათვისებული თანხა/პროგნოზირებული თანხა]	4 [%]	10 [%]	18 [%]	25 [%]
უსაფრთხო სანიტარიის უზრუნველსაყოფად საჭირო ინვესტიციების ათვისება [%, ფაქტობრივად ათვისებული თანხა/პროგნოზირებული თანხა]	2 [%]	5 [%]	10 [%]	18 [%]
უკუგება აქტივებზე [%, EBITDA/აქტივების ღირებულება]	-1.4 [%]	-1.3 [%]	0 [%]	0 [%]
24/7 ურბანული წყალმომარაგება - შეუსრულებელი სამუშაოების მოცემულობის შემცირება (ხალხის წილი, რომელსაც 24/7 წყალმომარაგება არ აქვს) [%, წყალმომარაგების გარეშე არსებული ურბანული მომსახურება / მოსახლეობის სამიზნე რაოდენობა]	30 [%]	20 [%]	17 [%]	10 [%]
სოფლის წყალმომარაგება - შეუსრულებელი სამუშაოების მოცულობის შემცირება	90 [%]	90 [%]	85 [%]	80 [%]

[6] ინფრასტრუქტურის სამინისტრო: წყალმომარაგების კომპანია პასუხისმგებელია სოფლის წყალმომარაგებისა და სანიტარიის ინფრასტრუქტურის განვითარებაზე მუნიციპალური მიზნების შესაბამისად.

[%, წყალმომარაგების გარეშე არსებული სოფლის მოსახლეობა / მოსახლეობის სამიზნე რაოდენობა]				
საკანალიზაციო მომსახურებები - შეუსრულებელი სამუშაოების მოცულობის შემცირება - მოსახლეობის წილი, რომელსაც უსაფრთხო საკანალიზაციო მომსახურებების არ აქვს [%, მომსახურების გარეშე არსებული მოსახლეობა / მოსახლეობის სამიზნე რაოდენობა]	70 [%]	65 [%]	60 [%]	55 [%]
წყალმომარაგების კომპანიის საოპერაციო კოეფიციენტი [საოპერაციო ხარჯები / საოპერაციო შემოსავალი]	1.33	1.42	1	1
წყალმომარაგების კომპანიის მიერ CAMPANEX-ის დაფარვა [%, ათვისებული CAMPANEX / პროგნოზირებული CAMPANEX]	6 [%]	20 [%]	40 [%]	60 [%]
ერთი აბონენტისაგან მიღებული შემოსავალი [ლარი, საერთო შემოსავალი / აბონენტების რაოდენობა]	109	144	172	171
სისტემაში გაშვებული წყლის მოცულობით მიღებული თანხა [ლარი / $მ^3$, წელი]	0.22	0.31	0.33	0.43
პერსონალის პროდუქტიულობის ინდექსი - პერსონალის რაოდენობა 1000 აბონენტზე [პერსონალის რაოდენობა / 1000 აბონენტი]	8	8	7	7
დატრენინგებული პერსონალის რაოდენობა [%, დატრენინგებული პერსონალის რაოდენობა / პერსონალის საერთო რაოდენობა]	5 [%]	20 [%]	40 [%]	60 [%]

მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევისათვის ინფრასტრუქტურის სამინისტრო განიხილავს კერძო სექტორის ჩართულობას. გასული ათი წლის განმავლობაში წყალმომარაგების კომპანიამ მიიღო მნიშვნელოვანი ფინანსური მხარდაჭერა ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისაგან, თუმცა, ეს არ აღმოჩნდა საკმარისი, რომ ის გარდაქმნილიყო დამოუკიდებლად ფუნქციონირებად კომპანიად. მთავრობის მხარდაჭერით შემუშავდა კერძო სექტორის მონაწილეობისა (PSP) და საჯარო და კერძო თანამშრომლობის (PPP) წინასწარი პოტენციური გეგმები (იხ. სქოლიო 5).

განსაზღვრული მიზნების მიღწევა იწყება საინვესტიციო სტრატეგიის შექმნითა და ვადებში გაწერილი სამოქმედო გეგმით. პირველ რიგში, უნდა შეფასდეს ღონისძიებების ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობა მომსახურების განსაზღვრული დონეების მიხედვით. საჭიროა ინვესტიციების ხარჯთსარგებლიანობის ანალიზი, ასევე, ბიუჯეტში კაპიტალური მოვლა-შენახვის ხარჯების გათვალისწინება. გარდა ამისა, წყალმომარაგების კომპანიამ უნდა გააძლიეროს აქტივების მართვის მიმართულება. [7]

[7] კომპანიამ 2021 წლის ნოემბერში მიიღო ინფრასტრუქტურული აქტივების მართვის პოლიტიკა.

2021-2025 წლებში წყალმომარაგების კომპანიის მიმდინარე და დაგეგმილი ინვესტიციები შეადგენს 3,295 მილიონ ლარს. საიდანაც წყალმომარაგების გაუმჯობესებას დაახლოებით მოხმარდება 2,100 მილიონი ლარი, ხოლო წყალარინებას 1,200 მილიონი.2030 წლისათვის მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად 2026-2030 წლებში გათვალისწინებული უნდა იყოს დამატებით 2,800 მილიონი ლარი წყალმომარაგებისათვის, ხოლო წყალარინებისათვის 3,100 მილიონი ლარი.

2. შესავალი

2.1. კომპანიის აღწერა

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“[8] დაარსდა 2010 წლის 14 იანვარს რამდენიმე მუნიციპალური კომპანიის შერწყმის შედეგად. წყალმომარაგების კომპანია თბილისის, რუსთავის, გარდაბნის, მცხეთის, საჩხერისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარდა უზრუნველყოფს წყლითა და წყალარინების მომსახურებებით.წყალმომარაგების კომპანია ემსახურება დაახლოებით 347,000-ზე მეტ აბონენტს, საიდანაც 23,000 კომერციული, ხოლო 324,000 საყოფაცხოვრებო აბონენტია.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა მოიცავს შემდეგს: წყლის მოპოვება, დამუშავება და აბონენტებისთვის მიწოდება; წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების პროექტირება, მშენებლობა, ექსპლუატაცია და ოპერირება.წყალმომარაგების კომპანიას აქვს წყალმომარაგებისა და წყალარინების მომსახურებების გაწევის ლიცენზია, რომელიც გაცემულია სემეკის მიერ. კომპანია ასევე იღებს ლიცენზიებს მიწისქვეშა წყლების მოპოვებისათვის, ასევე, სამშენებლო პროექტების ნებართვებს.

2.2. ხედვა და მისია

<u>ხედვა</u>

წყალმომარაგების კომპანიის ხედვაა კავკასიის რეგიონში წყალმომარაგებისა და წყალარინების მომსახურებების ყველაზე სამაგალითო, საიმედო მიმწოდებელი გახდეს.

<u>მისია</u>

წყალმომარაგების კომპანიის მისიაა, გადააჭარბოს აბონენტების მოლოდინებს სანდოობის გაზრდით, ხელმძღვანელობის ეფექტურობის გაუმჯობესებითა და ტექნოლოგიური მიღწევების საშუალებით.

წყალმომარაგების კომპანიის ძირეული ღირებულებებია:

---

[8] შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა. კომპანიის წილის 100%-ს ფლობს სახელმწიფო, რომელიც წარმოდგენილია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახით. წყალმომარაგების კომპანია სახელმწიფო საწარმოა. ზოგადად, სახელმწიფო საწარმოები ექვემდებარება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ სახელმწიფო ქონების სააგენტოს, თუმცა, 2010 წელს ეკონომიკის სამინისტროს წილობრივი უფლებები გადასცა რეგიონული

განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, რომელიც 2010 წლიდან სარგებლობს ამ უფლებით.

- ხელმისაწვდომობა - მომხმარებლისთვის სასმელი წყლის სტაბილური მიწოდების უზრუნველყოფა;
- პასუხისმგებლობა – დარგის განვითარების ხელშეწყობა. ობიექტების და ქსელების რეაბილიტაცია და მოდერნიზაცია. კომუნალური მომსახურების საუკეთესო პრაქტიკის დანერგვა;
- სამართლებრივი პასუხისმგებლობა – საქმიანობა ადგილობრივი და საერთაშორისო კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით;
- ხარისხი – მომხმარებლისთვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სასმელი წყლისა და მომსახურების მიწოდება;
- უსაფრთხოება – სანიტარული ზონებისა და ობიექტების დაცვის უწყვეტი ციკლის უზრუნველყოფა.

2.3. კორპორაციული მმართველობა

წყალმომარაგების კომპანიის მართვა მოხდება ეუთოს სახელმწიფო საწარმოების შესახებ სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით მთავრობის სახელმწიფო საწარმოების რეფორმის ფარგლებში.

ეუთოს რეკომენდაციების მიხედვით, როდესაც სახელმწიფო საწარმო აერთიანებს ეკონომიკურ საქმიანობასა და საჯარო პოლიტიკურ მიზნებს, საჭიროა ხარჯებისა და შემოსავლების გამჭვირვალობისა და გასაჯაროების მაღალი სტანდარტები.

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მმართველი ორგანოების მოსალოდნელი ცვლილებები.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით არ არსებობს „სახელმწიფო კორპორაციის“ ცნება და განსხვავება სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ საწარმოსთან. ამ მიზეზით მთავრობა ეყრდნობა GFSM 2014-ის განმარტებას „სახელმწიფო კორპორაციის“ თაობაზე. საქართველოს მთავრობამ ახლახანს მიიღო სახელმწიფო კორპორაციების კორპორაციული მართვის კოდექსი, რომლის თანახმადაც, სახელმწიფო საწარმოთა რეფორმის საბჭო განსაზღვრავს იმ საწარმოებს, რომლებზეც ვრცელდება დოკუმენტი. ამ ეტაპისთვის განიხილება კორპორატიზაციის ორ სცენარს:

1. საჯარო სექტორის ჩართულობის გაზრდა

ამ მიდგომაში, კომპანია, საჯარო კორპორაციად არ კლასიფიცირდება და ის გააგრძელებს ურბანული და არაურბანული დასახლებების წყალმომარაგებითა და წყალარინებით უზრუნველყოფას და სერვისის მიწოდებისას გაზრდის კერძო სექტორის მონაწილეობას საერთაშორისოდ აღიარებულ საუკეთესო პრაქტიკებზე დაყრდნობით, რაც შესაძლოა მოიაზრებდეს კერძო სექტორთან პარტნიორობას PPP, იჯარის, საინვესტიციო კონტრაქტების ან სექტორისთვის დამახასიათებელი სხვა სამართლებრივი ურთიერთობის სახით.

2. კომპანიის საჯარო კორპორაციად გარდაქმნა შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაში“ , ნაცვლად სამეთვალყურეო ორგანოსი, რომელიც ძირითადად სამინისტროს თანამშრომლებისგან არის დაკომპლექტებული, იქმნება დამოუკიდებელი სამეთვალყურეო საბჭო, რათა შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ დირექტორის საქმიანობას გაუწიოს მეთვალყურეობა.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები პასუხისმგებელი იქნებიან თავიანთი მოვალეობების შესრულებაზე. გარდა ამისა, სავარაუდოდ, გაფორმდება შესრულებაზე დაფუძნებული ხელშეკრულება შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებსა და შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ პარტნიორს შორის. სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელი იქნება, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ დირექტორის ანგარიშვალდებულებაზე გამომდინარე იქიდან, რომ დირექტორი ანგარიშვალდებული იქნება სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე.

3. მუშაობის ანალიზი

3.1. ფინანსური მაჩვენებლები

წარმოდგენილ ცხრილში ნაჩვენებია წყალმომარაგების კომპანიის 2017, 2018, 2019 და 2020 წლების ფინანსური შედეგები.

ცხრილი 2: წყალმომარაგების კომპანიის ისტორიული ფინანსური მაჩვენებლები

ფინანსური მაჩვენებლები (სუბსიდიის გარეშე)	2017	2018	2019	2020
შემოსავალი	39,012	38,522	41,594	42,207
ელექტრობა	13,980	15,487	15,945	16,648
ხელფასები	22,668	23,392	25,313	23,961
სხვა საოპერაციო ხარჯები	13,743	15,588	18,901	18,966
ოპერირებისა და ექსპლუატაციის ხარჯები ცვეთის გამოკლებით	50,391	54,468	60,159	59,575
EBITDA	(11,379)	(15,945)	(18,566)	(17,368)
ცვეთა	15,509	16,145	16,509	19,320
EBIT	(26,888)	(32,091)	(35,075)	(36,688)
საოპერაციო კოეფიციენტი	1.29	1.41	1.45	1.41
ფინანსური მაჩვენებლები '000 ლარი (სუბსიდიის ჩათვლით)	2017	2018	2019	2020
შემოსავალი	39,012	38,522	41,594	72,207
ელექტრობა	13,980	15,487	15,945	16,648
ხელფასები	22,668	23,392	25,313	23,961
სხვა საოპერაციო ხარჯები	13,743	15,588	18,901	18,966
ოპერირებისა და ექსპლუატაციის ხარჯები ცვეთის გამოკლებით	50,391	54,468	60,159	59,575
EBITDA	(11,379)	(15,945)	(18,566)	12,632
ცვეთა	15,509	16,145	16,509	19,320
EBIT	(26,888)	(32,091)	(35,075)	(6,688)
საოპერაციო კოეფიციენტი	1.29	1.41	1.45	0.83

წყარო: კომპანიის აუდირებული ფინანსური ანგარიშგებები

3.2. ანალიზი აბონენტების მიხედვით

წარმოდგენილ გრაფიკზე ნაჩვენებია აბონენტთა სხვადასხვა ჯგუფი მათი პროცენტული წილისა და შემოსავლების მიხედვით. 2020 წელს სგწკ-ს შემოსავლის 66% მოდიოდა კომერციულ აბონენტებზე, რაც საერთო აბონენტების რაოდენობის მხოლოდ 7%-ს წარმოადგენს. ანალიზისათვის კომერციული აბონენტები დაიყო ჯგუფებად: სამთავრობო ორგანოები, სამთო მრეწველობა, სასტუმროები, კურორტები და სხვა კომერციული დაწესებულებები. სამთო მრეწველობაზე მოდის ყველაზე მაღალი შემოსავალი, თუმცა მისი საბაზრო წილი უცვლელია. სასტუმროებსა და კურორტებს მზარდი პოტენციალი აქვთ.

რუკა 1: ტურისტული ზონები საქართველოში



წყალმომარაგების კომპანიის ფინანსური მდგრადობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია სტრატეგიული აქცენტი გაკეთდეს ტურიზმის სფეროსა და კომერციული კლიენტების შენარჩუნებაზე, არსებული ტარიფების გადანაწილებაში, მაღალია კომერციულ აბონენტებზე დაწესებული ტარიფის წილი საყოფაცხოვრებო მომხმარებლების ტარიფთან შედარებით. მოცემულ დიაგრამა 1-ზე ნაჩვენებია წყალმომარაგების კომპანიის სხვადასხვა აბონენტი მათი შემოსავლებისა და წილის მიხედვით. ისრებით მითითებულია განვითარების პოტენციალი.

დიაგრამა 1: შემოსავლები და წვლილი აბონენტების მიხედვით



ამჟამინდელი საყოფაცხოვრებო ტარიფები არ არის საკმარისი საოპერაციო ხარჯების დაფარვისთვის, შესაბამისად უარყოფითია კომპანიის საოპერაციო შედეგის მაჩვენებელი. [9].

3.3. ანალიზი რეგიონების მიხედვით

რეგიონების ანალიზი ემყარება ორ ინდიკატორს: საოპერაციო კოეფიციენტებსა და შემოსავლებს, ასევე საყოფაცხოვრებო და კომერციული მომხმარებლების რაოდენობას. ანალიზი გვიჩვენებს "მომგებიანობას" "ბაზრის წილთან“ შედარებით.

დიაგრამა 2: შემოსავლები საოპერაციო კოეფიციენტთან[10] შედარებით რეგიონების მიხედვით (2020)



[9] წვლილი გულისხმობს პროდუქტის ცვლადი ხარჯების გამოკლების შემდეგ დარჩენილ შემოსავალს.

[10] საოპერაციო კოეფიციენტი = საოპერაციო ხარჯები / საოპერაციო შემოსავლები.

4. შედარებითი ანალიზი

4.1. სემეკის მიერ შერჩეული ზონების შედარებითი ანალიზი

წყლის საერთაშორისო ასოციაციის (IWA) მიერ განსაზღვრული მუშაობის 5 ინდიკატორის საფუძველზე, კერძოდ: წყლის დანაკარგები, მილების დაზიანება,მიწოდების უწყვეტობა, ჩამდინარე წყლების მომსახურების არეალის ზრდა და საჭირო რაოდენობის გამწმენდი ნაგებობების არსებობა, სემეკ-მა განსაზღვრა და შეაფასა "მომსახურების დონე" საქართველოს რამდენიმე ქალაქისთვის. ხუთივე ინდიკატორი თანაბრად არის შეფასებული და 100 ქულა არის ყველაზე მაღალი შესაძლო მაჩვენებელი. სემეკის რეიტინგის თანახმად, ზუგდიდს აქვს უმაღლესი ქულა, უფრო მაღალი, ვიდრე კერძო საკუთრებაში არსებულ თბილისისა და რუსთავის კომპანიებს ან მუნიციპალიტეტის მიერ მართულ ბათუმის წყალს. სგწკ-ს ყველა სხვა კომუნალური მომსახურება შეფასებულია გრაფიკზე.

დიაგრამა 3: რეიტინგი საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, შერჩეულია სემეკის მიერ



შედარებითი ანალიზისათვის შემდგომი კრიტერიუმია ხარჯების მიმართულება. საერთაშორისო გამოცდილების შესაბამისად, რაც უფრო მაღალია ხარჯები, მით უფრო მაღალია ტექნიკური ინფრასტრუქტურის ხარისხი. საოპერაციო ხარჯები[11] და ამორტიზაცია, მათ შორის 14% კაპიტალის საშუალო შეწონილი ხარჯი (WACC)[12], გამოითვლება ყოველწლიურად საშუალოდ ერთ მომხმარებელზე 2017 წლის მონაცემებით. ცხრილში მოცემულია საშუალო ხარჯები ერთ აბონენტზე წელიწადში. მითითებული 1,400 ლარი/მომხმარებელი/წელიწადში წარმოადგენს ევროპულ საშუალო მაჩვენებელს და მიღებულია შეფასების ნიშნულად.

---

[11] საოპერაციო ხარჯები (OPEX) - ყოველდღიური ხარჯები ოპერატორი კომპანიის ფუნქციონირებისათვის.

[12] კაპიტალის საშუალო შეწონილი ხარჯი (WACC) - კაპიტალის ხარჯის გამოთვლა, სადაც კაპიტალის თითოეული კატეგორია პროპორციულად არის შეწონილი.

დიაგრამა 4: ხარჯი წელიწადში და აბონენტზე ლარებში



სემეკ-მა კომუნალური მომსახურება დაყო 4 ჯგუფად (იხ. დიაგრამა 5). მომსახურების დონის საშუალო ქულა განისაზღვრა 61%-ით, ხოლო ხარჯები დაახლოებით 323 ლარი ერთ მომხმარებელზე წელიწადში. ჯგუფი 1 ასახავს კომუნალურ მომსახურებებს საშუალოზე დაბალი ღირებულებითა და მომსახურებით (ყველაზე ცუდი შესრულება); ჯგუფი 2 წარმოადგენს კომუნალურ მომსახურებას საშუალოზე მაღალი ღირებულებითა და მომსახურების დონით(საუკეთესო შესრულება); ჯგუფი 3: საშუალოზე დაბალი ხარჯები და მომსახურების დონე საშუალოზე მაღალი; ჯგუფი 4: საშუალოზე მაღალი ხარჯები და მომსახურების დონე საშუალოზე დაბალი.

დიაგრამა 5: საქართველოს კომუნალური ინფრასტრუქტურის შედარებითი ანალიზი



მოცემული სისტემებისთვის, საშუალო აღებულია: სერვისი 61; ღირებულება 323.

ჯგუფი 1	ჯგუფი 2	ჯგუფი 3	ჯგუფი 4
ხაშური	World Class	თბილისი	ჭიათურა
გორი	ზუგდიდი	რუსთავი	ოზურგეთი
	ბათუმი		მარნეული
			ფოთი
			დუშეთი
			ქუთაისი
			სენაკი

ანალიზში წარმოდგენილია საქართველოში ოპერატორი კომპანიების მუშაობის შედარება საერთაშორისო სტანდარტთან და უშუალოდ ოპერატორებთან. ვარაუდი იმის შესახებ, რომ მაღალი დანახარჯები განაპირობებს მაღალ ხარისხს, უფრო დეტალურად უნდა შეფასდეს. მიუხედავად იმისა, რომ კერძო საკუთრებაში არსებული კომუნალური მომსახურება აჩვენებს აქტივების დაბალ ღირებულებას და მომსახურების მაღალ ხარისხს,ეს შეიძლება ნიშნავდეს, რომ ოპერირების ხარისხს შეუძლია კომპენსაცია გაუწიოს აქტივების მუშაობას. ამ მხრივ საინტერესოა, მიმოვიხილოთ საოპერაციო და კაპიტალური ხარჯებისათვის გამოყოფილი თანხები და სამუშაო ინდიკატორები დროის გარკვეულ პერიოდში. ასევე აღსანიშნავია, რომ ინვესტიცია მხოლოდ აქტივებში ავტომატურად არ აუმჯობესებს შედეგებს.

4.2. სგწკ-ს სერვის ცენტრების შედარებითი ანალიზი

შეფასება განხორციელდა შემდეგი KPI–ებით: (i) წყალმომარაგების მომსახურების არეალი, (ii) ჩამდინარე წყლების მომსახურების არეალი, (iii) მილების დაზიანების რაოდენობა და (iv) მიწოდების უწყვეტობა (გრაფიკი). (დიაგრამა 6).

4 ჯგუფი იძლევა შემდეგ სურათს:

(i) ჯგუფი 1. საჭიროა მთლიანი გაუმჯობესება. სისტემები, რომლებიც საჭიროებს გადაუდებელ და არსებით განხილვას და გაუმჯობესებას. ეს ჯგუფი სუსტია ტექნიკური და კომერციული კუთხით. დასკვნა: საჭიროა კომპლექსური ჩარევა. ამ ჯგუფში ერთიანდება შემდეგი სერვის ცენტრები: თეთრიწყარო, ზესტაფონი, ახმეტა, ნინოწმინდა, დედოფლისწყარო, ბოლნისი, კასპი, საგარეჯო, ასპინძა, ჭიათურა, ხარაგაული, წალენჯიხა, ბაღდათი, აბაშა, თიანეთი, მარტვილი.

(ii) ჯგუფი 2. მუშაობის შედეგები მისაღებია. სისტემები, რომლებიც საუკეთესოდ მუშაობს სგწკ-ს არეალში. დასკვნა: აღნიშნული ჯგუფი ჩარევის კუთხით ნაკლებად პრიორიტეტულია. ამ ჯგუფში ერთიანდება შემდეგი სერვის ცენტრები: სენაკი, მესტია, სართიჭალა, ცაგერი, სამტრედია, ფოთი, ოზურგეთი, თერჯოლა, ლანჩხუთი, დუშეთი, გურჯაანი, ქუთაისი, ბორჯომი, ბაკურიანი.

(iii) ჯგუფი 3. საჭიროა აბონენტებთან ურთიერთობის გაუმჯობესება. სისტემები, რომლებიც აჩვენებს აშკარა ხარვეზებს კომერციულ საქმიანობაში. დასკვნა: საჭიროა მომხმარებელთან ურთიერთობის ანალიზი, გადასამოწმებელია გამრიცხველიანება-დარიცხვის პროცესი. ამ ჯგუფში ერთიანდება შემდეგი სერვის ცენტრები: ქარელი, წალკა, ხონი, ზუგდიდი, ამბროლაური, ადიგენი, დმანისი, ლენტეხი, თელავი, ურეკი, ტყიბული, ონი, გორი, ახალქალაქი, წნორი.

(iv) ჯგუფი 4. ოპერირების გაუმჯობესებაა საჭირო. სისტემები, რომლებიც აჩვენებს აშკარა ხარვეზებს ტექნიკური მუშაობის კუთხით. დასკვნა: საჭიროა ოპერირების ანალიზი. ამ ჯგუფში ერთიანდება შემდეგი სერვის ცენტრები: მარნეული, ხაშური,

ვანი, ჩოხატაური, სტეფანწმინდა, სიღნაღი, ხობი, წყალტუბო, ახალციხე, გუდაური, ჩხოროწყუ, ლაგოდეხი, ყვარელი.

დიაგრამა 6: მომსახურებების სისტემების კლასიფიკაცია შემოსავლებისა და მომსახურების დონეების მიხედვით საყოფაცხოვრებო აბონენტებისათვის



მიუხედავად იმისა, რომ კომპანია ინვესტიციებს ახორციელებს საჭიროებიდან გამომდინარე, მხოლოდ მიმდინარე პროექტები არ არის საკმარისი მიზნების მისაღწევად. შესაბამისად საჭიროა კონკრეტული საინვესტიციო სტრატეგია.

4.3. შედარებითი ანალიზი GWP-სთან

მიუხედევად იმისა, რომ GWP და სგწკ მომხმარებლებს უზრუნველყოფს ერთი და იგივე მომსახურებით, განსხვავებები მათ შორის საკმაოდ ბევრია. GWP-ის აბონენტების რაოდენობა გაცილებით მეტია სგწკ-ს აბონენტებთან შედარებით. ასევე, GWP-ის მომსახურების არეალი ვრცელდება თბილისსა და მის შემოგარენში, მაშინ როცა სგწკ-ს მომსახურების არეალი ვრცელდება საქართველოს რეგიონების მასშტაბით. სადაც მოსახლეობის სიმჭიდროვე გაცილებით დაბალია თბილისთან შედარებით. ფართო არეალზე მომსახურების უზრუნველყოფა, სგწკ-სთვის ართულებს ორგანიზაციული სტრუქტურის ფორმასაც. შედარებითი ანალიზის მიზანია, გამოიკვეთოს ძირითადი განსხვავებები, რაც გასათვალისწინებელია მნიშვნელოვანი მიმართულებების (შემოსავლები და პერსონალის პროდუქტიულობა) გასაუმჯობესებლად. შედარებითი ანალიზი აჩვენებს, რომ სგწკ-ს შეუძლია 80 მილიონი ლარი მიიღოს შემოსავლის სახით.

ცხრილი 3: სგწკ-ს შედარებითი ანალიზი GWP-სთან

აღწერა	ერთეული	GWP [2018]	წყალმომარაგების კომპანია [2018]	GWP მონაცემების გავრცელება წყალმომარაგების კომპანიის მასშტაბზე
მოსახლეობა	არა	1,200,000	1,000,000	1,000,000
წარმოებული წყალი	მლნ მ3/წელიწადში	494.9	245.5	412.0
წყლის მოხმარება	მლნ მ3/წელიწადში	160.9	57.3	134
	ლიტრი/წამში, დღეში	367.3	196.2 (არა 24/24 მიწოდება)*	300.0
აბონენტები	არა	511,990	334,371	426,658
აღურიცხავი წყალი	მლნ მ3/წელიწადში %	334.0 67%	188.2 77%	276.0 67%
გამრიცხველიანება	%	30-35%	50-55%	35%
თანამშრომლების პროდუქტიულობის ინდექსი	თანამშრომლების რაოდენობა/1000 აბონენტზე	2205(2017)>4.2; 2,894 >5.6	2,723 8.1	2,269** 5.6
ხელფასის ხარჯი	ლარი	17.2	19.7	14.3
ელექტროენერგიის ხარჯი	მლნ. ლარი	13.2	15.5	11.0
წლიური შემოსავალი	მლნ. ლარი	სულ 129.4, (წყალი) 118.7	38.5	≈80.0
საოპერაციო მოგება	მლნ. ლარი	EBITDA 69.0, სულ 28.0	(-32.1)	≈10.0

*2017 გაზა, 2018 გაზა

5. ორგანიზაციული და მმართველობითი სტრუქტურა

5.1. ორგანიზაციული და მმართველობითი სტრუქტურა

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ (სგწკ) ცენტრალიზებული სტრუქტურის მქონე კომპანიაა, რომლის სათავო ოფისი მდებარეობს თბილისში. კომპანიას აქვს რეგიონული ფილიალები (RO) და დაქვემდებარებული სერვის ცენტრები. გადაწყვეტილებების უმრავლესობას იღებს უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელობა და ყველა სხვა რგოლი ასრულებს დავალებებს ხელმძღვანელობის მითითებით. კომპანიის საქმიანობა ვრცელდება 59 სერვის ცენტრსა და 11 რეგიონულ ფილიალში.

დიაგრამა 7: სგწკ-ს სათავო ოფისის სტრუქტურა


კომპანიის დირექტორი
დირექტორის მოადგილე ფინანსურ საკითხებში
დირექტორის მოადგილე კომერციულ საკითხებში
დირექტორის მოადგილე
დირექტორის მოადგილე
დირექტორის მოადგილე ტექნიკურ საკით ხებში
დირექტორის აპარატი
კონფლიქტების სამსახური
ცხელი ხაზის ჯგუფი
მრჩველები, ოსტატებები პროტოკოლი
რეპორტინგის დეპარტამენტი
ეფექტიანობა და რისკების კონტროლის ჯგუფი
რეალიზაციის დეპარტამენტი
ჯგუფების სამსახური
ანალიტიკის სამსახური
ტარიფიდან ამოღების სამსახური
მეტრეღლობის ზედამხედველობის დეპარტამენტი
ვარების დაცვა და ნებრო ვების დეპარტამენტი
ადამიანური რესურსების დეპარტამენტი
ადამიანური რესურსების მართვის სამსახური
საკადრო საქმისწარმოების ჯგუფი
სამსახურებრივის სამსახური
სანქციების ტვირთების სამსახური
პერსონალური საქმეების სამსახური
სოციალური ტვირთვების სამსახური
ოპერირებისა და უსაფრთხოების დეპარტამენტი
ნაკლებ ამრავლების სამსახური
ნაკლებ ამრავლების სამსახური
ტექნოლოგიური დანაკარგებისა და მოგებიანობის სამსახური
დიფერენციული სამსახური
საგანგებო სამსახური
ფინანსური დეპარტამენტი
ბიუჯეტის დაგეგმვის სამსახური
ხელფასების ანგარიშგების სამსახური
ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური
ინოვაციური ურბანული ფოსფორის სამსახური
ქონების მართვის სამსახური
მიდა აუდიტის და მონიტორინგის დეპარტამენტი
მონიტორინგის სამსახური
მონიტორინგის ჯგუფი I
მონიტორინგის ჯგუფი II
მონიტორინგის ჯგუფი III
ბიზნეს ერთეულების ადამიანური რესურსების სამსახური

ამრიგად, არსებული იერარქიის სხვადასხვა რგოლს შორის შედეგებზე დაფუძნებული შეთანხმებები ქმნის გამჭვირვალე და მყარ საფუძველს შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად.

შედეგებზე დაფუძნებული შეთანხმებები გამოიყენება შესრულების (მუშაობის) მონიტორინგისათვის. შედეგებზე დაფუძნებული შეთანხმება გაფორმდება კომპანიასა და სამინისტროს შორის, რომლის მიხედვითაც შედეგების ძირითადი ინდიკატორების მეშვეობით განსაზღვრული იქნება სამინისტროს მოლოდინები კომპანიის მიმართ და ასევე სამოტივაციო ქმედებები შედეგების გასაუმჯობესებლად.

სამინისტროსა და კომპანიას შორის გაფორმებული შეთანხმებით განისაზღვრება კომპანიის მიერ წარსადგენი ინფორმაცია, ფინანსური საკითხები, თანამშრომლობის წესები, უფლებები და მოვალეობები. ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და წყალმომარაგების კომპანიის დირექტორს შორის შეთანხმების მიზანია: (i) წყალმომარაგების კომპანიის როლის, მიზნების, შესრულების ინდიკატორებისა და სამოტივაციო ქმედებების განსაზღვრა და (ii) უზრუნველყოფა იმისა, რომ არსებობდეს შეთანხმებული სტრუქტურა , რომლის ფარგლებშიც სგწკ-ს მიერ მიზნების შესრულება ხელს შეუწყობს სექტორის საერთო მიზნების მიღწევას განსაზღვრულ ვადებში.

სამინისტროსა და სგწკ-ს შორის შეთანხმების შემდეგ სგწკ რეგიონულ ფილიალებთან გააფორმებს შედეგების მაჩვენებლებზე დაფუძნებულ ხელშეკრულებებს, რითაც განისაზღვრება შესაბამისი KPI-ები და შედეგების გაუმჯობესებისთვის სამოტივაციო აქტივობები. შეთანხმების მიზანი უნდა იყოს: (i) რეგიონული ფილიალების ხელმძღვანელების ანგარიშვალდებულების, პასუხისმგებლობის დონის გაზრდა და მათთვის ყოველდღიური საქმიანობის დელეგირება, (ii) სგწკ-ს საოპერაციო მიზნებთან რეგიონული ფილიალების საქმიანობის შესაბამისობის უზრუნველყოფა და (iii) კორპორაციული ხედვის, მისიისა და მიზნის მიღწევა.

შეთანხმებებში მოცემული იქნება საბაზისო მონაცემები და სამი წლის ვადით განსაზღვრული იქნება ყოველწლიური მიზნები. შეფასების ინდიკატორები, რომლებიც გამოყენებული უნდა იყოს შედეგების შესაფასებლად.

დამატებითი მიზნები უნდა მოიცავდეს შემდეგ ქმედებებს:

(i) გენდერული საკითხების წინა პლანზე წამოწევა,, თანასწორობისა და ჩართულობის ხელშეწყობა;

(ii) წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის შესახებ (WASH) საზოგადოების ინფორმირებულობის დონის გაზრდა;

(iii) წყალმომარაგებისა და სანიტარული მომსახურების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით მომხმარებლებთან კომუნიკაციისა და საზოგადოების ჩართულობის დონის გაზრდა;

(iv) კვალიფიკაციური კადრების მოზიდვა,შენარჩუნება და პროფესიონალიზმის დონის გაუმჯობესება კომპანიაში.

კომპანია განახორციელებს სათავო ოფისის რესტრუქტურიზაციას ბიზნეს ოპერაციების ეფექტიანობის გაზრდის შესაბამისად.

„წყლის რესურსების მართვის შესახებ კანონპროექტის“ გათვალისწინებით იგეგმება წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის (IWRM) და მდინარის აუზის მართვის (RBM) დანერგვა. ამ კანონით დარეგულირდება საქართველოში წყლის მართვის ფარგლებში წყლის მიწოდების საკითხი, ხოლო სგწკ-მ, როგორც წყლის რესურსების ყველაზე მნიშვნელოვანმა მომხმარებელმა, უახლოეს მომავალში უნდა განიხილოს კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურის შესაბამისობა ამ გეგმებთან.

5.2. კერძო სექტორის ჩართულობა[13]

მნიშვნელოვანი ძალისხმევისა და ინვესტიციების მიუხედავად, წყალმომარაგების კომპანიაშიფიქსირდება სისტემური ხარვეზები და საოპერაციო არაეფექტურობა. ამჟამად პოტენციური გაუმჯობესების სამი კონკრეტული სფერო გამოვლენილი: (i) აღურიცხავი წყლის შემცირება, კერძოდ კომერციული დანაკარგების შემცირება, (ii) უმრიცხველო მომხმარებლებისთვის სემეკის მიერ 2010 წელს დადგენილი მაქსიმალური ზღვრული ტარიფების გამოყენება და (iii) კადრების ოპტიმიზაცია კომპანიაში დასაქმებული პერსონალის განვითარებითა და ტრენინგით უნდა გაუმჯობესდეს კომპანიის საქმიანობის ეფექტურობა. ახლად აშენებული წყალარინების გამწმენდი ნაგებობების ოპერირება და ექსპლუატაცია გამოწვევა გახდა გამწმენდების ექსპლუატაციისა და ოპერირების მწირე გამოცდილების გამო. აუცილებელია, შეიქმნას შესაბამისი გამოცდილება წყალარინების გამწმენდი ნაგებობის ოპერირებისა და ექსპლუატაციის კუთხით.

ამ გარემოებებში წყალმომარაგების კომპანიის მუშაობის გასაუმჯობესებლად ერთ-ერთ შესაძლებლობად განიხილება კერძო სექტორის ჩართულობა,

კერძო სექტორის საჯარო სამსახურებში წარმატებით ჩართულობას პოლიტიკური ნება და მთავრობის მხარდაჭერა სჭირდება. ინფრასტრუქტურის სამინისტრო და წყალმომარაგების კომპანია აქტიურად მუშაობენ კერძო სექტორის ჩართულობის ფორმების შემუშავებაზე.

[13] შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ“ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2021 წლის ნოემბერში წარუდგინა კერძო სექტორის ჩართულობისა და კერძო და საჯარო თანამშრომლობის სახელმძღვანელო გეგმა.

კერძო სექტორის ჩართულობისა დაკერძო და საჯარო თანამშრომლობის მოცულობა და ტიპი დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, მათ შორის, პროექტის სიდიდეზე, მომსახურების ტიპზე, აქტივებზე, გეოგრაფიულ მასშტაბებზე, რისკების გადაცემის პოტენციალზე, წყალმომარაგების კომპანიისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შესაძლებლობაზე, შეიმუშაოს და მართოს PSP/PPP პროექტები.

როგორც PSP/PPP სახელმძღვანელო გეგმაშია განსაზღვრული (სქოლიო 4), შედეგებზე დაფუძნებული მენეჯმენტ კონტრაქტი მომსახურების ოპერატორის მეშვეობით იქნება შედარებით დაბალ რისკიანი ალტერნატივა კომპანიის რადიკალური ცვლილების ფონზე. ასევე, იქნება განხილული კერძო სექტორის ჩართულობისა და კერძო და საჯარო თანამშრომლობის სხვა ფორმები და მომზადდება შესაბამისი ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევები.

5.3. ადამიანური რესურსების განვითარების გეგმა

2020 წლის ბოლოსათვის სგწკ-ს სულ 2,997 თანამშრომელი ჰყავდა.

ადამიანური რესურსების საჭიროებები უნდა განისაზღვროს და დაბალანსდეს სამუშაო საჭიროებების შესაბამისად.

სერვის ცენტრის დონეზე საჭირო რაოდენობის პერსონალის გამოსათვლელად მიზანშეწონილია პერსონალის სტანდარტული მოდელის გამოყენება, რომელიც ეფუძნება აქტივებს, აბონენტების რაოდენობას, უსაფრთხოების მოთხოვნებსა და მომსახურების ხარისხს. ამგვარი გამოთვლების წარმოება უნდა მოხდეს რეგულარულად და გადაისინჯოს ადამიანური რესურსების მართვის გეგმის მიხედვით.

სერვის ცენტრის პერსონალის გარდა, უნდა განისაზღვროს წყალარინების გამწმენდი ნაგებობების თანამშრომლების რაოდენობა. საშუალოდ, თითოეულ გამწმენდს დასჭირდება 10 თანამშრომელი, რომელთაგან 6 ძირითადი თანამშრომელი და 4 დამხმარე პერსონალი (დაცვა, დასუფთავება) იქნება. ამჟამად, 6 გამწმენდი ნაგებობა დასრულებულია, ან დასკვნით ეტაპზეა. აქედან გამომდინარე, უახლოეს მომავალში საჭირო იქნება დამატებითი 60 პერსონალი გამწმენდი ნაგებობებისათვის.

პერსონალის ტრენინგი

კომპანიის ეფექტურობის აუცილებელი წინაპირობაა კარგად დატრენინგებული პერსონალი.

კომპანიის ცვლილების პროცესში არსებით როლს ითამაშებს ადამიანური რესურსების ეფექტური განვითარება და მართვა. ამ პროცესში ერთ-ერთი მთავარი თემაა კომპანიის მრავალწლიან სტრატეგიასთან თანხვედრაში მყოფი საშტატო განრიგების შემუშავება და დანერგვა. საშტატო განრიგი განსაზღვრავს სგწკ-ს პერსონალის აუცილებელ შემადგენლობას, ზომასა და სტრუქტურას. საშტატო განრიგის გეგმა უნდა ითვალისწინებდესს და ასახაავდეს კომპანიის არსებული ადამიანური რესურსების ანალიზს, არაძირითადი საქმიანობის აუთსორსინგს, ახალი ციფრული და ტექნოლოგიური გადაწყვეტების დანერგვას და შრომის პროდუქტიულობის გაზრდას სწავლებისა და განვითარების გზით.

საკვანძო პერსონალისათვის შემოთავაზებული ეტაპობრივი პროცესი. მენეჯმენის წვრთნისა და მეთვალყურეობის ეტაპობრივი პროცესი ემსახურება ცვლილების მდგრადობას. ეტაპების პროცესში მკაფიოდ განსაზღვრული საკვანძო პერსონალისა და ორგანიზაციული ერთეულების საქმიანობა ხორციელდება ადგილობრივი მენეჯმენტის მიერ გარე ექსპერტების ზედამხედველობით. წინასწარი განხილვისა და შესაბამისი პროცესის განსაზღვრის შემდეგ ადგილობრივი გუნდის წევრები ასრულებენ დავალებებს დამოუკიდებლად. ზედამხედველობა და წვრთნა ხდება მოთხოვნისამებრ ან განსაზღვრულია რამდენიმე "ეტაპად", ანუ ეტაპის მიზნების მიღწევის გასაანალიზებლად განსაზღვრული პროცესის შესრულებისას. ამ ეტაპების გავლის შემდეგ ადგილობრივი გუნდის წევრები დამოუკიდებლად განაგრძობენ შემდეგ ეტაპებზე გადასვლას.

შესაძლო ეტაპობრივი პროცესი ასახავს არსებული მენეჯმენტის მიერ საჭირო ამოცანებისა და აქტივობების შესრულების მოდელს ტრენინგებსა და ზედამხედველობასთან ერთად შესაბამის ეტაპებზე.

სასწავლო პროგრამების (ტრენინგების) განხორციელებამდე, რეკომენდებულია სამუშაო აღწერის შემუშავება. მკაფიო, ზუსტი და კარგად განსაზღვრული სამუშაო აღწერილობა არის ხელმძღვანელობისთვის მნიშვნელოვანიინსტრუმენტი, სადაც გაწერილია თითოეული პოზიციის ძირითადი პასუხისმგებლობები. სამუშაო აღწერილობა წარმოადგენს კომპანიის ადამიანური რესურსების განვითარების პროცესების მნიშვნელოვან ნაწილს.

სამუშაო აღწერილობის მიზანია, ზუსტად განსაზღვროს მისაღწევი შედეგი და შედეგის მიღწევისათვის საჭირო კვალიფიკაცია. სამუშაო აღწერილობით ხდება შემდეგი საკითხების მონიტორინგი:

- რას მოელიან თანამშრომლის მხრიდან?

- რა სტანდარტს მოელიან?
- ვის წინაშეა პასუხისმგებელი თანამშრომელი?

სამუშაო აღწერილობა შეიძლება დაეხმაროს ადამიანური რესურსების მართვის პერსონალს, განსაზღვროს ადამიანური რესურსების მოთხოვნები, დაეხმაროს პერსონალის სწავლებისა და განვითარების პროგრამების შემუშავებაში, ასევე, განსაზღვროს პერსონალის როლები და პასუხისმგებლობები კომპანიაში.

შემდეგი ნაბიჯი მოიცავს ტრენინგის საჭიროებების გამოვლენას, რათა დადგინდეს ის მიმართულებები, რომლებიც უნდა გაძლიერდეს და იდენტიფიცირდეს პერსონალი, რომელიც საჭიროებს ტრენინგს. გარდა ამისა, უნდა შეიქმნას ტრენინგისა და განვითარების საჭიროებების მონაცემთა ბაზა, რომელიც იძლევა შეფასებისა და ტრენინგების დაგეგმარების საშუალებას. ტრენინგების საჭიროების შეფასებით განისაზღვრება ტრენინგის სახეობა: პრაქტიკული, არაფორმალური ან ფორმალური, ტრენინგები.

მონაცემთა ბაზა უნდა უკავშირდებოდეს უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელობის დონეზე შესრულების პარამეტრებს, რათა მოხდეს ისეთი მიზნების კონტროლი, როგორიცაა: (i) რამდენი თანამშრომელი დატრენინგდა წელიწადში, (ii) ერთი თანამშრომლის ტრენინგზე დახარჯული დღე წელიწადში (დღეების რაოდენობა/პერსონალი/წელიწადი) და (iii) ტრენინგების ხარჯის წილი ჯამურ ხელფასებში.

შემოთავაზებული სახელმძღვანელო გეგმა

თანამშრომლების მინიმალური ოდენობა, რომელიც უნდა დაატრენინგოს წყალმომარაგების კომპანიამ წელიწადში არის200 თანამშრომელი.

ეტაპი 1: ცოდნის გაღრმავება და უნარ-ჩვევების გაუმჯობესება. ტრენინგების საჭიროებების დამტკიცებიდან ერთ წელიწადში განხორციელდება ეს ეტაპი. ტრენინგების შეფასების საფუძველზე ყველაზე ნიჭიერი და კვალიფიციური პერსონალი გადავა მეორე ფაზაზე.

ეტაპი 2: სიღრმისეული ტრენინგები საერთაშორისო დონეზე აღიარებულ დაწესებულებებში ან საერთაშორისო კომპანიებში, შერჩეული თანამშრომლებისათვის. ამ ეტაპის ხანგრძლივობა შეიძლება იყოს სამ წლამდე. ამ ფაზის მთავარი მიზანია თანამშრომელთა პროფესიონალიზმის დონის ამაღლება.

მუშაობაზე დაფუძნებული ანაზღაურების სისტემა

კონკურენტული ანაზღაურების შეთავაზება არის ადამიანური რესურსების მართვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი. ანაზღაურების შედეგებზე მიბმა მნიშვნელოვანი სტიმულია, რაც ზრდის პერსონალის ეფექტურობასა და პროდუქტიულობას. არსებული ხელფასები არ არის საკმარისი უმაღლესი განათლების მქონე, გამოცდილი და პროფესიონალი პერსონალის მოსაზიდად. შეთავაზებული ხელფასები კონკურენციას უნდა უწევდეს კერძო სექტორში არსებულ ხელფასებს.

წყალმომარაგების კომპანიამ უნდა დანერგოს შედეგებზე ორიენტირებული მართვის სისტემა, რომლის მიხედვითაც შეფასდება, როგორც დეპარტამენტის, ასევე, თითოეული თანამშრომლის მუშაობა კომპანიის მიზნების შესაბამისად. დეპარტამენტის მენეჯერები და თანამშრომლები მზად უნდა იყვნენ ამ მიზნების მისაღწევად. თითოეულ დეპარტამენტში უნდა არსებობდეს მუშაობის მონიტორინგის მკაფიო მექანიზმი, ხოლო ფაქტობრივი შედეგები რეგულარულად უნდა დაედაროს კომპანიის მიზნებს.

დაბოლოს, უნდა შემუშავდეს ანაზღაურების კალკულაციები შედეგებზე დაფუძნებული ანაზღაურების გათვალისწინებით. აღნიშნული მიდგომა გაზრდის ყველა დეპარტამენტის პროდუქტიულობას.

6. ოპერირების გაუმჯობესება

6.1. აქტივების მართვა

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაში“ ინფრასტრუქტურული აქტივების მართვის (IAM) ამჟამინდელი პრაქტიკა ხასიათდება შემდეგნაირად:

- ჯერ არ არსებობს ინფრასტრუქტურული აქტივების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც ადგენს კომპანიის პრიორიტეტებს და ამოცანებს და აჩვენებს მაღალი რგოლის ხელმძღვანელობის ვალდებულებას, გააუმჯობესოს ოპერირების პრაქტიკა;
- არ არსებობს ინფრასტრუქტურის შემენის, გამოყენების და განკარგვის გრძელვადიანი სტრატეგია მოთხოვნის პროგნოზებზე დაყრდნობით;
- მოვლა-შენახვის პრაქტიკა ემყარება რეაგირებას პრობლემებზე, ვიდრე დაგეგმარებას და გეგმიურ სამუშაოებს;
- არ არის საკმარისი დაფინანსება მოვლა-შენახვის მნიშვნელოვანი საჭიროებებისათვის.

ინფრასტრუქტურული აქტივების ეფექტური მართვის დადებითი მხარეები საკმაოდაა ცნობილი და აღიარებული[14]. ამ სარგებლის აღიარებით სგწკ-ს ხელმძღვანელობას სურს მიიღოს და დანერგოს ისეთი პრაქტიკები და სისტემები, რაც გაზრდის აქტივების ექსპლუატაციის ვადასა და უკუგებას ინვესტიციებზე.

საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკების დასანერგად კომპანია დაამტკიცებს ინფრასტრუქტურის აქტივების მართვის დოკუმენტს 2021 წლის ნოემბერში.

კომპანიის ინფრასტრუქტურული აქტივების პორტფელი საკმაოდ დიდია და განაწილებულია მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე. მოწყობილი ინფრასტრუქტურა, მათ შორის, შენობები, მილსადენები, ელექტრომექანიკური აღჭურვილობა და ტექნიკური ნაგებობები ტიპურია წყლის ოპერატორი კომპანიებისათვის. აქტივების ტიპების ამგვარი მრავალფეროვნება მოითხოვს კვალიფიციურ პერსონალს და აქტივების მართვის სისტემებს, რომლებიც მორგებულია აქტივების მოსალოდნელ საექსპლუატაციო მახასიათებლებსა და სასიცოცხლო მომსახურების ვადებზე.

ამჟამად ინფრასტრუქტურული აქტივების ყველაზე სრულყოფილი მონაცემები ინახება კომპანიის გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემების (GIS) სამსახურში. მიმდინარეობს ამ მონაცემთა გაუმჯობესება.

[14] მაგ. ISO 55000 – ISO 24516 (1-4). ინფრასტრუქტურის მართვის საერთაშორისო სახელმძღვანელო.

კომპანიის წლიურ ფინანსური ანგარიშში (31 დეკემბერი, 2020 წ.) მოცემულია 1,160 მლნ ლარის ღირებულების ქონება, საიდანაც 273 მლნ ლარი მოდის წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემის აქტივებზე, ხოლო 690 მლნ ლარი - მიმდინარე მშენებლობაზე.

ცხრილი 4: სგწკ-ს ინფრასტრუქტურული აქტივები

აქტივი	რაოდენობა*
ოფისები და საწყობები	ამჟამად • 1 x სათავო ოფისი • 11 x რეგიონული ფილიალი • 59 სერვის ცენტრი
რეზერვუარები	584
სატუმბო სადგურები	231 (ძირითადად ჭაბურღილებისათვის)
წყლის მაგისტრალები	2,182 კმ
წყალმომარაგების ქსელი	4,432 კმ
საფილტრეები / დეზინფექციის შენობები	131
კანალიზაციის მილები	1,098 კმ (დასაზუსტებელი)
წყალარინების გამწმენდი ნაგებობები	6

*GIS მონაცემების მიხედვით (2021 წ. მაისი)

აქტივების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში მოცემული იქნება კომპანიის პრიორიტეტები და ხელმძღვანელობის ვალდებულება, დანერგოს აქტივების მართვის გაუმჯობესებული პრაქტიკები და იყოლიოს შესაბამისი პერსონალი. ამის შემდეგ უნდა გაძლიერდეს აქტივების მართვის სამსახური.

წყალმომარაგების კომპანია ინფრასტრუქტურის მდგომარეობასა და საექსპლუატაციო მახასიათებლებს გაუწევს რეგულარულ მონიტორინგს და მოამზადებს შესაბამის ანგარიშს.

აქტივების მართვის სამსახური განაახლებს დამონტაჟებული ინფრასტრუქტურის შესახებ ინფორმაციას[15]. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი აღწერს აქტივების მართვის მომავალი სამსახურის ამოცანებსა და საქმიანობას.

ცხრილი 5: აქტივების მართვა

საკითხი	აქტივობა
მართვის სისტემები	• სათავო ოფისსა და ყველა ახალ რეგიონულ ფილიალში აქტივების მართვის სამსახურის შექმნა. • აქტივების მართვის სამსახურისათვის პრიორიტეტული სქემების გამოვლენა.

[15] ინფრასტრუქტურული აქტივების სანდო რეესტრის (IAR) შექმნა არის ტექნიკურ და ფინანსურ სფეროებში კარგი პრაქტიკის დანერგვისაკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი. კარგი პრაქტიკის დანერგვა იწყება აქტივების იერარქიის და ატრიბუტების განსაზღვრით.

აქტივების მართვის გუნდი	• აქტივების მართვის სამსახურის თანამშრომლების სამუშაო აღწერილობების გაწერა და თანამშრომლების შერჩევის კრიტერიუმების დადგენა. • აქტივების მართვის ახალ სამსახურში პერსონალის დანიშვნა. • აქტივების მართვის სამსახურში ტრენინგები.
აქტივების მართვის გეგმები	• აქტივების მართვის გეგმების შემუშავება ყველა სქემისთვის.
მომსახურებების მიწოდების პარამეტრები	• მომსახურებების მიწოდების სხვადასხვა ალტერნატივების ტექნიკური და ფინანსური ანალიზი.
სტრატეგია, მომავალი მოთხოვნა	• მომსახურების სასურველი დონის განსაზღვრა. • მომავალი მოთხოვნის დასადგენად კვლევის ჩატარება. • სამომავლო მოთხოვნის სცენარების გათვალისწინება ოპერირებისა და საინვესტიციო გეგმებში.
აქტივების რეგისტრაცია	• აქტივების იერარქიისა და ატრიბუტების ჩარჩოს შემუშავება. • რეგიონული ფილიალების, სერვის ცენტრებისა და სქემის დონეზე არსებული მონაცემების (GIS) შევსება.
აქტივების საექსპლუატაციო მახასიათებლები და მდგომარეობის მონიტორინგი	• აქტივების საექსპლუატაციო მახასიათებლებისა და მდგომარეობის მონიტორინგისა და მათზე ინფორმაციის მიღებისათვის სტანდარტული ფორმების შემუშავება. • სქემის ოპერატორების მიერ ყოველთვიურად შევსებული სტანდარტული ფორმები.
ოპერაციები	• საოპერაციო პროცედურების მორგება რეკომენდაციებზე: ➢ რისკების შეფასებები. ➢ აქტივების მუშაობის ანგარიშები. ➢ ენერგიის დაზოგვის მოთხოვნები. • პროფილაქტიკურ სამუშაოებზე ყურადღების გამახვილება.
საინვესტიციო დაგეგმვა	• არსებული სქემებიდან მონაცემების მიღება და კომპანიის მასშტაბით საჭირო საინვესტიციო მოთხოვნების შესახებ ანგარიშის შედგენა.
რისკების მართვა	• აქტივების მართვის დეპარტამენტ(ებ)ი ატარებს აქტივების მწყობრიდან გამოსვლის ალბათობისა და შესაძლო შედეგების ანალიზს.
უწყვეტი გაუმჯობესება	• ხელმძღვანელობა ავალებს და იღებს აუდიტს აქტივების მართვის პრაქტიკისა და შედეგების შესახებ. • აქტივების მართვის პროცედურების შეცვლა აუდიტის ანგარიშის მიხედვით.

6.2. აღურიცხავი წყალი

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ ყველა სისტემის გათვალისწინებით აღურიცხავი წყლის მოცულობა საკმაოდ მაღალია. დანაკარგების/ზარალის (ხილული თუ რეალური) წარმოშობის მიზეზების დასადგენად და პრობლემის მოსაგვარებლად საჭიროა დაუყოვნებლივი ჩარევა.

კომპანია მართავს მრავალრიცხოვან წყალმომარაგების სისტემას. სისტემები განსხვავდება ზომების მიხედვით: დიდი ქალაქები (მაგალითად, ქუთაისი 71,000 აბონენტით) და პატარა სოფლები მცირე მოსახლეობით. სისტემები განლაგებულია მთელი ქვეყნის მასშტაბით და მოიცავს კომპანიის სამოქმედო არეალს.

წყალმომარაგების კომპანია შექმნის პროფესიონალთა გუნდს, რათა შეფასდეს წყლის დანაკარგების არსებული დონე, დანაკარგების შემცირების ეკონომიკურად ყველაზე მისაღები გზები. ამ მიზნით სათავო ოფისსა და რეგიონულ ფილიალებში შეიქმნება გუნდები, რომლებიც შეაგროვებენ და გააანალიზებენ საჭირო მონაცემებს შესაბამისი ღონისძიებების განსახორციელებლად.

წინასწარი შეფასების შედეგად, აღურიცხავი წყლის მართვის გუნდ(ებ)ი განსაზღვრავს აღურიცხავი წყლის შემცირების სპეციფიკურ და რეალურ მიზნებსა და ამოცანებს. სამიზნეების დადგენის შემდეგ აღურიცხავი წყლის მართვის გუნდ(ებ)ი ყურადღებას დაუთმობს განსაზღვრული პრიორიტეტული სქემებისათვის „წყლის ბალანსის“ შემუშავებას[16]. ნორმატიული აქტი საფუძვლად დაედება მონაცემების შეგროვებას, საჭირო ანალიზს და, რაც მთავარია, დანაკარგების ხასიათის დადგენასა და კომპანიის ზარალის შეფასებას. ამის საფუძველზე ხელმძღვანელობა გადაწყვეტს აღურიცხავი წყლის შემცირებისათვის საჭირო აქტივობებსა და ინვესტიციებს.

კომპანიის სამოქმედო არეალის გათვალისწინებით შეუძლებელი იქნება ყველა სქემის/სისტემის გათვალისწინება მოკლევადიან პერსპექტივაში. შესაბამისად პრიორიტეტი მიენიჭება იმ სისტემებს, სადაც (1) დანაკარგები არის ყველაზე დიდი; (2) პოტენციური დანაზოგები არის ყველაზე დიდი; (3) დანაკარგების შემცირებას სჭირდება ყველაზე ნაკლები ძალისხმევა.

კომპანია ამჟამად ახორციელებს საბალანსო მრიცხველების მონტაჟის პროგრამას, რომლითაც გათვალისწინებულია 182 საბალანსო მრიცხველის დამონტაჟება 2022 წლის ბოლომდე, რაც საკვანძო საკითხია სისტემაში მიღებული წყლის რაოდენობის გაზომვის მიზნით. ამავდროულად დაუყოვნებლივ მიიღება ზომები პორტატიული ხარჯმზომების გამოყენებით საჭიროების შემთხვევაში სისტემაში გაშვებული წყლის მოცულობის

[16] წყლის საერთაშორისო ასოციაციის წყლის ბალანსი: https://www.leakssuitelibrary.com/iwa-water-balance/

დასადგენად. სამომავლოდ, კომპანიის თითოეული სისტემისათვის შედგება ინდივიდუალური წყლის ბალანსი.

წყლის დანაკარგების შემცირებისათვის საჭირო აქტივობები მოიცავს შემდეგს:

- საუბნო აღრიცხვის ზონების (DMA) შექმნა / გამოვლენა;
- უწყვეტი 24-საათიანი და ღამის ხარჯების ანალიზი;
- დაფიქსირებული გაჟონვისა და რემონტის ანალიზი;
- მრიცხველის სიზუსტის შემოწმება;
- ახალი მრიცხველის მონტაჟი;
- უკანონო მოხმარების იდენტიფიკაცია ;
- წნევის გაზომვა.

მრიცხველების მოწყობა სისტემაში გაშვებული წყლისა და აბონენტის მიერ მოხმარებული წყლის მოცულობის აღსარიცხავად აღურიცხავი წყლის მართვის ერთ-ერთი კრიტიკულად მნიშვნელოვანი ასპექტია.

ამ ეტაპისთვის ყველა კომერციული მომხმარებელი არის გამრიცხველიანებული, ხოლო საყოფაცხოვრებო აბონენტების მხოლოდ 67%-ია გამრიცხველიანებული, ამიტომ მოხმარებული წყლის რაოდენობა არაზუსტად აღირიცხება. წყალმომარაგების კომპანია განახორციელებს რიგ საპილოტე პროექტებს, რათა შეაფასოს მრიცხველების მონტაჟის ხარჯთეფექტურობა ამჟამად უმრიცხველო აბონენტებისათვის. საპილოტე პროექტების დასკვნების საფუძველზე მიზნობრივი ფორმით მოხდება უფრო მეტი აბონენტისათვის მრიცხველის მოწყობა. ამავდროულად შემუშავდება და განხორციელდება უკვე დამონტაჟებული მრიცხველების სიზუსტის შემოწმების პროგრამა. აღურიცხავი წყლის შემცირების საკითხები და აქტივობები მოცემულია მე-6 ცხრილში.

ცხრილი 6: აღურიცხავი წყლის შემცირების აქტივობები

პრობლემა	აქტივობა
სგწკ-ს სამოქმედო არეალში არსებული აბონენტები, რომლებიც სგწკ-ს სისტემაზე არ არის დაერთებული	• ასეთი დაერთებების კანონიერების საკითხის მოკვლევა. • აბონენტების დარწმუნება, რომ დაერთდნენ სგწკ-ს სისტემაზე.
დარიცხული მრიცხველიანი მოხმარების სიზუსტე	• ბილინგის სისტემის მონაცემების ანალიზი* • ტეტ-ა-ტეტ კავშირი აბონენტთან მრიცხველის არაზუსტი მონაცემების შემთხვევაში
დარიცხული უმრიცხველო მოხმარების სიზუსტე	• ბილინგის სისტემის მონაცემების ანალიზი*
დაურიცხავი უმრიცხველო მოხმარების დადგენა	• მრიცხველების მოწყობა მოხმარების ზუსტად აღსარიცხავად.
აღურიცხავი მრიცხველიანი მოხმარება	• მრიცხველის ჩვენების წაკითხვისა და დარიცხვის პროცედურების გაუმჯობესება.

მრიცხველის სიზუსტე და მონაცემთა დამუშავების შეცდომები	• მრიცხველის სიზუსტის კვლევა; განსაკუთრებული ყურადღება მსხვილ აბონენტებზე.
უკანონო მოხმარება	• რეგულარული შემოწმება იმ ადგილებში, სადაც საეჭვოა წყლის ქურდობა.
სამარაგო ავზებიდან გაჟონვები და გადინება	• რეგულარული შემოწმება, დაკვირვება და სამარაგო ავზების შეკეთება.
მაგისტრალებსა და სამომხმარებლო დაერთების მილებზე გაჟონვები და მილის დაზიანება	• დაზიანებებსა და გაჟონვებზე სწრაფი რეაგირება და შეკეთება. • მილსადენების რეგულარული შემოწმება ხილული გაჟონვის დასადგენად. • გაჟონვის აღმომჩენი აღჭურვილობის შესყიდვა. • გაჟონვის იდენტიფიცირება მოწინავე ტექნოლოგიის გაჟონვის გამოვლენის მოწყობილობების გამოყენებით (აკუსტიკური და სხვა). • მენტორობა და ტრენინგი გაჟონვის გამოვლენის შესახებ. • გაჟონვის მიზნობრივი აღმოჩენა გაჟონვის მოძიების თანამედროვე ტექნოლოგიის გამოყენებით. • ინფრასტრუქტურული აქტივების მართვის სამსახურის ანალიზის საფუძველზე მილების გამოცვლის ბიუჯეტის შედგენა. • მილების გამოცვლა.

შენიშვნა: იხ. აღურიცხავი წყლის შემცირების სტრატეგია, 2021 წლის ნოემბერი

6.3. ენერგოეფექტურობა

2019 წელს ელექტროენერგიის ხარჯები სგწკ-ს საოპერაციო ხარჯების 21%-ს შეადგენდა[17].

ელექტროენერგიის მოხმარება შეიძლება დაიზოგოს აღურიცხავი წყლის შემცირებით. აღურიცხავი წყლის შემცირებას აქვს უფრო მაღალი პოტენციალი, შეამციროს მიმდინარე ენერგიის მოხმარება, ვიდრე ტუმბოებისა და ელექტროძრავების ეფექტურობის გაუმჯობესებას. ელექტროენერგიის მოხმარების შემცირება არამხოლოდ კომპანიის ფინანსური მაჩვენებლების გაუმჯობესებაზე მოახდენს გავლენას, არამედ ის მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს კლიმატური ცვლილებების წინააღმდეგ ბრძოლაში.

წყლის დანაკარგების და ენერგიის მოხმარების შემცირების მიზნობრივ ზომებს შეიძლება მნიშვნელოვანი ფინანსური ეფექტი ჰქონდეს. ტიპური ჩარევები, რომლებიც იწვევს ენერგიის დაზოგვას, არის შემდეგი: (1) გაუმართავი ტუმბოების ჩანაცვლება ან

[17] წყალმომარაგების კომპანიის ყოველწლიური ფინანსური ანგარიშები - 2019 წლის 31 დეკემბერი.

რეაბილიტაცია; (2) თანამედროვე და ეფექტური ტუმბოების და/ან ძრავების მონტაჟი; (3) სიხშირული მართვა; (4) ტუმბოს თვალის შესაბამისი მოწყობა; (5) ტუმბოს მუშაობის პარამეტრების ცვლილება (როდესაც ტუმბოები პარალელურად მუშაობს).

მცირე ზომის სატუმბი სადგურების მოწყობა ნაკლებად სავარაუდოა, რომ წარმოადგენდეს დაზოგვის მარტივ ზომას. თუმცა, ენერგოაუდიტი მოიცავს მცირე ობიექტებსაც, რადგან შეიძლება მათ დასჭირდეს რეაბილიტაცია ან ცვლილება. სხვა ელექტრომექანიკური აღჭურვილობა, რომელსაც კომპანია უწევს ოპერირებას, უმეტესწილად უფრო მცირე ზომისაა და შესაბამისად მათზეც იგივე ითქმის, რაც მცირე სატუმბო სადგურებზე. ანალოგიურად ენერგოაუდიტი ჩატარდება ამ დანადგარებზეც.

კომპანია შესაბამისი სამუშაოების ჩატარების საფუძველზე გამოავლენს დანადგარებს, რომლებიც მოიხმარს ყველაზე მეტ ენერგიას და ჩაატარებს ენერგოაუდიტს, რომელიც დაადგენს დანაზოგის/ეკონომიის დონეს, რათა განისაზღვროს განხორციელების შესაძლებლობა და პრიორიტეტები.

ასევე, მოხდება ოფისებისა და საწყობების ენერგოეფექტურობის მოკვლევა.

7. აბონენტების მომსახურება

გამრიცხველიანება და ბილინგი

ჩვენების აღების, ბილინგისა და შემოსავლების მიღების არსებული პროცედურები საჭიროებს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის ცვლილებებს.,(დიაგრამა 8). რამდენიმე სერვის ცენტრში დამონტაჟდა ახალი ტექნოლოგიის მრიცხველები, რაც გულისხმობს მრიცხველის ჩვენებების ავტომატურად მიღებას, რამაც არსებითად გაუმჯობესა პროცესი (დიაგრამა 9). დაგეგმილია აღნიშნული სისტემის გავრცელება კომპანიის მასშტაბით, რაც სხვა საოპერაციო ღონისძიებებთან ერთად შეამცირებს მრიცხველის ჩვენების წაკითხვის ინტერვალებს.

დიაგრამა 8: მრიცხველის წაკითხვა



დიაგრამა 98: წყლის მრიცხველის ავტომატური წაკითხვა



აბონენტების მომსახურების გეგმა

კომპანიის არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლები სრულად გამრიცხველიანებულია, ხოლო საყოფაცხოვრებო მომხმარებლების დაახლოებით 1/3 გაუმრიცხველიანებელია დამათთვის დარიცხვა ხორციელდება მაცხოვრებლების სულადობის მიხედვით.[18]

დარიცხვებისა და შემოსავლების ამოღების ხარვეზები იწვევს შემოსავლების შემცირებას და შესაბამისად კომპანიის ფინანსური მდგომარეობის გაუარესებას.

[18] კომპანიის მონაცემებით, ერთი გაუმრიცხველიანებელი აბონენტი მოიცავს საშუალოდ 2.54 ადამიანს, ხოლო საქსტატის მონაცემებით, ერთ ოჯახში ცხოვრობს საშუალოდ 3.27 ადამიანი.

წყალმომარაგების კომპანია აღიარებს სისტემების გაუმჯობესების აუცილებლობას, რათა ყველა მომხმარებელმა გადაიხადოს თავის სამართლიანი წილი. ქვემოთ მოყვანილი კომერციული გეგმა მოიცავს შემდეგს: გამრიცხველიანებისა და ბილინგის პრაქტიკის გაუმჯობესება კომერციული ზარალის შესამცირებლად; აბონენტებთან ურთიერთობის გაუმჯობესებამომსახურების დონის ამაღლებით.

მოცემულ ცხრილში აღწერილია ბილინგისა და გამრიცხველიანების სტრატეგია მომდევნო სამი წლისათვის.

ცხრილი 7: გამრიცხველიანებისა და ბილინგის სტრატეგია

აქტივობა	რესურსები და ხარჯები	სარგებელი (ფინანსური)	სარგებელი (არაფინანსური)
დარიცხული შემოსავლების მონაცემების მართვის გაუმჯობესება	მრიცხველების ჩვენებების წაკითხვის ვარიანტების შემუშავება, მაგალითად, ინტერნეტის საშუალებით. • საყოფაცხოვრებო უმრიცხველო აბონენტების დარიცხვების სიზუსტის გაუმჯობესება • კომუნიკაცია სოციალურ სამსახურებთან.	კომერციული დანაკარგების შემცირება	გამრიცხველიანების საკანონმდებლო ვალდებულებების უკეთ შესრულება. გაზრდილი კომფორტი მომხმარებლებისთვის ელექტრონული ბილინგისა და გადახდის სისტემების გამოყენებით. გაუმჯობესებული დარიცხვების მაჩვენებელი და მომხმარებელთა ნდობა.
გამრიცხველიანების გაუმჯობესება	დამატებით წელიწადში 15,000 ოჯახის გამრიცხველიანება, რის შედეგადაც 2024 წლის ბოლოსთვის გამრიცხველიანების მაჩვენებელი 75%-ს შეადგენს.		
არსებული მრიცხველების შეკეთება და კალიბრაცია (ან შეცვლა)	დაახლოებით 10 000 მრიცხველი წელიწადში დაკალიბრდება და ხელახლა დაკალიბრდება		
გაუმჯობესებული ბილინგის სააღრიცხვო სისტემა	ელექტრონული ბილინგი და გადახდის სისტემები		

წყალმომარაგების კომპანია მუდმივად მუშაობს მომხმარებელთა მომსახურების დონის გაუმჯობესებაზე.სამომავლოდ სგწკ გეგმავს მიმდინარე პროცედურებისა და სამუშაოს

შეფასებას, რათა განსაზღვროს ის სფეროები, სადაც გაუმჯობესებაა პრიორიტეტულად საჭირო. სგწკ შემდგომში შეიმუშავებს ყოვლისმომცველ „აბონენტებთან ურთიერთობის მართვის სახელმძღვანელოს“, ასევე განიხილავს “ერთი ფანჯრის“ ტიპის სერვისის შექმნას, სადაც მომხმარებელს შეეძლება ნებისმიერ შეკითხვაზე მიიღოს პასუხი.

აბონენტებისათვის უმთავრესია, მიიღოს წინასწარი გაფრთხილება მიწოდების ნებისმიერი დაგეგმილი შეფერხების შესახებ. ამიტომ იგეგმება, რომ გაძლიერდეს თანამშრომლობა მედიასთან და მობილურ ოპერატორებთან, ინფორმაციის გავრცელების გასაუმჯობესებლად. აბონენტების მომსახურების გეგმა 2022 წლებისთვის მოცემულია წარმოდგენილ ცხრილში 8.

ცხრილი8: აბონენტების მომსახურების აქტივობები

აქტივობა	რესურსები და ხარჯები	სარგებელი (ფინანსური)	სარგებელი (არა ფინანსური)
აბონენტების მომსახურების დეპარტამენტის სტრუქტურის გადახედვა	სტრუქტურის გადახედვა და აბონენტებთან ურთიერთობის სახელმძღვანელოს დაწერა	შემოსავლების დროული ამოღება ინფორმირებულობის ამაღლება მოსახლეობაში, ცვლილებისადმი მზადყოფნის მიზნით სისტემის დაზიანების შესახებ მოსახლეობის უკუკავშირი. აბონენტების საჭიროებების უკეთ შეცნობა, რაც უკეთ უზრუნველყოფს საინვესტიციო დაგეგმარებას და ოპერირების პრაქტიკების შეცვლას.	ახალი დაერთებების უფრო დროული მოწყობა. კორპორაციული პასუხისმგებლობისა და საჯაროობის გაზრდა. მომსახურების გაუმჯობესებული ხარისხი. სგწკ-თან ურთიერთობის გაუმჯობესება აბონენტების მხრიდან. ტექნიკური დახმარება, მაგ. აბონენტები ითხოვენ ინფორმაციას წყლის ხარისხთან დაკავშირებით.
ოჯახების გამოკითხვა	ოჯახების რეგულარული გამოკითხვა		
ერთი ფანჯრის პრინციპი სგწკ-ს აბონენტებისათვის	ახლადდაკომპლექტებული სამსახურები. პერსონალის ტრენინგი რესტრუქტურიზაციის დროს.		
კომუნიკაციის სხვა აქტივობები	მეინსტრიმული მედიის გამოყენება წყლის მიწოდების შეფერხების შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად. SMS შეტყობინებები წყლის მიწოდების შეფერხების შესახებ.		

8. ინვესტიციები

8.1. სგწკ-ს ინვესტიციები: მიმდინარე და დაგეგმილი

ცხრილი 9: მიმდინარე ინვესტიციები

სგწკ-ს მიმდინარე და დაგეგმილი ინვესტიციები	
რეგიონები	ინვესტიციების ჯამი სულ ('000,000 ლარი)
გურია	57
იმერეთი	399
კახეთი	241
მცხეთა-მთიანეთი	250
სამეგრელო-ზემო სვანეთი	427
სამცხე-ჯავახეთი	486
რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი	256
შიდა ქართლი	196
ქვემო ქართლი	32
ქუთაისი	333
განუსაზღვრელი	617
ჯამი	3,295

8.2. საჭირო ინვესტიციები (საქსტატის მონაცემების მიხედვით)

საჭირო ინვესტიციები გამოითვლება სგწკ-ს ისტორიული გამოცდილების მიხედვით, სხვა კრიტერიუმების, ინფლაციისა და მომსახურების დონის გათვალისწინებით.

განსაზღვრული მიზნების მიღწევა იწყება რეალისტური საინვესტიციო სტრატეგიის შექმნითა და ვადებში გაწერილი სამოქმედო გეგმით. პირველ რიგში, უნდა შეფასდეს ღონისძიებების ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობა მომსახურების განსაზღვრული დონეების მიხედვით. საჭიროა ინვესტიციების ხარჯთსარგებლიანობის ანალიზი, ასევე, ბიუჯეტში კაპიტალური მოვლა-შენახვის ხარჯების გათვალისწინება. გარდა ამისა, წყალმომარაგების კომპანიამ უნდა გააძლიეროს აქტივების მართვის მიმართულებაა.

2021-2025 წლებში წყალმომარაგების კომპანიის მიმდინარე და დაგეგმილი ინვესტიციები სოფლად და ქალაქად შეადგენს 3,300 მილიონ ლარს. საიდანაც წყალმომარაგების გაუმჯობესებას დაახლოებით მოხმარდება 2,100 მილიონი ლარი, ხოლო წყალარინებას 1,200 მილიონი. 2030 წლისათვის მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად 2026-2030 წლებში გათვალისწინებული უნდა იყოს დამატებით 2,800 მილიონი ლარი წყალმომარაგებისათვის, ხოლო წყალარინებისათვის 3,100 მილიონი ლარი.

9. ფინანსური დაგეგმარება

კომპანიის ფინანსური ანალიზისთვის შემუშავდა 3 სცენარი, რომლებიც სხვადასხვა დაშვებებით გვიჩვენებს ალტერნატიულ ფინანსურ შედეგებს.

ფინანსური დაგეგმარებისათვის გამოყენებული იყომთავარი მამოძრავებელი ფაქტორები.

კატეგორია	ფაქტორი
უმრიცხველო აბონენტების საშუალო მოხმარება ლ/სული/დღე	350
მრიცხველიანი აბონენტების საშუალო მოხმარება ლ/სული/დღე	120
ოჯახის წევრების რაოდენობა	2.5
ტარიფის ზრდა (საყოფაცხოვრებო)	0%
ტარიფის ზრდა (კომერციული)	0%
ელ. ენერგიის ტარიფი 2021 (ლ/კვტ. სთ)	0.24
ელ. ენერგიის ტარიფი 2024 (ლ/კვტ.სთ)	0.30
ელ. ენერგიის ტარიფი 2027 (ლ/კვტ. სთ)	0.35
პროგნოზირებული ინფლაციის დონე	3%
წყლის ახალი ბენეფიციარების რაოდენობა მიმდინარე ინვესტიციებით (2020-2025)	200,349
წყალარინების ახალი ბენეფიციარების რაოდენობა მიმდინარე ინვესტიციებით (2020-2025)	39,340

ძირითადი მამოძრავებელი ფაქტორები გამოყენებულია შემდეგი ვარაუდების საფუძველზე:

(i) უმრიცხველო აბონენტების საშუალო მოხმარება ლ/სული/დღე. ივარაუდება, რომ წყლის საშუალო მოხმარება უმრიცხველო მომხმარებლებისათვის უდრის 350 ლიტრს, ხოლო წყლის საშუალო მოხმარება მრიცხველიანი აბონენტების შემთხვევაში - 120 ლიტრს.

(ii) ოჯახის წევრების რაოდენობა - ვარაუდი გაკეთდა, რომ ოჯახის წევრების რაოდენობა იქნება 2.5 წევრი ოჯახზე. ეს ვარაუდები გაკეთდა სტატისტიკის საფუძველზე, რომელიც აჩვენებს, რომ ქალაქებში ოჯახებს ჰყავთ ნაკლები წევრები, ვიდრე სოფლებში. ამავე დროს გამრიცხველიანება უფრო ხშირია ქალაქებში.

(iii) ელექტროენერგიის ტარიფის ზრდა (ლარი/კვტსთ) - 2021 წლიდან ელექტროენერგიის საშუალო ტარიფი გაიზარდა [.24 ლარ/კვტსთ]. 2024 და 2027 წლებში ტარიფების გაზრდის ვარაუდები გაკეთებულია ისტორიული ზრდის ტემპის საფუძველზე. ეს ვარაუდი ეფუძნება იმ ფაქტს, რომ Energo Pro-მ, სგწკ-ს ენერგიის მთავარმა მიმწოდებელმა, რამდენჯერმე გაზარდა ელ. ენერგიის ტარიფი. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია, გავითვალისწინოთ ეს დინამიკა და ვივარაუდოთ, რომ ელექტროენერგიის ტარიფი კვლავ გაიზრდება.

(iv) ტარიფი - წყლის ტარიფი არ შეცვლილა 2010 წლიდან. ვარაუდობენ, რომ მაქსიმალური დასაშვები ტარიფი არ შეიცვლება.

(v) ინფლაციის პროგნოზირებული მაჩვენებელი - ეს ფაქტორი პროგნოზირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) შეტყობინების საფუძველზე. სებ–ის მიზნობრივი ინფლაცია განისაზღვრება ყოველწლიურად 3% –ით.

(vi) ახალი ბენეფიციარების რაოდენობა მიმდინარე ინვესტიციების მიხედვით (2020-2025). სგწკ უკვე ახორციელებს საინვესტიციო პროექტებს. ამრიგად, ეს კონკრეტული ფაქტორი განისაზღვრა მიმდინარე ინვესტიციების საფუძველზე.

9.1. სცენარი 1

საბაზისო სცენარში გათვალისწინებულია არსებული დაფარვის არეალები. ეს სცენარი მოიცავს ინვესტიციებს მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად.

ცხრილი 103: სცენარი 1 ფინანსური შედეგები

საბაზისო სცენარი 1, მლნ ლარი	2021	2022	2023	2024	2025	2026	2027	2028	2029	2030
შემოსავალი	63	45	46.10	47	48	58	69	83	90	95
მასალები & მოვლა-პატრონობა	6	6	6	7	7	7	7	7	8	8
პერსონალის ხარჯები	28	31	33	35	36	46	58	72	81	92
ელექტრობა	28	30	29	35	33	37	49	56	59	59
ხარჯები	10	10	11	11	11	14	17	21	23	24
საშემოსავლო გადასახადის გარდა სხვა გადასახადი	11	13	17	22	27	33	41	51	60	64
ოპერირება და ექსპლუატაცია ცვეთის გარეშე	83	90	95	109	114	137	172	208	230	247
EBITDA	(20)	(45)	(49)	(61)	(66)	(79)	(103)	(125)	(139)	(152)
ცვეთა	20	23	35	48	61	76	94	117	143	174
EBIT	(40)	(68)	(84)	(109)	(127)	(155)	(198)	(242)	(283)	(326)

დიაგრამა 10: საოპერაციო ხარჯი და კაპიტალური ხარჯები შემოსავლების ფონზე (გაუმჯობესების გარეშე)



9.2. სცენარი 2

სცენარი 2 ითვალისწინებს გაუმჯობესებას:სემეკის მიერ 2010 წელს დადგენილი მაქსიმალური ზღვრული ტარიფის გამოყენება გაუმრიცხველიანებელი მომხმარებლებისთვის, კომერციული ზარალის დაახლოებით 60%–ით შემცირება. ეს სცენარი მოიცავს ინვესტიციებს მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად.

ცხრილი 114: სცენარი 2 ფინანსური შედეგები

საბაზისო სცენარი გაუმჯობესებით, მლნ ლარი	2021	2022	2023	2024	2025	2026	2027	2028	2029	2030
შემოსავალი	63	59	73	75	76	91	110	132	143	151
მასალები & მოვლა-პატრონობა	6	6	6	7	7	7	7	7	8	8
პერსონალის ხარჯები	28	31	31	31	30	36	43	51	54	58
ელექტრობა	28	24	24	27	25	30	42	50	54	57
ხარჯები	10	10	11	11	11	14	17	21	23	24
საშემოსავლო გადასახადის გარდა სხვა გადასახადი	11	13	17	22	27	33	41	51	60	64
ოპერირება და ექსპლუატაცია ცვეთის გარეშე	83	84	88.7	97	100	119	150	181	198	211
EBITDA	(20)	(25)	(16)	(23)	(23)	(28)	(40)	(49)	(55)	(60)
ცვეთა	20	23	35	48	61	76	94	117	143	174
EBIT	(40)	(48)	(50)	(70)	(84)	(104)	(134)	(166)	(198)	(235)

9.3. სცენარი 3

სცენარი 3 ითვალისწინებს სცენარ 2-ში წარმოდგენილ დაშვებებს, როგორც საფუძველს და დამატებით ითვალისწინებს ტარიფის ზრდას 2023 წლის საოპერაციო ხარჯებისა და 2026 წლის კაპიტალური მოვლა-შენახვის ხარჯების დასაფარად, რომლებიც გამოითვლება აქტივების ჩანაცვლების ღირებულების 1.5%-ით წელიწადში.

ცხრილი 12: სცენარი 3 ფინანსური შედეგები

სცენარი 3, ტარიფის გაზრდა, მლნ ლარი	2021	2022	2023	2024	2025	2026	2027	2028	2029	2030
შემოსავალი	63	110	134	138	141	173	213	262	286	302
მასალები & მოვლა-პატრონობა	6	6	6	7	7	7	7	7	8	8
პერსონალის ხარჯები	28	31	31	31	30	36	43	51	54	58
ელექტრობა	28	24	24	27	25	30	42	50	54	57
ხარჯები	10	10	11	11	11	14	17	21	23	24
საშემოსავლო გადასახადის გარდა სხვა გადასახადი	11	13	17	22	27	33	41	51	60	64
ოპერირება და ექსპლუატაცია ცვეთის გარეშე	83	84	89	97	100	119	150	181	198	211
EBITDA	(20)	26	45	41	42	54	64	81	87	91

ცვეთა	20	23	35	48	61	76	94	117	143	174
EBIT	(40)	3	11	(7)	(19)	(22)	(31)	(36)	(56)	(83)

9.4. საოპერაციო კოეფიციენტები

ცხრილი 13: საოპერაციო კოეფიციენტები 2023 ფინანსური წლისათვის

		სცენარი 1 საბაზისო სცენარი	სცენარი 2 სცენარი გაუმჯობესებით	სცენარი 3 სცენარი ტარიფის გაზრდით
ტარიფები				
მრიცხველიანი საყოფაცხოვრებო	ლ/მ³	0.45	0.45	1.60
უმრიცხველო საყოფაცხოვრებო	ლ/სული/თვე	1.16	2.03	7.21
კომერციული აბონენტები	ლ/მ³	3.67	3.67	3.67
ფინანსური მაჩვენებლები				
შემოსავალი 2023	მლნ ლარი	46	73	134
საოპერაციო ხარჯი 2023	მლნ ლარი	95	89	89
EBITDA 2023	მლნ ლარი	(49)	(16)	45
საოპერაციო კოეფიციენტი 2023	კოეფიციენტი	2.07	1.22	0.66
EBIT 2023	მლნ ლარი	(84)	(50)	11

10. პროგნოზირებული ბიუჯეტები

წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია პროგნოზირებული ბიუჯეტი რომლებიც შემუშავებულია მეორე სცენარის საფუძველზე, რაც ითვალისწინებს გაუმჯობესებას, მაგრამ არა ტარიფის ზრდას.

ცხრილი 145: პროგნოზირებული ბიუჯეტი, 2022-2024

საოპერაციო ბიუჯეტი **'000 GEL**	2021	2022	2023	2024	2021-სა და 2024-ის სხვაობა	პროცენტული ცვლილება (2021-2024)
საოპერაციო შემოსავალი სუბსიდიის გარეშე						
წყლის სერვისები	37,613	49,505	61,448	63,270	25,657	68%
წყალარინების სერვისები	5,986	7,594	9,208	9,334	3,348	56%
სხვა შემოსავალი	2,137	2,201	2,268	2,336	198	9%
მთლიანი საოპერაციო შემოსავალი	**45,737**	**59,301**	**72,923**	**74,940**	**29,203**	**64%**
საოპერაციო ხარჯები						
სასაქონლო მარაგების/ნედლეულის შეძენა	3,635	3,744	3,856	3,972	337	9%
საწვავი	2,391	2,462	2,536	2,612	222	9%
კომუნალური ხარჯები	28,289	23,926	23,876	27,068	(1,221)	-4%
შრომის ანაზღაურება	28,435	31,386	30,945	31,104	2,669	9%
მივლინება	300	319	331	341	41	14%
დაცვის ხარჯები	763	812	841	869	105	14%
დაზღვევა	169	180	186	192	23	14%
მიმდინარე რემონტი	2,500	2,660	2,755	2,845	345	14%
რეკლამა, მარკეტინგი	21	23	24	24	3	14%
ოფისის ხარჯები	209	222	230	237	29	14%
იჯარა	1,042	1,109	1,148	1,186	144	14%
სხვა ხარჯები	4,781	5,087	5,268	5,442	660	14%
გადასახადები	10,576	12,562	16,678	21,588	11,012	104%
მთლიანი საოპერაციო ხარჯები	**83,110**	**84,492**	**88,674**	**97,481**	**14,371**	**17%**
წმინდა საოპერაციო შემოსავალი	**(37,374)**	**(25,191)**	**(15,751)**	**(22,541)**	**14,832**	**-40%**

11. განვითარების გეგმა

საკითხი	აქტივობა	შუალედური შედეგი	საბოლოო შედეგი	ვადა
ინფრასტრუქტურის სამინისტროს სამოქმედო არეალში არსებულ ყველა მოსახლეს ექნება წყალმომარაგება და კანალიზაციის მომსახურებები ხელმისაწვდომობის პირობებში 2030 წლისათვის. მომსახურებების მიწოდება მოხდება მდგრადი ინსტიტუტებითა და გარემოს დაცვასასთან დაკავშირებული მიმართულებების გათვალისწინებით.	სგწკ მიაღწევს მდგრადი განვითარების მიზნებს ქალაქებში2025 წლის ბოლოს და სოფლებში 2030 წლისათვის. სგწკ გააუმჯობესებს საქმიანობას და შეიცვლება	სოფლსებსა და ქალაქებში გასაკეთებელი სამუშაოები დასრულდება 2030 წლისათვის. სოფლისა და ქალაქის წყლისა და წყალარინების მომსახურებების ოპერირება ხდება განსაზღვრული სტრუქტურით	წყლისა და წყალარინების სექტორი პოზიტიურ გავლენას ახდენსქვეყანის ეკონომიკურ მდგომარეობაზე.	2021 - 2030
სგწკ-ს ამჟამინდელი საქმიანობა ვერ უზრუნველყოფს საოპერაციო ხარჯების დაფარვას და საჭიროა სახელმწიფო ბიუჯეტიდან სუბსიდიები	სგწკ იცვლება და ფარავს კაპიტალური ხარჯებსა საოპერაციო ხარჯებს		სუბსიდიები და სახელმწიფო ბიუჯეტზე ფინანსური დამოკიდებულება მცირდება	4 კვარტალი 2026
	კომერციული დანაკარგების შემცირება + უმრიცხველო აბონენტებისათვის გაზრდილი ტარიფი. საოპერაციო ხარჯები 2023 წელს: 88.7 მლნ ლარი, საბაზისო სცენარი 2023: 46.1 მლნ ლარი; სხვაობა: 42.6 მლნ. უმრიცხველო აბონენტების გაზრდილი ტარიფი	სგწკ ფარავს საოპერაციო ხარჯებს, საოპერაციო კოეფიციენტი =1		4 კვარტალი 2023

	+2.8 მლნ; კომერციული დანაკარგების 60% შემცირება +24.4 16 მლნ სხვაობის გადანაწილება ხარჯების შესამცირებლად ან ხელფასების გასაზრდელად			
	2023: კაპიტალური მოვლა-შენახვა + საოპერაციო ხარჯი115.მლნ ლარი საოპერაციო ხარჯები 88.7 და კაპიტალური მოვლა-შენახვის ხარჯები= 26.9 მლნ ლარი 2026: კაპიტალური მოვლა-შენახვა + საოპერაციო ხარჯი=173.3 მლნ ლარი საოპერაციო ხარჯი=119.2 + კაპიტალური მოვლა-შენახვა= 54.1 მლნ ლარი სხვაობა უნდა დაიფაროს გაუმჯობესებული რეალიზაციით და ტარიფებით	UWSCG ფარავს საოპერაციო ხარჯისაოპერაციო და კაპიტალური მოვლა-შენახვის ხარჯები		4კვარტალი 2026
	სგწკ-ს რესტრუქტურიზაცია HR გეგმით	სათავო ოფისი: სტრატეგიული მმართველობა, აქტივების ძლიერი მართვა.		2კვარტალი 2022

		რეგიონული ფილიალების გაძლიერება		
	სოფლის წყლისა და კანალიზაციის სტრუქტურა			4კვარტალი 2021
	PSP განხორციელება და აუთსორსინგის პროგრამა	ოპერირების გაუმჯობესება	საოპერაციო ეფექტურობის გაზრდა	1კვარტალი 2022 – 4კვარტალი 2025 (შესაძლო გახანგრძლივებით
	ოპერირების გაუმჯობესება აღურიცხავი წყლის შემცირება	დანაკარგები შემცირება 30%-ით, აღურიცხავი წყლის შემცირება 47%-ით 2025 წლისათვის / რეალიზაციის გაზრდა, საოპერაციო ხარჯი შემცირება	სგწკს გაუმჯობესებული ფინანსური მაჩვენებლები	3კვარტალი 2021 – 4კვარტალი 2025
	ოპერირების გაუმჯობესება აქტივების მართვა	ოპერირების გაუმჯობესება / გრძელვადიანი შემცირება დანაკარგების, საოპერაციო ხარჯი & კაპიტალური ხარჯები შემცირება		1კვარტალი 2021 – 4კვარტალი 2025
	ენერგოეფექტურობა	საოპერაციო ხარჯი შემცირება		3კვარტალი 2021 – 4კვარტალი 2025
	რეგიონული ლაბორატორიების გაუმჯობესება, ტესტირების ხარისხის გაუმჯობესება	წყლის ხარისხისა და წყალარინების გაწმენდის ხარისხის გაუმჯობესება		4კვარტალი 2021 – 4კვარტალი 2023
	მომხმარებელთა მომსახურების გაუმჯობესება (მომხმარებლის მოვლა და CSM, გაზომვა, ბილინგი, გამოკითხვები)	მომსახურების გაუმჯობესება, გაყიდვების ზრდა		3კვარტალი 2021 – 4კვარტალი 2023
	კომერციული აბონენტების მომსახურებების პროგრამა	მომსახურების გაუმჯობესება, გაყიდვების ზრდა		3კვარტალი 2021 – 4კვარტალი 2022

საქართველოს მთავრობა, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მეშვეობით, მზად არის უზრუნველყოს სასმელი წყლის უსაფრთხოება და სანიტარული მომსახურება, როგორც ეს აღწერილია მდგრადი განვითარების მიზნებში ქვეყნის ყველა მაცხოვრებლისათვის.	აღწევს 24/24 წყალმომარაგებისა და ჩამდინარე წყლების მომსახურებას ყველასთვის. SDG/GEOSTAT- ის მიხედვით განსაზღვრული არსებული ურბანული და სოფლის ჩამორჩენილობა დაფარული იქნება 2030 წლისთვის.		6.1 და 6.2 მდგრადი განვითარების მიზნების შესრულება	წყალმომარაგება 2025 წლისათვის წყალარინება 2030 წლისათვის
	სამოქმედო დაგეგმვა სისტემის ჯგუფების მიხედვით (იხ. თავი 4.2), დეტალური შეფასებები, შესაძლებლობების გაუმჯობესებისა და ინვესტიციების განსაზღვრა: უმაღლესი პრიორიტეტული ჯგუფი 1: ოპერატიული გაუმჯობესება და ინვესტიციები ჯგუფი 3: სამოქმედო გეგმა, რომელიც ორიენტირებულია კომერციულ ოპერაციებზე ჯგუფი 4: სამოქმედო გეგმა ტექნიკური ოპერაციებისა და რეაბილიტაციების ფოკუსირებით ჯგუფი 2: გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა			1კვარტალი 2022
	კაპიტალური ინვესტიციები ქალაქებისთვის: 635მლნ ლარი - წყალი ინვესტიციები ახალი კანალიზაციის			წყალი 2021 – 2025 წყალარინება 2021 - 2030

	მილები და გაწმენდა 1,480 მლნ ლარი			
	სოფლის: ინვესტიციები წყალში 4,280 მლნ [ლარი] ინვესტიციები ჩამდინარე წყლებისა და სანიტარული სისტემისთვის 2,820 მილიონი [ლარი]			2021 - 2030

დანართები

დანართი A1. ბიზნესგეგმა/ინვესტიციების შეფასება სემეკის წესების მიხედვით

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ (სემეკი) დაამტკიცა ინვესტიციების შეფასების წესი 2021 წლის 29 ივლისის N36 ბრძანებულებით (შემდგომში - წესი). მან შეცვალა წინა წესი დამტკიცებული N27 ბრძანებულებით, დათარიღებული 2019 წლის 22 ნოემბრით.

სგწკ-მ, როგორც ლიცენზირებულმა პირმა, მოამზადა ქვემოთ მოცემული ფორმები აღნიშნული წესით დადგენილი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. წარმოდგენილი ფორმები შეიცავს შემდეგ ინფორმაციას:

1. გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმები-ფორმა N1;

2. პრიორიტეტული მატრიცა - ფორმა N2;

3. მოკლევადიანი საინვესტიციო პროექტები-ფორმა N3;

4. მიმდინარე და სამომავლო სამუშაოების ღირებულების გაანგარიშება მოკლევადიანი და გრძელვადიანი ინვესტიციებით - ფორმა N9.

მოკლევადიანი ინვესტიციები ითვალისწინებს წესით განსაზღვრული პროექტების დასრულებას 2022-2024 წლებში. რაც შეეხება გრძელვადიან ინვესტიციებს, ის მოიცავს 2021-2030 წლების პერიოდს.

ინვესტიციების საერთო მიზანია წყალმომარაგებისა და სანიტარული მომსახურების მიწოდება ყველასთვის 2030 წლისთვის, როგორც ეს განსაზღვრულია გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებით (SDGs) 6.1 და 6.2. სგწკ-ს მომსახურების ზონა საინვესტიციო გეგმის მიხედვით განიხილება საქართველოში არსებული ყველა ზონა, რომელიც არ არის დაფარული არსებული ლიცენზირებული სუბიექტებით, საერთო რაოდენობით დაახლოებით 2,092 მილიონი ადამიანი.

ინფორმაციის დამტკიცებულ ფორმებში წარმოდგენამდე მოწოდებულია გრძელვადიანი ინვესტიციებისთვის KPI–ების გაანგარიშების მეთოდოლოგია. KPI–ების განსაზღვრის მიზნით, სემეკის წესით, გაანალიზებულია პროექტების ისტორიული გამოცდილება და შესაბამისი საერთაშორისო პრაქტიკა.

პრიორიტეტული მატრიცა აღწერს სემეკის წესით დადგენილ 11 KPI–ის ამჟამინდელ სტატუსს და მათ მნიშვნელობას. ანალიზი გაკეთდა არსებული ინფორმაციისა და საერთაშორისო პრაქტიკის საფუძველზე.

მოკლევადიან ინვესტიციებში შედის ის პროექტები, რომლებიც დაგეგმილია 2024 წლისთვის. ინდივიდუალური პროექტები გაანალიზებულია იმის განსაზღვრისათვის, თუ როგორ იმოქმედებს ისინი KPI–ებზე. ასევე, გამოყენებულია შესაბამისი ვარაუდები. ზოგიერთი პროექტი უკვე დაწყებულია და ზოგი შესყიდვის პროცესშია.

საერთო ჯამში, წარმოდგენილი საინვესტიციო გეგმა მიზნად ისახავს მოსახლეობის მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას.

x									სასმელი წყალი		კანალიზაცია	
									ქალაქად	სოფლად	ქალაქად	სოფლად
		KPIs	სამუშაოები	% of DW კაპიტალური ხარჯები	% of WW კაპიტალური ხარჯები	იხ.	ინფრასტრუქტურა ინვესტიციის ერთეული ფასი ლ/კაცი	პროპორცია	469,189	3,831,165	1,289,436	2,778,307
1	კაპიტალური ხარჯები & კაპიტალური მოვლა-შენახვის	მიწოდებული სასმელი წყლის ხარისხი	Source / WTW / FS / DS	45%	-	1.1	გამწმენდი ნაგებობა	40%	99,656	813,739		
		მიწოდებული სასმელი წყლის ხარისხი				1.2	საქლორატორო	15%	37,371	305,152		
		მიწოდებული სასმელი წყლის ხარისხი				1.3	ლაბორატორია	10%	24,914	203,435		
		მიწოდებული სასმელი წყლის ხარისხი				1.3.1	აკრედიტაცია	5%	12,457	101,717		
		მიწოდებული სასმელი წყლის ხარისხი				1.3.2	აღჭურვა	10%	24,914	203,435		
		მიწოდებული სასმელი წყლის ხარისხი				1.4	კანალიზაციის ზონა	15%	37,371	305,152		
		მიწოდებული სასმელი წყლის ხარისხი				1.5	სხვა	5%	12,457	101,717		

2	კაპიტალური ხარჯები	წყალმომარაგების მიწოდების ზონა	ტუმბოები / რეზს/ DMA	53%	n-a	2.1	სათავე	10%	29,343	239,601		
		წყალმომარაგების მიწოდების ზონა				2.2	გამწმენდი ნაგებობა	15%	44,015	359,402		
		წყალმომარაგების მიწოდების ზონა				2.3	საქლორატორო	15%	44,015	359,402		
		წყალმომარაგების მიწოდების ზონა				2.4	რეზერვუარი	10%	29,343	239,601		
		წყალმომარაგების მიწოდების ზონა				2.5	სატუმბო სადგური	5%	14,672	119,801		
		წყალმომარაგების მიწოდების ზონა				2.6	გამანაწილებელი ქსელი	30%	88,029	718,803		
		წყალმომარაგების მიწოდების ზონა				2.7	მაგისტრალი	10%	29,343	239,601		
		წყალმომარაგების მიწოდების ზონა				2.8	სხვა	5%	14,672	119,801		
3	კაპიტალური მოვლა-შენახვის	წყალმომარაგების უწყვეტობა	მიღების შეკეთება	n-a	n-a	3.1	სათავეების მშენებლობა	15%				
		წყალმომარაგების უწყვეტობა				3.2	არსებული სათავეების წარმადობის გაზრდა	15%				
		წყალმომარაგების უწყვეტობა				3.3	ქსელის რეაბილიტაცია (გამანაწილებელი)	25%				
		წყალმომარაგების უწყვეტობა				3.4	ქსელის რეაბილიტაცია (მაგისტრალური)	20%				
		წყალმომარაგების უწყვეტობა				3.5	წნევის მართვა	5%				

		წყალმომარაგების უწყვეტობა				3.6	ზონირება	5%				
		წყალმომარაგების უწყვეტობა				3.7	AMR მრიცხველი	5%				
		წყალმომარაგების უწყვეტობა				3.8	გამრიცხველიანება	5%				
		წყალმომარაგების უწყვეტობა				3.9	სხვა	5%				
4	კაპიტალური ხარჯები	წყალარინების მომსახურეზების არეალი	ტუმბოები / კანალიზაციის მილები	n-a	62.0%	4.1	გამწმენდი ნაგებობა	40%			377,340	813,044
		წყალარინების მომსახურეზების არეალი				4.2	სატუმბო სადგური	5%			47,168	101,630
		წყალარინების მომსახურეზების არეალი				4.3	წყალარინების ქსელი	50%			471,676	1,016,305
		წყალარინების მომსახურეზების არეალი				4.4	სხვა	5%			47,168	101,630
5	კაპიტალური ხარჯები	ჩაშვებული გაწმენდილი წყლის ხარისხი	გამწმენდი ნაგებობა	n-a	38.0%	5.1	გამწმენდი ნაგებობა	55%			318,001	685,186
		ჩაშვებული გაწმენდილი წყლის ხარისხი				5.2	ლაბორატორია	15%			86,727	186,869
		ჩაშვებული გაწმენდილი წყლის ხარისხი				5.2.1	აკრედიტაცია	5%			28,909	62,290
		ჩაშვებული გაწმენდილი წყლის ხარისხი				5.2.2	აღჭურვილობა	5%			28,909	62,290
		ჩაშვებული გაწმენდილი წყლის ხარისხი				5.3	სანიტარიული ზონა	10%			57,818	124,579

		ჩაშვებული გაწმენდილი წყლის ხარისხი				5.4	სხვა	10%			57,818	124,579
6	კაპიტალური ხარჯები &	სახანძრო ჰიდრანტების რაოდენობა	H-nts	2%	n-a	6.1	ჰიდრანტები	50%	5,536	45,208		
		სახანძრო ჰიდრანტების რაოდენობა				6.2	არსებული სისტემის რეაბილიტაცია	40%	4,429	36,166		
		სახანძრო ჰიდრანტების რაოდენობა				6.3	სხვა	10%	1,107	9,042		
7	კაპიტალური მოვლა-შენახვის	მილების გახეთქვის რაოდენობა, წყალმომარაგება	შეკეთება / WDM	n-a	n-a	7.1	ქსელის რეაბილიტაცია (გამანაწილებელი)	25%				
		მილების გახეთქვის რაოდენობა, წყალმომარაგება				7.2	ქსელის რეაბილიტაცია (მაგისტრალური)	25%				
		მილების გახეთქვის რაოდენობა, წყალმომარაგება				7.3	წნევის მართვა	25%				
		მილების გახეთქვის რაოდენობა, წყალმომარაგება				7.4	სხვა	25%				
8	კაპიტალური	გაბიდვნა, წყალარინება	შეკეთება	n-a	n-a	8.1	წყალარინების ქსელის შეკეთება	75%				
		გაბიდვნა, წყალარინება				8.2	სხვა	25%				

9	კაპიტალური მოვლა-შენახვის	სასმელი წყლის ინფრასტრუქტურის გაჟონვის ინდექსი	შეკეთება / WDM	n-a	n-a	9.1	ქსელის რეაბილიტაცია (გამანაწილებელი)	40%				
		სასმელი წყლის ინფრასტრუქტურის გაჟონვის ინდექსი				9.2	ქსელის რეაბილიტაცია (მაგისტრალური)	25%				
		სასმელი წყლის ინფრასტრუქტურის გაჟონვის ინდექსი				9.3	წნევის მართვა	10%				
		სასმელი წყლის ინფრასტრუქტურის გაჟონვის ინდექსი				9.4	ზონირება	15%				
		სასმელი წყლის ინფრასტრუქტურის გაჟონვის ინდექსი				9.5	გაჟონვების იდენტიფიცირების სისტემა	5%				
		სასმელი წყლის ინფრასტრუქტურის გაჟონვის ინდექსი				9.6	სხვა	5%				
10	კაპიტალური	პერსონალის პროდუქტიულობის ინდექსი	???	n-a	n-a	10.1	სისტემის ავტომატიზაცია	50%				
		პერსონალის პროდუქტიულობის ინდექსი				10.2	სხვა	50%				
11	კაპიტალურ	აბონენტების რაოდენობა, რომლებსაც უწყდება წყალი მილის გახეთქვის გამო	შეკეთება / WDM	n-a	n-a	11.1	ურდულების მოწყობა	80%				

		აბონენტების რაოდენობა, რომლებსაც უწყდება წყალი მილის გახეთქვის გამო				11.2	სხვა	20%				

გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმები		მიმდინარე ინვესტიციების შემდეგ ინდექსი	სამიზნე	გრძელვადიანი ინვესტიციის შემდეგი ინდექსი	პრიორიტეტი	განხორციელების თარიღები		ფასი ('000 ლარი)
№	სამუშაო					დაწყება	დასრულება	
1	მიწოდებული წყლის ხარისხის ინდექსი (DWPQ)	99%	100%	100%	5	2025	2030	1,935,159
1.1	გამწმენდი ნაგებობა					2025	2030	774,064
1.2	საქლორატორო					2025	2030	290,274
1.3	ლაბორატორია					2025	2030	193,516
1.3.1	აკრედიტაცია					2025	2030	96,758
1.3.2	აღჭურვილობა					2025	2030	193,516
1.4	სანიტარული ზონა					2025	2030	290,274
1.5	სხვა					2025	2030	96,758
2	წყალმომარაგების მიწოდების ზონა (DWCA)	100%	100%	100%	2	2025	2030	2,279,188
2.1	სათავე ნაგებობები					2025	2030	227,919
2.2	გამწმენდი ნაგებობა					2025	2030	341,878
2.3	საქლორატორო					2025	2030	341,878
2.4	რეზერვუარი					2025	2030	227,919
2.5	სატუმბო სადგური					2025	2030	113,959
2.6	გამანაწილებელი ქსელი					2025	2030	683,756
2.7	მაგისტრალი					2025	2030	227,919
2.8	სხვა					2025	2030	113,959
3	სასმელი წყალმომარაგების საშუალო გრაფიკი (CS)	20	24	24	1	2025	2030	-
3.1	სათავე ნაგებობების მშენებლობა					2025	2030	-
3.2	არსებული სათავეების წარმადობის გაზრდა					2025	2030	-
3.3	ქსელის რეაბილიტაცია (გამანაწილებელი)					2025	2030	-
3.4	ქსელის რეაბილიტაცია (მაგისტრალური)					2025	2030	-
3.5	წნევის მართვა					2025	2030	-
3.6	ზონირება					2025	2030	-
3.7	AMR მრიცხველი					2025	2030	-

3.8	გამრიცხველიანება					2025	2030	-
3.9	სხვა					2025	2030	-
4	წყალარინების მომსახურებებით დაფარვა (WWCA)	79%	100%	100%	8	2025	2030	2,522,001
4.1	გამწმენდი ნაგებობა					2025	2030	1,008,800
4.2	სატუმბო სადგური					2025	2030	126,100
4.3	წყალარინების ქსელი					2025	2030	1,261,000
4.4	სხვა					2025	2030	126,100
5	გაწმენდილი ჩაშვებული წყლის ხარისხი (WWPQ)	17%	100%	100%	10	2025	2030	1,545,742
5.1	გამწმენდი ნაგებობა					2025	2030	850,158
5.2	ლაბორატორია					2025	2030	231,861
5.2.1	აკრედიტაცია					2025	2030	77,287
5.2.2	აღჭურვა					2025	2030	77,287
5.3	სანიტარიული ზონა					2025	2030	154,574
5.4	სხვა					2025	2030	154,574
6	სახანძრო ჰიდრანტები	25%	100%	100%	11	2025	2030	86,007
6.1	ჰიდრანტები					2025	2030	43,004
6.2	არსებული სისტემის რეაბილიტაცია					2025	2030	34,403
6.3	სხვა					2025	2030	8,601
7	(DWPB) სასმელი წყლის მილების გახეთქვის ინდექსი	280	25	25	3	2025	2030	-
7.1	ქსელის რეაბილიტაცია (გამანაწილებელი)					2025	2030	-
7.2	ქსელის რეაბილიტაცია (მაგისტრალური)					2025	2030	-
7.3	წნევის მართვა					2025	2030	-
7.4	სხვა					2025	2030	-
8	(WWPB) წყალარინების მილების დაზიანების ინდექსი	858	25	25	9	2025	2030	-
8.1	წყალარინების ქსელის რეაბილიტაცია					2025	2030	-
8.2	სხვა					2025	2030	-

9	წყლის ინფრასტრუქტურის გაჟონვის ინდექსი (ILI)	98	1	1	4	2025	2030	-
9.1	ქსელის რეაბილიტაცია (გამანაწილებელი)					2025	2030	-
9.2	ქსელის რეაბილიტაცია (მაგისტრალური)					2025	2030	-
9.3	წნევის მართვა					2025	2030	-
9.4	ზონირება					2025	2030	-
9.5	გაჟონვების იდენტიფიკაციის სისტემა					2025	2030	-
9.6	სხვა					2025	2030	-
10	(SPI) პერსონალის პროდუქტიულობის ინდექსი	7	5	5	6	2025	2030	-
10.1	სისტემის ავტომატიზაცია					2025	2030	-
10.2	სხვა					2025	2030	-
11	სასმელი წყლის გამანაწილებელი ქსელების მოქნილობის ინდექსი (WPFI)	900	500	500	7	2025	2030	-
11.1	ურდულის მშენებლობა					2025	2030	-
11.2	სხვა					2025	2030	-
12	საჭირო ინვესტიციების პროგნოზირება					2025	2030	
13	ხარჯების ოპტიმიზაციის პროექტი					2025	2030	
14	სხვა					2025	2030	
	ჯამი					2025	2030	8,368,097

გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმა					
'000 ლარი	სასმელი წყალი		წყალარინება		
KPIs	ქალაქად	სოფლად	ქალაქად	სოფლად	გრძელვადიანი ინვესტიციები
მიწოდებული წყლის ხარისხის	211,135	1,724,024	-	-	1,935,159
წყალმომარაგების მიწოდების ზონა	248,670	2,030,517	-	-	2,279,188
წყალმომარაგების უწყვეტობა	-	-	-	-	-
წყალარინების მომსახურებების ზონა	-	-	799,450	1,722,550	2,522,001
გაწმენდილი ჩაშვებული წყლის ხარისხი	-	-	489,986	1,055,757	1,545,742
ჰიდრანტების ინდექსი	9,384	76,623	-	-	86,007
მილების გახეთქვა, წყალმომარაგება	-	-	-	-	-
გაბიდნვის რაოდენობა, წყალარინება	-	-	-	-	-
წყლის ინფრასტრუქტურის გაჟონვის ინდექსი	-	-	-	-	-
პერსონალის პროდუქტიულობის ინდექსი	-	-	-	-	-
მილის გახეთქვით დაზარალებული აბონენტების რაოდენობა	-	-	-	-	-
საჭირო ინვესტიციების	-	-	-	-	-
ხარჯების ოპტიმიზაციის პროექტი	-	-	-	-	-
სხვა	-	-	-	-	-
ჯამი	469,189	3,831,165	1,289,436	2,778,307	8,368,097

დანართი 2 ღონისძიებების პრიორიტეტების განმსაზღვრელი დიაგრამა												
არსებული მდგომარეობის შეფასება	დაბალი მაღალი	5				მიწოდებული წყლის ხარისხი	პერსონალის პროდუქტიულობის ინდექსი					
		4			სასმელი წყლის ინფრასტრუქტურის გაჟონვის ინდექსი			მილის გახეთქვით დაზარალებული აბონენტების რაოდენობა				
		3	წყალმომარაგების უწყვეტობა	მილების გახეთქვის რაოდენობა								ჰირდანტებით მოცული ზონა
		2							წყალარინების მომსახურების ზონა	გაბიდვნების რაოდენობა	გაწმენდილი ჩაშვებული წყლის ხარისხი	
		1		წყალმომარაგების მიწოდების ზონა								
			1	2	3	4	5	6	7	8	9	10
			მაღალი					დაბალი				
			პრიორიტეტების დონე									

დანართი 3 - მოკლევადიანი პროექტები		არსებული ინდექსი	მიზანი	ინვესტიციის შემდეგ ინდექსი	პრიორიტეტი	ხარჯები ('000 ლარი)				
ინდიკატორი და სამუშაო						ჯამი	2021	2022	2023	2024
1	მიწოდებული წყლის ხარისხის ინდექსი (DWPQ)	99%	100%	99%	5	28,844	7,324	10,267	7,802	3,451
1.1	გამწმენდი ნაგებობა					-	-	-	-	-
1.2	საქლორატორო					757	217	197	228	114
1.3	ლაბორატორია					-	-	-	-	-
1.3.1	აკრედიტაცია					-	-	-	-	-
1.3.2	აღჭურვილობა					-	-	-	-	-
1.4	სანიტარული ზონა					107	27	72	7	0
1.5	სხვა					27,979	7,079	9,997	7,566	3,336
2	წყალმომარაგების მიწოდების ზონა (DWCA)	95%	100%	100%	2	149,820	38,439	51,562	39,865	19,954
2.1	სათავე ნაგებობები					5,549	1,960	2,114	977	498
2.2	გამწმენდი ნაგებობა					-	-	-	-	-
2.3	საქლორატორო					757	217	197	228	114
2.4	რეზერვუარი					11,173	4,803	3,356	2,437	577
2.5	სატუმბო სადგური					5,594	2,002	1,504	1,334	754
2.6	გამანაწილებელი ქსელი					-	-	-	-	-
2.7	მაგისტრალი					32,019	7,414	11,266	8,028	5,311
2.8	სხვა					94,727	22,042	33,125	26,861	12,699
3	სასმელი წყალმომარაგების საშუალო გრაფიკი (CS)	19	24	20	1	186,026	47,320	64,672	49,617	24,416
3.1	სათავე ნაგებობების მშენებლობა					-	-	-	-	-
3.2	არსებული სათავეების წარმადობის გაზრდა					5,492	2,298	1,788	1,144	262
3.3	ქსელის რეაბილიტაცია (გამანაწილებელი)					47,908	13,582	15,917	12,560	5,849
3.4	ქსელის რეაბილიტაცია (მაგისტრალური)					32,019	7,414	11,266	8,028	5,311
3.5	წნევის მართვა					-	-	-	-	-
3.6	ზონირება					-	-	-	-	-
3.7	AMR მრიცხველი					-	-	-	-	-

3.8	გამრიცხველიანება					5,880	1,984	2,576	1,024	296
3.9	სხვა					94,727	22,042	33,125	26,861	12,699
4	წყალარინების მომსახურებებით დაფარვა (WWCA)	77%	100%	79%	8	96,451	25,040	37,590	23,338	10,484
4.1	გამწმენდი ნაგებობა					39,672	10,462	16,769	8,485	3,956
4.2	სატუმბო სადგური					1,800	626	945	219	9
4.3	წყალარინების ქსელი					4,999	2,117	2,181	638	63
4.4	სხვა					49,980	11,835	17,694	13,996	6,455
5	გაწმენდილი ჩაშვებული წყლის ხარისხი (WWPQ)	0%	100%	17%	10	89,759	22,324	34,535	22,488	10,411
5.1	გამწმენდი ნაგებობა					39,672	10,462	16,769	8,485	3,956
5.2	ლაბორატორია					-	-	-	-	-
5.2.1	აკრედიტაცია					-	-	-	-	-
5.2.2	აღჭურვა					-	-	-	-	-
5.3	სანიტარიული ზონა					107	27	72	7	0
5.4	სხვა					49,980	11,835	17,694	13,996	6,455
6	სახანძრო ჰიდრანტები	17%	100%	25%	11	5,233	1,627	2,263	1,131	212
6.1	ჰიდრანტები					-	-	-	-	-
6.2	არსებული სისტემის რეაბილიტაცია					-	-	-	-	-
6.3	სხვა					5,233	1,627	2,263	1,131	212
7	(DWPB) სასმელი წყლის მილების გახეთქვის ინდექსი	332	25	280	3	93,915	23,875	32,448	25,423	12,170
7.1	ქსელის რეაბილიტაცია (გამანაწილებელი)					35,931	10,187	11,938	9,420	4,387
7.2	ქსელის რეაბილიტაცია (მაგისტრალური)					8,005	1,854	2,816	2,007	1,328
7.3	წნევის მართვა					-	-	-	-	-
7.4	სხვა					49,980	11,835	17,694	13,996	6,455
8	(WWPB) წყალარინების მილების დაზიანების ინდექსი	1,140	25	858	9	49,980	11,835	17,694	13,996	6,455
8.1	წყალარინების ქსელის რეაბილიტაცია					-	-	-	-	-

8.2	სხვა					49,980	11,835	17,694	13,996	6,455
9	წყლის ინფრასტრუქტურის გაჟონვის ინდექსი (ILI)	124	1	98	4	71,542	18,771	24,733	18,990	9,048
9.1	ქსელის რეაბილიტაცია (გამანაწილებელი)					35,931	10,187	11,938	9,420	4,387
9.2	ქსელის რეაბილიტაცია (მაგისტრალური)					8,005	1,854	2,816	2,007	1,328
9.3	წნევის მართვა					-	-	-	-	-
9.4	ზონირება					-	-	-	-	-
9.5	გაჟონვების იდენტიფიკაციის სისტემა					-	-	-	-	-
9.6	სხვა					27,606	6,731	9,979	7,563	3,334
10	(SPI) პერსონალის პროდუქტიულობის ინდექსი	7	5	7	6	27,606	6,731	9,979	7,563	3,334
10.1	სისტემის ავტომატიზაცია					-	-	-	-	-
10.2	სხვა					27,606	6,731	9,979	7,563	3,334
11	სასმელი წყლის გამანაწილებელი ქსელების მოქნილობის ინდექსი (WPFI)	1,150	500	900	7	27,606	6,731	9,979	7,563	3,334
11.1	ურდულის მშენებლობა					-	-	-	-	-
11.2	სხვა					27,606	6,731	9,979	7,563	3,334
12	საჭირო ინვესტიციების პროგნოზირება					-	-	-	-	-
13	ხარჯების ოპტიმიზაციის პროექტი					-	-	-	-	-
14	სხვა					-	-	-	-	-
	ჯამი					826,782	210,015	295,722	217,776	103,269

დანართი № 9 –მიმდინარე და სამომავლო სამუშაოების ღირებულის გამოთვლა მოკლევადიანი საინვესტიციო გეგმების ფარგლებში				
ინდიკატორი და სამუშაოს დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ხარჯები ('000 GEL)	
			საშუალო ერთეულის ფასი	საერთო ხარჯები
საქლორატორო	კომპლექსი	8	189	1,515
რეზერვუარი	კომპლექსი	61	183	11,173
სატუმბო სადგური	კომპლექსი	20	280	5,594
არსებული სათავეების წარმადობის გაზრდა	კომპლექსი	80	69	5,492
ქსელის რეაბილიტაცია (გამანაწილებელი ქსელი)	კმ	1,718	97	166,736
გამრიცხველიანება	ც	4,359	0.19	847
სატუმბო სადგური	კომპლექსი	9	133	1,199
წყალარინების ქსელი	კმ	134	90	12,076

დანართი № 9 - –მიმდინარე და სამომავლო სამუშაოების ღირებულის გამოთვლა გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმების ფარგლებში				
ინდიკატორი და სამუშაოს დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ხარჯები ('000 GEL)	
			საშუალო ერთეულის ფასი	საერთო ხარჯები
რეზერვუარი	კომპლექსი	1,244	183	227,919
წყლის სატუმბო სადგური	კომპლექსი	858	280	240,059
წყალარინების სატუმბო სადგური	კომპლექსი	1,802	133	240,059
წყალარინების ქსელი	კმ	14,003	90	1,261,000

დანართი A2. სგწკ-ს მუშაობის ინდიკატორები

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ (MRDI) პრიორიტეტი მიანიჭა სამი სტრატეგიული მიზნის მიღწევას:

- უზრუნველყოს, რომ ყველა ურბანულ მომხმარებელს ჰქონდეს წვდომა სასმელი წყლით უწყვეტ მომარაგებაზე (DW) 2025 წლის ბოლოსთვის;
- 2030 წლისათვის საქართველოს ყველა მაცხოვრებლისათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა როგორც სასმელი წყლის (DW), ასევე ჩამდინარე წყლების (WW) მომსახურების უსაფრთხო დონეზე.
- საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის (UWSCG) საქმიანობის გაუმჯობესება და შეცვლა 2026 წლის ბოლოსთვის.

აღნიშნულისამი სტრატეგიული მიზნის ამოცანებისა და მიზნების მისაღწევად აუცილებელია პროგრესის ზუსტი და დროული მონიტორინგი. სტრატეგიული მიზნების შესრულების გასაზომად გამოვლენილია შესრულების ძირითადი ინდიკატორები (KPI).

აღნიშნული მაჩვენებლები ადგენს კავშირს გამოვლენილ KPI– ებსა და გამოვლენილ 3 სტრატეგიულ მიზანს შორის. KPI–ები ორგანიზებულია 4 საკითხის ირგვლივ:

• ფინანსური მაჩვენებელი;

• აბონენტთა მომსახურება (მომსახურების დონე);

• სგწკ-ს საოპერაციო პროცესები;

• სგწკ-ს ორგანიზაციული შესაძლებლობები.

ქვემოთ აღწერილი შესრულების ძირითადი ინდიკატორების რეგულარული ანგარიშგება აცნობებს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს (MRDI) ხელმძღვანელობას და საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ხელმძღვანელობას (UWSCG) დასახული მიზნების მიღწევის პროგრესის შესახებ. შერჩეულიKPI–ების შესახებ ანგარიში, ასევე, დაეხმარება იმ მიმართულებების იდენტიფიცირებაში, სადაც შეიძლება საჭირო გახდეს დამატებითი ჩარევა და მხარდაჭერა. ასეთი ჩარევა შეიძლება შეიცავდეს დამატებითი ფინანსური რესურსების გამოყენებას და/ან სხვა ინტერვენციებს.

საერთო ჯამში, KPI–ები შეაფასებს სამი სტრატეგიული მიზნის მიღწევას:

1. ინვესტიციის საჭიროება 24/7 მიწოდების უზრუნველსაყოფად [%, საჭრო თანხა/დაგეგმილი თანხა]

2. საჭირო ინვესტიცია სოფლის მოსახლეობის უსაფრთხო წყლით მომარაგების მიზნით; [%,საჭირო თანხა/დაგეგმილი თანხა]

3. საჭირო ინვესტიცია უსაფრთხო სანიტარული მდგომარეობის მოსაგვარებლად; [%, საჭირო თანხა/დაგეგმილი თანხა]

4. აქტივების უკუგება (RoA); [%, EBITDA / აქტივების ღირებულება]

5. ურბანული წყალმომარაგება 24/7 - დაფარვის არეალის გაზრდა (ადამიანების პროცენტული მაჩვენებელი 24/7 გარეშე); [საოპერაციო ხარჯები / საოპერაციო შემოსავალი]

6. სოფლის წყალმომარაგება - დაფარვის არეალის გაზრდა - სოფლის მოსახლეობა უსაფრთხო წყალმომარაგებაზე წვდომის გარეშე; [%, საჭირო ინვესტიციაკაპიტალური მოვლა-შენახვისთვის / დაგეგმილი ინვესტიცია კაპიტალური მოვლა-შენახვისთვის]

7. სანიტარული მომსახურება - ჩამორჩენის შემცირება - მოსახლეობის პროცენტი უსაფრთხო სანიტარიის ხელმისაწვდომობის გარეშე; [%, მომსახურების გარეშე მოსახლეობის რაოდენობა / სამიზნე მოსახლეობის რაოდენობა]

8. სგწკ-ს საოპერაციო კოეფიციენტი; [%, სოფელში მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობა / სამიზნე მოსახლეობის რაოდენობა]

9. სგწკ-ს კაპიტალური მოვლა-შენახვის ხარჯების დაფარვა; [მომსახურების გარეშე სოფლის მოსახლეობის% / სამიზნე მოსახლეობის რაოდენობა]

10. შემოსავალი ერთ მომხმარებელზე; [ლარი, მთლიანი შემოსავალი / მომხმარებელთა რაოდენობა]

11. სისტემაში შემავალი წყლის მოცულობის (SIV) რეალიზაციით მიღებული შემოსავალი [GEL / $მ^3$, წელი]

12. პერსონალის პროდუქტიულობის ინდექსი (SPI) - პერსონალის რაოდენობა 1000 მომხმარებელზე; [პერსონალის რაოდენობა / 1000 მომხმარებელი]

13. გადამზადებული პერსონალის რაოდენობა [%, გადამზადებული პერსონალის რაოდენობა / პერსონალის საერთო რაოდენობა].

	SG1 2025 წლისთვის 24/7 უსაფრთხო წყლის მიწოდების უზრუნველყოფა UWSCG– ის ყველა ქალაქში	SG2 SDG– ების მიღწევა 6.1 და 6.2 2030 წლისთვის	SG3 UWSCG უზრუნველყოფს კომპანიის ცვლილებას 2026 წლისთვის
ფინანსური მაჩვენებელი	საჭირო 2025 წლისთვის 24/7 მიწოდებაზე [%, საჭირო თანხა/დაგეგმილი თანხა]	საჭიროინვესტიცია სოფლის მოსახლეობის უსაფრთხო წყლით მომარაგების მიზნით; [%, ხელმისაწვდომი თანხა/დაგეგმილი თანხა]	. აქტივების უკუგება (RoA) [%, EBITDA / აქტივების ღირებულება]

		ინვესტიცია ხელმისაწვდომია უსაფრთხო სანიტარიის მოსაგვარებლად; [%, საჭირო თანხა/დაგეგმილი თანხა]	. საოპერაციო კოეფიციენტი [საოპერაციო ხარჯები / საოპერაციო შემოსავალი] . კაპიტალური მოვლა-შენახვის ხარჯების დაფარვა [%, საჭირო ინვესტიცია კაპიტალური მოვლა-შენახვისთვის / დაგეგმილი კაპიტალური მოვლა-შენახვა]
აბონენტთა მომსახურება (მომსახურების დონე)	ურბანული წყალმომარაგება - 2025 წლისთვის ჩამორჩენის შემცირება [%, ურჩი ურბანული მოსახლეობის რაოდენობა / სამიზნე მოსახლეობის რაოდენობა]	სოფლის წყალმომარაგება - ჩამორჩენის შემცირება - სოფლის მოსახლეობა უსაფრთხო წყალმომარაგებაზე წვდომის გარეშე [%, სოფელში მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობა / სამიზნე მოსახლეობის რაოდენობა] სანიტარული მომსახურება - ჩამორჩენისშემცირება - მოსახლეობის პროცენტი უსაფრთხო სანიტარული პირობების ხელმისაწვდომობის გარეშე [მომსახურების გარეშე მყოფი მოსახლეობის% / სამიზნე	0. შემოსავალი თითო მომხმარებელზე (მათ შორის სავარაუდო კომერციული ზარალი) [ლარი, მთლიანი შემოსავალი / მომხმარებელთა რაოდენობა]

		მოსახლეობის რაოდენობა]	
საოპერაციო პროცესები	სისტემაში შემავალი წყლის მოცულობის (SIV) რეალიზაციით მიღებული შემოსავალი [GEL / m^3, წელი]		
ორგანიზაციული შესაძლებლობები	პერსონალის პროდუქტიულობის ინდექსი (SPI) [პერსონალის რაოდენობა / 1000 მომხმარებელი] წელიწადში გადამზადებული პერსონალის რაოდენობა [%, გადამზადებული პერსონალის რაოდენობა / პერსონალის საერთო რაოდენობა]		

I. ფინანსური მაჩვენებელი

1. ფინანსური მიზნები: გარანტირებული ბიუჯეტი საჭირო ინვესტიციებისა და თანმხლები ღონისძიებების განსახორციელებლად;
2. KPI: საჭირო ინვესტიცია 24/7 წყალმომარაგების უზრუნველსაყოფად [%, საჭირო თანხა/დაგეგმილი თანხა]
3. ქმედებები/ინიციატივები: სგწკ-მ უნდა დაგეგმოს ინვესტიციები სტრატეგიული მიზნის მისაღწევად და უზრუნველყოს 24/7 უსაფრთხო წყალმომარაგება სგწკ-ს ყველა ქალაქში2025 წლისთვის. ასეთი დაგეგმვის შემდეგ შესაბამისი ბიუჯეტი გამოიყოფა სგწკ– სთვის, რადგან ტარიფები ვერ დაფარავს ყველა ინვესტიციას. სგწკ-მ უნდა დაგეგმოს ინვესტიციები სამი მიმართულებით:
    - ინვესტიციები ბენეფიციარებისთვის 24/7 წყალმომარაგების მიწოდების უზრუნველსაყოფად, რომელთაც ამჟამად არ მიეწოდება მომსახურებები;
    - ინვესტიციები ბენეფიციარებისთვის, რომელთაც აქვთ წყალმომარაგება, მაგრამ არა 24/7 მიწოდება - გრაფიკით მიწოდება;
    - ინვესტიციები ინტერვენციის მიზნით იმ ლოკაციებზე, რომლებსაც აქვთ 24/7 წყალმომარაგება, მაგრამ რისკის ქვეშ არიან ძირითადად ძველი ინფრასტრუქტურის გამო.
    - შესაბამისი ბიუჯეტი: ბიუჯეტი უზრუნველყოფილია ტარიფებით, სახელმწიფო ბიუჯეტით ან/და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებით.

II. აბონენტთა მომსახურება

1. მომხმარებელთა მომსახურების მიმართულებით მიზნები: მომხმარებელი იღებს 24/7 სასმელ წყალს, რაც უსაფრთხოა, სემეკის მიერ დადგენილი მინიმალური წნევის მიხედვით;

2. KPI:ქალაქების წყალმომარაგებით უზრუნველყოფა 24/7 გრაფიკით- (ადამიანების პროცენტული მაჩვენებელი 24/7 გარეშე); [საოპერაციო ხარჯები / საოპერაციო შემოსავალი]

3. ქმედებები/ინიციატივები: სგწმ-მ პრიორიტეტი უნდა მიანიჭოს აქტივების მართვის პროცედურების შექმნას და გაუმჯობესებას. ინვესტიციების განხორციელებით უნდა გაუმჯობესდეს წყლის მოპოვებისა და სისტემაში გაშვებული წყლის მოცულობის აღრიცხვა, უნდა გაფართოვდეს მილსადენის ქსელი, გაუმჯობესდეს არსებული ქსელის ხარისი. სგწკმ-უნდა ააშენოს ახალი გამწმენდი ნაგებობები, რეზერვუარები და გააუმჯობესოს არსებული დანადგარები. რემონტი უნდა ჩატარდეს დროულად და ხარისხიანად.

III. საოპერაციო პროცესები

1. საოპერაციო მიზნები: აქტივების მართვა, 24/7 წყალმომარაგება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი წყლის ხარისხით, მიმდინარე ოპერაციების გაუმჯობესება;

2. KPI: სისტემაში გაშვებული წყლის მოცულობის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი (SIV); [GEL / m^3, წელი]

3. ქმედებები/ინიციატივები: სგწკ-ს მიერ უნდა განხორციელდეს შემდეგი ქმედებები და ინიციატივები - საუბნო აღრიცხვის ზონების მოწყობა, კომერციული დანაკარგების შემცირება, წნევის მართვის დანერგვა/გაუმჯობესება, ქსელის საიმედოობისა და მთლიანობის გაუმჯობესება - მილების დაზიანების შემცირება (გაჟონვების რაოდენობა/100 კმ / წელი), აღურიცხავი წყლის შემცირება,ელექტროენერგიის მოხმარების ოპტიმიზაცია (კვტსთ).

IV. ორგანიზაციული შესაძლებლობები

1. სასწავლო მიზნები: აქტივების მართვა, ოპერირებისა და ექსპლუატაციის შესაძლებლობების გაუმჯობესება

2. KPI– ები:

- პერსონალის პროდუქტიულობის ინდექსი (SPI) - პერსონალის რაოდენობა 1000 მომხმარებელზე; [პერსონალის რაოდენობა / 1000 მომხმარებელი]
- გადამზადებული პერსონალის რაოდენობა [%, გადამზადებული პერსონალის რაოდენობა / პერსონალის საერთო რაოდენობა]

3. ქმედებები/ინიციატივები: საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ხელმძღვანელობამ უნდა უზრუნველყოს მონაცემებისა და ინფოსისტემის ხელმისაწვდომობა, უნდა შეიმუშაოს აქტივების მართვის პოლიტიკა და შექმნას აქტივების მართვის სამსახურები, ასევე უნდა უზრუნველყოს სტრატეგიული მიზნების მიღწევისათვის სამუშაო მზადყოფნა. გასათვალისწინებელია კერძო სექტორის მონაწილეობაც ამ მიმართულებებით

4. ბიუჯეტი: ტრენინგების საერთო ბიუჯეტი უნდა განისაზღვროს 5,000,000 ლარით 2022- 2025 წლებისათვის (200 ლარი / ადამიანი / დღე).

I. ფინანსური მაჩვენებლები

1.1. ფინანსური მიზნები: გარანტირებული ბიუჯეტი საჭირო ინვესტიციებისა და . თანმხლები ღონისძებების განსახორციელებლად;

1.2 KPI– ები:

• საჭირო ინვესტიცია სოფლის მოსახლეობის უსაფრთხო წყლით მომარაგების მიზნით; [%, ხელმისაწვდომი თანხა/დაგეგმილი თანხა]

• საჭირო ინვესტიცია უსაფრთხო სანიტარიის უზრუნველსაყოფად; [%, ხელმისაწვდომი თანხა/დაგეგმილი თანხა]

1.3 ქმედებები/ინიციატივები: სგწკ-მ უნდა დაგეგმოს ინვესტიციები სტრატეგიული მიზნის მისაღწევად და უზრუნველყოს უსაფრთხო წყალმომარაგება და სანიტარული მომსახურება ქალაქებსა და სოფლებში. ასეთი დაგეგმვის შემდეგ შესაბამისი ბიუჯეტი გამოიყოფა სგკწ-სთვის, რადგან ტარიფები ვერ ფარავს ყველა ინვესტიციას.

1ბიუჯეტი უზრუნველყოფილია ტარიფებით, სახელმწიფო ბიუჯეტით და/ან საერთაშორისო დაფინანსების ინსტიტუტებით.

II აბონენტთა მომსახურება

2.1 აბონენტთა მომსახურების მიზნები: მომხმარებელი იღებს სასმელ წყალს, რომელიც არის უსაფრთხო სემეკის მიერ დადგენილი წესების მიხედვით.

2.2. KPI–ები:

• სოფლის წყალმომარაგება - ჩამორჩენის შემცირება - სოფლის მოსახლეობა უსაფრთხო წყალმომარაგების გარეშე; [%, საჭირო ინვესტიცია კაპიტალური მოვლა-შენახვისთვის / დაგეგმილი ინვესტიცია კაპიტალური მოვლა-შენახვისთვის]

• სანიტარული მომსახურება - ჩამორჩენილობის შემცირება - მოსახლეობის პროცენტი უსაფრთხო სანიტარიის ხელმისაწვდომობის გარეშე; [%, მომსახურების გარეშე მოსახლეობის რაოდენობა / სამიზნე მოსახლეობის რაოდენობა]

2.3. ქმედებები/ინიციატივები: სგწმ-მ პრიორიტეტი უნდა მიანიჭოს აქტივების მართვის გაუმჯობესებას. ინვესტიციების განხორციელებით უნდა გაუმჯობესდეს წყლის მოპოვების და სისტემაში გაშვებული წყლის მოცულობის აღრიცხვა, უნდა გაფართოვდეს მილსადენის ქსელი, გაუმჯობესდეს არსებული ქსელის ხარისხი. სგწკმ- უნდა ააშენოს ახალი გამწმენდი ნაგებობები, რეზერვუარები და გააუმჯობესოს არსებული დანადგარები. უნდა მოხდეს დროული და ხარისხიანი შეკეთება. სგწკ-მ უნდა გადაწყვიტოს სოფლად მომსახურებების განხორციელების და მართვის სტრუქტურა, განსაზღვროს მომსახურების დონე დააქტივების მართვის სქემა.

III. საოპერაციო პროცესები

3.1. საოპერაციო მიზნები: აქტივების ოპერირება და მართვა, 24/7 წყალმომარაგების უზრუნველყოფა საერთაშრისო სტანდარტების შესაბამისი წყლის ხარისხით, ტექნიკური მომსახურება და შეკეთება (კაპიტალური მოვლა-შენახვა).

3.2. KPI: სისტემაში გაშვებული წყლის მოცულობის რეალიზაციით მიღებული თანხა (SIV); [GEL / $მ^3$, წელი]

3.3. ქმედებები/ინიციატივები: საუბნო აღრიცხვის ზონები, კომერციული დანაკარგების შემცირება, წნევის მართვის დანერგვა/გაუმჯობესება, ტექნიკური დანაკარგების შემცირება, ქსელის საიმედოობა და მთლიანობა - მილების დაზიანების შემთხვევების შემცირება (დაზიანების რაოდენობა/ 100 კმ/ წელი).

IV. ორგანიზაციული შესაძლებლობები

4.1. სწავლის მიზნები: აქტივების მართვა, სტრატეგიული სამუშაო მზადყოფნის უზრუნველყოფა.

4.2. KPI– ები:

• პერსონალის პროდუქტიულობის ინდექსი (SPI) - პერსონალის რაოდენობა 1000 მომხმარებელზე; [პერსონალის რაოდენობა / 1000 მომხმარებელი]

• გადამზადებული პერსონალის რაოდენობა [%, გადამზადებული პერსონალის რაოდენობა / პერსონალის საერთო რაოდენობა] პერსონალის პროდუქტიულობის ინდექსი (SPI) - პერსონალის რაოდენობა 1000 მომხმარებელზე

4.3. ქმედებები/ინიციატივები: სგწკ-მ უნდა უზრუნველყოს მონაცემებისა და ინფოსისტემის ხელმისაწვდომობა, შეიმუშაოს აქტივების მართვის პოლიტიკა და შექმნას აქტივების მართვის

სამსახურები, უზრუნველყოს სტრატეგიული მიზნების მისაღწევად სამუშაო მზადყოფნა.ამ მიმართულებებით გასათვალისწინებელია კერძო სექტორის ჩართულობაც.

4.4. ბიუჯეტი: ტრენინგების საერთო ბიუჯეტი უნდა განისაზღვროს 5,000,000 ლარით 2022-2025 წლებში (200 ლარი / ადამიანი / დღე).

I. ფინანსური მაჩვენებლები

1.1. ფინანსური მიზნები: შემოსავლების ზრდა/მომგებიანობა / ხარჯების შემცირება.

1.2 KPI– ები:

• აქტივების უკუგება (RoA); [%, EBITDA / აქტივების ღირებულება]

• სგწკ-ს საოპერაციო კოეფიციენტი; [%, სოფელში მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობა / სამიზნე მოსახლეობის რაოდენობა]

• სგწკ-ს კაპიტალური მოვლა-შენახვის ხარჯის დაფარვა; [მომსახურეობის გარეშე სოფლის მოსახლეობის% / სამიზნე მოსახლეობის რაოდენობა]

1.3 ქმედებები/ინიციატივები: სგწკ-მ უნდა დაგეგმოს და მართოს სტრატეგიული ინვესტიციები. გარდა ამისა, კაპიტალური მოვლა-შენახვის ხარჯები უნდა იყოს უზრუნველყოფილი , რათა მოახდინოს შექმნილი აქტივების სათანადო მოვლა. სგწკ-მ უნდა გააკონტროლოს აქტივების უკუგება და საოპერაციო კოეფიციენტი.

1.4 საჭირო ბიუჯეტი : დასახული მიზნების მისაღწევად, სგწკ უნდა მუშაობდეს კომერციული ზარალის 60%-ით შესამცირებლად. გარდა ამისა, სგწკ-ს აქვს შესაძლებლობა გაზარდოს ტარიფები უმრიცხველო მომხმარებლებისათვის მაქსიმალურ ზღვრულ ოდენობამდე, როგორც დადგენილია სემეკ-ის მიერ 2010 წელს. ეს ზომები გამოიწვევს სგწკ-ს შემოსავლების ზრდას. ტარიფების გაზრდის გარეშე შეუძლებელი იქნება დაფაროს ყველა საოპერაციო და კაპიტალური მოვლა-შენახვის ხარჯი. 2023 წლისთვის მიზნების და საოპერაციო კოეფიციენტი 1-ის მიღწევისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა გამოიყოს დამატებითი 16 მილიონი ლარი. საერთო ჯამში, 2023-2026 წლებში დაახლოებით 90 მილიონი ლარის საოპერაციო სუბსიდია იქნება საჭირო სგწკ-ს ოპერაციულ შემოსავლებსა და ხარჯებს შორის დეფიციტის შესავსებად.

II მომხმარებელთა მომსახურება

2.1 მომხმარებელთა მომსახურების მიზნები: 24/7 წყალმომარაგებით უზრუნველყოფა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ხარისხით, ტურისტულ ზონებზე აქცენტი.

2.2. KPI: შემოსავალი ერთ მომხმარებელზე; [ლარი, მთლიანი შემოსავალი / მომხმარებელთა რაოდენობა]

2.3. ქმედებები/ინიციატივები: სგწკ გააუმჯობესებს აბონენტებთან ურთიერთობას და მომსახურებას, ორიენტირდება კომერციულ მომხმარებელზე/ტურიზმზე. სგწკ-მ უნდა შეამციროს კომერციული დანაკარგები, მოპოვებული წყლის მოცულობა, სისტემაში გაშვებული წყლის მოცულობა, უზრუნველყოს მილსადენების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის გაუმჯობესება და მომსახურების ხარისხის მონიტორინგი. კომპანიამ უნდა მოუაროს ახალ გამწმენდ ნაგებობებს და გააუმჯობესოს არსებული დანადგარები, რეზერვუარები, გადახედოს ტარიფებს.

2.4 საჭირო ბიუჯეტი : დასახული მიზნების მისაღწევად, სგწკ უნდა მუშაობდეს კომერციული ზარალის 60%-ით შესამცირებლად. გარდა ამისა, სგწკ-ს აქვს შესაძლებლობა გაზარდოს ტარიფები უმრიცხველო მომხმარებლებისათვის მაქსიმალურ დასაშვებ ოდენობამდე, როგორც დადგენილია სემეკ-ის მიერ 2010 წელს. ეს ზომები გამოიწვევს სგწკ-ს შემოსავლების ზრდას. ტარიფების გაზრდის გარეშე შეუძლებელი იქნება დაფაროს ყველა საოპერაციო და კაპიტალური მოვლა-შენახვის ხარჯი. 2023 წლისთვის მიზნების და საოპერაციო კოეფიციენტი 1-ის მიღწევისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა გამოიყოს დამატებითი 16 მილიონი ლარი. საერთო ჯამში, 2023-2026 წლებში დაახლოებით 90 მილიონი ლარის საოპერაციო სუბსიდია იქნება საჭირო სგწკ-ს ოპერაციულ შემოსავლებსა და ხარჯებს შორის დეფიციტის შესავსებად.

საოპერაციო ხარჯების გარდა, UWSCG- მ უნდა მიიღოს დამატებითი ბიუჯეტი კაპიტალური მოვლა-შენახვის დასაფარად. ვარაუდობენ, რომ დაახლოებით 200 მილიონი ლარი იქნება საჭირო 2021-2026 წლებში, რათა დაფაროს კაპიტალური მოვლა-შენახვის ხარჯი ტარიფების გაზრდის გარეშე.

III. საოპერაციო პროცესები.

3.1. საოპერაციო მიზნები: პროდუქტიულობა და ხარჯები, აქტივების საექსპლუატაციო მახასიათებლები, რესტრუქტურიზაცია, აქტივების მართვა, 24/7 წყალმომარაგებით უზრუნველყოფა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი წყლის ხარისხით, ტექნიკური მომსახურება.

3.2. KPI: სისტემაში გაშვებული წყლის მოცულობის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი (SIV); [GEL / $მ^3$, წელი]

3.3. ქმედებები/ინიციატივები: საუბნო მრიცხველების მოწყობა, წნევის მართვა/გაუმჯობესება, ქსელის მთლიანობისა და საიმედოობის გაზრდა, მილების დაზიანების შემცირება (დაზიანების რაოდენობა/100კმ/წელი), აღურიცხავი წყლის შემცირება, ელ. ენერგიის მოხმარების (კვტსთ) შემცირება.

3.4. ბიუჯეტი: დასახული მიზნების მისაღწევად სგწკ უნდა მუშაობდეს კომერციული ზარალის 60%-ით შემცირებაზე. გარდა ამისა, სგწკ-ს აქვს შესაძლებლობა გაზარდოს ტარიფები უმრიცხველო მომხმარებლებისათვის მაქსიმალურ დასაშვებ ოდენობამდე, როგორც დადგენილია სემეკ-ის მიერ 2010 წელს. ეს ზომები გამოიწვევს სგწკ-ს შემოსავლების ზრდას. ტარიფების გაზრდის გარეშე შეუძლებელი იქნება დაფაროს ყველა საოპერაციო და კაპიტალური მოვლა-შენახვის ხარჯი. 2023 წლისთვის მიზნების და საოპერაციო კოეფიციენტი 1-ის მიღწევისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა გამოიყოს დამატებითი 16 მილიონი ლარი. საერთო ჯამში, 2023-2026 წლებში დაახლოებით 90 მილიონი ლარის საოპერაციო სუბსიდია იქნება საჭირო სგწკ-ს ოპერაციულ შემოსავლებსა და ხარჯებს შორის დეფიციტის შესავსებად.

IV. ორგანიზაციული შესაძლებლობები

4.1. სასწავლო მიზნები: აქტივების მართვა, აბონენტების მომსახურების გაუმჯობესება, პერსონალის უნარების გაუმჯობესება და კვალიფიკაციის ამაღლება

4.2. KPI– ები:

• პერსონალის პროდუქტიულობის ინდექსი (SPI) - პერსონალის რაოდენობა 1000 მომხმარებელზე; [პერსონალის რაოდენობა / 1000 მომხმარებელი]

• გადამზადებული პერსონალის რაოდენობა [%, გადამზადებული პერსონალის რაოდენობა / პერსონალის საერთო რაოდენობა]

4.3. ქმედებები/ინიციატივები: სგწკ-მ უნდა უზრუნველყოს მონაცემებისა და ინფოსისტემის ხელმისაწვდომობა, შექმნას აქტივების მართვის პოლიტიკა და აქტივების მართვის სამსახურები, უზრუნველყოს სტრატეგიული მიზნების მისაღწევად სამუშაო მზადყოფნა. ამ მიმართულებებით გასათვალისწინებელია კერძო სექტორის ჩართულობაც.

4.4. ტრენინგების საერთო ბიუჯეტი უნდა განისაზღვროს 5,000,000 ლარით 2022-2025 წლებისათვის (200 ლარი / ადამიანი / დღე).

დანართი A3. საჯარო და კერძო თანამშრომლობის მოდელები

დაბალი რისკის შემცველი ალტერნატივები კერძო სექტორისთვის:

ტექნიკური დახმარება. კომპანიის შიგნით მობილიზებულია მრჩევლები ან მენეჯერები. აღნიშნული პერსონალის გამოცდილება და უნარები საჭიროა იმისათვის, რომ შეიცვალოს საოპერაციო ამოცანების შესრულების წესი. ასეთი ღონისძიებების წარმატების გასაღები არის მრჩევლებისა და მობილიზებული პერსონალის გავლენის მასშტაბი. ამგვარი სტრუქტურა ყველაზე წარმატებულად მუშაობას მაშინ, როდესაც მისი დანერგვა ხდება კომპანიის ძირეული რესტრუქტურიზაციის პარალელურად.

ოპერირებისა და ექსპლუატაციის ხელშეკრულება. ამგვარი შეთანხმების ფარგლებში დანიშნული ოპერატორი ახორციელებს ყოველდღიურ საოპერაციო და ტექნიკურ საქმიანობას გარკვეული საფასურით, რომელიც, ჩვეულებრივ, მოიცავს, როგორც ფიქსირებული, ასევე, სტიმულებზე დაფუძნებულ კომპონენტებს.

სარემონტო სამუშაოები (სამოქალაქო, ელექტრომექანიკური ან ადმინისტრაციული). კერძო სექტორის კომპანიები ინიშნება "ვადიანი ტენდერის" ან მოკლევადიან საფუძველზე დისკრეტული ტექნიკური ან ადმინისტრაციული ფუნქციების შესასრულებლად. მაგალითად, ტუმბოების პროფილაქტიკური მოვლა და შეკეთება ან ბილინგის სისტემების მართვა მრიცხველების ჩვენებების აღებისა და გადასახადების შეგროვების ჩათვლით. ამგვარი შეთანხმება, ასევე, შეიძლება მოერგოს სათადარიგო ნაწილებისა და სახარჯი მასალების მოწოდებასაც.

სასოფლო არეალების (კომერციულად წამგებიანი სქემები) დამხმარე მომსახურებები. იმის აღიარებით, რომ ბევრი პატარა სოფლის სისტემა ვერ წარმოადგენს კომერციულად მომგებიან სავაჭრო წინადადებას, შეიძლება შეიქმნას და მობილიზებულ იქნას სპეციალური დამხმარე ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს მომსახურების მიწოდებას საჭირო საოპერაციო ამოცანების შესასრულებლად, მაგ. მილსადენებისა და ტუმბოების შეკეთება, ელ. მომარაგების უზრუნველყოფა. ამგვარი შეთანხმების ფარგლებში , დამხმარე მომსახურებისთვის, უნაზღაურება მოხდება შესრულებული სამუშაოს გათვალისწინებით.

აღურიცხავი წყალი. აღურიცხავი წყლის დონის შემცირება არის მთავარი გამოწვევა, რომელიც მოითხოვს ყურადღებას. ნათელია, რომ წყალმომარაგების კომპანიას ამ საკითხის მოსაგვარებლად სჭირდება კვალიფიციური სპეციალისტების ჩართულობა. არსებობს არაერთი მაგალითი იმისა, რომ აღურიცხავი წყლის მოცულობის შემცირებისათვის წარმატებულად იმუშავა კერძო სექტორის კომპანიებთან სამოტივაციო ქმედებებზე დაფუძნებულმა კონტრაქტებმა.

ვადიანი კონტრაქტები. საქონლისა და მომსახურებების გრძელვადიანმა მიწოდებამ შეიძლება გაზარდოს ეფექტურობა საჭიროების საფუძველზე ცალკეულ შესყიდვებთან დაკავშირებული გარიგების ხარჯების შემცირებით. მომწოდებელს უნაზღაურდება მოწოდებული საქონელი და მომსახურებები წინასწარ განსაზღვრული რაოდენობისა და ფასების საფუძველზე. ფასები განისაზღვრება ხელშეკრულების დაწყებამდე კონკურენტული სატენდერო პროცესის საშუალებით. იმ შემთხვევაში, თუკი ასეთი კონტრაქტები შეიძლება გაერთიანდეს PSP–ს სხვა მოდელებთან, კერძო სექტორისათვის მიმზიდველობა შეიძლება გაიზარდოს.

კერძო ჩართულობის სხვა ფორმები:

ლიზინგი/აფერმაჟი. ოპერატორ კომპანიას ეძლევა უფლება, გამოიყენოს ინფრასტრუქტურა, რომელიც რჩება სახელმწიფოს ან სახელმწიფო კომპანიის საკუთრებაში არსებულ კომპანიას. ამ მოდელში აქტივების მართვაზე პასუხისმგებლობა რჩება სახელმწიფოს, ყოველდღიურ საქმიანობას ახორციელებს კერძო სექტორის დანიშნული კომპანია და ტარიფები განისაზღვრება ინფრასტრუქტურის მფლობელს, ოპერატორსა და ეროვნულ მარეგულირებელს შორის მოლაპარაკების შედეგად. მოიჯარე პასუხისმგებელია არსებული ობიექტებისა და მომსახურების ფუნქციონირებასა და მოვლა-შენახვაზე. ოპერატორი იტოვებს მომხმარებლებისგან შეგროვებულ შემოსავალს და იხდის განსაზღვრულ საიჯარო მოსაკრებელს. საჯარო სფერო პასუხისმგებელია ინვესტიციებზე და იღებს საინვესტიციო რისკს, მაგრამ ოპერატორმა უნდა აწარმოოს აქტივების რეესტრი და ოპერირებისა და ექსპლუატაციის სახელმძღვანელო. ეს ტიპური პრაქტიკაა კონტრაქტის დასასრულს რომ ობიექტების გადაბარება მოხდეს შესაბამის მუშა მდგომარეობაში. საოპერაციო რისკები კერძო მხარის ვალდებულებაა.

კონცესია. კონცესიის დროს კერძო ოპერატორი მართავს აქტივებს და პასუხისმგებელია აქტივების შეცვლასა და ქსელის გაფართოებაზე. შესაბამისად, კერძო სექტორისათვის გადაცემული რისკის დონე საკმაოდ მაღალია და მას ემატება ოპერატორთან ანგარიშსწორების ხასიათი, რაც გულისხმობს მომხმარებელთა გადასახადებს. BOT (მშენებლობა-ექსპლუატაცია-გადაცემა) კონტრაქტები შეესაბამება „მწვანე მინდვრის“ კონცესიებს. ეს კონტრაქტები ითვალისწინებს შემოსავლის გარანტიებს, რომლებიც მთავრობების პირობითი ვალდებულებებია. BOT კონტრაქტის ვადის გასვლის შემდეგ აქტივები უბრუნდება საჯარო სექტორს. საჯარო სექტორი განსაზღვრავს და ანიჭებს უფლებას კერძო პირს, იმუშაოს და ააშენოს ობიექტი განსაზღვრული ვადაში. კონცესიის მახასიათებლებია: საჯარო სექტორი ინარჩუნებს ობიექტის საბოლოო მფლობელობას, კომერციული რისკი კერძო სექტორს რჩება.

BOTT (აშენება, ექსპლუატაცია, მომზადება და გადაცემა). ამგვარი მოდელი გამართლებულია იქ, სადაც გვაქვს ახალი ტექნოლოგიები, ხოლო საოპერაციო პასუხისმგებლობების ეფექტურად შესრულებისათვის საჭირო ტექნიკური უნარ-ჩვევები არ არსებობს. ამის მაგალითი შეიძლება იყოს შემდეგი: ფირმამ, რომელიც აშენებს ჩამდინარე წყლების ახალ გამწმენდ ნაგებობას, გააგრძელოს ობიექტის ექსპლუატაცია ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ გარკვეული ვადით და ამ დროის განმავლობაში დაატრენინგოს პერსონალი, რომელიც საბოლოოდ ჩაიბარებს ობიექტს.

აქტივების პრივატიზაცია. ამგვარი მიდგომა გულისხმობს ინფრასტრუქტურული აქტივების გაყიდვას, ამგვარად კი აქტივების მართვისა და მომსახურების მიწოდების პასუხისმგებლობის მოხსნას. ასეთ დროს ტარიფები დგინდება მარეგულირებელსა და აქტივების მფლობელს შორის მოლაპარაკებების შედეგად. ამის მაგალითია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ (GWP): ინვესტორმა შეიძინა თბილისის, რუსთავისა და მცხეთის წყლისა და ჩამდინარე წყლების შესაბამისი აქტივები და უზრუნველყოფს ნასყიდობის ხელშეკრულებით განსაზღვრულ მომსახურებას. გადაწყვეტილების მიმღებთა საერთო ტენდენციაა, არ გაიმეორონ ეს მოდელი. სავარაუდოდ, კონტროლის დაკარგვა არის ამის მთავარი მიზეზი.

დანართი A4. სგწკ-ს SWOT ანალიზი

შიდა ანალიზი, სისტემა	გარე ანალიზი, მახასიათებლები
ძლიერი მხარეები	შესაძლებლობები
სგწკ-ს მომსახურების სფეროების სექტორული მიმოხილვა, რომელიც მოიცავს ქვეყნის გეოგრაფიული ტერიტორიების 90% -ს	ეკონომიკური ზრდა (2020: მშპ -6%, 2021/4 თვე: მშპ +8%)
მნიშვნელოვანი მიმდინარე/მომავალი მხარდაჭერა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების (ADB, EIB) და ორმხრივი განვითარების სააგენტოებისგან (AFD, KfW)	მაკროეკონომიკური სტაბილურობა
ტარიფის ცვლილების შესაძლებლობა, ამჟამინდელი ტარიფი მარეგულირებლის მიერ დადგენილი ლიმიტის ქვემოთა	ქმედითი ეკონომიკური და სოციალური რეგულირება
შემოსავლების გაზრდისა და ხარჯების შემცირების პოტენციალი	წყლის ფიზიკური სიმცირე და ზოგადად წყალმომარაგების მომსახურების გაუმჯობესება
ახალი კავშირების პოტენციალი	შეზღუდული ბუნებრივი და ადამიანური საფრთხეები
იურიდიულად კორპორაციულ ერთეულად, ეუთოს მოთხოვნები სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული საწარმოების შესახებ 2021 წლის ბოლოს, დამოუკიდებელი მენეჯმენტი მაღალი პასუხისმგებლობის და გამჭვირვალობის ხარისხით	მნიშვნელოვანი მიმდინარე/მომავალი მხარდაჭერა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და ორმხრივი განვითარების სააგენტოებისგან (AFD, KfW)
სისუსტეები	საფრთხეები
ქვეყანაში ჩამდინარე წყლების მართვის დეფიციტური გამოცდილება	ვალუტის კურსის ცვლილების რისკი
სამოტივაციო აქტივობები	პასუხისმგებლობისა და ფუნქციების გაურკვეველი გამიჯვნა სექტორის მმართველობაში
არაეფექტური ბიზნეს პროცესები; წესებისა და პრაქტიკის შეზღუდული ჩარჩო, ოპერატიული პროცედურები და მონიტორინგი	გადაწყვეტილების მიმღებთა/UWSCG მენეჯმენტის პერსონალის მაღალი დენადეობა
ხედვა და მისია, სტრატეგია, გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმა, ბიზნესგეგმა	მაღალ კვალიფიკაციური მუშახელის შეზღუდული ხელმისაწვდომობა
აქტივების მართვის სტრატეგია და გეგმა	ხარვეზები და გადაფარვა რეგულაციებსა და სამართლებრივ ჩარჩოებში
ბიზნეს პროცესები, სტანდარტული საოპერაციო პროცედურა	სუსტი მონიტორინგი და ეკონომიკური რეგულირების აღსრულება
დეცენტრალიზებული მმართველობა	წყლის რესურსების მენეჯმენტი ჯერ არ არის შემუშავებული (RBM, IWRM, ეკონომიკური ინსტრუმენტები)
მაღალკვალიფიციური კადრები	დაფარვის არეალი
	შეზღუდული გამოცდილება სექტორში PSP/PPP
	მოსახლეობის სტაგნაციის ზრდა

დანართი A5. მთავარი დაინტერესებული მხარეები

შიდა მომხმარებლები, კომერციული მომხმარებლები

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო (MRDI) - სამინისტრო ახორციელებს სგწკ-ს წილის მფლოლების უფლებებს. იგი პასუხისმგებელია ბიუჯეტის, ბიზნეს გეგმის დამტკიცებაზე, დირექტორის დანიშვნაზე.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო - ეს სამინისტრო არის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სუბიექტების საბოლოო მფლობელი, მათ შორის სგწკ-ს საბოლოო მფლობელი.

ფინანსთა სამინისტრო - სამინისტრო პასუხისმგებელია სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიან მართვაზე. ყველა სესხის ხელშეკრულებას, მათ შორის ეროვნული ბიუჯეტის დამტკიცებისას, ხელს აწერს ფინანსთა სამინისტრო. ფინანსთა სამინისტროს ქვეშ არის ასევე საგადასახადო ორგანო - ე.წ. შემოსავლების სამსახური.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია - კომისია დამოუკიდებელი ორგანოა და არეგულირებს ლიცენზირებული წყალმომარაგებისა და ჩამდინარე წყლების სექტორს ტარიფების დადგენით, ასევე წყალმომარაგების მომსახურების სავალდებულო წესების და მომსახურების მინიმალური მოთხოვნების დადგენით.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო - სამინისტროს აქვს წყლის რესურსების განყოფილება, რომელიც გასცემს თანხმობას ზედაპირული წყლის მოპოვებაზე. სამინისტრო არის გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურების მაკონტროლებელი ორგანოა, რომლის მოთხოვნებს სგწკ უნდა ასრულებდეს დიდი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას.

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო - ეს ეროვნული სააგენტო ექვემდებარება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს. ეს არის UWSCG წყლის ხარისხის სტანდარტების კონტროლის ავტორიტეტი.

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო - ეს სააგენტო ექვემდებარება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს. ეს არის ორგანო, რომელიც გასცემს ლიცენზიებს მიწისქვეშა წყლების მოპოვებაზე მთელ საქართველოში.

ადგილობრივი მუნიციპალიტეტები - ადგილობრივი მუნიციპალიტეტები პასუხისმგებელია მშენებლობის ნებართვის გაცემაზე.

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები - სგწკ-ს მხარდამჭერი ძირითადი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებია: აზიის განვითარების ბანკი (ADB), ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB), საფრანგეთის განვითარების სააგენტო (AFD), გერმანიის განვითარების ბანკი (KfW).



შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“

კორპორაციული განზრახვის განაცხადი

საქართველოს გაერთიანებული
წყალმომარაგების კომპანია

UNITED WATER SUPPLY COMPANY OF GEORGIA

სარჩევი

კორპორაციული განზრახვის განაცხადის (კგგ) დანიშნულება 4

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ დირექტორის მიმართვა 5

1. საქმიანობის მიმოხილვა 6
3. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ და საქართველოს წყალმომარაგებისა და წყალარინების სექტორი 9
4. შპს "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" კორპორაციული მიზნები 11

2. ფინანსური მდგომარეობის მიმოხილვა 12

1. რისკები და რისკების მართვა 15
2. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ ძირითადი ფინანსური და არაფინანსური საქმიანობის მაჩვენებლები 15
3. კომპანიის სტრატეგიის რუკა 16
4. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ ფინანსური კოეფიციენტები 18

1. კომპანიის მმართველი ორგანოები 22
2. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ შესაძლო მმართველი ორგანოები 23

დანართი I: შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ ხელმძღვანელობა & სამეთვალყურეო საბჭო 25

დანართი II: შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ ფინანსური ანგარიშები“ 27

დანართი III: ძირითადი დაინტერესებული მხარეები 31

კორპორაციული განზრახვის განაცხადის (კგგ) დანიშნულება

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული ორგანიზაციაა, რომლის შექმნაც განპირობებული იყო საქართველოში წყლისა და წყალარინების მომსახურებების საკითხის სტრატეგიული, პოლიტიკური და კრიტიკული მნიშვნელობის გათვალისწინებით. რაც მსგავსია სხვა ქვეყნებში არსებული წყლისა და წყალარინების ოპერატორი კომპანიებისათვისაც.

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ (შემდგომში აგრეთვე „კომპანია“), როგორც სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული კომპანია, განსხვავდება სხვა კერძო კომპანიებისგან მომგებიანობის თვალსაზრისით. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ აქტივების შექმნაში უფრო მეტი წილი აქვს ფინანსურ ვალდებულებებს, ვიდრე კაპიტალს. ასევე საოპერაციო საქმიანობიდან გამომდინარე საკმაოდ მაღალია საოპერაციო ხარჯებიც. კომპანია 2010 წელს შეიქმნა საქართველოს რეგიონში არსებული სხვადასხვა მცირე კომპანიების შერწყმით, იმ მიზნით რომ რეგიონში მცხოვრები საქართველოს მოსახლეობისთვის წყალზე ხელმისაწვდომობა გაზრდილიყო.

კორპორაციული განზრახვის განაცხადის მიზანია შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ დაინტერესებული მხარეებისათვის მიზნობრივი ინფორმაციის მიწოდება კომპანიის ხელმძღვანელობის, მთავრობის, დაინტერესებული მხარეებისა და კომპანიის საქმიანობის შესახებ. კორპორაციული განზრახვის განაცხადი შეესაბამება სახელმწიფო საწარმოების კორპორაციული მართვის შესახებ OECD-ის სახელმძღვანელო პრინციპებში მოცემულ სახელმწიფო საწარმოების კორპორაციული მართვის გლობალურ სტანდარტებს.

წინამდებარე კორპორაციული განზრახვის განაცხადის შემუშავებისას გამოყენებულია კორპორაციული განზრახვის განაცხადის ქვემოთ მოცემული სამუშაო განმარტება.

კორპორაციული განზრახვის განაცხადის სამუშაო განმარტება

- საჯარო კორპორაციის საქმიანობის არეალის განსაზღვრა, რომლის ფარგლებს გარეთაც კორპორაცია არ არის უფლებამოსილი აწარმოოს საქმიანობა.
- საჯარო კორპორაციის მმართველობის სტრუქტურის გასაჯაროება.
- საჯარო კორპორაციის დომინანტი მიზნების, ამოცანებისა და უმაღლესი დონის სტრატეგიის გასაჯაროება.
- სახელმწიფო პოლიტიკისა და რეფორმის შესაბამისი ფინანსური და არაფინანსური საქმიანობის გასაჯაროება.
- საჯარო კორპორაციისათვის დასაშვები რისკების ზღვრების განსაზღვრა.
- საჯარო კორპორაციის მიერ სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტისაგან მისაღები ან ბიუჯეტში გადასარიცხი თანხების განსაზღვრა კონკურენტული უპირატესობისა და არახელსაყრელი კონკურენციის კომპენსირების მიზნით.
- კვაზიფისკალური აქტივობებისა და სახელმწიფო ან ადგილობრივ ბიუჯეტსა და საჯარო კორპორაციებს შორის გადასარიცხი თანხების განსაზღვრა სამთავრობო მიმართულების ან მოქმედების კომპენსირების მიზნით.
- კორპორაციის ფინანსური და არაფინანსური საქმიანობის ძირითადი ინდიკატორების მკაფიო განსაზღვრა და გასაჯაროება. ფინანსური ანგარიშების, მმართველობის ანგარიშების (მიმდინარე და წინა წლების) და საქმიანობის შეჯერება.
- სამომავლო ფინანსური და არაფინანსური საქმიანობის ძირითადი ინდიკატორების მკაფიო ახსნა-განმარტება და წარმოდგენა.

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ დირექტორის მიმართვა

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ პირველი სახელმწიფო საწარმოა, რომელიც კორპორაციული განზრახვის განაცხადს წარადგენს.

კორპორაციული განზრახვის განაცხადის გასაჯაროებით, წარმოგიდგენთ იმ დადებით და ხელშესახებ შედეგებსა და პროგრესს, რომელსაც კომპანიის თანამშრომლებმა მიაღწიეს გასული წლების განმავლობაში. აქვე მოცემულია სტრატეგიული გეგმები, კომპანიის მიზნები და საქმიანობის ძირითადი ინდიკატორები.

ალექსანდრე თევდორაძე

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ დირექტორი

წყლის სადრენაჟო გამწმენდი სისტემა ქალაქ ფოთში, საქართველო (წყარო: შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის Facebook გვერდი, 2020 წლის ოქტომბერი).

1. საქმიანობის მიმოხილვა

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ შეიქმნა 2010 წელს 60-ზე მეტი მცირე წყალმომარაგების კომპანიების გაერთიანებით.

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ უზრუნველყოფს საქართველოს ქალაქებს წყალმომარაგებისა და წყალარინების მომსახურებებით, გარდა თბილისის, რუსთავის, გარდაბნის, მცხეთის, საჩხერისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა. ასევე, ვემსახურებით სოფლებსაც, თუმცა, ვგეგმავთ, რომ გავზარდოთ დაფარვის არეალი მუნიციპალიტეტების მომართვის შესაბამისად და მომავალში მოვიცვათ უფრო მეტი სოფელი, აბონენტები უზრუნველვყოთ24-საათიანი წყალმომარაგებითა და წყალარინების მომსახურებით.

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ არის საქართველოში რვა ლიცენზირებული წყალმომარაგების კომპანიიდან ერთ-ერთი, და რიგით მეორე მოსახლეობის, აბონენტების, მოპოვებული და მიწოდებული წყლის რაოდენობისა და წლიური შემოსავლის თვალსაზრისით.

წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა სოფელ მუღალოში, საქართველო (2021 წ. ივნისი)
(წყარო: შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის Facebook

წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, საქართველო (2021 წ. მაისი)
(წყარო: შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის Facebook გვერდი).

წყლის გაწმენდის სისტემის მშენებლობა აბასთუმანში, საქართველო (2021 წ. აპრილი)
(წყარო: შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის Facebook

სამოქმედო არეალის და მომხმარებლების მრავალფეროვნების გამო შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ საქმიანობა განსხვავდება სხვა მსგავსი კომპანიების საქმიანობისაგან. ცალკიდან ის უზრუნველყოფს სერვისის მიწოდებას, როგორც ურბანული, ისე არაურბანული დასახლებებისთვის, რაც გაცილებით ძვირი და ხშირ შემთხვევაში ეკონომიკურად შესაბამისია. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ გამოწვევების მასშტაბურობა გაცილებით დიდია სექტორში არსებული სხვა კომპანიებისაგან განსხვავებით.

კომპანიას 11 რეგიონული ფილიალი აქვს. საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისა და ფინანსთა სამინისტროს მხარდაჭერით შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“ აქვს წვდომა ჰქონდეს შეღავათიან სესხებზე, რომლითაც უზრუნველყოფს ინფრასტრუქტურული საჭიროებების დაფინანსებას. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“ აქვს დაახლოებით 160 მიმდინარე და დაგეგმილი პროექტი, რომლებიც დეტალურად აღწერილია კომპანიის წლიურ და სხვა შესაბამის ანგარიშებში.



შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ სამოქმედო არეალი (წყარო: კომპანიის ვებგვერდი)

როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპანიის ძირითადი საქმიანობა ეხება წყალმომარაგებისა და წყალარინების მომსახურებების მიწოდებას, კერძოდ კი უზრუნველვყოფთ:

- სასმელი წყლის მოპოვებას, განაწილებას, გაწმენდასა და უსაფრთხო სახით აბონენტებისათვის მიწოდებას;
- წყალარინების გამანაწილებელი ქსელის მოწყობას, წყალარინების გაწმენდასა და გაწმენდილი წყალარინების ჩაშვებას;

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ სამართლებრივი სტატუსია სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), რომლის 100%-იანი წილის მფლობელი სახელმწიფოა, ხოლო მართვის უფლებით გადაცემული აქვს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს.

კომპანიის საქმიანობა რეგულირდება საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკი) მიერ დადგენილი წესებითა და რეგულაციებით.

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“ 2020 წლის მდგომარეობით დაახლოებით 347,000 აბონენტი ჰყავს. საიდანაც 24,000 კომერციული, ხოლო 324,000 საყოფაცხოვრებო აბონენტია. ჩვენ ამაყად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ვემსახურებით, დაახლოებით, 800,000-მდე მაცხოვრებელს.

2. კომპანიის ხედვა, მისია და ძირეული ღირებულებები

ხედვა

- შპს "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" მიზანია კავკასიის რეგიონში წყლისა და წყალარინების მომსახურებების ყველაზე რესპექტაბელური მიმწოდებელი გახდეს.

მისია

- შპს "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" მისიაა, გახდეს მომგებიანი კომპანია, რომელიც, კომპანიის სანდოობის, ტექნოლოგიური განვითარებისა და მმართველობის დონის გაზრდის საშუალებით, უპასუხებს აბონენტების მოთხოვნებს და მათ მოლოდინებს გადაჭარბებით შეასრულებს.

ძირეული ღირებულებები

- აბონენტებისა და კომპანიის პატივისცემა, გარემოს მოფრთხილება;
- ანგარიშვალდებულება აბონენტების, კომპანიის ხელმძღვანელობის წინაშე; საქმიანობასა და საქმიანობის შედეგებზე პასუხისმგებლობა;
- მმართველობის დონის გაზრდა უწყვეტი სწავლებით, რათა კომპანიამ საუკეთესოდ გამოიყენოს და დაიცვას არსებული რესურსები.

3. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ და საქართველოსწყალმომარაგებისა და წყალარინების სექტორი

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ საქართველოში არსებული რვა ლიცენზირებული წყალმომარაგების კომპანიიდან ერთადერთი სახელმწიფო კომპანიაა. დარჩენილი შვიდიდან ოთხი კომპანია არის მუნიციპალური, ხოლო დანარჩენი სამი - კერძო. საქართველოს წყალმომარაგებისა და წყალარინების სექტორში უმსხვილესი კომპანიაა შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ (GWP), რომელიც თბილისის მოსახლეობის 100%-ს ემსახურება. მას მოჰყვება შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“, რომელიც საქართველოს მოსახლეობის, დაახლოებით, 22%-ს, ანუ დაახლოებით 800,000-მდე ადამიანს ემსახურება.

№	ლიცენზიანტის დასახელება	ლიცენზიის ნომერი	ლიცენზიის გაცემის თარიღი
1	შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია)	№001, სერია 3	10/11/2011
2	შპს „სოგური“	№003, სერია 3	24/11/2011
3	შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ (GWP)	№005, სერია 3	21/12/2011
4	შპს „რუსთავის წყალი“ (RWC)	№007, სერია 3	21/12/2011
5	შპს „ბათუმის წყალი“ (BWC)	№008, სერია 3	28/12/2011
6	შპს „ქობულეთის წყალი“ (KWC)	№010, სერია 3	05/01/2012
7	შპს „საჩხერის წყალი“ (SWC)	№014, სერია 3	23/02/2012
8	შპს „მარნეულის სოფწყალი“ (MVWC)	№015, სერია 3	31/05/2012

ქვემოთ მოცემული ცხრილი მიმოიხილავს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“ 2020 წლის მდგომარეობით. ვამაყობთ, რომ ვემსახურებით დაახლოებით 24,000 კომერციულ აბონენტსა და დამატებით 324,000-ზე მეტ საყოფაცხოვრებო აბონენტს.[1] ჩვენ თავდაუზოგავად ვმუშაობთ, რათა გავაუმჯობესოთ მომსახურება და უზრუნველვყოთ მოსახლეობისთვის წყალმომარაგებასა და წყალარინებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.

საოპერაციო სტრატეგიის თვალსაზრისით, ჩვენ ველით, რომ გავაუმჯობესებთ საოპერაციო კოეფიციენტს (OR) 1.0 ნიშნულამდე და მომავალში კიდევ უფრო შევამცირებთ ამ მაჩვენებელს. რაც გულისხმობს სუბსიდიების შემცირებასა და ეფექტიანობის გაზრდას. ჩვენ დაგეგმილი გვაქვს ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავს თანამშრომლების ეფექტიანობის გაუმჯობესებას.

კომპანიის ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანია საყოფაცხოვრებო აბონენტების გამრიცხველიანების გაზრდა. კომერციული მომხმარებლების 100%-ს აქვს წყლის მრიცხველები, რაც გვაძლევს საშუალებას მივიღოთ შესაბამისი შემოსავალი მიწოდებული წყლის რეალიზაციის შედეგად. 2020 წლის მდგომარეობით საყოფაცხოვრებო აბონენტების გამრიცხველიანების ნიშნული 62%-ს შეადგენს კომპანია კი შემდგომში გეგმავს დარჩენილი აბონენტების გამრიცხველიანებას. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ“ 2020 წელს გაზარდა გამრიცხველიანებული საყოფაცხოვრებო აბონენტების რაოდენობა 13%-ით, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად შემცირდა აღურიცხავი წყლის მოცულობა.

[1] 2020 წლის მდგომარეობით

საოპერაციო კოეფიციენტი (OR)	1.41
პერსონალის ხარჯები შემოსავლების %-ის სახით	63%
თანამშრომელთა რაოდენობა 1000 სამომხმარებლო დაერთებაზე	8.3
თანამშრომელთა რაოდენობა 1000 მრიცხველიან დაერთებაზე	12.8
თანამშრომელთა რაოდენობა მილიონ კუბურ მეტრ მოპოვებულ წყალზე	11.4
თანამშრომელთა საშუალო ხელფასი (თვეში)	698
გამრიცხველიანების კოეფიციენტი (%)	62%

შენიშვნა: მონაცემები მოცემულია 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საცხოვრებელი შენობებისათვის წყლის მრიცხველების მოწყობის სამუშაოები თელავში, საქართველო (2021 წლის აპრილი)
(წყარო: შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის Facebook გვერდი)

წყალმომარაგების/გამწმენდი ინფრასტრუქტურის ორი მნიშვნელოვანი პროექტის მიმდინარეობა ქალაქ ფოთში, საქართველო (2021 წლის თებერვალი)
(წყარო: შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის Facebook გვერდი)

4. შპს "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" კორპორაციულიმიზნები

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მიერ განისაზღვრა ოთხი მთავარი მიზანი, რომელიც მიმართულია კომპანიის საქმიანობის გაუმჯობესებისკენ. კომპანიის აღნიშნული მიზნებია:

- კომპანიის საოპერაციო შედეგებისა და აღრიცხვიანობის გაუმჯობესება (გამჭვირვალობის დონის ზრდა)
- წყლის დანაკარგების აღმოფხვრა
- საერთაშორისო ნორმებთან შესაბამისობის გაუმჯობესება
- წყლის ხარისხისა და წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

2. ფინანსური მდგომარეობის მიმოხილვა

მოცემულ ცხრილებში წარმოდგენილია შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ 2017, 2018, 2019 და 2020 წლების ფინანსური შედეგები.

კომპანიის საოპერაციო კოეფიციენტი (OR), არის საოპერაციო საქმიანობის მთავარი განმსაზღვრელი, რომელიც შემოსავლებისა და ხარჯების მონაცემების საფუძველზე ანგარიშდება. კომპანიის მენეჯმენტი სემეკსა და ფინანსთა სამინისტროსთან კოორდინაციითა და მათი რეგულაციების დაცვით აქტიურად მუშაობს საოპერაციო შემოსავლების მაქსიმალურად გაზრდისა და საოპერაციო ხარჯების ოპტიმიზაციის კუთხით, რაც საბოლოოდ გამოიწვევს საოპერაციო კოეფიციენტის მისაღებ ნორმამდე შემცირებას. კომპანიის 2020 წლის ფინანსური ანგარიშების შეჯამება მოცემულია მეორე დანართში.

ფინანსური მაჩვენებელი ‘000 ლარი (სუბსიდიის ჩათვლით)	**2017**	**2018**	**2019**	**2020**
შემოსავალი	39,012	38,522	41,594	72,207
ელექტროენერგია	13,980	15,487	15,945	16,648
ხელფასები	22,668	23,392	25,313	23,961
სხვა საოპერაციო ხარჯები	13,743	15,588	18,901	18,966
ოპერირებისა და ექსპლუატაციის ხარჯები ცვეთის გამოკლებით	**50,391**	**54,468**	**60,159**	**59,575**
EBITDA	**(11,379)**	**(15,945)**	**(18,566)**	**12,632**
ცვეთა	15,509	16,145	16,509	19,320
EBIT	**(26,888)**	**(32,091)**	**(35,075)**	**(6,688)**
საოპერაციო კოეფიციენტი	**1.29**	**1.41**	**1.45**	**0.83**

ფინანსური მაჩვენებელი ‘000 ლარი (სუბსიდიის გამოკლებით)	**2017**	**2018**	**2019**	**2020**
შემოსავალი	39,012	38,522	41,594	42,207
ელექტროენერგია	13,980	15,487	15,945	16,648
ხელფასები	22,668	23,392	25,313	23,961
სხვა საოპერაციო ხარჯები	13,743	15,588	18,901	18,966
ოპერირებისა და ექსპლუატაციის ხარჯები ცვეთის გამოკლებით	**50,391**	**54,468**	**60,159**	**59,575**
EBITDA	**(11,379)**	**(15,945)**	**(18,566)**	**(17,368)**
ცვეთა	15,509	16,145	16,509	19,320
EBIT	**(26,888)**	**(32,091)**	**(35,075)**	**(36,688)**
საოპერაციო კოეფიციენტი	**1.29**	**1.41**	**1.45**	**1.41**

გვსურს თქვენი ყურადღება მივმართოთ „საოპერაციო კოეფიციენტზე“. რომელიც განისაზღვრება, როგორც მთლიანი საოპერაციო ხარჯები (ცვეთის გამოკლებით) შეფარდებული მთლიან შემოსავალთან. უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად COVID-19-ით გამოწვეული შედეგებისა, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ საქმიანობა 2020 წელს 2019 წელთან შედარებით გაუმჯობესდა. თუმცა კვლავ არსებობს წყლის დანაკარგებთან დაკავშირებული გამოწვევები. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ ტარიფი სრულად ვერ ფარავს მომსახურების მიწოდებისა და სასესხო ვალდებულებების ხარჯებს. შპს „საქართველოს

გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ“ გასულ წელს მიიღო 30 მილიონი ლარის სუბსიდია სასესხო ვალდებულებების დასაფარად.

1. რისკები და რისკების მართვა

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა რისკებთან და რისკების მართვა მისი საქმიანობის მნიშვნელოვანი კომპონენტია. რისკი დამახასიათებელია კომპანიის საქმიანობისთვის, მაგრამ მისი მართვა ხდება უწყვეტი პროცესის საფუძველზე, რომელიც გულისხმობს რისკის იდენტიფიცირებას, მის შეფასებას და ყოველდღიურ მონიტორინგს, მისი ზღვრის დადგენისა და კონტროლის საშუალებით. კომპანიის ყველა წევრი ანგარიშვალდებულია მის პასუხისმგებლობებთან დაკავშირებულ რისკთან მიმართებაში. კომპანიის ოპერაციებთან დაკავშირებული მთავარი რისკებია საკრედიტო რისკი და ლიკვიდურობის რისკი. ასევე, საბაზრო საპროცენტო განაკვეთსა და უცხოური ვალუტის გაცვლით კურსთან დაკავშირებული რისკი. აღსანიშნავია, რომ კომპანიის სასესხო პორტფელი ნომინირებულია უცხოურ ვალუტაში, რომლის თითქმის 100% შედგება ფინანსთა სამინისტროს მიერ გადასესხებული თანხებისგან. აღნიშნული სესხების მომსახურება კი ნაწილობრივ ან სრულად ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სუბსიდიებიდან. შესაბამისად, კომპანიის წინაშე მდგარი გაცვლითი კურსის რისკები წარმოადგენს ცხად ფისკალურ რისკს ბიუჯეტისთვის. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ ხელმძღვანელობა აგრძელებს კომპანიის გაუმჯობესებაზე მუშაობას COVID-19-ის მიუხედავად. კომპანიის ფინანსურ ანგარიშებსა და ჩანაწერებზე დაყრდნობით კომპანიის საქმიანობა თანხვედრაშია პანდემიის გამოწვევებთან, ვინაიდან უწყვეტი წყალმომარაგება ქვეყნისთვის სტრატეგიული საკითხია.

2. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ ძირითადიფინანსური და არაფინანსური საქმიანობის მაჩვენებლები

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსათვის პრიორიტეტულია სამი სტრატეგიული მიზნის მიღწევა:

- 2025 წლის ბოლოსათვის უწყვეტი სასმელი წყალმომარაგების უზრუნველყოფა ქალაქად მცხოვრები ყველა მომხმარებლისათვის;
- 2030 წლის ბოლოსათვის საქართველოს ყველა მაცხოვრებლისათვის სასმელ წყალსა და წყალარინების მომსახურებებზე წვდომის უზრუნველყოფა;
- შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ საოპერაციო საქმიანობის გაუმჯობესება 2026 წლისათვის.

კომპანიის მენეჯმენტი, აღნიშნული სამი მიზნის მისაღწევად, აქტიურად მუშაობს და მონიტორინგს უწევს შესაბამის პროცესებს. ამჟამად აღნიშნული საკითხი კომპანიის დირექტორის კომპეტენციაა, რომელსაც ზედამხედველობს საქართველოს ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტროში შექმნილი სამეთვალყურეო საბჭო.

შესრულების ძირითადი მაჩვენებლებისა და მიზნების უფრო მარტივად წარმოდგენისათვის მოცემულია კომპანიის გამარტივებული სტრატეგიული ხედვა. მოცემულ დიაგრამაზე, ასევე, ნაჩვენებია შესრულების ინდიკატორები, რომელიც განსაზღვრავს კომპანიის საქმიანობის პროგრესსა და კორპორატიულ მიზნებთან თანხვედრას.

3. კომპანიის სტრატეგიის რუკა

კომპანიის მიზნები და შესრულების ინდიკატორები	
კომპანიის საქმიანობის გაუმჯობესება მმართველობის, ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის დონის გაზრდით	• აქტივებზე უკუგების მაჩვენებელი % • თანამშრომელთა ეფექტურობა % • ამოღებული თანხა 1,000 კუბურ მეტრ მოპოვებულ წყალზე
წყლის დანაკარგების აღმოფხვრა	• აღურიცხავი წყალი % (აღურიცხავი წყალი / მოპოვებული წყალი) • გამრიცხველიანება % (გამრიცხველიანებული საყოფაცხოვრებო აბონენტები % / საყოფაცხოვრებო აბონენტები სულ)
საერთაშორისო ნორმებთან შესაბამისობის დონის გაუმჯობესება	• საოპერაციო კოეფიციენტი % • წყლის მიწოდების ზონები % • წყალარინების მომსახურებების მიწოდების ზონები %
წყლის ხარისხისა და წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება	• წყალმომარაგების მიწოდების გრაფიკი (შეწონილი საშუალო) • მოვლა-შენახვის კაპიტალი % (მნიშვნელოვანი ინდიკატორი)

ფინანსური და არაფინანსური შესრულების ძირითადი მაჩვენებლები 2021 წლისათვის მოცემულია ცხრილში. გარდა ამისა, მოცემულია სამიზნე მაჩვენებლები 2022, 2023 და 2024 წლებისათვის.

	საბაზისო	სამიზნე მაჩვენებლები		
მუშაობის ძირითადი ინდიკატორები	**2021**	**2022**	**2023**	**2024**
ინვესტიციების ათვისება 24/7 მიწოდების უზრუნველსაყოფად [%, საჭირო თანხა / საპროგნოზო თანხები]	12 [%]	30 [%]	60 [%]	90 [%]
ინვესტიციების ათვისება სოფლად უსაფრთხო წყალმომარაგების უზრუნველსაყოფად [%, საჭირო თანხები / საპროგნოზო თანხები]	4 [%]	10 [%]	18 [%]	25 [%]
ინვესტიციების ათვისება წყალარინების მომსახურებების უზრუნველსაყოფად [%, საჭირო თანხები / საპროგნოზო თანხები]	2 [%]	5 [%]	10 [%]	18 [%]
აქტივებზე უკუგება [%, EBITDA / აქტივების ღირებულება]	-1.4 [%]	-1.3 [%]	0 [%]	0 [%]
ურბანული წყალმომარაგება 24/7 - დარჩენილი სამუშაოების შესრულება (ადამიანთა რაოდენობა 24/7 წყალმომარაგების გარეშე)	30 [%]	20 [%]	17 [%]	10 [%}

[%, მომსახურების გარეშე არსებული ურბანული მოსახლეობის რაოდენობა / სამიზნე მოსახლეობის რაოდენობა]				
სოფლის წყალმომარაგება - დარჩენილი სამუშაოების შესრულება (სოფლად ადამიანთა რაოდენობა უსაფრთხო წყალმომარაგების გარეშე) [%, მომსახურების გარეშე არსებული სოფლის მოსახლეობა / სამიზნე მოსახლეობის რაოდენობა]	90 [%]	90 [%]	85 [%]	80 [%]
წყალარინების მომსახურებები - დარჩენილი სამუშაოები - უსაფრთხო წყალარინების მომსახურებების გარეშე არსებული მოსახლეობა [%, მომსახურებების გარეშე არსებული ადამიანების რაოდენობა / სამიზნე მოსახლეობის რაოდენობა]	70 [%]	65 [%]	60 [%]	55 [%]
შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ საოპერაციო კოეფიციენტი [საოპერაციო ხარჯები / საოპერაციო შემოსავალი]	1.33	1.42	1	1
შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის CAPMANEX [%, საჭირო თანხები CAPMANEX / საპროგნოზო თანხებიCAPMANEX]	6 [%]	20 [%]	40 [%]	60 [%]
ერთი აბონენტისაგან მიღებული შემოსავალი [ლარი, საერთო შემოსავალი / აბონენტების რაოდენობა]	109	144	172	171
სისტემაში გაშვებული წყლის ერთეული მოცულობიდან ამოღებული ფულადი სახსრები [ლარი / $მ^3$, წელიწადში]	0.22	0.31	0.33	0.43
პერსონალის პროდუქტიულობის ინდექსი - პერსონალის რაოდენობა 1000 აბონენტზე [პერსონალის რაოდენობა / 1000 აბონენტი]	8	8	7	7
დატრენინგებული პერსონალის რაოდენობა [%, დატრენინგებული პერსონალის რაოდენობა / პერსონალის საერთო რაოდენობა]	5 [%]	20 [%]	40 [%]	60 [%]

4. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ ფინანსური კოეფიციენტები

ლიკვიდურობის, სესხების, ეფექტურობისა და რენტაბელურობის კოეფიციენტები 2018-2020 წლებისათვის შეჯამებულია თანდართულ ცხრილში.

კოეფიციენტები	2018	2019	2020	კოეფიციენტის განმარტება
ლიკვიდურობის კოეფიციენტები				
მიმდინარე კოეფიციენტი	1.02	0.65	0.22	მიმდინარე აქტივები / მიმდინარე ვალდებულებები
სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0.91	0.58	0.18	მიმდინარე აქტივები - მარაგები / მიმდინარე ვალდებულებები
ფულადი სახსრების კოეფიციენტი	0.66	0.26	0.12	ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები / მიმდინარე ვალდებულებები
საოპერაციო ფულადი სახსრების კოეფიციენტი	0.25	0.00	0.50	საოპერაციო ფულადი სახსრების ბრუნვა / მიმდინარე ვალდებულებები
სესხების კოეფიციენტები				
ვალის კოეფიციენტი	0.98	0.98	1.09	ვალდებულებები სულ / აქტივები სულ
ვალის სააქციო კაპიტალთან თანაფარდობის კოეფიციენტი	51.81	47.41	(11.81)	ვალდებულებები სულ / აქციონერთა კაპიტალი
პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი	44.65	16.13	11.25	საოპერაციო შემოსავალი / პროცენტი
ვალის მომსახურების დაფარვის კოეფიციენტი	4.03	0.78	0.20	საოპერაციო შემოსავალი / ვალის მომსახურება
ეფექტურობის კოეფიციენტები				
აქტივების უკუგების კოეფიციენტი	0.05	0.04	0.03	წმინდა რეალიზაცია / სულ საშუალო აქტივები
ინვენტარის უკუგების კოეფიციენტი	8.59	9.79	11.49	რეალიზებული საქონლის ხარჯები / საშუალო ინვენტარი
დებიტორული დავალიანების უკუგების კოეფიციენტი	0.00	0.04	0.28	კრედიტების წმინდა რეალიზაცია / დებიტორული დავალიანება
ინვენტარის დღიური რეალიზაციის კოეფიციენტი	42.48	37.30	31.78	365 დღე / ინვენტარის უკუგების კოეფიციენტი
რენტაბელურობის კოეფიციენტი				
ბრუტო მარჟის კოეფიციენტი	(1.06)	(2.07)	(5.31)	ბრუტო მოგება / წმინდა რეალიზაცია
საოპერაციო მარჟის კოეფიციენტი	(0.84)	(0.85)	(0.17)	საოპერაციო შემოსავალი / წმინდა რეალიზაცია
აქტივებზე უკუგების კოეფიციენტი	(0.05)	(0.08)	(0.17)	წმინდა შემოსავალი / აქტივები სულ
კაპიტალზე უკუგების კოეფიციენტი	(2.50)	(3.80)	N/A	წმინდა შემოსავალი / აქციონერთა კაპიტალი
გამოყენებული კაპიტალის უკუგება	(0.03)	(0.07)	(0.18)	EBIT / გამოყენებული კაპიტალი

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის აუდიტორის დასკვნის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის კომპანია ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს. კომპანია ლიკვიდობას ინარჩუნებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსგან მიღებული სესხების მეშვეობით. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ მოიზიდა სასესხო საშუალებები საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებიდან, რომელთა ნაწილი გადაეცა შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“ ქვესესხის სახით.

სასესხო და ქვესასესხო ხელშეკრულებების შესახებ ინფორმაცია მითითებულია აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, რომელიც ხელმისაწვდომია შემდეგ ვებგვერდზე: https://www.mrdi.gov.ge/en/agencies/water.

3. კორპორაციული მმართველობა



შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია ცდილობს დაუახლოვდეს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) სახელმწიფო საწარმოების შესახებ სახელმძღვანელო ინსტრუქციებით განსაზღვრულ პრინციპებსა და წამყვან საერთაშორისო პრაქტიკას. საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა სახელმწიფო ორგანიზაციების კორპორაციული მართვის კოდექსი, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფო საწარმოთა რეფორმის საბჭო განსაზღვრავს იმ საწარმოებს, რომლებზეც ვრცელდება აღნიშნული დოკუმენტი. ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობთ შესაბამის სამთავრობო უწყებებსა თუ განვითარების პარტნიორებთან, რათა გაუმჯობესდეს კომპანიის აღრიცხვიანობა და გახდეს მეტად გამჭვირვალე. კომპანია პატივს სცემს სახელმწიფო საწარმოების მიმდინარე რეფორმას და იმოქმედებს შემუშავებული პროცედურების შესაბამისად.

წყლის სადრენაჟო სისტემის მშენებლობა ქალაქ ფოთში, საქართველო (2020 წლის ოქტომბერი)
(წყარო: შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის Facebook გვერდი)

სამუშაოების მსვლელობა
(წყარო: შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის Facebook გვერდი)

OECD-ს რეკომენდაციების თანახმად, უნდა არსებობდეს მკაფიო მიჯნა სახელმწიფოს საკუთრების ფუნქციასა და სხვა ფუნქციებს შორის, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს სახელმწიფო საწარმოების მდგომარეობებზე, განსაკუთრებით ბაზრის რეგულირებასთან დაკავშირებით.

როდესაც სახელმწიფო საწარმო აერთიანებს ეკონომიკურ საქმიანობას და საჯარო პოლიტიკის მიზნებს, უნდა შენარჩუნდეს მათი ხარჯებისა და შემოსავლების სტრუქტურების შესახებ გამჭვირვალობის მაღალი სტანდარტები.

OECD-ს სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად, საჯარო პოლიტიკის მიზნებთან დაკავშირებული ხარჯები უნდა დაფინანსდეს სახელმწიფოს მიერ, რაც საჭიროებს გამჭვირვალობას.

1. კომპანიის მმართველი ორგანოები

ამჟამად შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას მმართველობის მარტივი სტრუქტურა აქვს. დებულების მე-6 მუხლის თანახმად, კომპანიის მმართველი ორგანოებია: პარტნიორთა კრება და დირექტორი. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის ბრძანებით (08/09/2020, N 83/ო), შეიქმნა შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ სამეთვალყურეო ორგანო რომელიც შედგება 10 პირისგან (მათი ვინაობა მოცემულია პირველ დანართში).

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ შემთხვევაში, აღნიშნული სამეთვალყურეო ორგანო მოქმედებს შემდეგი დამატებითი პასუხისმგებლობებით:

ა) უზრუნველყოფს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ (შემდგომში „კომპანია“) სამართლებრივ ნორმებსა და რეგულაციებთან შესაბამისობას. ასევე, კომპანიის მიერ ბიზნესგეგმის შესრულებას, რომელიც მოიცავს, თუმცა, არ შემოიფარგლება ბიუჯეტის (ბიზნესგეგმა) განხილვით, შეთანხმებითა და მასში ცვლილებების შეტანით;

ბ) ამოწმებს კომპანიის წლიური ბიუჯეტის (ბიზნესგეგმის) ანგარიშებს, მის შესრულებას და სხვა საკითხებს, საჭიროებისამებრ;

გ) იხილავს გარე აუდიტის რეკომენდაციებსა და დასკვნებს, ისევე, როგორც წლიურ აუდიტორულ ანგარიშს;

დ) იხილავს და ამტკიცებს გრძელვადიან ფინანსურ სამოქმედო გეგმას და კომპანიის მენეჯმენტის მიერ წარდგენილ კორპორაციულ მიზნებს, ბიზნესგეგმებს და სტრატეგიებს;

ე) განიხილავს კომპანიაში ინვესტიციების ოდენობას;

ვ) იხილავს კომპანიის მიერ კრედიტისა და სესხის აღებასთან დაკავშირებულ საკითხებს; იხილავს და ამტკიცებს სასესხო ხელშეკრულების პირობებს;

ზ) იხილავს კომპანიის მიერ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან, სხვა საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან დასადებ ორმხრივ ან მრავალმხრივხელშეკრულებებს; იხილავს და ამტკიცებს კომპანიის სასესხო ხელშეკრულების პირობებს, მათ შორის, სესხის გადახდის ვადებს, საპროცენტო განაკვეთებსა და გადასახადებში შესატან ცვლილებებს;

თ) იხილავს კომპანიის მიერ მესამე პირისათვის უფლებ(ებ)ის გადაცემის ან მოთხოვნის დათმობის საკითხებს.

2. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ შესაძლომმართველი ორგანოები

საქართველოს მთავრობამ ახლახანს მიიღო სახელმწიფო კორპორაციების კორპორაციული მართვის კოდექსი, რომლის თანახმადაც, სახელმწიფო საწარმოთა რეფორმის საბჭო განსაზღვრავს იმ საწარმოებს, რომლებზეც ვრცელდება დოკუმენტი. ამ ეტაპისთვის განვიხილავთ კორპორატიზაციის ორ სცენარს:

1. საჯარო სექტორის ჩართულობის გაზრდა

ამ მიდგომაში, კომპანია, საჯარო კორპორაციად არ კლასიფიცირდება და ის გააგრძელებს ურბანული და არაურბანული დასახლებების წყალმომარაგებითა და წყალარინებით უზრუნველყოფას და სერვისის მიწოდებისას გაზრდის კერძო სექტორის მონაწილეობას საერთაშორისოდ აღიარებულ საუკეთესო პრაქტიკებზე დაყრდნობით, რაც შესაძლოა მოიაზრებდეს კერძო სექტორთან პარტნიორობას PPP, იჯარის, საინვესტიციო კონტრაქტების ან სექტორისთვის დამახასიათებელი სხვა სამართლებრივი ურთიერთობის სახით.

2. კომპანიის საჯარო კორპორაციად გარდაქმნა

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაში“, ნაცვლად სამეთვალყურეო ორგანოსი, რომელიც ძირითადად სამინისტროს თანამშრომლებისგან არის დაკომპლექტებული, იქმნება დამოუკიდებელი სამეთვალყურეო საბჭო, რათა შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ დირექტორის საქმიანობას გაუწიოს მეთვალყურეობა.
სამეთვალყურეო საბჭოს წევრები პასუხისმგებელი იქნებიან თავიანთი მოვალეობების შესრულებაზე. გარდა ამისა, სავარაუდოდ, გაფორმდება შესრულებაზე დაფუძნებული ხელშეკრულება შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებსა და შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ პარტნიორს შორის. სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელი იქნება, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ დირექტორის ანგარიშვალდებულებაზე გამომდინარე იქიდან, რომ დირექტორი ანგარიშვალდებული იქნება სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე.

OECD კორპორაციული მართვის სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით, სახელმწიფო საწარმოს სამეთვალყურეო ორგანო პასუხისმგებელი იქნება შემდეგზე:

- სახელმწიფო საწარმოს კორპორაციული განზრახვის განაცხადის განხილვა და დამტკიცება, კორპორაციის სტრატეგიული გეგმის დამტკიცება კორპორაციისათვის გადაცემული მანდატის შესასრულებლად და ძირითადი ინდიკატორების დასაკმაყოფილებლად, დირექტორისა და სხვა აღმასრულებლების მიერ კორპორაციული სტრატეგიული გეგმის განხორციელების მონიტორინგი;

- კომპანიის პოლიტიკის განსაზღვრა;

- კომპანიის დირექტორისა და სხვა აღმასრულებლები პირების დანიშვნა და გათავისუფლება, მათი ანაზღაურების განსაზღვრა ანაზღაურების პოლიტიკის მიხედვით;

- კომპანიის საბუღალტრო და ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების სისტემების გამართულობისა და მათი კანონმდებლობასთან შესაბამისობის მონიტორინგი;

- კომპანიის გასასაჯაროებელი დოკუმენტების დამტკიცება და კომპანიის გარე დაინტერესებულ პირებთან კომუნიკაციის მონიტორინგი.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს შეეზღუდებათ კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობაში ჩარევა.

დირექტორი პასუხისმგებელი იქნება კომპანიის ყოველდღიურ ხელმძღვანელობაზე, მათ შორის, კორპორაციული განზრახვის განაცხადის, სტრატეგიული გეგმისა და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული პოლიტიკის განხორციელებასა და შესრულებაზე.

დირექტორი სხვა აღმასრულებელ პირებთან ერთად, ასევე, იქნება პასუხისმგებელი სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მათთვის სპეციალურად დელეგირებული ნებისმიერი ფუნქციის შესრულებაზე.

დანართი I: შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ ხელმძღვანელობა & სამეთვალყურეო საბჭო

დირექტორი:

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის, 2021 წლის 29 აპრილის N38/კ ბრძანების თანახმად ბ-ნ ალექსანდრე თევდორაძე დაინიშნა შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ დირექტორად.

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრები

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2020 წლის 8 სექტემბრის N83/ო ბრძანების თანახმად სამინისტროში შეიქმნა შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ სამეთვალყურეო ორგანო.

თავმჯდომარე - ილია ბეგიაშვილი - რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე;

წევრი - მზია გიორგობიანი - რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

წევრი - მამუკა შალიკაშვილი - სამინისტროს ინფრასტრუქტურის პოლიტიკისა და განვითარების პარტნიორებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე), კომისიის წევრი;

წევრი - მაია ტალახაძე - სამინისტროს ინფრასტრუქტურის პოლიტიკისა და განვითარების პარტნიორებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ინფრასტრუქტურული განვითარების პარტნიორებთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსი (მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი), კომისიის წევრი;

წევრი - ირაკლი თოფურია - სამინისტროს მუნიციპალიტეტის ორგანოებთან ურთიერთობისა და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების დეპარტამენტის უფროსი (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი), კომისიის წევრი;

წევრი - დავით მეტრეველი - სამინისტროს სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი), კომისიის წევრი;

წევრი - ნინო ფურცხვანიძე - სამინისტროს სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე - სამართლებრივ საკითხთა სამმართველოს უფროსი (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე), კომისიის წევრი;

წევრი - ბათუ გურჯიძე - სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი), კომისიის წევრი;

წევრი - ნინო კვირიკაშვილი - სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების დეპარტამენტის უფროსი (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი), კომისიის წევრი;

წევრი - შოთა ჭუმბურიძე - სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის ეკონომიკური ანალიზისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი (მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი), კომისიის წევრი, კომისიის მდივანი.

დანართი II: შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ ფინანსური ანგარიშები“

მთლიანი შემოსავლის ანგარიში

(ათასი ქართული ლარი)

	31.12.2017	31.12.2018	31.12.2019	31.12.2020
შემოსავალი	36,152	38,135	41,058	38,708
სახელმწიფო სუბსიდიები	-	-	-	30,000
სხვა შემოსავალი	2,860	387	536	3,499
	39,012	38,522	41,594	72,207
შესყიდული საქონლის ხარჯები	(3,916)	(4,785)	(4,661)	(5,473)
გამოყენებული ინვენტარის კაპიტალიზაცია	1,522	1,297	222	1,983
ინვენტარში ცვლილებები	(1,826)	(879)	114	(1,064)
თანამშრომელთა სარგებელი	(22,668)	(23,392)	(25,313)	(23,961)
ცვეთა და ამორტიზაცია	(15,509)	(16,145)	(16,509)	(19,320)
ელექტროენერგია	(13,980)	(15,488)	(15,945)	(16,648)
სხვა ხარჯები	(9,523)	(11,221)	(14,576)	(14,412)
საოპერაციო ზარალი	(26,888)	(32,091)	(35,074)	(6,688)
ფინანსური შემოსავალი	1,776	2,809	4,558	3,456
ფინანსური ხარჯები	(39,453)	(9,474)	(52,503)	(192,887)
გაცვლითი კურსით მიღებული ზარალი, წმინდა	1,088	(1,553)	(1,866)	(9,316)
სრული ზარალი სულ	(63,477)	(40,309)	(84,885)	(205,435)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშები

(ათასი ქართული ლარი)

	31.12.2017	31.12.2018	31.12.2019	31.12.2020
აქტივები				
არამიმდინარე აქტივები				
ძირითადი საშუალებები	618,566	776,085	998,772	1,160,257
არამატერიალური აქტივები	643	568	608	540
	619,209	776,653	999,380	1,160,797
მიმდინარე აქტივები				
ინვენტარი	8,657	7,778	7,892	5,845
საგადასახადო აქტივები	22,528	11,938	34,717	3,629
ვაჭრობა და სხვა დებიტორული დავალიანება	7,714	7,199	6,163	4,862
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტი	53,809	49,388	32,316	17,234
	92,708	76,303	81,088	31,570
აქტივები სულ	711,917	852,956	1,080,468	1,192,367
კაპიტალი და ვალდებულებები				
მფლობელის სამუშაო კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	287,778	381,375	383,124	383,126
სხვა რეზერვები	191,300	139,174	229,192	303,037
დაგროვებული ზარალი	(464,437)	(504,397)	(589,996)	(796,441)
	14,641	16,152	22,320	(110,278)
არამიმდინარე ვალდებულებები				
სესხები	657,065	761,901	932,662	1,159,295
	657,065	761,901	932,662	1,159,295
მიმდინარე ვალდებულებები				
სესხები	3,688	34,423	63,791	86,254
ვაჭრობა და სხვა გადასახადები	36,523	40,480	61,695	57,096
	40,211	74,903	125,486	143,350
კაპიტალი და ვალდებულებები სულ	711,917	852,956	1,080,468	1,192,367

ფულადი სახსრების ბრუნვის ანგარიშები
(ათასი ქართული ლარი)

	31.12.2017	31.12.2018	31.12.2019	31.12.2020
საოპერაციო საქმიანობებიდან მიღებული ფულადი ხარჯები				
აბონენტებისაგან მიღებული შემოსავლები	43,199	44,488	49,176	49,916
სამთავრობო სუბსიდიები სესხების გადასახადად	-	-	-	30,000
გადახდები მომწოდებლებისათვის	(25,419)	(28,820)	(31,303)	(32,379)
გადახდები თანამშრომლებისათვის	(18,966)	(19,652)	(21,286)	(20,721)
დღგ-ს დაბრუნება	-	23,000	-	44,466
გადახდილი გადასახადი	(8)	(8)	(11)	(22)
გარდაბნის მუნიციპალიტეტის რეკონსტრუქციის პროექტთან დაკავშირებული ფულადი სახსრების წმინდა გადინება/შემოდინება	(845)	-	1,301	(247)
საოპერაციო აქტივებიდან მიღებული / გასული წმინდა ფულადი სახსრები	(2,039)	19,008	(2,123)	71,013
საინვესტიციო აქტივობებიდან მიღებული ფულადი სახსრების ბრუნვა				
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	(29,974)	(45,361)	(60,104)	(85,717)
საგარანტიო გადასახადები, წმინდა	11,129	(6,168)	-	134
გადახდილი ავანსების ანაზღაურება	9,903	-	-	-
მიღებული პროცენტი	1,776	2,809	4,558	3,456
საინვესტიციო აქტივებიდან გასული წმინდა ფულადი სახსრები	(7,166)	(48,720)	(55,546)	(82,127)
ფინანსური აქტივებიდან მიღებული ფულადი სახსრების ბრუნვა				
სესხების თანხები	453	403	1,914	705
სესხების გადახდა	(5,089)	(7,829)	(43,833)	(76,015)
გადახდილი პროცენტი	(2,024)	(2,099)	(2,168)	(2,284)
აზიის განვითარების ბანკის IV სესხის გადახდა		-	(497)	-
კაპიტალში შეტანილი სუბსიდიების წილი	56,564	68,102	85,096	73,488
საწესდებო კაპიტალის ათვისება	-	(32,500)	-	-
ფინანსური აქტივებიდან მიღებული ფულადი სახსრების ბრუნვა	49,904	26,077	40,512	(4,106)
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების შემცირება	40,699	(3,635)	(17,157)	(15,220)

ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	13,569	53,809	49,388	32,316
გაცვლითი კურსის ზემოქმედება ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(459)	(786)	85	138
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტი წლების ბოლოს	53,809	49,388	32,316	17,234

დანართი III: ძირითადი დაინტერესებული მხარეები

- საყოფაცხოვრებო და კომერციული აბონენტები

- MINISTRY OF REGIONAL DEVELOPMENT AND INFRASTRUCTURE OF GEORGIA

  საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო - არის კომპანიის პარტნიორი. სამინისტრო პასუხისმგებელია ბიუჯეტის, ბიზნესგეგმის დამტკიცებაზე, დირექტორის დანიშვნაზე.

- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო - სახელმწიფო საწარმოების, მათ შორის, წყალმომარაგების კომპანიის, მფლობელია.

- MINISTRY OF FINANCE OF GEORGIA

  საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

  - პასუხისმგებელია ბიუჯეტის მართვაზე. ყველა სასესხო შეთანხმებას, მათ შორის, ბიუჯეტიდან გამოყოფილ თანხების შეთანხმებაზე, ხელს სამინისტრო აწერს. სამინისტროს ექვემდებარება შემოსავლების სამსახური.

- GNERC

  საქართველოს ენერგეტიკისადა წყალმომარაგების მარეგულირებელი

  ეროვნული კომისია (სემეკი) - კომისია დამოუკიდებელი ორგანოა და არეგულირებს წყალმომარაგებისა და წყალარინების ლიცენზირებულ ორგანიზაციებს ტარიფის დადგენით, სავალდებულო წესების დაწესებით და მინიმალური მომსახურების დონის განსაზღვრით.

- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო კურირებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურებს, რომელთა დაცვა აუცილებელია ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის.

- NATIONAL FOOD AGENCY

  სსიპ სურსათის სააგენტო - გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ. სააგენტო აკონტროლებს წყლის ხარისხს.

- სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო - ექვემდებარება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს.სააგენტო გასცემს მიწისქვეშა წყლების მოპოვების ლიცენზიას.

- ადგილობრივი მუნიციპალიტეტები - ადგილობრივი მუნიციპალიტეტები პასუხისმგებლები არიან წყალმომარაგებთა და წყალარინებით (მათ შორის ტექნიკური წყლით) უზრუნველყოფაზე

- საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები - ძირითადი ინსტიტუტებია: აზიისგანვითარების ბანკი, ევროპის საინვესტიციო ბანკი, საფრანგეთის განვითარების სააგენტო, გერმანიის განვითარების ბანკი.

საქართველოს გაერთიანებული
წყალმომარაგების კომპანია
UNITED WATER SUPPLY COMPANY OF GEORGIA

2021